იური სიხარულიძე

# სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა

(აჭარის ასსრ)

**წიგნი II**

სახელმწიფო გამომცემლობა
ბათუმი — 1959

რედაქტორი აკად. ნ. ბერძენიშვილი

Юрий Сихарулидзе

# Топонимика Юго-западной Грузии

## (Аджарская АССР)

### КНИГА II

J. M. Sicharulidse

# DIE TOPONIMIK DES SŰDWESTLICHEN GEORGIENS

## (Adsharische ASSR)

### Zweites Buch

Государственное издательство
Батуми —1959

РЕДАКТОР акад. Н. Бердзенишвили

# ისტორიული გეოგრაფიიდან

პირველ წიგნში დახასიათებული იყო აჭარის ასსრ-ში შემავალი ყველა ისტორიული ოლქი, თუ მისი ნაწილი, გარდა ქვემო გურიისა, ახლა ეს უკანასკნელი განვიხილოთ.

**ქვემო გურია** ასე იწოდებოდა გვიანფეოდალურ ხანაში მდინარეებს ჩოლოქსა და ჭოროხს შუა მდებარე მიწა-წყალი.

„მზღვრის ამას გურიას... — ამბობს ვახუშტი ბაგრატიონი, — სამხრით ჭოროხის მდინარე და მთა მცირე, ფერსათიდამ ჩამოსული დასავლით, აჭარა-გურიას შორისი“,[1] და ქვემოთ: „სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდამ ზღვამდე და განი ჭოროხიდამ რიონამდე“.[2]

ჭოროხი გურიის ბუნებრივი საზღვარი იყო სამხრეთით და არა პოლიტიკური. თავისი ძლიერების ხანაში გურიის სამთავრო დიდად გადასცდა ბუნებრივ საზღვრებს. ეს განსაკუთრებით ითქმის აღმოსავლეთისა და სამხრეთის საზღვრის შესახებ.

XV საუკუნის შუაწლებში ის თავის საზღვრებში მოიცავდა მთელს აჭარისწყლის ხეობას და ჭანეთს რკინის პალომდე.[3]

ბერი ეგნატაშვილის „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ გურიელზე ნათქვამია, რომ მას „ეპყრა რიონს გაღმართი, საჯავახო, იმას-აქათი გამოსწურივ ღომისციხეს გარდმოღმართი, ერგე, აჭარა, და ჭანეთი რკინისპალოს აქათი“.[3]

მ. გურიელი თავის „გამოცხადება საზღვართა გურიისათა“-ში, რომელსაც ხელს აწერს გურიელის ძე ქაიხოსროც, 1804 წელს წერდა: გურიის „...პირველი საზღვარი იყო, რომელსაც ოსმალნი ქემერ უხმობენ და ჩუენ გურიელნი რკინის-პალოდ..

აჭარა მაჭახეთი... სწორებით არ ვიცით... საათაბეგოს ტახტისა არის, თუ არა; მაგრა ეს ვიცით, რომ გურიელებს მრავალ-ჯერ სჭერია“.[4]

აჭარა და მაჭახელი გურიის სამთავრო სახლის არ იყო, იგი საათაბაგოს ეკუთვნოდა, მაგრამ ეს თემები გურიელებს რომ საკმაოდ კარგა ხანს ეჭირათ, ეს სწორადაა აღნიშნული მოტანილ ამონაწერში.

ისტორიული ქვემო გურია თავის მხრივ რამდენიმე მიკრორაიონს გამოყოფდა. ამათგან უმთავრესი იყო: ხინო, ქობულეთი, ჩაქვი, ბათუმი და ერგე.

„... ხეობა ხინოსი არს მაგარი და მთებრი, — ამბობს ვახუშტი, — არამედ ვენახ-ხილიანი და მოსავლიანი. აქა ხ ი ნ ო ს არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-დიდშენი, კარგს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ხინოს-წყლის (ცინტრიში — ი. ს.) სამხრეთისა ჭოროხამდე.

...ამ ხინოს მდინარის სამხრით, მთის ძირს, არს ა ჭ ვ ს ციხე კარგი; და ხინოს მდინარის შესართავთან ზღვაზედ არს ა ლ ა მ ბ ა რ ი, სასახლე შენი, გურიელთა, ფრიად შვენიერს ადგილს. კვალად ალამბრისა და აჭვის სამხრით დის მდინარე

ქობულეთისა. გამოსდის ხინო-აჭარის მთასა, მოდის დასავლით, მიერთვის ზღვასა ეგრეთვე. ზღვის პირს ამ წყალზედ არს ქ ო ბ უ ლ ე თ ი, მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი. ამის სამხრით დის ჩ ა ქ ვ ი ს-წ ყ ა ლ ი... ამ წყალზე, ზღვის კიდეს, არს ც ი ხ ე ქ ა ჯ ე თ ი ს ა... ამას ზეით არს ამ წყალზე ჩ ა ქ ვ ი. და ამ ჩაქვის სამხრით დის ჭოროხის მდინარე. ზღვის შესართავზედ და ჭოროხის ჩდილოთ კიდურზედ არს ბ ა თ ო მ ი, მცირე ქალაქი და ციხე კარგი. აწ უპყრავთ ოსმალთა. ამას ზეით... არს ე რ გ ე, და ბათომის პირისპირს, ჭოროხის სამხრეთის კიდეზე არს გ ო ნ ი ა... უპყრავთ ოსმალთა".[5]

ასე აგვიწერს მეცნიერი ბატონიშვილი ქვემო გურიას.

ვახუშტის გეოგრაფიის მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, მაგრამ, როგორც ირკვევა, სახელოვანი მეცნიერი უფრო კარგად იცნობდა და კარგი ცნობებიც ჰქონდა ხელთ აღმოსავლეთ საქართველოზე, ვიდრე დასავლეთის, კერძოდ გურიის შესახებ. ამის გამოა, რომ მოტანილ ამონაწერში ზოგიერთი უზუსტობა შეინიშნება. აი ზოგი მათგანიც. 1. მეცნიერი ბატონიშვილი „აჭვს" (აჭი) ასახელებს „ხინოს-წყლის სამხრით", სინამდვილეში აჭი მდებარეობს ამ მდინარის ჩრდილოეთით; 2. ალამბარს ვახუშტი ათავსებს ხინოსწყლის შესართავში, ზღვასთან, მაშინ, როდესაც ალამბარი აჭყვის ხეობაში მდებარეობს და ათზე მეტი კილომეტრით შორავს შავ ზღვას. 3. ვახუშტის „ქობულეთის მდინარე" ხინოსწყლისაგან განსხვავებულ მდინარედ მიაჩნია, რაც აგრეთვე მართებული არ არის. ქობულეთის მდინარე იგივე ხინოსწყალ-კინტრიშია. 4. არც ქაჯეთის ციხე (პეტრა) მდებარეობს ჩაქვისწყალზე. ქაჯეთი ჩაქვისწყალს საკმაოდ შორავს. და ბოლოს კიდევ ერთი: 5. ეთნოგრაფიული გურიის აღწერილობაში ვახუშტის შეაქვს გონიაც. გონია იმ პერიოდში შედიოდა გურიის სამთავროს შემადგენლობაში, მაგრამ იგი გურიის ორგანული ნაწილი არ ყოფილა; აკი ბატონიშვილი თვითონვე რამდენჯერმე ამბობს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რომ ეთნოგრაფიული გურია სამხრეთით მდ. ჭოროხამდე განივრცობოდაო.

უძველეს დროში მერმინდელი ქვემო გურიის მიწა-წყალი კოლხეთის სამეფოს ფარგლებში იყო. ადრე მონათმფლობელური კოლხეთის მოშლის შემდეგ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე პოლიტიკური ერთეული აღმოცენდა. მათ შორის ყველაზე უფრო გაძლიერდა ლაზთა (ზანთა) სამეფო. ლაზიკაც მონათმფლობელური სახელმწიფო იყო. იგი სამხრეთით ჭოროხამდე განივრცობოდა.

ლაზიკის სამეფო მე-7 საუკუნეში დაიშალა. იგი ე.წ. „აფხაზეთის სამეფომ" შესცვალა.

მე-9 საუკუნეში საქართველოს სამეფო-სამთავროები ქვეყნის ფეოდალური გაერთიანებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ. მე-11 საუკუნის დამდეგისათვის ეს დიდი ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა — საქართველო გაერთიანდა. აქედან მოკიდებული ქვემო გურია მთელ გურიასთან ერთად ერთიანი ფეოდალური მონარქიის ფარგლებშია.

საქართველოს მეფე პროვინციებს ერისთავებისა და ხევისთავების მეშვეობით განაგებდა. ერთიანი ფეოდალური მონარქიის ხანაში გურია ჯერ ოდიშის ერისთავთ-ერისთავის საგამგეოშია სავარაუდებელი, ხოლო შემდეგ გურიის ერისთავთ-ერისთავს ექვემდებარებოდა. ოდიშის საერისთავოდან გურიის ცალ-

კე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფა მე-13 საუკუნის ნახევარში მომხდარი ფაქტი ჩანს.[6] გურიის ერისთავთ-ერისთავის საგამგეოში რჩება გურია ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ დაშლამდე. ამიერიდან გურიის საერისთავთ-საერისთავო სამთავროდ ყალიბდება.

XVI საუკუნეში გურიის სამთავროს ოსმალეთი მოეძალა. ძლიერმა მტერმა ჯერ ჭანეთი მიიტაცა (40-იან წლებში), ხოლო შემდეგ, იმავე საუკუნის მეორე ნახევარში, აჭარა და ბათუმი. ეს უკანასკნელი ოსმალებმა ტრაპიზონის ეიალეთში შეიტანეს.[7]

გურიელი არ თმობდა თავის მიწა-წყალს და ბრძოლას განაგრძობდა.

XVII საუკუნის ათიან წლებშიც ენერგიულად ებრძვის მამია II გურიელი (1600-1625 წ. წ.) ბათუმში მოკალათებულ ოსმალებს, მაგრამ ამაოდ. პატრი ლ უ დ ო ვ ი კ ო გ ა ნ ჯ ე რ ი ო ს ცნობით 1614 წლის 13 დეკემბერს ბათუმში საზავო მოლაპარაკება მიმდინარეობდა გურიელსა და ოსმალებს შორის.[8] ეტყობა. გურიის მთავარი იძულებული გამხდარა ეცნო ოსმალთა უფლება ბათუმზე. ი. კ ა ლ ფ ო ღ ლ უ ს სიტყვითაც დამარცხებული მამია გურიელი „იძულებული იყო ზავი დაედვა მისთვის არა ხელსაყრელ პირობებში“.[9]

თურქებმა ბათუმი ბეგლარ-ბეგის სარეზიდენციო ქალაქად აქციეს. 1617 წლიდან ბათუმის ბეგლარ-ბეგად ვხედავთ ემირთა-ემირს ომერს.[10]

ტრაპიზონის ეიალეთის შემადგენლობაში ჩანს ბათუმი XVII საუკუნის 40-იან წლებშიც.[11]

XVII საუკუნის II ნახევარში ქართველებს დაუბრუნებიათ ბათუმი. ფრანგი მოგზაურის ჟ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი ს 1672 წლის ცნობით გურიის სამთავროს მიწა-წყალი მდ. ჭოროხამდე ვრცელდებოდა.[12]

ამაზე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე 1718 წლის ერთ-ერთი ფირმანი, რომელშიც ნათქვამია, რომ ბათუმი და მისი ოლქის ზოგიერთი სოფელი „დავთარში (სამამულო წიგნი, — ი. ხ.) შეტანილი არ ყოფილა რადგან მ ხ ა რ ე ს მელიქლერი გურიელი დაეუფლა“.[13]

ჩვენის აზრით აღნიშნული „მელიქლერი გურიელი“ უნდა იყოს გიორგი III (1664-1684 წ. წ.)[14]

XVIII საუკუნის დამდეგს ბათუმი ისევ დაუკარგავს გურიელს. 1704 წელს ოსმალებს დაუმარცხებიათ გურიის მთავარი მამია III (1689-1714 წ. წ.) და ქვეყანა აუოხრებიათ. შემოქმედის ჟამ-გულანში დაცული ცნობით ამ დროს „მოვიდა გურიას ხალილ-ფაშა და ააოხრა ქვეყანა“.[15] საფიქრებელია ბათუმიც ამ დროს დაეპყროთ ოსმალებს.

ჩანს, გიორგი IV-ის გურიელობაში (გარდ. 1726 წ.) ქართველებს ისევ დაუბრუნებიათ ბათუმი, თუმცა მოკლე ხნით.

მამია და ქაიხოსრო გურიელების მიერ 1804 წელს შედგენილ „გამოცხადება საზღვართა გურიისათა“-ში ამის შესახებ ნათქვამია: „ბ ა თ უ მ ი ქ ა ლ ა ქ ი და ლ ი მ ე ნ ა, (და) სოფელი ჩაქვი, რომელს ჟ ა მ ს დ ა ა კ ლ დ ა გ უ რ ი ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ს — რიცხვით წელიწადის მახსოვარი არა ვართ და ჟამი ეს ვიცით, რომ გ უ რ ი ე ლ ს გ ი ო რ გ ი ს სჭერია“.[16]

დ. ბაქრაძის მიერ მოტანილი სოფ. ვანისქედის ეკლესიის (მახარაძის რაიონი — ი. ხ.) ჟამ-გულანის მინაწერის მიხედვით „კზ (26) წლით ხალილ ფაშა გამოაზახა ხვანთქარმან პ-ათასი (80.000) კაცი ციხეები დაგვიტეხა, ბათომი მაშინ წაგვართვა... ა(1) წლით ომი... ბეჟან დადიანიც იმ წელიწადს მოჰკლა თათარმა ქუთაისს. ესენი ყოველივე ამ ქ-კის დაწერამდე იქმნა".[17]

ამ ცნობას მკვლევარები სხვადასხვა გაგებას აძლევენ.

დ. ბაქრაძის აზრით მითითებული ქვინკლოსი 1726 წელი უნდა იყოს. თუ ეს ასეა, მაშინ ხალილ ფაშა ამჯერად გურიას 1726 წელს უნდა შემოსეოდა, და ბათუმიც ამ წელს უნდა მიეტაცათ თურქებს.[18]

ხ. ახვლედიანი ამ საბუთს სხვაგვარად კითხულობს. მისი მტკიცებით, ბეჟან დადიანის მკვლელობა და მინაწერში მითითებული სხვა ამბები 1726 წელს მომხდარა, ხოლო თურქთა მიერ ბათუმის აღება 26 წლით ადრე, ე. ი. 1700 წელს.[19]

ასეთივე აზრისაა ვ. იაშვილიც. მისი სიტყვით აღნიშნული დოკუმენტიდან „ირკვევა, რომ ოსმალებს ბათუმი 1700 წლის მახლობლად დაუპყრიათ".[20]

ვანის ქედის ჟამ-გულანის ცნობით ბეჟან დადიანი 1727 წელს მოუკლავთ ოსმალთ. ამას ამაგრებს ბაქრაძისავე დამოწმებული შემოქმედის გულანის ქრონიკონი, რომლის მიხედვით ხსენებული დადიანი 1728 წელს იქნა მოკლული.[21]

პროფ. მ. დუმბაძე აღნიშნული მინაწერის ბაქრაძისეულ განმარტებას იზიარებს. ამ ვარაუდის გასამაგრებლად მას ლ. გურიელის ცნობა მოაქვს და მასალების შეჯერების ნიადაგზე ოსმალთა მიერ ბათუმის დაპყრობის თარიღად 1726 წელს მიიჩნევს.[22]

არსებული მასალებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა კრიტიკული შესწავლა ცხადჰყოფს, რომ ბათუმის საბოლოო მიტაცება 1726 წელს მოხდა.[23]

ეს ფაქტი უშუალო კავშირში იყო თურქების მიერ ფოთისა (1723 წ.) და შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლის მიტაცებასთან. ამავე დროს იპყრობენ ოსმალები ციხისძირსაც.[24]

ამის შემდეგაც არ ცხრებიან თურქები, კიდევ უფრო ავითარებენ შეტევას გურიაზე და ქობულეთ-ხინოსაც იპყრობენ.

მამია გურიელის 1804 წლის ცნობებით „ციხის ძირს აქეთი სოფელი ქობულეთი (და) ხინო ოცი წელია, რომ მამაჩვენს (სიმონ III — 1789-1792 წ.წ. — ი. ხ.) დააკლდა".[25]

ლევან გურიელის იმავე 1804 წლის ცნობით კი „ხინო და ქობულეთი რომ დაკარგული გვაქ ოც და ათი წელიწადია".[26]

პირველს თუ დავუჯერებდით, მაშინ ქობულეთ-ხინოს მიტაცების თარიღად 1784 წელი, ან უფრო ზოგადად XVIII საუკუნის 80-იანი წლები უნდა მიგვეჩნია, ხოლო მეორის მიხედვით ეს თარიღი ათი წლით წინ გადაიწევს.

ზოგიერთი მკვლევარი სარწმუნოდ თვლის პირველ მათგანს, ზოგიც — მეორეს. ეტყობა, მ. გურიელის ცნობას ეყრდნობა პროფ. მ. დუმბაძე, როდესაც ქობულეთ-ხინოს მიტაცების თარიღად XVIII საუკუნის 80-იან წლებს დებს.[27] ისტორიკოსი ვ. იაშვილი კი ლ. გურიელის ცნობას მიიჩნევს სარწმუნოდ და ქობულეთ-ხინოს დაპყრობას XVIII ს. 70-იანი წლებით ათარიღებს.[28]

როგორც ჩანს, არც მ. გურიელის ცნობაა ზუსტი და არც ლ. გურიელისა. ამის გამო, ცხადია, არც მათზე დამყარებული დათარიღება იქნება სწორი.

ირკვევა, რომ ქობულეთი და ხინო უფრო ადრე მიუტაციათ თურქებს. XVIII საუკუნის 60-იან წლებში ეს მიწა-წყალი გურიელს უკვე დაკარგული აქვს. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს მოურავოვის ერთ-ერთი პატაკი გრაფ. ნ. ი. პანინისადმი, რომელიც 1769 წლის 12 ოქტომბრითაა დათარიღებული. რუსეთის წარმომადგენელი ატყობინებდა თავის ხელისუფალს დას. საქართველოში შექმნილ ვითარებას და წერდა: „გურიელი ფლობს ხუთი ათას კომლ გლეხს, ორ არქიელს და რამდენიმე თავადსა და აზნაურს... მის ორ ციხე-სიმაგრეში შავ ზღვაზე, ციხისძირსა და ქობულეთში თურქული გარნიზონები დგანან“.[29]

როგორც ვხედავთ, 60-იან წლებში ქობულეთი თურქებს უჭირავთ. ასევე ითქმის ხინოზეც. ამ დოკუმენტში ხინოწმინდა თუმცა უშუალოდ დასახელებული არ არის, მაგრამ მოურავოვის ცნობა იმის შესახებ, რომ გურიელის სახელისუფლოში ორი მღვდელმთავარიაო, იმაზე მიუთითებს, რომ მესამე საეპისკოპოსო ხინო-წმინდისა უკვე მიტაცებული აქვს მტერს და იგი გაუქმებულია.

ხინოწმინდის საეპისკოპოსო საყდრისა და მისი უკანასკნელი გამგებელის ბედის გასათვალისწინებლად საინტერესო ცნობებს შეიცავს გიორგი გურიელის 1780 წლის პირობის წიგნი, რომელშიც ნათქვამია: „... მრავალს უდროობისა და ქვეყნის ოხრებისაგან... ჯუმათის ეკლესია უეპისკოპოსოდ იყო და ჩვენ გვეჭირა. შემდეგ ამ საქმისათვის მობრძანდა მათი უწმინდესობა აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე და გველაპარაკა, რომ ეკლესიაზედ მღვდელმთავარი დაგვედგინებია და, რადგან ჯეროვანი და მართებული იყო, ჩვენც ფრიად ვთნეთ და ვწადეთ და მათი უწმინდესობის მორჩილ ვექმენით და დავადგინეთ მღვდელთმთავრად... იოანე, პირველ ხინო-წმინდელათ იყო კურთხეული, მარა მისი ეკლესია და მამული ყველა თათარს ეპყრა და ეს უეკლესიოდ იმყოფებოდა. და აწ ამ ეკლესიაზედ დაგვიდგინებია ბატონი კათალიკოსი მაქსიმეს ბრძანებით“.[30]

როგორც გამოჩინებულის ეკლესიისადმი იოანე ხინოწმინდელის 1780 წლისავე შეწირულების წიგნიდან ვტყობილობთ ჯუმათის ეპისკოპოსად დანიშვნამდე იგი გამოჩინებულს ყოფილა დადგენილი. შეწირულების წიგნში იოანე ამბობს: „...როდესაც ჩვენ ხინო-წმინდელათ დავიდგინეთ, ის ხინო-წმინდა და მისი შემავალი ერი თათართ მიიმძლავრეს და... მის ძლით ჩვენს ეკლესიაზედ მისვლა ვეღარ უძლეთ და ბატონის მეფის სოლომონის წყალობით გამოჩინებულს ამ შენს წმინდას ეკლესიაზედ დავიდგინეთ და რაოდენ შესაძლებელი იყო აქა ვსცხოვრობდით“.[31]

ხინოწმინდას იოანეს, მაშასადამე, აღარ უეპისკოპოსებია, მის ხინოწმინდელად კურთხევას დამთხვევია თურქთაგან ხინოს მიტაცება, რასაც ხინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრის გაუქმებაც მოჰყვა.[32]

გურიის ეს ნაწილიც ოსმალეთის ხელისუფლებმა ტრაპიზონის ეიალეთს მიათვალეს. სანჯაყი, რომელშიც ქვემო გურიის მიწა-წყალი შედიოდა ჯერ ბათუმის სანჯაყის სახელით იყო ცნობილი,[33] ხოლო შემდეგ ლაზისტანის სანჯაყად გადააკეთეს. სანჯაყის ადმინისტრაციული ცენტრი თავიდან ბოლომდე ბათუმი იყო.

ქვემო გურიის მიწა-წყალზე ორი კაზა არსებობდა: ერთი მათგანი ბათუმის იყო, ხოლო მეორე ჩურუქ-სუ-სი. ეს უკანასკნელი მდ. ჩოლოქიდან ციხისძირამდე ვრცელდებოდა, ხოლო ამას იქეთა ტერიტორია მდ. ჭოროხამდე ბათუმის კაზაში შედიოდა.[34]

ჩურუქ-სუ ქართულად დამპალ წყალს ნიშნავს. ასე უწოდეს ქვემო გურიის ამ ნაწილს ოსმალებმა აქ არსებული ტბა-ჭაობების გამო.

„Чурук-Су или Грузинский Кобулети в прошлыя времена входил в состав Гурии и население его... не так давно обращено в мусульманство" — წერდა დ. ბაქრაძე 1873 წელს.[35]

ამ მიწა-წყლის გურიიდან ჩამოცილების შემდეგ, ფართოვდება გეოგრაფიული ტერმინი ქობულეთის გავრცელების არე და იგი თითქმის მთელ ქვემო გურიას ფარავს.

XIX საუკუნიდან ქვემო გურიის ნაცვლად ბატონდება ქობულეთი, ხოლო ამ ტერიტორიის მკვიდრის ძველ ეთნიკურ სახელს—გურული, ცვლის ახალი — ქობულეთელი.

ქობულეთისა და ქობულეთლების შესახებ ცნობილი ქართველი მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი 1877 წლის 14 ივლისს „ივერია"-ში წერდა: „ქობულეთი არის გურიის ნაწილი, მდინარე ჩოლოქის გაღმა, რომელსაც ზღვის პირას ჭოროხის შესართავამდის 45 ვერსის სიგრძე აქვს. სამხრეთით აჭარა აქვს და დასავლეთით ჭოროხი...

აქაური მცხოვრებლები ვერაფრით ვერ განირჩევიან გურულებისაგან სახითა და ტანით, ტანსაცმლით, სახლი-შენობებით და მოწყობილობით, ხასიათით და ჩვეულებით, მხნეობით და შრომის მოყვარეობით, ქართული... ენით (გურული კილოთი), განსხვავება მხოლოდ სარწმუნოებაა, რადგან ქობულეთლები მაჰმადიანები არიან. მაგრამ იმათშიც მრავალი საიდუმლო ქრისტიანია, მეტადრე დედა-კაცები, რომელნიც პატარა ყმაწვილებს ანათვლინებენ და ქრისტიანობის სიყვარულს უნერგავენ...

ქობულეთში შესანიშნავი ქალაქი არის ბათომი თავისი ნავსადგურითა და ციხითა.. ქალაქი თვით პატარაა, დუშეთის ოდენა. შემდეგ ბათომისა არიან: დაბა ქვემო ქობულეთი ანუ ჩურუქ-სუ, სოფელი ზემო ქობულეთი და სხვანი; შესანიშნავი და მიუდგომელი ციხე ბათომს გარდა ციხისძირია".[36]

მოტანილ ამონაწერში შესანიშნავადაა დახასიათებული ქობულეთი, როგორც გეოგრაფიული ცნება და ქობულეთის ეთნიკური სახე.

ამავე საკითხზე შავი ზღვის მეოთხე სანაპირო ხაზის უფროსი გენერალ-მაიორი ანრეპი 1842 წლის 22 აპრილს წერდა:

„... გურიის ნაწილი რუსეთს შემოუერთდა... ადრიანოპოლის ზავის ძალით, ამ ოლქის მეორე ნაწილი კი (ქობულეთი) მდ. ნატანებიდან მდ. ჭოროხამდე (ჭოროხ-სუ) ანუ ქ. ბათომამდე ჩათვლით, თურქეთის მფლობელობაშია. გურიის ორივე ნაწილი სულ ცოტა ხნის წინათ იყო ერთი მთლიანი ერთეული. ორივე ნაწილის მცხოვრებთ მჭიდროდ აკავშირებს სარწმუნოების, წარმოშობის და ზნე-ჩვეულებათა იგივეობა... ქობულეთი, ანუ გურიის თურქეთის ნაწილი, ითვლე-

ბა ერზერუმის სერასკირის ხელქვეითად, მაგრამ არსებითად არც მას ემორჩილება, არც ტრაპიზონის ფაშას".[37]

გურიის თემობრივ საზღვრებშია მოთავსებული ქობულეთ-მახინჯაურის ხაზის მიწა-წყალი საქართველოს საისტორიო რუკაზე, რომელიც აკად ივ. ჯავახიშვილის რედაქციით დაიბეჭდა 1923 წელს.

პროფ. ს. კაკაბაძეს მართებულად არ მიაჩნია ეს გარემოება და რუკის რედაქტორს უსაყვედურებს:

„თემობრივ საზღვრებშიც გვხვდება ზოგი რამ ეჭვის აღმძვრელი გარემოება... გურიის თემობრივ საზღვარს შიგნით ნაჩვენებია ქობულეთ-მახინჯაურის ხაზის ტერიტორიაც, მაგრამ, ეს მხარე ბათომის რაიონთან ერთად ქობულეთს შეადგენს".[38]

ქობულეთი მოიცავდა ბათუმის რაიონის ერთ ნაწილს და არა მთლიან ამ რაიონს, როგორც ამას პროფ. ს. კაკაბაძე მიუთითებს.

გარდა ამისა, ტერმინი ქობულეთი ასეთ გავრცობას (ქვემო გურიის აღსანიშნავად), როგორც უკვე ითქვა, აღწევს უფრო გვიან, ვიდრე ამას 1783 წლის ქარგა ითვალისწინებდა.

რუკის უზუსტობა მხოლოდ იმაშია, რომ 1783 წელს გურიაში ქობულეთ-მახინჯაური აღარ შედიოდა.

1878 წელს ქვემო გურია, ანუ ქობულეთი კვლავ დედა სამშობლოს დაუბრუნდა. შემოერთების შემდეგ გაუქმდა კაზები და შეიქმნა უბნები. ქვემო გურიის ტერიტორიის უმთავრესი ნაწილი მდ. ჩოლოქიდან მოკიდებული ბათუმ-სოუქ-სუ-ახალშენამდე კინტრიშის უბანში გაერთიანდა, ხოლო მიმდგომი სოფლები მდ. ჭოროხამდე — გონიის უბანში. 1917 წელს უბნები მაზრებმა შესცვალეს. კინტრიშის უბნის მემკვიდრეობა ქობულეთის მაზრას ხვდა წილად, ხოლო გონიის უბნისა — ჭოროხის მაზრას. ასე დარჩა 1930 წლამდე. ამიერიდან მაზრებმა ადგილი დაუთმეს რაიონებს: ქობულეთის მაზრა ქობულეთის რაიონმა შეცვალა, ხოლო ჭოროხის — ბათუმის რაიონმა.

## ტოპონიმიკისა და ეთნონიმიკისათვის

ადგილთა სახელების წარმოების მხრით ქვემო გურიაში რაიმე ახალი, მნიშვნელოვანი თავისებურება არ შეინიშნება. აქ თითქმის ყველა იმდაგვარი წარმოება გვაქვს, რაც პირველ წიგნში მოცემული მასალის განხილვისას აღინიშნა. განსხვავება აქ მხოლოდ სახელების გამოთქმაში შეინიშნება. ეს განსხვავება იმ ფარგლებშია მოცემული, რაც ქობულეთურს ახასიათებს აჭარულისაგან განსხვავებით.

რაც შეეხება ტოპონიმიკურ სახელებს, მათი წარმომავლობის თვალსაზრისით, ამ მხრივ ქვემო გურიას თავისი მრავალფეროვნებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ჩვენს მიერ აღწერილი ვერც ერთი კუთხე ვერ შეედრება.

საკუთრივ ქართული წარმოშობის ადგილთა სახელების (ესაა უმთავრესი) გვერდით გვხვდება ზანურის საკმაოდ სქელი ფენა. გარდა ამისა, ჩერქეზულ-ადიღურ ელემენტსაც მნიშვნელოვანი წილი უდევს ამ კუთხის ტოპონიმიკაში.

გეხვდება აგრეთვე ჩერქეზულ-აფხაზური, ბერძნული, თურქული, რუსული და სხვა სახელწოდებანი.

ქვემო გურიის ტოპონიმიკის უძველესი ფენებია ზანური და ჩერქეზულ-ადიღური. ამიტომ ამათი განხილვით დავიწყოთ.

პირველად შევეხოთ ზანურს.

ზანური ფენის არსებობა ამ კუთხის ტოპონიმიკაში სავსებით გასაგები გარემოებაა. ეს კუთხეც მთელ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან ერთად ზანურსა და მის მონათესავე სხვა ენებზე (ახლა რომ აღარ არსებობს, მაგრამ წინათ რომ მრავალი იყო), თუ იმათ დიალექტებზე მოლაპარაკე ქართველი ტომებით იყო დასახლებული. ეს ზანური სახელებია: ბ ა თ უ მ ი ს რ ა ი ო ნ-შ ი: ქვაბიში (ტყე, ს.ყოროლისთავში), მოთქარიში (ტყე, იმავე სოფელში), კიბეში (ჩაის პლანტაცია. იქვე), ბაკიში (ღელე. იმავე სოფელში). ქ ო ბ უ ლ ე თ ი ს რ ა ი ო ნ შ ი: ნაოჩვარი (ს. კუთხე. ჩაისუბანში), ოჭყვადური (იმავე სოფელში), ონჩომია (სათესი, ს. ხალაში), ონტროთი (ღელე. სათიბი, ს. ბობოყვათში), კინკიშა (მდ.), ოპოდირი (ს. ხუცუბანში), ოხტომი (ს. ჭახათში), კინტრიში (მდ.), ოჩხომურა (მდ.), ოჩხამური (ოკ. სადგური, საბჭოთა მეურნ.) და სხვ.

ზანიზმებს გურია-იმერეთ-აჭარის ტოპონიმიკაში თავდაპირველად ყურადღება აკად. ნ. მარმა მიაქცია. ამის საფუძველზე ნ. მარმა 1904 წელს აღნიშნა: „ლაზიკას ერთ დროს ეჭირა არა მხოლოდ ახლანდელი ლაზისტანი, არამედ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროც, ეხლანდელი გურიით, სამეგრელოთი და იმერეთით“.[1]

ეს აზრი შემდეგ გაიზიარა და განავითარა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. 1913 წელს დაბეჭდილ „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში სახელოვანი ისტორიკოსი წერდა: „...გურიის საგეოგრაფიო სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ეხლა გურულები ცხოვრობენ, წინად მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო; ბევრი სოფლებისა და მდინარეების სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არადა მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ, მაგალითად: მთა **ჯიხანჯირი** (ჯიხა-ციხე), **ჯუმათი**, **ჭყონაგვარი** (ჭყონი — მუხა), მდ. **ოჩხამური** (ო+ჩხამური, ჩხომი — თევზი, როგორც ოკალმახე...) **ოჭილაური** (ო+ჭილა+ური — საჭილა+ო)... მდ. **კინტრიში** და სხვა. ამგვარ სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის, ცხადია, მხოლოდ მეგრელ-ლაზების ტომებს შეეძლო“ (გვ. 56. ხაზი ჩვენია — ი. ხ.).

ამავე შეხედულებას ავითარებს ი. ყიფშიძე „მეგრული ენის გრამატიკა“-ში, რომელიც რუსულ ენაზე დაიბეჭდა 1914 წელს, იგივე აზრია გაზიარებული გ. დეეტერსის წიგნში „Das Kartvelische verbum“ (ლაიპციგი, 1930 წ.). მეგრულისა და ლაზური ფენის გამოვლენას გურულებში მიეძღვნა ი. მეგრელიძის საკანდიდატო დისერტაცია 1935 წელს.[2]

ჩვენთვის საინტერესო საკითხებს ეხება ს. ჟღენტი ნაშრომებში „გურული კილო“ (თბილისი, 1936 წ.) და „ზანიზმები გურულ ზმნებში“.[3]

ჩვენს მიერ შეკრებილი მასალები ამ მაგალითებს ერთიორად ავსებენ და ამრავალფეროვნებენ. მარტო ქვემო გურიის ტოპონიმიკაში შემონახულია მრავალი ასეთი სახელი. ზემოთ უკვე იყო ჩამოთვლილი ბევრი მათგანი. ამიტომ მათ-

ზე აქ აღარ შევჩერდებით. თანამედროვე გურიის მიწა-წყალზე კი ასეთი სახელები უამრავეია.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ეს სახელები მეგრელ-ჭანების ნაკვალევია ამ მხარის ტოპონიმიკაშიო, მაგრამ ეს ზოგადი განცხადება საკმაო როდია. საჭიროა რამდენიმე სიტყვით მაინც ითქვას თითოეული იმ ზანურ-კოლხური ტომების შესახებ, რომელთა სამკვიდრებელი ოდესღაც ქვემო გურია და საერთოდ ამჟამინდელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო იყო. ჩვენ ამ ტერიტორიით შემოვიფარგლებით მხოლოდ. ჩვენი ამოცანისათვის (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა) ამჟამად ეს საკმარისად მიგვაჩნია.

ახლანდელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მოკიდებული მრავალ ქართველურ და მის მონათესავე ე. წ. ჩრდილო კავკასიურ, ან კავკასიურ ტომებს უცხოვრიათ.

ჰენიოხები და მაკრონები, კოლხები და ლაზები, მაჩრალები. სანები და მრავალი სხვა ის ძველი ქართველური ტომები იყვნენ, რომლებიც თუ მთელი კომპაქტური მასით არა, ნაწილობრივ მაინც შეხებიან თანამედროვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალს და გარკვეულ დროს უცხოვრიათ აქ.

დავიწყოთ ჰენიოხებით.

**ჰენიოხები** „ტრაპეზუნტიდან 140 ათასი ნაბიჯის დაშორებით მდ. აბსაროსია იმავე სახელწოდების ციხე-სიმაგრით, შესართავთან... ნაპირის გაყოლებით მოსახლეობენ ჰენიოხები, ამპრევიტები, ლაზები" — ამბობს პლინიუსი.[1]

აკად. ს. ჯანაშიას აზრით აქ იგულისხმება მდ. ჭოროხის შესართავის რაიონი (უკიდურეს შემთხვევაში მაკრიალიდან მოკიდებული ჩრდილოეთით) და თანამედროვე აჭარა-გურიის მიწა-წყალი· ლაზებს აქ თითქოს შუა ადგილი უკავიათ.[2] ამავე რაიონში ასახელებს ჰენიოხებს ფლ. არიანეცა და ანონიმი გეოგრაფიც.

II საუკუნის ნახევარში აქ მოსახლე ჰენიოხები საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ჰენიოხთა მეფე ანხიალს იხსენიებს 114-115 წლების ამბებთან დაკავშირებით დიონ კასი. იმავე მეფეს ასახელებს 134 წელს არიანეც. ეს უკანასკნელი, სხვათა შორის, იხსენიებს მდ. პრუტანისს (ათენის ჩრდილოეთით 40 სტადიონზე), რომელზეც მისი ცნობით „არის ანხიალის სასახლე". ეს ანხიალი ჰენიოხთა ზემოხსენებული მეფეა.

აკად. ს. ჯანაშიას აზრით „პრუტანისი, ყოველ ეჭვს გარეშე. არის თანამედროვე მდ. ფურტუნა".[3] მახლობლად არის საძიებელი ჰენიოხთა მეფის სარეზიდენციო პუნქტიც. „...შეიძლება მივიღოთ, — წერს ს. ჯანაშია, — რომ არიანეს მაკრონ-ჰენიოხებს ეჭირათ თანამედროვე ჭანეთის ნაწილი ცენტრით, დაახლოებით, ქ. ათინასთან".[4]

პ. ინგოროყვა ამ სამეფოს ცენტრად მიიჩნევს ძველ ტრაპიზონს (ქ. ათინას ჩრდილოეთით).[5]

ჰენიოხთა ბინადრობა-გავრცელების არე მარტოოდენ შავი ზღვის სანაპიროთი არ იფარგლებოდა. ჰენიოხები უფრო სამხრეთითაც ჩანან და ჩრდილოეთითაც.

აზსარს გარდა ტრაპიზონის მიდამოებში ასახელებს ჰენიოხებს (სანებთან ერთად) პლინიუსი. „ტრაპეზუნდამდე ნაპირის გასწვრივ მდ. პიქსიტია, შემდეგ სანთა ჰენიოხთა ტომი".[6]

სან-ჰენიოხთა ტომის ადგილსამყოფელის დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მდ. პიქსიტის მართებულ ლოკალიზებას. აკად. ს. ჯანაშია მას ვიწეწყართან (ვიწე-სუ) აიგივებს,[7] ხოლო ისტორიის მეცნ. კანდ. მ. ინაძე ტრაპიზონის დასავლეთით არსებულ ამავე სახელწოდების მდინარესთან.[8] ეს უკანასკნელი სარწმუნოა, რადგან პლინიუსის ცნობა სწორია და იქ არავითარი ისეთი შეცდომა არ არის, რომელსაც განსვენებული მეცნიერი ვარაუდობდა.

გარდა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოსი, ჰენიოხები დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთშიც ჩანან. ეს უკანასკნელნი, სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებით, ამ მხარის თავდაპირველი აბორიგენები კი არ უნდა იყვნენ, არამედ მოსული არიან დასავლეთ საქართველოს სამხრეთი რაიონებიდან.

ამგვარი აზრი პირველად ურარტოლოგმა პ. უშაკოვმა გამოთქვა.[9] ამავე აზრს იზიარებს მ. ინაძე[10] და დოც. ნ. ლომოური.[11] უკანასკნელი გაკვრით აღნიშნავს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ჰენიოხთა გადასახლების ფაქტს, ხოლო მ. ინაძე ცდილობს გარკვეული დასაბუთება მისცეს ამ მოსაზრებას. ჰენიოხთა ადგილგადანაცვლებას იგი გაძლიერებულ კოლხთა დაწოლის შედეგად მომხდარ ფაქტად მიიჩნევს. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე შემოხიზნვით ჰენიოხთა ლტოლვილმა ნაწილმა შესძლო თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ხოლო კოლხთა ბატონობის ქვეშ მოქცეულთ წაერთვათ დამოუკიდებლობა და ეთნიკური სახელი ჰენიოხიც იქ დაიფარა ტერმინით „კოლხი"...[12]

მ. ინაძე იზიარებს აგრეთვე პ. უშაკოვის მოსაზრებას ჰენიოხთა და იგანიეხთა იგივეობის შესახებ.

რამდენიმე სიტყვა ამ საკითხზე.

ურარტულ წარწერებში სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე უძველეს დროში მოსახლე ერთ-ერთ ხალხს იგანიეხთა სახელით იხსენიებენ; ხოლო ქვეყანას იგა, ანუ იგანს უწოდებენ. პ. უშაკოვი ეთნიკურ ტერმინს იგანიეხი ბერძნული წყაროების ჰენიოხებს უკავშირებს და უკანასკნელს პირველის სახენაცვალ ფორმად მიიჩნევს.[13]

ამ ვარაუდს დიდი სიძნელეები ელოდა წინ. ამას თვითონ ავტორიც კარგად გრძნობდა, მაგრამ მას თუ ამის მტკიცების ხალისი მაინც შერჩა, ეს აშკუზების სკვითებად ქცევის მაგალითმა მისცა. თუ უკანასკნელი კი მოხდა, რატომ არ შეიძლებოდა პირველიც მომხდარიყო, თავს აიმედებს ავტორი და განაგრძობს მტკიცებას.[14]

იგანის ადგილმდებარეობის შესახებ პ. უშაკოვი 1940 წელს წერდა. „ის (იგანი — ი. ს.) ეკვროდა თავისი სამხრეთი ნაწილით მაინც ტბა ჩილდირს (ყოფ. ყარსის ოლქი). მისი ჩრდილოეთი საზღვრები გამოურკვეველია".[15]

ნაშრომში „ურარტელების ლაშქრობისათვის ამიერკავკასიაში", რომელიც 1946 წელს გამოქვეყნდა, ავტორი იგანის ასეთ ლოკალიზებას იძლევა: იგანი

ჩილდირის ტბიდან შორს ჩრდილოეთისაკენ განივრცობოდა და უკვე სარდურის დროს აღწევდა თანამედროვე აფხაზეთამდე.[11]

ამ მოსაზრებას იცავს და ავითარებს ისტორიკოსი მ. ინაძე. იგი ყურადღებას აქცევს ჰერაკლიდე პონტოელის (IV-III ს.ს.) ნაშრომის „სახელმწიფოთა შესახებ" ცნობას: „ფაზისის გაყოლებით თავდაპირველად ცხოვრობდნენ ჰენიოხები,... მერე კი მილეტელები". მოტანილი ამონაწერი, მისი სიტყვით, „კარგად ადასტურებს" პ. უშაკოვის აზრს იგანიეხ-ჰენიოხთა განსახლების შესახებ.[17]

ეს ცნობა, მ. ინაძის თქმით, ჯერ ერთი, ყურადღებას იპყრობს იმ მხრივ, რომ იგი ფაზისის მიდამოების „... უძველეს მცხოვრებლებად ასახელებს არა კოლხებს, არამედ ჰენიოხებს", მეორეც „... იგი გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ აღნიშნულ ადგილებში ჰენიოხთა ბინადრობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი. სახელდობრ, ცნობიდან ირკვევა, რომ ჰენიოხებს ამ ადგილებში უცხოვრიათ მილეტელთა (იგულისხმება ბერძენ კოლონიზატორთა) აქ მოსვლამდე (ძვ. წ. VII საუკუნემდე), ე. ი. სწორედ იმ დრომდე, ვიდრე შავი ზღვის აღმოსავლურ სანაპიროზე მდებარე ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მოექცეოდა კოლხთა გაძლიერებულ სამეფოს ფარგლებში".[18]

ჰერაკლიდე პონტოელიდან მოტანილ ამონაწერში ნამდვილად საინტერესო ცნობაა, მაგრამ იგი ოდნავადაც საკმარისი არაა ამ დიდი და რთული საკითხის გადასაწყვეტად. იგი მართალია ეთანხმება პ. უშაკოვის აღნიშნულ ვარაუდს, მაგრამ დასტურდება კი ეს ვარაუდი? არა, არ დასტურდება.

საქმე იმაშია, რომ იგანის ქვეყნის იმდაგვარი ლოკალიზება, რომელსაც პ. უშაკოვი გვთავაზობს, სწორი არ არის. ყოვლად დაუჯერებელია ეს ძველაღმოსავლური ქვეყანა, რომელსაც ურარტული წარწერები ჩილდირის ტბის მიდამოებში ასახელებენ, ასეთი გავრცელების ყოფილიყო ჩრდილოეთით. მასალების გულდასმით შესწავლა ცხადყოფს, რომ იგანი ძირითადად ჩილდირის მიდამოებით იფარგლებოდა და მისი უკიდურესი წერტილები არცთუ მაინცადამაინც დიდად შორავდნენ ამ ტბას. ჩილდირის ტბის რაიონით განსაზღვრავს იგანის ადგილსამყოფელს გამოჩენილი ქართველი ურარტოლოგი პროფ. გ. მელიქიშვილიც.[19]

ჰენიოხთა ეთნიკური მიკუთვნილობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა უმრავლესობა ჰენიოხებს დასავლურ ქართული (ზანური) წარმოშობის ტომად თვლის. ამ უკანასკნელ დროს ეს მოსაზრება ეჭვის ქვეშ დააყენა ისტორიის მეცნ. კანდ. დ. ხახუტაიშვილმა. მისი აზრით, თუ ჰენიოხებს ზანურ მოდგმას მივაკუთვნებთ, „მაშინ ადგილი აღარ გვრჩება იმ ტომების მოსათავსებლად, რომლებიც ქართლურ (იბერულ) ჯგუფს ეკუთვნოდნენ და ალბათ, უძველესი დროიდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ".[20]

ეს მოსაზრება საგულისხმო ჩანს. იბერული ჯგუფის მოსახლეობა დასავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მართლაც უძველესი ხანიდანაა საგულისხმებელი. ამიტომ დროა გადაისინჯოს შეხედულება დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს იბერული თემების წარმოქმნის ვითარებისა და თარიღის შესახებ.

## კ ო ლ ხ ე ბ ი

კოლხები უძველეს ქართველურ ტომთა შორის ერთ-ერთი განთქმულნი იყვნენ, რომელთაც დიდი გაერთიანება შექმნეს და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ძველ ისტორიაში.

ურარტულ წყაროებში კოლხთა ქვეყანა „კულხა“-დ იწოდება. და ეს იმიტომ. რომ ურარტულ დამწერლობას „ო“ ბგერა არ გააჩნდა.[1]

„კულხა“-„კოლხა“-ს იგივეობა ეჭვს არ იწვევს და იგი აღიარებულია თანამედროვე ორიენტალისტიკაში.

„კულხა“-ს პირველად იხსენიებს ურარტუს მეფე სარდურ II-ის (750-733) წარწერა.[2]

სარდურის დროს ურარტუსა და კოლხას შორის დიდი ომიანობა იყო. თავის ქრონიკაში ეს მეფე სიამაყით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ შეესია კულხას, გადასწვა ქვეყანა, ამოხოცა ხალხი, დიდძალი ტყვე გარეკა. მაგრამ ურარტუს ძლიერებას მალე დაელია დღე, იგი დასუსტდა, დაძაბუნდა და VI საუკუნის დამდეგს შესწყვიტა არსებობაც. ურარტუს დაცემამ გზა გაუხსნა აღმავლობის გზაზე შემდგარ კოლხთა ტომებს. ეს ტომები სწრაფად აღზევდნენ და თავიანთი გავლენის სფეროში მოიქციეს შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროს დიდი ნაწილი. ამ დროს ემთხვევა ბერძენი კოლონისტების გამოჩენა ამ სანაპიროზე. აქედან მრავლდება ცნობები კოლხებსა და მათ გაერთიანებაზე ბერძნულ წყაროებში. ამ გაერთიანების სახელი „კულხა“ ბერძნებმა მთელ ამ ვრცელ მიწა-წყალზე გაავრცელეს. ასე იქცა „კოლხიდა“ (ამ ფორმით იხსენიება კოლხეთი ბერძნულ წყაროებში) შავი ზღვის სამხრეთი და აღმოსავლეთი სანაპირო ტერიტორიების ზოგად სახელად...

გეოგრაფიულ ტერმინ „კოლხიდას“ ბერძნულ მწერლობაში პირველად ეპიკოსი ევმილე (VIII-VII ს.ს. მიჯნა) იხსენიებს.[3] ეს სახელწოდება არგონავტების მითშიც გვხვდება; ამ მითის წარმოშობა თუმცა წინ უსწრებს ევმელოსს, მაგრამ კოლხიდა ამ მითში გვიანდელი ჩანამატი უნდა იყოს.[4]

ისმება კითხვა, ჰქონდა თუ არა რაიმე სახელწოდება კოლხეთს მანამდე?

ამ მხრით მკვლევართა ყურადღებას იპყრობს გეოგრაფიული სახელი „აია“ ან „ეა“. საკმაოდ დიდხანს ეს ტერმინი მიჩნეული იყო ქალაქის სახელწოდებად კოლხეთში. ზოგიერთი მკვლევარი მას არქაიოპოლის-ნოქალაქევთან აიგივებდა,[5] ხოლო ზოგიც — ქუთაისთან. ამ უკანასკნელ აზრს ადგია დოც. აკ. ურუშაძე, რომელმაც ამ სახელწოდების ახსნაც სცადა. მისი მტკიცებით „ეას“ (resp. აია) სახელი წარმოსდგება ბერძნული „γῆα“-საგან, რაც „მიწას“ ნიშნავს. ამ სიტყვის უძველესი ფორმა „აია“-ს სახით დადასტურებულია ჰომეროსთანო.[6]

კითხვაზე, თუ რატომ უწოდეს ბერძნებმა მიწასთან დაკავშირებული სახელწოდება ქალაქ ქუთაისს, აკ. ურუშაძე წერს: „ბერძენი მეზღვაურისათვის, რომელსაც კოლხეთში მისასვლელად უნდა გაევლო საკმაოდ გრძელი გზა ზღვით... კოლხეთი იქნებოდა სანატრელი მიწა ანუ გაია-აია-ეა. ამით აიხსნება, რომ ეას, ანუ აიას სახელი მიწასთანაა დაკავშირებული“.[7]

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით ავტორის არგუმენტაციის განხილვას, ის რამდენიმე საინტერესო გარემოებაზე მიუთითებს, ვიკითხავთ მხოლოდ: „სანატრელ მიწას“ ბერძნები ქუთაისზე უწინარეს ფასიდში ან კოლხეთის სხვა სანაპირო

ქალაქ-ნავსადგურებში არ პოულობდნენ? თუ ასე იყო საქმე, მაშინ ამ ქალაქებს უნდა მიეღოთ ამგვარი სახელწოდება და არა ქუთაისს, რომელიც კოლხეთის შინაგან მხარეში მდებარეობს და ზღვასაც საკმაოდ შორავს. ანდა შეიძლება ეს სახელი უფრო ფართო ცნებას, საკუთრივ კოლხეთს დაკავშირებოდა, „სანატრელი მიწა“ ამ შემთხვევაში ხომ ზოგადად კოლხეთის მიწა უნდა ყოფილიყო და არა რომელიმე ქალაქი ან ნავსადგური?

ამ თვალსაზრისით გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს ამ უკანასკნელ დროს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულება აია — კოლხეთის იდენტურობის შესახებ. ასეთი აზრი პირველად მ. ინაძემ გამოთქვა ნაშრომში „შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლე ტომთა ისტორიისათვის“ 1955 წელს ავტორის მტკიცებით არგონავტების მითში კოლხთა ძლიერების ანარეკლთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე, როგორც ეს აქამდე იყო აღიარებული," არამედ ჰენიოხთა გაერთიანების ძლიერება უნდა იგულისხმებოდეს (გვ. 15).

ამგვარ მოსაზრებამდე ისტორიკოსი მიყავს იმ გარემოებას, რომ ამ მითის უძველეს ფრაგმენტებში (ჰომეროსთან, ჰესიოდესთან) ტერმინი „კოლხიდა“ არ იხსენიება. ამ ტერმინს იქ ენაცვლება „აია“ (იქვე).

ასეთივე აზრისაა პროფ. ს. ყაუხჩიშვილიც. წერილში „გიორგი მერჩულის“ გამო“ (დაიბეჭდა 1957 წელს). ავტორი წერს: „...ამ დროის დასავლეთ საქართველოს (იგულ. არგონავტების ხანა — ი. ხ.) ბერძენი პოეტები და ლოგოგრაფოსები უწოდებენ „აეა“-ს. ასე, მაგალითად, ამ სახელით („აეა“) იცნობს მას ჰომეროსის როგორც „ილიადა“, ისე „ოდისეა“. VII საუკუნიდან (ძვ. წ.) კი „აიას“ ცვლის ტერმინი „კოლხის“ („კოლხეთი“).[9]

დასავლეთ საქართველოს სახელთა ასეთ ცვალებადობას თუ ნამდვილად ჰქონდა ადგილი ბერძნულ მწერლობაში, ეს უეჭველად იმას მოწმობს, რომ იგი გარკვეულ სოციალურ-პოლიტიკურ ტეხილს უკავშირდებოდა ადგილობრივ, კერძოდ, ჰეგემონიის გადასვლას ერთი ტომიდან მეორის ხელში. რომელი ასეთი ტომი უნდა ვიგულისხმოთ ჩვენ კოლხებამდელი დასავლეთის ჰეგემონად? მ. ინაძის აზრს თუ გავყვებით ასეთი ტომად წარმოგვიდგება ჰენიოხები, მაგრამ ეთნონიმი ჰენიოხი რა კავშირში უნდა ყოფილიყო ტოპონიმ „აია“-სთან? ამ ტერმინთა ფონეტიკური აღნაგობა ასეთი კავშირის სასარგებლოდ არაფერს გვაძლევს, პირიქით, საეჭვოდ ხდის კიდეც. ისმება კითხვა, რაიმე უზუსტობასთან ხომ არ უნდა გვქონდეს საქმე აქ? „კუტაიდა ტე პოლინ აიეს“-ო თუმცა ამბობს აპოლონი, მაგრამ არის კი ეს „აია“ მთელი კოლხეთის აღმნიშვნელი? არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ თუ იგი ქუთაისის ძველი სახელი არ არის, კოლხეთის რომელიმე მიკრორაიონი იყოს.

**ეთნონიმ „კოლხი“-სათვის**

ამ სახელის ეტიმოლოგია ბევრმა მკვლევარმა სცადა. ცნობილი ფრანგი ორიენტალისტის ვივიან დე სენმარტენის აზრით ტერმინ კოლხში ისმის ქართული სიტყვა „ხალხი“.[10] „კოლხის“ დაკავშირება „ხალხ“-თან შეუძლებელია.

ასევე ითქმის უსლარის აზრზე „შესაქმეთა" წიგნის „კასლუხიმ"-ისა და კოლხის იგივეობის შესახებ.[11]

ნ. მარი „კოლხს" ჭოროხის გზით „კოროხს" უკავშირებდა. ეს „კოროხი" მას კულხ-კოლხის ადგილობრივ ფორმად მიაჩნდა.[12]

ივ. ჯავახიშვილი „კოლხს" თავდაპირველად ეთნონიმ „კასკი"-დან წარმომდგარ ტერმინად თვლიდა, ხოლო შემდეგ ტოპონიმ კოლას დაუკავშირა. „კოლხი-ს სახელი,—წერდა ივ. ჯავახიშვილი,— სატომო სახელების ბოლოსართის ხი-ს შეიცავს, რომლის ჩამოცილების შემდეგ გვრჩება კოლ. ცნობილია, რომ საქართველოში არსებობდა და ახლაც არსებობს თემი, რომელსაც კოლა ეწოდებოდა და ეწოდება ეხლაც... უფრო ბუნებრივია გვეფიქრა, რომ კოლხთა და კოლას სახელები ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული".[13]

ეს მოსაზრება აღიარებულია დღეს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. „ამ დიდი გაერთიანების (კულხას — ი. ს.) ცენტრი დიაუხის ჩრდილოეთით იყო, იქ სადაც შემდეგში სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ოლქი — კოლა იყო (სახელი „კოლხა" ამავე „კოლა"-დანაა ნაწარმოები ხურიტული სატომო სახელების მაწარმოებელი დაბოლოების „ხა"-ს დართვით)" — წერდა გ. მელიქიშვილი 1951 წელს.[14] ამავე შეხედულებას ავითარებს ავტორი 1954 წელს დაბეჭდილ „ნაირი-ურარტუ"-შიც (გვ. 63).

უხვ ცნობებს კოლხიდისა და კოლხების შესახებ გვაწვდის ჰეროდოტე ჰალიკარნასელი. ჰეროდოტე კოლხებს ასახელებს იმ ოთხ დიდ ხალხთა შორის, რომლებიც შავსა და წითელ ზღვებს შუა მოსახლეობდნენ. კოლხებს, ჰეროდოტეთი, ეჭირათ სასპერთა ზემო მხარე, ამ ხალხთა საზღვრებიდან მოკიდებული ჩრდილოეთის ზღვამდე (IV, 37). სასპერები, აკად. ს. ჯანაშიას გამოკვლევით, ეს მერმინდელი ბერძნული წყაროების იბერებია.[15] მაშასადამე, კოლხებს სამხრეთით ემეზობლებოდნენ სასპერ-იბერები.

სადამდე განივრცობოდა კოლხთა მიწა-წყალი სამხრეთითა და ჩრდილოეთით?

ანტიკურ ავტორთა ცნობებით კოლხიდა თავისი ძლიერების ხანაში შორს ვრცელდებოდა სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით. ქსენოფონტეთი, ტრაპიზონი კოლხთა საზღვარს 2 გარდასავლისა და 2 ფარსანგით[16] შორავდა (IV, 8, 22 — 24).

რაც შეეხება კოლხთა გავრცელების არეს ჩრდილოეთით, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ გაერთიანების ფარგლებში შედიოდა დას. საქართველოს ბარის დიდი ნაწილი. კავკასიონის მთიანეთი კოლხეთს გარეთ რჩებოდა. ეს რომ ასე იყო, ამას ადასტურებს ჰეროდოტეს ცნობა: სპარსეთის აქემენიდებს ოთხ წელიწადში ერთხელ ძღვენს უგზავნიან კოლხები და მათი მეზობლები კავკასიონის ქედამდეო (III, 97). აკად. ივ ჯავახიშვილის სიტყვით კოლხთა ეს ჩრდილოელი მეზობლები სვანები უნდა ყოფილიყვნენ.[17]

კოლხთა და სვანთა საზღვრის ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება „სრულებით ცხადია მხოლოდ, — როგორც აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, — რომ ფაზისი ანუ რიონი კოლხთა მიწა-წყალი ყოფილა ჰ ე რ ო დ ო ტ ე ს და პ ი ნ დ ა რ ო ს ი ს დროსაც, რამოდენიმე საუკუნის უწინარესაც; არგონაველთა ხანაშიც რიონი კოლხთა ბინადრობის არედ ითვლებოდა".[18]

კოლხები სამხრეთითაც შორს განივრცობოდნენ. სტრაბონის მიხედვით, კოლხეთი ტრაპეზუნტამდე აღწევდა.[19]

ამპლეუსთან დაცული ცნობით, რომელიც ფრიად ძველი ტრადიციისა ჩანს, კოლხეთი მდ. თერმიდონტის აუზამდე ვრცელდებოდა.[20] ასევე ითქმის არიანეზეც, რომლის ცნობითაც ტრაპეზუნტიდან 270 სტადიონით დაცილებული მდ. ოფისი (ახლანდელი სულან-სუ) კოლხთა ქვეყანას „თიანნიკე"-საგან გამოყოფს.[21]

ივ. ჯავახიშვილის აზრით ეს „თიანნიკე" (ალბათ დედანში ეწერა თსანნიკე) ჭანეთს ნიშნავს.[22]

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ არიანე კოლხებს ტრაპეზუნტის მიდამოებში მიუთითებს. ასეთივე ცნობა დაცულია ქსენოფონტესთანაც (ძვ. წ. IV ს.).

ქსენოფონტესა და სხვა ძველ ბერძენ მწერალთა ცნობების შეჯერება-შესწავლის შემდეგ, ივ. ჯავახიშვილი დაასკვნიდა: „...ცხადი ხდება, რომ არგონაველთა თქმულებიდან მოყოლებული, პინდაროსისა და ჰეროდოტეს დროსაც კარგად ცნობილ მდ. რიონის აუზში გადაჭიმულ კოლხეთს გარდა, IV ს. ქსენოფონტეს დროს, მეორე, ტრაპიზონის სანახებში მდებარე კოლხეთიც არსებობდა. თუ მდ. რიონის მიწა-წყლის კოლხეთს, ტერიტორიის დიდი სივრცისა და იქ სხვა ტომთა ბინადრობაზე უცილობელი ცნობის არსებობის გამოც უეჭველია ზოგადი, პოლიტიკურ ჰეგემონიის წყალობით გაჩენილი მნიშვნელობა ჰქონდა, ტრაპიზონის სანახების კოლხეთს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მხოლოდ ვიწრო, ტომობრივი მნიშვნელობა ჰქონოდა".[23]

რაც შეეხება კოლხთა ბინადრობის საკითხს ტრაპიზონის მიდამოებში არიანეს დროს, ეს უფრო ქსენოფონტეს გადათხრობა უნდა იყოს, ვიდრე II საუკუნის სინამდვილე.[24]

კლ. პტოლომე კოლხეთის სამხრეთით მოსაზღვრე ქვეყნებად ასახელებს კაპადუკიის პონტოსა და დიდ არმენიას.[25] ესეც ძველის განმეორებაა. პტოლომეს დროს კოლხეთი უკვე აღარ წამოადგენს ერთიან პოლიტიკურ ერთეულს, ის გეოგრაფიული ცნებაა მხოლოდ.[26]

**მაკრონები** ეს ეთნონიმი ბერძნულ-რომაულ მწერლობაში ორი ფორმით გვხვდება: მაკრონი და მაკროკეფალი. პირველი ფორმით იგი დაცული აქვთ ჰეკატეს, ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, აპ. როდოსელს, სტრაბონს, არიანეს და სხვ. მაკროკეფალს კი იხსენიებენ: ჰიპოკრატე, ფსევდო სკილაქს კარიანდელი, პომპონი მელა და ფსევდო არიანე. უკანასკნელი ფორმა, ჩვენი აზრით, ეთნონიმ მაკრონის ბერძნული გააზრების შედეგადაა მიღებული. მაკრონ აქ ბერძნულ „მაკროს"-ად (გრძელი) არის გაგებული. მაკროკეფალი, ე. ი. გრძელთავიანი. მაკრონ-მაკროსის ერთგვარ მიმსგავსებაზე აგებული ეს ეტიმოლოგია, რა თქმა უნდა, მისაღები არ არის.

მაკრონი ადგილობრივი ეთნონიმი ჩანს და არა ბერძნული. იგი უნდა უკავშირდებოდეს ეთნონიმს მარგალ-მეგრელს. ასეთი აზრი ჩვენს ისტორიოგრაფია-

ში პირველად ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა 1913 წელს „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში (გვ. 29). მას შემდეგ ამის საწინააღმდეგოდ დღემდე არაფერი თქმულა, სასარგებლოდ კი ითქვა ზოგი რამ.

1936 წელს არნ. ჩიქობავამ ეთნონიმ მაკრონ-ში ჭანური ონ სუფიქსი გამოავლინა. მისი თქმით ტერმინი „მაკრონ“-ონ სუფიქსით ნაწარმოები ექვივალენტი ჩანს ქართული ტერმინისა „მეგრელ“-ი.[1]

არნ. ჩიქობავა ყურადღებას აქცევს ბერძნული წყაროების „მაკრონის“ „კ“-ს, რომლის ადგილას ქართულ ტერმინში (მეგრელი) „გ“ გვაქვს. ეს გარემოება მაკრონ-მეგრელის დაკავშირებას დაბრკოლებას ვერ უქმნის, რადგან, როგორც მართებულად აღნიშნავს არნ. ჩიქობავა, ქართულის მჟღერი გ-ს ყრუ კ-თი გადმოცემა ბერძნულში ბუნებრივი ამბავია.[2]

ამის შემდეგ „ა“-სა და „ე“-ს მიმართების საკითხი დგება. ქართულ ტერმინში „ე“ გვაქვს, ხოლო მის შესაპირისპირებელში — „ა“. ამაზე სახელოვანი მეცნიერი არაფერს ამბობს.

ამის გამო, ჩვენის აზრით, უფრო სწორი იქნებოდა, თუ მაკრონს დავუკავშირებდით არა ქართულ „მეგრელ“-ს, არამედ მეგრულ ტერმინ „მარგალ“-ის თავდაპირველ ფორმას „მაგრ-ალ-ი“.

მაკრონები ტრაპიზონის მიდამოებში, კერძოდ მის სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. ქსენოფონტეს ცნობით მათი ქვეყნის საზღვარი ქ. ტრაპიზონზე 2 გადასავალითა და 7 ფარსანგით იყო დაცილებული.[3] ისინი მთიან ადგილებში ესახლნენ. მათ გვარიანი მიწა-წყალი სჭერიათ. ჰენიოხთა ჩრდილოეთისა და სამხრეთი საზღვრები ერთმანეთს თურმე 2 გადასავალითა და 10 ფარსანგით შორავდნენ. ქსენოფონტე ჰენიოხეთის სამხრეთ საზღვრად მთა ტეხოსს მიუთითებს.[4]

თ. მიქელაძე მაკრონთა აღმოსავლეთის საზღვრად კაზიკლი-დაღს დებს, ხოლო სამხრეთისად — მდ. ბაკჩა-დერეს; რაც შეეხება დანარჩენს, მათი დადგენა არ ხერხდება.[5] დ. ხახუტაიშვილის სიტყვით სან-მაკრონები ტრაპეზუნტის მიდამოებიდან ჭოროხამდე ვრცელდებოდნენ.[6]

გარდა ამ მაკრონებისა წყაროებში მითითებულია კიდევ სხვა მაკრონები, რომელთაც ამ კოლხურ ტომებთან არაფერი აქვთ საერთო. ასე მაგ., აპ. როდოსელი მაკრონებს პროპონტიდაშიც (დოლიონების მახლობლად) ასახელებს. პროპონტიდის მაკრონებს იგი მაკრიელებს ეძახის და პელაზგური წარმოშობის ტომად მიიჩნევს.

დოც. აკ. ურუშაძეს მოაქვს აგრეთვე როდოსელის სქოლიასტის ცნობა მაკრონების კუნძულ ევბეადან (ძველი „მაკრისი“) გადმოსახლების შესახებ და დასძენს „... აპ. როდოსელის ცნობას უაღრესი მნიშვნელობა ენიჭებაო“.[7]

ავტორი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა მიმართებაშია როდოსელი პოეტის ამ ცნობის უაღრესი მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, მაკრისელ პელაზგებსა და კოლხ მაკრონებს შორის რაიმე კავშირი არ ივარაუდება, თუ აქ რაიმე გაუგებრობა არ არის.

აქემენიდური სპარსეთის ძლიერების ხანაში მაკრონები მათ მეზობელ სხვა ქართველურ ტომებთან (ტიბარენებთან, მოსინიკებთან, მარებთან და სხვა) ერთად სპარსეთის სუზერენობას აღიარებდნენ და მე-19 სატრაპიაში შედიოდნენ.

ჰეროდოტეს ცნობით მაკრონებსა და კოლხებს ჩვეულებად ჰქონიათ წინადაცვეთა. მაკრონთა გადმოცემით ეს ჩვეულება მათ თითქოს კოლხებისაგან შეუსწავლიათ.[8]

ისტორიის მამამთავარს მაკრონთა შეიარაღებაც აქვს აღწერილი. მისი სიტყვით მაკრონები, ტიბარენები და მოსინიკები ერთნაირად იყვნენ შეიარაღებულნი. ხელში შუბები და ფარები სჭერიათ, ხოლო თავი ხის ჩაფხუტით ჰქონიათ დაფარული.[9]

ბრძოლის დროს სპარსთა ქვეშევრდომი მაკრონები მოსინიკებთან იყვნენ გაერთიანებული და ერთ სამხედრო ერთეულს შეადგენდნენ. ჰეროდოტეს გადმოცემით მათ სარდლობდა სპარსელი ხორამსის შვილი არტანკე.[10]

ტომთა ასეთი გაერთიანების დროს სპარსეთის ხელისუფლები უდავოდ იცავდნენ რაღაც პრინციპს. სავარაუდებელია, გეოგრაფიული განლაგების პრინციპის გვერდით აქ ეთნიკური ნათესაობის პრინციპიც უნდა ყოფილიყო დაცული.

მაკრონებს იხსენიებს ქსენოფონტეც. მისი ცნობით: მაკრონები სკვითინებს მეზობლობდნენ. ამ დროს მათ, მეზობელ სხვა ქართველურ ტომებთან ერთად, უკვე თავი დაუღწევიათ სპარსეთის უღლისაგან და პატარ-პატარა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები შეუქმნიათ.

არიანე მაკრონებს ჰენიოხებთან ერთიანობაში მიუთითებს, მათ ერთი სამეფო აქვთ. მის წინამორბედ პლინიუსს კი ჰენიოხები სანებთან ერთობლიობაში ჰყავს დასახელებული.

მაკრონებს გარდა მეგრელებს უკავშირდებიან აგრეთვე „მანრალები“-ც.[11]

**მანრალები** ეს ეთნონიმი („მანრალოი“) მხოლოდ კლავდი პტოლომეს „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ გვხვდება.[1]

აკად ს. ჯანაშია ეთნონიმ „მანრალ“-ში მეგრელთა სატომო სახელის ადგილობრივ ფორმას („მარგალ“-ი) ხედავდა.[2]

ეს მოსაზრება უმართებულო არ ჩანს. მანრალ-მარგალის გაიგივებას ხელს ვერ შეუშლის ნრ ჯგუფის არსებობა „მანრალ“-ში. ეს ჯგუფი, ს. ჯანაშიას ვარაუდით, მიღებული უნდა იყოს ანნრ ჯგუფისაგან, ან პალეოგრაფიულად, ანდა ამ კომპლექსის ბერძნული წაკითხვის საფუძველზე.[3]

იმავე პტოლომესთან გვხვდება ტოპონიმი „ეკრი (კ) ტიკე“. პროფ. ს. კაკაბაძის აზრით ეს ტერმინი მეგრული გამოთქმის „ეგრიდიხა“-ს უნდა გულისხმობდეს (ეგრი-დიხა || ეგრისის მიწა, ეგრისის ქვეყანა).[4]

შეიძლება იყოს, თუ არა, ეკრი(კ)ტიკე, ეგრი-დიხას დამახინჯება, ძნელი სათქმელია, მაგრამ ის ფაქტი, რომ ეკრი (კ)ტიკე. ეგრისს გულისხმობს, ეს უეჭველია. ამ ტოპონიმის პირველი ნაწილი „ეკრი“ ქართულ „ეგრი“-ს ბერძნული შესატყვისია. ქართული გ-ს შენაცვლება ბერძნულში კ-თი, სავსებით შესაძლებელი გარემოებაა. ამაზე უკვე ითქვა. ზემოთ და აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას.

პროფ. ს. კაკაბაძის სიტყვით „...პტოლომეოსის ამ ცნობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ცხად ჰყოფს ეგრისის, როგორც გეოგრაფიული ტერმინის ამ დროს საკმაოდ მტკიცედ არსებობას“.[5]

ამას არათუ მხოლოდ ეს, არამედ ეთნონიმი „მანრალ“-იც ადასტურებს, „მანრალი“ „მარგალ“-ის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს. მარგალი და მეგრელი — კი გეოგრაფიული ტერმინისაგან (ეგრი) არის ნაწარმოები და დასტურდება ამ ტერმინის მორფოლოგიური ნიშნეულობის მიხედვით.

ზოგიერთი ავტორი მეგრელებთან აკავშირებს მარებსაც. ასე მაგალითად, ეთნონიმი „მარგალი“ პროფ. ს. კაკაბაძეს „მარი“-დან მომდინარე სახელწოდებად მიაჩნია.[6] „მარი“-ის სახელით მოიხსენებს ჰეკატე მილეთელი მოსინიკების მეზობლად მოსახლე ერთ-ერთ ტომს. ამავე „მარ“-ებს ვხვდებით ჰეროდოტესთანაც.[7]

ქსერქსეს ლაშქარში (ჰეროდოტეს ცნობით) მარები კოლხებთან ერთად მიდიან თეასპის შვილის ფარანდატის მეთაურობით. ს. კაკაბაძე ყურადღებას აქცევს ამ გარემოებას. მისი აზრით ეს ფაქტი მართა და კოლხთა სიახლოვეზე უნდა მიუთითებდეს არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ ეთნიკურ-კულტურული თავისებურებებითაც.[8]

ანტიკურ ავტორთა ცნობებით მარები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიფერიაზე მცხოვრები ტომია. ეს კარგად იცის პროფ. ს. კაკაბაძემაც. იგი წერს: „მარ-ები მე-6 საუკ. ქრ. წ. სამხრეთ (ე. ი. ტრაპიზონის) კოლხების მეზობლები და მათი ახლო მონათესავენი იყვნენ“ (იქვე). მაგრამ, მისი აზრით, მარტოოდენ ამ რაიონით არ შემოიფარგლებოდა მართა განსახლების არე. მარები ამ დროს ჩრდილოეთითაც, კერძოდ ლიხის მთის მიმართულებითაც არიან საგულვებელი (იქვე). ამას აფიქრებინებს ავტორს, სხვათა შორის, ტოპონიმი მარგვისი (მარგუ-ისი, არგვეთი). ამ გეოგრაფიულ სახელს ს. კაკაბაძე, ეთნონიმ „მარ“-იდან წარმოშობილ ტერმინად მიიჩნევს. ეს მომხდარა „...მრავლობითი რიცხვის მაჩვენებლის ქ-ს გადასვლით გ-ში (მარ-ქ||მარ-გ)“ (იქვე), ტოპონიმ მარგ-იდან კი წარმომდგარა მარგ-ალი, ხოლო ამ უკანასკნელიდან ქართული ეთნონიმი მეგრელი.[9]

პროფ. ს. კაკაბაძეს არგვეთში მართა მისვლის გზაც და თარიღიც აქვს მოცემული. ეს ტომი ზემო იმერეთში სამცხიდან მისულა. „მარ-ების ტომის ერთი შტო, ჩრდილოეთით მობინადრე, დაახლოვებით შემდეგდროინდელ სამცხის ტერიტორიაზე და მის ახლოს, გადასულა, შემდეგ მდ. ყვირილას აუზში და თანდათან მოსდებია იმ ტერიტორიას, რომელსაც ამიტომ დაერქვა მარგვისი ამ ტერმინის ფარნავაზის ც-ბის აღმწერელის გაგებით“.[10]

ს. კაკაბაძის ვარაუდით ეს ფაქტი უნდა მომხდარიყო I საუკუნის (ჩვენი ერით) ახლოს.[11]

მარგვეთით დიდხანს იფარგლებოდა ეს ტომი. შემდეგ ისინი თანდათან სულ უფრო და უფრო მიიწევენ დასავლეთისაკენ და იკავებენ მერმინდელი სამეგრელოს ტერიტორიას. ს. კაკაბაძის მტკიცებით ამას თან ერთვის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სწრაფი მეგრელიზაციის პროცესი და ბევრი არა ამ ენის ჯგუფის ტომი მეგრელდება, მათ შორის ლაზი.[12]

მეგრელები ერთ დროს არგვეთის ტერიტორიაზე რომ განივრცობოდნენ,

ეს აშკარაა (ამას მოწმობს კერძოდ ტოპონიმიკა), მაგრამ მერმინდელი სამეგრელო რომ ასე გვიან დაეკავებინათ მათ, არ ჩანს.

მართალია ძველად ინტენსიურად ხდებოდა ტომთა მოძრაობა-ადგილგადანაცვლება, მაგრამ ყოველი ასეთი მოვლენა დიდი სიფრთხილითა და საბუთიანობით უნდა იქნეს შესწავლილი. ჩვენის აზრით, მარებსა და მეგრელებს, გარდა სახელწოდებათა ერთგვარი დამსგავსებისა, საერთო არაფერი უნდა ჰქონდეთ. შეიძლება მარები კოლხური ტომები იყვნენ (ამ მიმართულებით ჩვენ კვლევა არ გვიწარმოებია), მაგრამ მეგრელებისა და მარების გაიგივება არ ჩანს მართებული.

**ს ა ნ ე ბ ი**· სტეფანე ბიზანტიელის „ეთნიკა"-ში ვკითხულობთ: „მაკრონები, რომელთაც ეხლა სანები ეწოდებათ. სტრაბონი XII წიგნში, ჰეკატე „აზიაში" და აპოლონი მეორე წიგნში".[1]

ამ ცნობაზე დაყრდნობით აკად. ს. ჯანაშია „სანების" პირველ მომხსენიებლად მიიჩნევდა ჰეკატე მილეთელს — VI საუკუნის (ჩვენს ერამდე) ცნობილ ბერძენ ლოგოგრაფოსს. მაგრამ ირკვევა, რომ სტეფანეს ცნობის ამგვარი გაგება მართებული არ არის.

სტეფანე ბიზანტიელის მიერ დასახელებულ ავტორებისაგან ამ ეთნონიმს მხოლოდ სტრაბონი იხსენიებს. ჰეკატეს „აზიასა" და აპოლონ როდოსელის მეორე წიგნში კი „სანი" არ გვხვდება. მაშ, რით აიხსნება ამ შემთხვევაში სტრაბონის გვერდით ამ ავტორთა დასახელება?

ეს გარემოება „...იმით უნდა აიხსნას, — როგორც მართებულად შენიშნავს მ. ინაძე, — რომ ამ ავტორებს მაკრონები ჰყავთ მოხსენებული, ხოლო სტეფანეს მიზანს კი ამ შემთხვევაში სწორედ სატომო სახელწოდების მაკრონის განმარტება წარმოადგენდა".[2]

ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ არც ერთ ანტიკურ მწერალს სტრაბონამდე ეს ეთნონიმი არ უხსენებია. ქსენოფონტეც კი, რომელიც ძვირფას ცნობებს გვაწვდის ქართველი ტომების შესახებ, არაფერს ამბობს „სანებ"-ზე. ამ გარემოებამ დააფიქრა ქსენოფონტეს „ანაბაზისის" მკვლევარი, ისტორიკოსი თ. მიქელაძე. მაგრამ იგი ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ჰეკატეა ამ ეთნონიმის პირველი მომხსენებელი, ამ ფაქტს ასეთ ახსნას აძლევდა: „ქსენოფონტის დროს „სანი" კარგავს თავის მნიშვნელობას და მის უფლებებში კვლავ მაკრონი შედის".[3]

ასეთი მოსაზრება არ დასტურდება. ქსენოფონტის დროს „მაკრონის" არავითარი ძველ უფლებებში აღდგენა არ მომხდარა. ასე იყო იგი ჰეკატესთან და ასევე დარჩა ქსენოფონტეს დროსაც.

როგორც ვხედავთ, სანს პირველად იხსენიებს სტრაბონი. იგი ამბობს: „ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები, ქალდები და სანები, რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს".[4]

პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით „სტრაბონის" „სანი" ეთნონიმ „ჭან"-ის მიმსგავსება უნდა იყოს.[5] ამავე აზრს იზიარებს მ. ინაძე.[6]

ანტიკურ წყაროებში ეს ეთნონიმი ხან „სანოი"-ს ფორმით გვხვდება, ხან კიდევ — „სანნოი"-ს. ბერძნულში მის თავკიდურს ჩვეულებრივ სიგმა წარმოად-

გეხს, ლათინურში — კი .S; გარდა ამისა ზოგიერთ ავტორთან ეს ტერმინი მოცემულია განსხვავებული სახითაც: „ტძანოი“ ან „ტძანნოი“.

გეოგრაფიული კომპლექსი „ტძ“ უცხოა ბერძნულისათვის. ასეთი კომპლექსით ბერძნები ჩვეულებრივ გადმოსცემდნენ ხოლმე აღმოსავლური სახელწოდების ჭ-ს, ჩ-ს, ც-ს, ჯ-ს და სხვა ფონემებს.[7]

სანებზე საინტერესო ცნობას იძლევა ევსტათი თესალონიკელი. იგი გადმოგვცემს: „მაკრონები, პონტოელი ხალხი, — ვეხირების სამხრეთით. მათ ჩვენ ეხლა ვუწოდებთ სანნებს ანუ, უფრო მდაბიურად ჭანებს... სანნების ქვეყანასაც ჭანიკეს ეძახიან ისინი, ვინც მდაბიურ ფორმას ხმარობს“.[8]

ს. ჯანაშიას აზრით „ჭანიკე“ უდრის ძველ „სანიკეს“, რომელსაც მეხუთე საუკუნის ანონიმი ავტორი, ტიბარენიასა და კოლხეთს შუა ათავსებს.[9]

ჭანები მრავალტომიანობით ხასიათდებოდნენ. ასე მაგ., პროკოპი კესარიელი ორ ასეთ ტომს თუ თემს ასახელებს: ოკენიტისა და კოქსილანის ჭანები. ს. ჯანაშიას მართებული შენიშვნით, უეჭველია, იყვნენ სხვებიც. ჭანთა მრავალტომიანობას, უფრო სწორად თემიანობას, კარგად ადასტურებს ჭანურის მრავალდიალექტიანობა.[10]

სახელწოდება ჭანი მოგვიანებით დაფარა და გამოდევნა ლაზმა, მაგრამ იგი სრულ გაქრობას მაინც გადაურჩა და ბოლომდე შემოინახა თავი. ქართულმა მწერლობამ და მეტყველებამ ეს ტერმინი დღემდე დაიცვა. მთლად დავიწყებული იგი არც თანამედროვე ჭანებშია (ლაზები). ასე უწოდებენ თავის თავს, მაგალითად, ვონას (კერასუნტს დასავლეთით) რაიონის ჭანები.[11]

**ლ ა ზ ე ბ ი** ამ სატომო სახელს პირველად მემნონ ჰერაკლიდელთან (I-II ს.ს. მიჯნ.) ვხვდებით. ლაზთა განსახლების შესახებ ცნობები დაუცავთ პლინიუსს, არიანეს, პტოლომეს და ზოგიერთ სხვა ანტიკურ მწერალს. ეს ცნობები იმავე განსხვავებულობა-წინააღმდეგობრიობით ხასიათდება, როგორც საერთოდ ძველ მწერალთა ცნობები. ასე მაგ., მემნონის მიხედვით თუ ლაზები კოლხეთის შიდა ოლქებში, სანიგების გვერდით მოსახლეობენ[1], პლინიუსი მათ შავი ზღვის აფსარის სანაპიროზე მცხოვრებ ტომთა („ჰენიოხები, ამპრევიტები, ლაზები“) რიგში ასახელებს.[2] ამავე ავტორის ცნობით ლაზები ჩრდილოეთით ეკვროდნენ კოლხებს. უკანასკნელნი კი ფასიდის სამხრეთით ცხოვრობდნენ.

არიანეს მიხედვით, ლაზებს ეჭირათ ზიდრიტების ჩრდილოეთით მდებარე მიწა-წყალი. მათ ჩრდილოეთით კი აპსილები (აბშილები), აბაზგები და სანიგები მოსახლეობდნენ.[3]

პტოლომეს ცნობით ლაზებს ეჭირათ კოლხეთის ზღვისპირა ზოლი.[4]

გეოგრაფიული სახელი „ლაზია“ პირველად ეპიფანე კვიპრელთანაა (314-403 წ.წ.) დაცული. ეს ტერმინი იშვიათად გვხვდება, ლაზთა ქვეყნის აღსანიშნავად წყაროებში გაბატონებული ფორმაა — „ლაზიკე“.

თანდათან „ლაზი“ და „ლაზიკე“ ახალი შინაარსით ივსება და მკვიდრდება. „...მეხუთე საუკუნეში, — წერს ს. ჯანაშია, — მაინც საბოლოოდ დამკვიდრდა „ლაზის“ ახალი მნიშვნელობა ტერმინ „ლაზიკესთან“ ერთად: „ლაზი“ უდრის თანამედროვე „მეგრელს“, ლაზიკა კიდევ აღნიშნავს საკმაოდ დიდ სამეფოს...

ამ გარემოებამ განსაზღვრა, ძირითადად, მოცემული ტერმინების (სანი, ზანი — ი. ხ.) სემანტიკური ფუნქციის ახალი ფარგლები. ამის შემდეგ სანიცა და ზანიც, სამეგრელოს ტერიტორიის მიმართ, უკვე სავსებით ან მეტწილად, ქრება: პირველი (სანი — ი. ხ.) ...ჩაყლაპა ლაზმა, მეორე (ზანი — ი. ხ.) მეგრელმა-მარგალმა".[5]

ს. ჯანაშია „ლაზს" თანამედროვე „მეგრელთან" აიგივებს. ჩვენი აზრით ასეთი გაიგივება სწორი არ უნდა იყოს. არც „ზან"-ი ჩაუყლაპავს მეგრელს, როგორც ამას განსვენებული მკვლევარი ფიქრობდა, ზანი შესცვალა ლაზმა.

მართალია სვანები დღეს „ზან"-ებს მეგრელებს უწოდებენ, მაგრამ ეს არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს „ზან"-ი მეგრელს ჩაეყლაპოს. ეს გარემოება მიუთითებს არა ზან-მეგრელთა იგივეობაზე, არამედ იმის გადმონაშთია, როცა ზანების (ლაზების) მეთაურობით დას. საქართველოში ძლიერი სახელმწიფო არსებობდა. ამ სახელმწიფოს მოქალაქეები იყვნენ თანამედროვე მეგრელთა წინაპრები.

შემდეგ კი, როცა ლაზიკის სამეფო დაიშალა და იგი „აფხაზეთის სამეფოშ" შეიერთა (IX ს.), ეთნიკური ტერმინი „ლაზი" თანდათან ქრება და ჭანებზე გადადის.[6]

**ლაზთა წარმომავლობისათვის**

ზოგიერთი ძველი ავტორი ლაზებს სემიტურ ტომად თვლის. ასეთია, მაგალითად, ეპიფანე კვიპრელი, რომლის ერთა ფილიარქიაში ლაზები სემის ჩამომავალთა შორის იხსენიება.[7]

რაზე ემყარებოდა ლაზთა სემიტურობის ვერსია, არ ჩანს. ასევე ითქმის ლაზთა სკვითური წარმომავლობის შესახებ, რომელიც სტეფანე ბიზანტიელთან გვხვდება.[8] ლაზებს არაფერი აქვთ საერთო არც სემიტებთან და არც სკვითებთან.

ლაზები ერთ-ერთი დიდი და ცნობილი დასავლურ-ქართული ტომია. ეს საკითხი მეცნიერებაში კარგა ხანია აღიარებულია და დავას არ იწვევს.

აქ ისმება მხოლოდ კითხვა: დასავლურ ქართულ ტომთა რომელ ჯგუფს მიეკუთვნიან ლაზები, მეგრულ-ჭანურს, თუ სვანურს? პროფ. ს. კაკაბაძის აზრით, ლაზები თავდაპირველად სვანური ჯგუფის ტომი იყო, შემდეგ კი მოხდა მათი გამეგრელება.[9] ავტორის ამგვარი მტკიცების ერთადერთი არგუმენტია სვანური პრეფიქსი — ლა, რომელიც ამ ტერმინში გამოიყოფა.

ეს მოსაზრება სწორი არ არის. თავსართი ლა ამ ტერმინში მის სვანურობას კი არა, არამედ უფრო არასვანურობას ადასტურებს, ტერმინი ლაზი, როგორც ეს პროფ. ს. კაკაბაძესაც კარგად მოეხსენება, ზანთა ტომის სამკვიდრებელის სვანური გაფორმების შემოკლებული ფორმაა. მაშასადამე, ლაზები ჭანურ-მეგრული ჯგუფის ტომია და არა სვანური. ამას ავტორიც გრძნობს და ამიტომ დასძენს: სვანური იყო თავდაპირველად, „გამეგრელება" უფრო გვიან მოხდაო. არაფერი ამის მსგავსი სინამდვილეში არ მომხდარა. ლაზი თავიდანვე იყო და ბოლომდე დარჩა დასავლურ ქართულ ტომთა ზანური ჯგუფის ტომად.

ამას ადასტურებს სატომო სახელი „ლა-ზ“-იც, რომელშიც გამოყოფილი ძირეული მასალა – „ზ“, სწორედ ეთნიკურ სახელ „ზ-ან“-ის ნაშთია.

ტერმინი „ზან“ ახლაც ცოცხალია სვანეთში. მაგ., ფარელები, ეცრელები და ლახამულელები მეგრელს დღესაც „ზან“-ს უწოდებენ, ხოლო ქვემო ინგურის სვანები ამ ტერმინით გეოგრაფიულ სახელ „სამეგრელოსაც“ აღნიშნავენ. ასევეა ჩოლურშიც. „ზან“-ის პარალელურ ფორმად („მეგრელის“ აღსანიშნავად) ფარსა, ლახამულასა და ეცერში „მუ-ზნი“ (მეორადი წარმოების ტერმინი) გვხვდება, მისი ვარიანტული ფორმებია მუჟალ-მულახური „მე-ზან“, იფარული — „მე-ზნი“, ამავე ფუძიდან არის ნაწარმოები მეგრელისავე აღმნიშვნელი „ლუზნუ“.[10]

ფუძე „ზან“-ი ჩრდილო კავკასიაშიც გვხვდება. ა. დირრის ცნობით ყაბარდოელები „სამეგრელოს“ აღნიშნავენ ტერმინით „ზანე“.[11]

ს. ჯანაშიას აზრით ეს ტერმინი ყაბარდოულში უეჭველად სვანური გზითაა შესული.[12]

დასკვნა: „ლაზი“ არის „ზანის“ სახეშეცვლილი ფორმა. ლაზები ეს იგივე ზანები არიან.

**ტერმინ „ლაზ“-ის ეტიმოლოგიისათვის**

სატომო სახელი „ლაზ“-ი დიდი ხანია იპყრობს ყურადღებას. ამ სახელწოდების ახსნას ჯერ კიდევ თურქი მოგზაური ევლია ჩელები (XVII ს.) ცდილობდა. მისი მტკიცებით „ლაზიკი“ („ლაზიკელი“) სიტყვის წარმოთქმის გასაადვილებლად „ლაზიკ“-ში ბოლოკიდურ ბგერებს „ქაფსა“ და „ჲაჲ“-ს არ წარმოთქვამს და ასე წარმოსდგაო „ლაზ“-ი.[13]

მართალია ევლიას ეტიმოლოგია გულუბრყვილო და უსუსურია, მაგრამ „ლაზ“-ის შესწავლის ისტორიისათვის გარკვეულ ინტერესს იწვევს და ამიტომაც მოვიტანეთ აქ.

ამ ტერმინის მეცნიერული ახსნის პირველი ცდა ნ. მარს ეკუთვნის. ნ. მარს ამ საკითხზე ორი განსხვავებული აზრი აქვს გამოთქმული. პირველის მიხედვით (გამოთქვა 1905 წ.) „ლაზ“-ი ეს „ზან“-ების ქვეყნის ელინიზებული ფორმაა და მომდინარეობს „ლაზ-ზან“-იდან, უკანასკნელი „ზან“-თა სამკვიდრებელის სვანური სახელია.[14]

ამ ეტიმოლოგიას ავტორი კარგა ხანს იცავდა,[15] მაგრამ ბოლოს უარყო და წამოაყენა ახალი მოსაზრება, — „ლაზ“-ი „ლაზ-გ“-ის (ლეკი) და „პელას-გ“-ის ფუძის ერთი თავისებური სახეა.[16]

პირველი ვერსიის უმართებულობას ნ. მარი გეოგრაფიული ტერმინის სატომო სახელად გადაქცევის შეუძლებლობაში ხედავდა. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სიტყვით აქ „მთავარი დაბრკოლება ის კი არ არის, რომელსაც თავის დროზე მარი აღიარებდა... მოცემული ახსნის საწინააღმდეგოდ, უწინარეს ყოვლისა, ისტორიული უკუთქმები ჩნდება: ასახსნელია (თუ აუხსნელი) როგორ მოხდა, რომ ზღვისპირა ტომის, სან-ზანების, სახელწოდებისათვის ბერძენ-რომაელთა მწერლობამ, ამ დროს (I-II ს.ს. ახ. წ.) უკვე ზანების მიღმა, მთებში მცხოვრები, სვანების ტერმინი შეითვისა, და არა

თვით სან-ზანების საკუთარი სახელწოდება? კიდევ უფრო მიუღებელია, ისტორიულად, მოქალაქეობრივ სარბიელზე ეთნიკურ ტერმინზე ადრე ტერიტორიულის გამოყვანა: როცა ტერმინი ლაზი პირველად ჩნდება მწერლობაში, მაშინ ეს ტომი ისეთს საზოგადოებრივ ფორმაციაში იმყოფება, რომ მისი ტერიტორიის აღსანიშნავად ეთნიკურის (მორფოლოგიურადაც!) ტერმინის ხმარებაა მოსალოდნელი, და არა ტერიტორიულ-გეოგრაფიულისა. განა დამახასიათებელი და ანგარიშგასაწევი გარემოება არ არის, რომელიც აღნიშნული აქვს თვით აკად. მარს, რომ ფორმა „ლა-ზან" დღესაც უცნობია სვანებისათვის და რომ სამეგრელოს ისინი მარტივად „ზან"-ს ეძახიან? ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის, არამედ უძველესი ხანის გადმონაშთია, როცა მოცემული სტრუქტურის ტერმინს კრებითი სატომო სახელის მნიშვნელობა ჰქონდა და იმავე დროს ტომის გავრცელების არესაც აღნიშნავდა".[17]

აკად. ს. ჯანაშია მართებულად მიუთითებს გეოგრაფიული ტერმინის ეთნიკურად გადაქცევის შესაძლებლობაზე. ეს მართლაც არ შეიძლება ჩაითვალოს ამ მოსაზრების უარმყოფელ საბუთად, როგორც ეს ნ. მარს მიაჩნდა. ამგვარი ტრანსფორმაცია სავსებით შესაძლებელია ასევე აქციეს გეოგრაფიული სახელები „სვანეთი", „ჯიქეთი" და სხვა, მაგალითად, რუსებმა ეთნიკურ სახელებად XIX საუკუნეში.[18]

არც ის გარემოება გამოდგება ამ მოსაზრების უკუსაგდებად, რომ ფორმა „ლა-ზან"-ი აღარ გვხვდება თანამედროვე სვანურში. ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ ასე უნდა ყოფილიყო ეს ძველიდანვე. სვანური უმწერლობო ენაა, რის გამოც ჩვენ არ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ამ ენის ცვლილებებს, მაგრამ ქართულის ანალოგიით, ამისთანა სხვა მრავალის არსებობა ძველ სვანურში, უდავოდ, საგულისხმოა.

თანამედროვე სვანური „ზან", „სამეგრელოს" აღსანიშნავად არ შეიძლება ჩაითვალოს უძველესი ხანის გადმონაშთად. ჩანს, სამეგრელოსა და ამ კუთხის მკვიდრის აღსანიშნავად სვანეთში ქართული ტერმინის „მეგრელის" შესვლა-დამკვიდრებამ თანდათან დაუკარგა პირვანდელი მნიშვნელობა ტერმინ „ზან"-ს, რომელსაც სვანები ახლა გეოგრაფიულ სახელადაც ხმარობენ და ეთნიკურადაც, მაგრამ ასე კი არ უნდა ყოფილიყო წინათაც. ჩვენთვის საინტერესო ხანაში ეთნიკურის აღსანიშნავად სვანებს უეჭველად უნდა ჰქონოდათ „ზან", ხოლო გეოგრაფიულის — „ლა-ზან".

ს. ჯანაშიას მტკიცებით, როცა ლაზი პირველად ჩნდება მწერლობაში, ლაზები ამ დროს განვითარების ისეთ საფეხურზე იდგნენ, რომ მათი ტერიტორიის აღსანიშნავად თითქოს არაა მოსალოდნელი გეოგრაფიული ტერმინის არსებობა, ამას მაშინ ეთნიკური სახელი ასრულებდა, მაგრამ ეს ამ მოსაზრებას ვერ დაარღვევს.

აკად. ს. ჯანაშიას აუხსნელად ეჩვენება ის გარემოება, რომ ეს ტერმინი ბერძენ-რომაელებმა შეითვისეს სვანებისაგან და არა საკუთრივ ზანებისაგან.

ამაში არაფერია შეუძლებელი. სვანები მართლაც ზანების მიღმა, და მთებში ცხოვრობდნენ, როგორც ამბობს ს. ჯანაშია, მაგრამ ბერძნები და რომაელები კარგად იცნობდნენ მათ. ასე რომ, ვერც ეს „მიღმა" და „მთებში" ცხოვრება გამოდგება „ლაზ" ტერმინის სვანურიდან მომდინარეობის უარსაყოფად.

ტერმინ „ლაზ"-ის ამ მარისეულ ეტიმოლოგიაზე ხშირად მიუთითებენ სამეცნიერო ლიტერატურაში. ასე მაგ., აკად. არნ. ჩიქობავა, როდესაც თავის „ჭანურის გრამატიკულ ანალიზ"-ში „ზან" ტერმინის ისტორიულ რაობას არკვევს, დაასკვნის: „ამრიგად, „ზან" ტერმინი ისტორიულად „მეგრელსაც" უკავშირდება და „ჭანსაც". აკად. ნ. მარს თავის დროზე შესაძლებლად მიაჩნდა ტერმინი „ლაზ"-ი დაეყვანა „ზან" ძირამდის: ლაზი — ლა-ზენ-ი (გვ. 4).

არნ. ჩიქობავა თავის დამოკიდებულებას არ გამოხატავს ამ მოსაზრებისადმი, მაგრამ აშკარაა, რომ მას შესაძლებელ ჰიპოთეზად მაინც მიიჩნევს. ასევე იქცევა პროფ. ს. ჯიქიაც, რომელიც თავისი დამოკიდებულების გამოხატვის გარეშე უკეთებს ციტირებას ნ. მარის აღნიშნულ მოსაზრებას წერილში „ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ" (გვ. 247, შენიშვნა 4).

„ლაზ" ტერმინის წარმოშობის საკითხს შეეხო პროფ. ს. კაკაბაძეც ნაშრომში „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები". ავტორი წერს. „სახელი ლაზი წარმოებულია სვანურის შესატყვისი კილოს მიხედვით და შემოკლებულია სიტყვისაგან ლაზ-ენ. სვანური ლა = ქართულ სა, ასე რომ ლაზ-ენ არის ქვეყნის მაჩვენებელი სახელი, რომელიც ნიშნავს ზენების, ანუ ზანების ქვეყანას (შეად. ქართული სა-ზანო, სოფლის სახელი ზემო იმერეთში)".[19]

ს. კაკაბაძე აქ არაფერს ამბობს იმაზე, თუ ვის დაესესხა ამ შემთხვევაში, მაგრამ აშკარაა, რომ მარიდან ამოდის. კერძოდ „ლაზ" ტერმინის მარისეული ეტიმოლოგიის პირველ ვერსიას იზიარებს.

რაც შეეხება ნ. მარის მეორე მოსაზრებას, იგი არც გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში და არც ჩანს საერთოდ სარწმუნო.[20] ასევე ითქმის „ლაზ"-ის ურარტული წყაროების „ლუშა"-სთან დაკავშირების შესახებ, როგორც ამას პ. უშაკოვი ფიქრობდა.

ანონიმი ბერძენი გეოგრაფის ცნობაზე („დიოსკურიიდან... აპსარამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც კოლხები ერქვა, შემდეგ ლაზებად გადაკეთდა მათი სახელი") დაყრდნობით ურარტოლოგი პ. უშაკოვი წერდა: „ეს მითითება... ხომ არ უნდა გავიგოთ ამგვარად, რომ ლაზებს ლუშას ტომთან რაღაც კავშირი აქვთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, უფრო საერთო სახელწოდება შეიცვალა — ერთ-ერთ კოლხურ ტომთა ცნობილ ძველი სახელწოდებით".[21]

ეს მოსაზრება დაუსაბუთებელია. „რაღაც კავშირზე" აგებული ჰიპოთეზა ლაზის ლუშადან მომდინარეობის შესახებ მართებული არ ჩანს. არავითარი საამისოდ აუცილებელი მოწმობა არ არსებობს. რაც შეეხება „კოლხის" „ლაზით" შეცვლას, რომელზეც ანონიმი მიუთითებს, ეს ფაქტი ლაზთა პოლიტიკური დაწინაურების ნაყოფია. ლაზი აქ კოლხისებრ კრებითი სახელია.

# ჩერქეზულ-ადიღურ ტომთა ბინადრობის საკითხისათვის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული. მრავალი ქართველური ტომის გვერდით უძველეს დროიდანვე სავარაუდებელია კავკასიური ტომების ბინადრობა.

ამ ტომების არსებობა სამხრეთ-ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ ძველაღმოსავლური ხანიდან არის საგულისხმებელი (ასე მაგ.. ხეთური წყაროების აბეშლა. როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, უკავშირდება აბშილს). ასევე ითქმის დას. საქართველოს შესახებაც. ანტიკური წყაროების ტოპონიმიკა და ონომასტიკონი ადასტურებს აქ უძველეს დროში ჩერქეზულ-ადიღური მოსახლეობის ბინადრობას.

ამ ტომთა აქ მოხვედრის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს. ივ. ჯავახიშვილის აზრით ჩერქეზულ-ადიღური ტომები სამხრეთიდან მოვიდნენ.[1] გ. მელიქიშვილი ორ შესაძლებლობას უშვებს: 1. ჩერქეზულ-ადიღური ტომები კავკასიისა და მის სამხრეთით მდებარე რაიონებში ჩრდილოეთიდან გადმოსახლდნენ. 2. ჩრდილო-კავკასიური ელემენტი აღნიშნულ მხარეთა ტოპონიმიკაში იმაზე მიუთითებს, რომ აქ მოსახლე ტომები ენობრივად ახლოს იდგნენ ჩერქეზულ-ადიღურ სამყაროსთან.[2]

ჩვენის აზრით, უფრო მეტი პერსპექტივისა ჩანს ჩრდილოეთიდან გადმოსახლების აზრი. ამ პროცესის არსებობას უკვე ძველაღმოსავლური ხანიდან უემველს ხდიან წყაროები.[3]

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს დასავლეთ საქართველოში მოსახლე ჩრდილო-კავკასიურ ტომთა საკითხი. გარდა ტოპონიმიკისა ასეთ ტომთა არსებობას ამ ტერიტორიაზე ადასტურებენ ანტიკური წყაროები. ასე, მაგალითად, ბერძნულ-რომაულ წყაროებში დასავლეთ საქართველოში მოსახლე მრავალ ტომთა შორის იხსენიება კერკეტები. ამ ეთნონიმს მკვლევარები არცთუ უსაფუძვლოდ აიგივებენ თანამედროვე ჩერქეზებთან. ასევე კავკასიური ჩამომავლობის ტომები უნდა ყოფილიყვნენ ზიდრიტები, რომლებიც ზოგიერთ მკვლევარს ჯიქების მონათესავე ტომად მიაჩნია. ამავე ზიდრიტებს უკავშირდებიან ბიზერებიც. ამით, რა თქმა უნდა, არ უნდა ამოიწურებოდეს უძველეს დროში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ჩრდილო-კავკასიურ ტომთა რიცხვი, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ესენი ვიკმაროთ.

დავიწყოთ კერკეტ-ჩერქეზებით.

**კერკეტები** დას. საქართველოს ტერიტორიაზე დიდი ტრადიცია აქვს კერკეტების ტომს. ამ სატომო სახელს პირველად ჰელანიკე მიტილენელი (VI ს. ძვ. წ.) იხსენიებს.

ჰელანიკე კერკეტებს ასახელებს ჰენიოხების, კოროხების და ქარიმანტების რიგში. ჰალეფატე აბიდოსელი (ძვ. წ. IV ს.) კერკეტებს მოსხების მეზობლად მიუთითებს.

კერკეტებს იცნობენ მითრიდატეს ისტორიკოსებიც. კერკეტებზე საინტერესო ცნობაა დაცული სტრაბონის გეოგრაფიაში.

არტემიდორე ეფესელის (ძვ. წ. II ს.) ცნობით, რომელიც სტრაბონს დაუცავს. „ბატადან კერკეტების სანაპირომდე... დაახლოებით 850 სტადიონია, შემდეგ აქეელთა (სანაპირო) 500 (სტადიონი), მერე ჰენიოხთა (სანაპირო) — 1.000 (სტადიონი), ხოლო დიდი პიტიუნტისა — დიოსკურიამდე 360“.[4]

ამ ცნობის მიხედვით კერკეტები კრასნოდარის მხარესა და აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოსახლე ტომად წარმოგვიდგება. მაგრამ ეს ცნობა ზუსტი არ უნდა იყოს; ამ გარემოებას სტრაბონიც ამჩნევდა. ამიტომ არის, რომ სტრაბონი არტემიდორეს მონაცემებს მითრიდატეს ისტორიკოსების ცნობებს უპირისპირებს და უფრო დამაჯერებლადაც უკანასკნელი მიაჩნია. მითრიდატეს ცხოვრების აღმწერთა მიხედვით კი „ჯერ არიან აქეელები, შემდეგ ზიგები, მერე ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები, შემდეგ ამათ ზემოთ ფთეჲროფაგები, სვანები და სხვა პატარა ტომები კავკასიონთან“.[5]

ეს მართლაც რიგიანი ცნობა ჩანს. სხვა ადგილას სტრაბონი ამბობს: „ბოსფორის ზღვასთან... არის სინდიკე. ამის შემდეგ (არიან) აქეელები, ზიგები, ჰენიოხები, კერკეტები და მაკროპოგონებიც. ამათ ზემოთ მდებარეობს ფთეჲროფაგების ვიწრობები“.[6]

როგორც ვხედავთ სტრაბონის ერთ ცნობაში კერკეტები ჰენიოხებს, მოსხებს და კოლხებს შორის იხსენიება, ხოლო მეორეში ჰენიოხების შემდეგ, კერკეტებთან არიან მაკროპოგონებიც.

კერკეტებს და სხვა ჩამოთვლილ ტომებს ძირითადად უჭირავთ კოლხეთის შავის ზღვის სანაპირო ზოლი. ამას ადასტურებს კლავდი პტოლომეს ცნობა, რომელშიც კერკეტები პონტოს ზღვის გასწვრივ მოსახლე ტომთა შორის იხსენიება.[7]

სტრაბონის ჰენიოხების ადგილსამყოფელად ძირითადად თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია უნდა ვიგულისხმოთ. ამათ შემდეგ სამეგრელო-გურიის მიწა-წყალზე უკვე სავარაუდებელია კერკეტები. ამათ სამხრეთით კი მოსხები[8] და კოლხები.

ვინ არიან კერკეტები?

როგორც ზემოთ ითქვა, კერკეტებს ჩერქეზებთან აიგივებენ.[9]

კერკეტი ქართული წყაროების ჩერქეზს თითქოს ენობრივადაც უახლოვდება. ხოლო ის გარემოება, რომ ანტიკური წყაროების მიხედვით მათ საცხოვრისად გურია-სამეგრელოს მიწა-წყალი ივარაუდება, ასეთ გაიგივებას კიდევ უფრო ამაგრებს. ამასვე ეხმაურება ტოპონიმიკური (და ონომასტიკური) მასალები. გურიაში, მაგალითად, შემონახულია მრავალი ადგილის სახელწოდება (აგრეთვე გვარსახელები), რომელიც ჩერქეზულ-ადიღური ენობრივი სამყაროს კუთვნილება ჩანს.

ასეთია ის სახელწოდებანი, რომელშიც ფსე, ყვა და ფა ელემენტები გამოიყოფა. ამ ელემენტთა ენობრივი მიკუთვნილობის საკითხზე მეცნიერებაში დიდხანს აზრთა ერთიანობა არსებობდა. აკად. ნ. მარიდან დაწყებული ყველა გამოჩენილი მეცნიერი (აკად. ივ. ჯავახიშვილი, აკად. ს. ჯანაშია და სხვა) ამ ელემენტების ჩრდილო-კავკასიური წარმოშობის აზრს ადგა.

აი რას წერდა, მაგალითად, აკად. ივ. ჯავახიშვილი: „... საქართველოსა და

ამიერკავკასიის ოდინდელი მოსახლეობის ტომობრივი მიკუთვნილობის გამოსარკვევად... საყურადღებო ის გეოგრაფიული სახელებია, რომელთა მეორე ნაწილსაც 'ფსე და ფშ' შეადგენს". სახელოვან ისტორიკოსს მოაქვს სათანადო მაგალითები აფხაზეთის ტოპონიმიკიდან და დასძენს: „ყველა ზემომოყვანილი სახელები იმ თვალსაზრისითა და იმიტომ არის საყურადღებო, რომ ამ ფს-სა და ფშ-ს მდინარის სახელში აბხაზურად ვერავითარი განმარტება ვერ მოეძებნება. სამაგიეროდ-კი ფსე ჩერქეზულად წყალს ნიშნავს, ფსუხუო — კი მდინარეს. **ცხადია, რომ ეს გარემოება ამჟღავნებს ზემოჩამოთვლილი აფხაზეთის წყლების ფს-ბოლოკიდურიან სახელების სახელმდებელთა ტომობრივს ვინაობას; ასეთი სახელების დარქმევა ჩერქეზებს შეეძლოთ.**. ამავე მასალის ანალიზით აბხაზეთსა და სამეგრელოზე უფრო სამხრეთით მდებარე მიწა-წყლის ძველის-ძველი მოსახლეობის ტომობრივი ვინაობის გაგებაც ხერხდება. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ გურიის ერთ მდინარეთაგანსაც სუფსა ეწოდება. ამ სახელის ფსა ბოლოკიდური მკაფიოდ მეტყველებს და მის სადაურობასაც ამჟღავნებს. ამასთანავე საყურადღებოა, რომ ამ მდინარის მარტო ბოლოკიდური წყლის აღმნიშვნელი ფსა-კი არ ამჟღავნებს მის ადიღეურობას, არამედ თვით ამ სახელის პირველი სუფ ნაწილიც".[10]

გამოიყოფა თუ არა სუფსა-ში სუფ-ი და მომდინარეობს თუ არა იგი ადიღურიდან, ეს შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ ფსა-ს ჩერქეზულობა აშკარაა. იგივე სიტყვა გამოიყოფა მდ. კოროხის ფართოდ გავრცელებულ სახელში — აფსარი.

აკად. ს. ჯანაშიამ სპეციალური ნარკვევი უძღვნა ჩერქეზული ელემენტის გამოვლენას საქართველოს ტოპონიმიკაში. ფსა-ს სადაურობის დაბეჯითებითმა შესწავლამ განსვენებული მეცნიერი ასეთ დასკვნამდე მიიყვანა: „ეს ნაწილაკი არის ჩერქეზული სიტყვა „ფსე", რომელიც ნიშნავს „წყალი", „მდინარე" და რომელიც აწარმოებს მრავალი მდინარის სახელს, ჩერქეზთა ყოფილს ან აწინდელს ტერიტორიაზე".[11]

ასეთივე აზრს იზიარებს პროფ. გ. მელიქიშვილიც. ამ ჩერქეზულ-ადიღურ სუფიქსს გ. მელიქიშვილი ადასტურებს ხეთურ წყაროებში. ფსა სუფიქსი გამოიყოფა, მაგალითად, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქი არიფსა-ს სახელში. „ამ ჩერქეზულ-ადიღეურ სუფიქსზე დაბოლოებული სახელები მდინარეებისა თუ მდინარეთა და ზღვის პირას მდებარე პუნქტებისა ბლომად გვხვდება, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის, ისე საქართველოს ტერიტორიაზეც (კერძოდ აფხაზეთში, გურიაში და სხვ.)".[12]

ფსე-ს ჩერქეზულობის აზრს იცავს პროფ. ქ. ლომთათიძე წერილში „აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ".[13]

ამ უკანასკნელ ხანებში ამ შეხედულების გადასინჯვა სცადა ცნობილმა მკვლევარმა პ. ინგოროყვამ თავის „გიორგი მერჩულეში". „მერჩულე"-ს ავტორი უარყოფს ფსეს-ს ჩერქეზულ წარმომავლობას. „... ის ფაქტი, რომ ამავე ძირის სიტყვა ჩვენ გვხვდება აგრეთვე ჩერქეზულშიაც,— წერს პ. ინგოროყვა,— აიხსნება იმით, რომ ჩერქეზული ერთგვარ ნათესაობაში იმყოფება ქართულ-

თან…, ან და, შესაძლოა იმითაც, რომ ეს სიტყვა ჩერქეზულში ნასესხებია ქართულიდან".[14]

სიტყვა ფას-ი||ფს-ი-ს ძირეულობას ქართულში, პ. ინგოროყვას მტკიცებით. ადასტურებს მისი მრავალი განშტოებანი. ასეთებია: ფშა — რომელიც წყაროს. წყალს ნიშნავს. ფშანი (დიდი ფშა, მრავალ-ფშა) — წყარო. მდინარე. ფშა-ტალა — თოვლნარევი წყალი. ფოსო — ფოსვი — „დარღობილი". წყლოვანი ადგილი და Urina-ს სახელი. უკანასკნელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ავტორი. იგი მიუთითებს აგრეთვე მეგრულ ფსია-ზე, რომელიც წყალდიდობას აღნიშნავს.[15]

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით ამ საბუთების განხილვას. ამაზე საკმაო მეცნიერული დამაჯერებლობით აღინიშნა სამეცნიერო ლიტერატურაში.[16]

პ. ინგოროყვას მოსაზრებას ფსე-ს ძირეულ ქართულობისა და ჩერქეზულში მისი ქართულიდან ნასესხობის შესახებ დღეს არავინ იზიარებს. უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა მისი მეორე ვარაუდი — ამ სიტყვის საერთობის შესახებ ქართულსა და ჩერქეზულში. ამ სიბრტყეზე განიხილავს საკითხს თ. მიქელაძე ნარკვევში „ფასიანების სადაურობისა და ადგილსამყოფელის გარკვევის საკითხისათვის", რომელიც 1955 წელს დაიბეჭდა,[17] თუმცა წინამორბედს არ მიუთითებს.

ფშა||ფსა ფუძიანი სახელების განხილვას თ. მიქელაძე იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ამგვარი სახელები „ძველთაგანვე ხმარებაში ყოფილა იბერიულ-კავკასიურ ენებში და მისი ოდნავ სახეშეცვლილი ფორმა ძირითადად იმავე შინაარსით დაუცავს ქართულს".[18] ავტორს მხედველობაში აქვს სიტყვა „სილა", რომელიც მეგრულში „ფსილა"-ს სახითაა დაცული. ამიტომ, მისი აზრით „ეს სიტყვა (იგულისხმება წყლის აღმნიშვნელი ფსე — ი. ხ.) არ შეიძლება ჩაითვალოს მარტოოდენ ჩრდილო-კავკასიური (ჩერქეზულ-ადიღეური) ენათა კუთვნილებად".[19]

ყველა ეს მონაცემები კარგად იყო ცნობილი აკად. ივ. ჯავახიშვილისათვის. რომელსაც ძალღონე არ დაუშურავს ამ საკითხის ღრმა-მეცნიერული გაშუქებისათვის.[20]

ფსე-ს სადაურობის დაბეჯითებითმა კვლევამ ივ. ჯავახიშვილს ფსე-ს ჩერქეზულობა აღიარებინა და მართებულადაც აფიქრებინა, რომ „როგორც ეტყობა. აფხაზურსაცა და ქართულსაც ეს სიტყვა ჩერქეზულითგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული"-ო.[21]

ამ საკითხს განსაკუთრებით გულმოდგინედ შეეხო აკად. გ. ახვლედიანი წერილში „აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის", რომელიც პ. ინგოროყვას „გიორგი მერჩულეს" გამო დაიბეჭდა 1957 წელს.[22]

საკითხის სერიოზულმა შესწავლამ აკად. გ. ახვლედიანი დაარწმუნა იმ დებულების უმართებულობაში, რომ თითქოს ფსე ძირეული ქართული სიტყვაა და აქედან არის შესული ადიღეურში. ამ დებულებას პატივცემული მეცნიერი დუმილით უვლის გვერდს, მაგრამ მას ამ სიტყვის არც ჩერქეზულიდან ნასესხობის აზრი მიაჩნია სწორად და ერთგვარი საშუალო ხაზის გამონახვას ცდილობს. ასე მივიდა მკვლევარი დასკვნამდე: ფს ძირის პირვანდელი სახე საერთოა ქართველურ ენებსა და ადიღეურში.[23]

მიუხედავად ბევრი საგულისხმო მოსაზრებისა, რომლებსაც ზემოხსენებული წერილი შეიცავს, ეს მოსაზრება მაინც ვერ არის სარწმუნო. და ეს, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ დაუსაბუთებელია საკითხი ფსე-ს ქართველობის შესახებ. ჩვენ მოგვეპოვება ფს/ფშ ძირიანი რამდენიმე სიტყვა, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ქართულია.

ავტორის აზრით „... პავლე ინგოროყვას ეტიმოლოგია რომ დადასტურდეს, ის დაარღვევს ჯავახიშვილ-ჯანაშიას თეორიას. ე. ი. ჩერქეზების იქ მყოფობა გამოირიცხება".[24] მაშასადამე, ფსე-ს ქართულობის დამტკიცებით თითქოს „საფუძველი გამოეცლება" დებულებას დას. საქართველოს ტერიტორიაზე ჩერქეზთა ოდინდელი ბინადრობის შესახებ. მაგრამ მთლად ასე როდია საქმე. მართალია ივ. ჯავახიშვილსა და ს. ჯანაშიასაც აქ ჩერქეზული მოსახლეობის არსებობის უმთავრეს საბუთად ეს სახელწოდებანი მიაჩნდათ, მაგრამ ანტიკური წყობილების გულდასმით შესწავლა აღნიშნულ ტერიტორიაზე რამდენიმე ჩრდილო-კავკასიური მოდგმის ტომს ავლენს, მაგალითად, კერკეტებს. კერკეტთა საცხოვრისის ლოკალიზება, როგორც უკვე ითქვა, დაახლოებით იმ ტერიტორიაზე მოდის, სადაც ამგვარი სახელწოდებანი გვხვდება. ეს გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტია და არცთუ ისე ადვილად შეიძლება მისი შერყევა. მაშასადამე, მთავარი ფსე-ს ჩერქეზულობა კი არ ყოფილა აქ ადიღეველ-ჩერქეზთა ოდინდელი მკვიდრობის დასამტკიცებლად, არამედ ანტიკურ ავტორთა სარწმუნო ცნობები, რომელთა უარყოფა შეუძლებელია.

პ. ინგოროყვა დას. საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ისტორიაში ჩახედული მკვლევარია და კარგად იცნობს ამ ტომებს, მაგრამ წინასწარაღებული აზრი აიძულებს მიჩქმალოს ფაქტები. „გიორგი მერჩულე"-ს მე-17 გვერდზე ავტორს მოაქვს ჰელანიკე მიტელენელის ცნობა, რომელიც დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ასახელებს ჰენიოხებს, კორახებს, კერკეტებს, მოსხებს და სხვა ტომებს. პ. ინგოროყვა არ უარყოფს სატომო სახელ კერკეტის ჩერქეზთან გაიგივებას, მაგრამ ჰელანიკეს კერკეტ-ჩერქეზებს „კავკასიონის ქედს იმიერ" მხარეში ათავსებს, მაშინ, როდესაც ანტიკური წყაროების ცნობით, როგორც ზემოთ დავინახეთ, ეს ტომები შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მოსახლე ტომთა შორის იხსენიებიან. ამის უარყოფა შეუძლებელია; მეცნიერი თავისუფლად ვერ მოეკიდება ფაქტებს და თავისი გემოვნებით ვერ გამართავს ისტორიას.

აკად. გ. ახვლედიანი საკამათოდ ხდის ყვა-ს ჩერქეზულობასაც.[25] ყვა-ს შემცველი ადგილთა სახელები განსაკუთრებით ხშირია ქვემო გურიაში. აჰყვა, ბობოყვათი, აჰყვისთავი და სხვ. ამ ნაწილაკებზეც იგივე ითქმის, რაც ფსა-ზე ითქვა.

ჩვენი აზრი ყვა-ს შესახებ სხვა ადგილას უკვე გამოვთქვით[26] და ამიტომ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ამავე რიგის ნაწილაკი ჩანს ფა-ც.[26] ჰანეთისა და გურიის ტოპონიმიკაში არცთუ ისე იშვიათად გვხვდება ამ ფორმანტით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები. ასეთებია, მაგალითად, ხოფა, ყურეფა (მდ. გურიაში) და სხვ.

აკად. ს. ჯანაშიას სიტყვით ჩერქეზულში „ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობაა „ცხვირი“, მეორადი — კი მრავალი, მათ შორის „ბოლო“,. შესართავი (მდინარისა)“.[27]

ახლა ზიდრიტებზე ვისაუბროთ.

**ზ ი დ რ ი ტ ე ბ ი** ამ სატომო სახელს პირველად ფლ. არიანე იხსენიებს. II საუკუნის ნახევარში ზიდრიტებს სამეფო ჰქონდათ. ზიდრიტების სამეფოს არიანე ასახელებს მაკრონ-ჰენიოხთა და ლაზთა სამეფოებს შორის და მიუთითებს, ზიდრიტები ფარსმანის ვასალები არიანო.[28]

ზიდრიტების მიწა-წყალი აკად. ს. ჯანაშიას სიტყვით „დაახლოებით ვიწეს ჩრდილოეთით იწყებოდა“. იგი „თავდებოდა სადღაც აჭარა-ქობულეთის საზღვართან“.[29]

ზიდრიტთა ადგილსამყოფელის ამგვარი ლოკალიზება მართებული ჩანს. ზიდრიტებს რომ მართლაც ეს ტერიტორია ეჭირათ. ამას ადასტურებს ანონიმი გეოგრაფიც, რომლის ცნობით, ამ ტომის გავრცელების არე არქაბე-აფსარით იფარგლებოდა.

ამასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა არიანეს ცნობა ზიდრიტთა ფარსმანისადმი დაქვემდებარებულობის შესახებ. არიანე თუმცა არ ასახელებს ვისი მეფეა ეს ფარსმანი, მაგრამ აშკარაა, რომ აქ იგულისხმება იბერიის სახელგანთქმული მეფე ფარსმან მეორე ქველი (ფარსმანის ვინაობის მიუთითებლობა იმპერატორისადმი წარსადგენ მოხსენებაში, ჩვენი აზრით, აიხსნება იმით. რომ იგი კარგად იყო ცნობილი რომის მმართველი წრეებისათვის), იბერთა მეფის ვასალური ზიდრიტთა სამეფო კი, უეჭველად, იბერიის სიახლოვეს არის საგულისხმებელი. იბერია ამ დროს ჰანეთის მთებამდე (სტრაბონის „მოსხური მთები“) ვრცელდებოდა.[31] ჩვენის აზრით, ეს მთები ჰყოფდა მას ვასალური ზიდრიტთა სამეფოსაგან, რომელსაც ჰანეთის მთების გადმოღმა მხარე ეჭირა ზღვამდე.

ხ. ბღაჟბას სიტყვით ზიდრიტები უახლოვდებიან ზიგებს, ანუ ზიხებს.[31] ეს დაკავშირება საგულისხმოა. ზიგები ან მისი ვარიანტული ზიხები (ზიკხები ან ზინხები) გენეტიკურად უკავშირდებიან ჯიქებს (აფხაზური აზა-ხუ).[32]

ჯიქები აფხაზურ-ჩერქეზული მოდგმის ტომია.

თუ ზიდრიტ-ზიგთა გენეტიკურ კავშირს ვაღიარებთ, მაშინ ზიდრიტები ჩრდილო-კავკასიურ ტომთა ოჯახს უნდა მივაკუთვნოთ. ეს მოსაზრება უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

ზიდრიტებს უკავშირდებიან აგრეთვე ბიზერები. ეს უკანასკნელი დიდი ტრადიციის სატომო სახელი ჩანს. თავდაპირველად იგი ჰეკატე მილეთელთან გვხვდება.[33] ჩვენი წელთაღრიცხვის I-II ს.ს. ამ ეთნიკურ სახელს ფარავს ზიდრიტი.

თუ ეს ტომები ნამდვილად ჩრდილო-კავკასიურ ოჯახს მიეკუთვნებოდნენ, მაშინ სათანადო კვალი ამ მხარის ადგილთა სახელებშიც არ შეიძლებოდა არ აღებეჭდათ. ამ მხრით ყურადღებას იპყრობს ხოფა და აფსარი. ამ უკანასკნელზე აღარ შევჩერდებით, რადგან იმ ფსე სიტყვის სადაურობაზე, რომელიც ამ სახელწოდებაში გამოიყოფა, ზემოთ საკმაოდ ვისაუბრეთ, რაც შეეხება პირველს,

აკად. ივ. ჯავახიშვილი მასში ყაბარდოულ სიტყვებს ხ-ს და ოპეს გამოყოფს. პირველი ყაბარდოულად ზღვას აღნიშნავს, ხოლო მეორე—ტუჩს, ბაგეს. „ამრიგად. — დაასკვნის ივ. ჯავახიშვილი, — ხ ო ფ ე თავდაპირველად ზ ღ ვ ი ს ბ ა გ ი ს. პ ი რ ი ს აღმნიშვნელ სიტყვად უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდეგში საკუთარ გეოგრაფიულ სახელად ქცეულა".[34]

ხოფის ამგვარი ეტიმოლოგია უსაფუძვლო არ ჩანს.

დ ა ს კ ვ ნ ა: ჩერქეზულ-ადიღური წრის ტომთა ბინადრობა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ეჭვს არ იწვევს. ასეთი ტომები ამ ადგილებში (აგრეთვე ამიერკავკასიის სხვა რაიონებშიც) სხვადასხვა დროს მოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ. ჩრდილო კავკასიელთა გადმოსახლების არა ერთ შემთხვევას ადასტურებენ წყაროები. მათი აქ ბინადრობის უტყუარი მოწმობაა ჩერქეზულ-ადიღური ელემენტი ტოპონიმიკაში. იგივე ფაქტი დადასტურებულია ანტიკური წყაროებითაც.

საქართველოს აღნიშნულ მხარეებში მოსახლე ჩერქეზ-ადიღეველნი შემდეგში თანდათან გაითქვიფნენ ადგილობრივ მოსახლეობაში და ამ გზით შევიდნენ ქართველი ხალხის შემადგენლობაში.

## გვიანდელი ხანის ტოპონიმები და მათი შემოქმედნი

გვიანდელ ხანაში, კერძოდ, ოსმალთა ბატონობის პერიოდში და აჭარის შემოერთების შემდეგაც აჭარაში არა ერთი ხალხის ჯგუფები მოსულან და უცხოვრიათ. ყველა მათგანს გარკვეული კვალი აღუბეჭდავს ტოპონიმიკაში. ასე მაგალითად, ტოპონიმები „ქურთლუღი", „ნაქურთვალი" და სხვა, რომელიც აქ გვხვდება, მიგვითითებს ქურთებზე. ქურთები აჭარაში მოდიან და მკვიდრდებიან თურქთა ბატონობის ხანაში. ტოპონიმი „ხემშილუღი" (ამ სახელით იწოდება ციტრუსების ბაღი და საძოვარი სოფ. სარფში) ხემშინებზე მიგვითითებს. ხემშინებს მაჰმადიან სომხებს უწოდებენ. ესენიც ოსმალთა მფლობელობის დროს მოვიდნენ აჭარაში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აჭარაში დასახლდნენ მუჰაჯირ აფხაზთა, ჩერქეზთა და უბიხთა მნიშვნელოვანი ჯგუფები. მათ მაინცადამაინც დიდი კვალი ვერ დააჩინეს ტოპონიმიკას, მაგრამ აქა-იქ მაინც გვხვდება ტოპონიმი, რომელიც ამათ მიერაა შერქმეული. ასეთია მაგალითად, აარცტი აბაარა (სათესი ქვედა ანგისაში), ნრცტი აბაარა (მინდორი ზედა ანგისაში) და სხვ.

აჭარის შემოერთების შემდეგ ამ მხარეში ემკვიდრებიან ანატოლიელი ბერძნები. ამათი ტოპონიმებია: „ნოხორ"-ი (ქვედა განახლებაში, ახალშენის სასოფლო საბჭო, ბათუმის რ-ნი), „ვტერლუხ", „ნეოხორ" (აჭყვა პირველში, ულიანოვკის სასოფლო საბჭო, ქობულეთის რ-ნი), „ლიფორლუხ", „სტავროპოტამოს" (ზედა კვირიკეში, კვირიკეს სასოფლო საბჭო, ქობულეთის რ-ნი) და სხვ.

აჭარის შემოერთებიდანვე იწყება ამ კუთხეში რუს კოლონისტთა დასახლება. ამ ნიადაგზე გაჩნდა რუსული სოფლები: სმეკალოვკა, რომანოვკა და სხვ.

შავი ზღვის სანაპიროზე კახაბრიდან დაწყებული ვიდრე ბობოყვათამდე ძალიან ხშირად გვხვდება გვარსახელური ტოპონიმები. დავასახელებთ რამდენიმეს: კაგანოვი (სოფ. კუთხე. ზედა ადლიაში), რიბკოვის ბაღი (ბაღი ს. ქვედა სამებაში), ილიჩოვი. სინიცინი, ფანდოევი. კალანცოვი. უშაკოვები. პრიანშნიკოვი (კაპრეშუმში), ფესენკოვა, ჩერკასი, გუბანოვი (ს. მახინჯაური), ნიკოლსკი, ბარიათინსკი. ბელუცკი, დუკმასოვი, კარენინი, და სხვ. (მწვანე კონცხზე), სოლოვიოვი და სხვ. (ჩაქვი). ჩესნიკოვი, დევიტი, გრუჩკოვი (ზედა ულიანოვკაში), გოლოვინი, ბულგარსკი, ბიკოვი, სახაროვი, შინდრიკოვი, უშაკოვი და სხვ. (ციხისძირზე).

ესენი ამ ადგილების მფლობელები იყვნენ რევოლუციამდელ ხანაში. კოლონისტები დიდი ხანია გადაშენდნენ. მათი გვარ-სახელები კი ტოპონიმიკამ შემოინახა.

ახლა რამდენიმე სიტყვით დავახასიათოთ აღნიშნულ ტოპონიმთა შემოქმედნი. დავიწყოთ ქურთებით.

**ქ უ რ თ ე ბ ი**

„ჩვენს მწერლობაში, რამდენადაც ვიცით, არაფერი თქმულა ამ საინტერესო ხალხის შესახებ, რომლის ერთი ნაწილი ჩვენს ქვეყანას შემოხიზვნია. და უნდა აღვიაროთ, რომ... ეს ხალხი მეტად საინტერესო და ყურადღების ღირსია" — წერდა გასული საუკუნის მიწურულს თ. სახოკია.[1]

ამ მხრით დიდად დაწინაურებული ჩვენი მწერლობა არც დღეს არის. ქურთების ცხოვრება და წარსული საერთოდ დღემდე არ არის რიგიანად შესწავლილი. რამდენიმე გამოკვლევა მიეძღვნა ამ ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფას რევოლუციამდელ ხანაში, მაგრამ ამ ნარკვევების მეცნიერული ღირებულება მეტად მცირეა. ანკი რა მოეთხოვება ისეთ ავტორებს, რომლებიც ქურთებს ტყიურ ცხოველებთან აიგივებდნენ და მათ ცხოვრებასაც ამ ფონზე განიხილავდნენ. „ისინი ისევე მოკლებული არიან ისტორიას, როგორც მგლები და ტურები, რომელთა შორისაც უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ მაღალ მთებში" — ასე ახასიათებდნენ ქურთებს ერთნი.[2]

„მათ (ქურთებს — ი. ს.) არც ისტორია აქვთ, არც ლიტერატურა" — წერდნენ მეორენი.[3]

ასე მცდარად უყურებდნენ ქურთებს წინათ და უყურებენ მათ დღესაც ბურჟუაზიული მეცნიერნი. მხოლოდ საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ შეძლო სწორად შეეცნო ამ ხალხის ცხოვრება და თავგადასავალი, მისი ისტორია და კულტურა. გამოირკვა. რომ ქურთები არ ყოფილან თურმე ისეთი უისტორიო და უკულტურო ხალხი, როგორც ამას ბურჟუაზიული მეცნიერნი და მოგზაურნი გვიხატავენ, მათ ცხოვრება-განვითარების დიდი გზა გამოუვლიათ და საინტერესო კულტურაც შეუქმნიათ. ქურთი ხალხი სამართლიანად ამაყობს, მაგალითად, თავისი დიდი ტრადიციების სიტყვაკაზმული მწერლობით. ალი ჰარირი (XI ს.) და მალაე ჯზირე (XII ს.), ფაკიე ტაირანი (მაჰმუდ მუკუსელი) და მალა ახმედი (მალაე ბატა), ახმედხანი ხაკარი და შარაფხანი, ნალი და მრავალი

სხვა მხატვრული სიტყვის დიდებული ოსტატი ქურთი ხალხის შვილები იყვნენ და ამშვენებდნენ ქურთულ ლიტერატურას.[4]

საინტერესოა ქურთების ფოლკლორიც. ასევე შეიძლება ითქვას ისტორიული ხასიათის თხზულებათა შესახებაც, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია XVI საუკუნის ქურთული მატიანე „შერეფნამე".[5]

ქურთების ძირითადი სამშობლო კერა ქურთისტანია.

ამ ქვეყნის ერთი ნაწილი დღეს თურქეთის ფარგლებშია, ხოლო მეორე ნაწილი ირანს უჭირავს. ქურთთა უმრავლესობაც ამ ქვეყნებში ცხოვრობს. გარდა ირანისა და თურქეთისა ქურთები ცხოვრობენ ავღანეთში, პაკისტანში, ერაყში, სირიაში და საბჭოთა კავშირში. მსოფლიოში სულ 7 მილიონამდე ქურთია.[6]

1939 წლის აღწერამ საბჭოთა კავშირში 45.866 ქურთი უჩვენა,[7] ამჟამად კი ქურთთა რაოდენობა ჩვენში 80 ათასს უდრის.[8] საკმაოდ დიდია ქურთთა რიცხვი საქართველოში.

აჭარაში ქურთებს უმთავრესად ჭოროხის სანაპირო ადგილები ეჭირათ. ბარში ისინი მხოლოდ წლის ერთ ნაწილს ატარებდნენ. აქ მათ ედგათ მიწით შელესილი ფაცხები და მასში ატარებდნენ ზამთარს.

კახაბრის ქურთთა ფაცხებს ასე აგვიწერს ზ. ლიოზენი: „Жалкия постройки без окон, с одной только дверью; посредине таких жилищ находится очаг, вокруг которого ютится семья и который топится зимой; в стороне на сваях стоят кукурузные амбары".[9]

როგორც კი მთაში თოვლი აღნებოდა ისინი არსიანის საძოვრებისაკენ მიეშურებოდნენ, სადაც შემოდგომამდე რჩებოდნენ. მთაზე მათ საკუთარი ჯარგვლები ედგათ. „ქურთებს ყველას ორ-ორთვალიანი ჯარგვლები უდგათ, — წერდა თ. სახოკია, — ერთში თვითონა ცხოვრობენ, ხოლო მეორე თვალი ერბო და ყველის საკეთებლად აქვთ. საქონელი კი ცალკე უყენიათ".[10]

გარეგნულად ქურთი კაცები ხასიათდებოდნენ საშუალოზე ნაკლები სიმაღლით, სიგამხდრით, შავგვრემანობით, ლამაზი გარეგნობა ახასიათებდა ქურთის ქალებსაც.[11]

ქურთები ლაპარაკობენ ქურთულ ენაზე, რომელიც ქურთისტანის მკვიდრთა ენაა. ქურთული ინდო-ევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ენათა შტოში შედის. იგი უმწერლობო ენაა. ქურთული ორ მთავარ დიალექტად იყოფა: ქურმანჯი და ქურთი.

სარწმუნოებრივად ქურთები მუსლიმანები არიან. ქურთთა დიდი ნაწილი სუნიტურ ისლამს აღიარებს, ხოლო ნაწილი შიიტია. ქურთებში არსებობს აგრეთვე სხვა რელიგიური სექტები, მაგ., ალი-ალლახი, ეზიდები და სხვ. უკანასკნელნი ცხოვრობენ ბათუმშიც.

ქურთები თანამედროვე მსოფლიოს უძველეს ხალხთა რიცხვს ეკუთვნიან. მათ შემადგენლობაში შევიდნენ მიდიისა და ირანის ტომები.

ქურთები აჭარაში მოვიდნენ ოსმალთა ბატონობის პერიოდში.

გ. ყაზბეგი ბათუმის სამუდიროში 100 ქურთულ კომლს მიუთითებს 600 სულით. ესენი ძირითადად კახაბერში მოსახლენი იყვნენ.[12] ქურთები ცხოვრობ-

დნენ აგრეთვე გონიის მიდამოებში. ქურთის 20 ოჯახს (130 სული) ასახელებს ზ. ლიოზენი, მაგალითად, სოფ ზიმოვნიკში (გონიის სასოფლო საზოგადოება).[13]

რევოლუციამდე აჭარის ქურთები უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდნენ. მესაქონლე ქურთები განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდნენ საძოვრების ნაკლებობას.

ჩვენში მოსახლე ქურთებს თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება დაუმკვიდრა ოქტომბრის რევოლუციამ. ამიერიდან წარსულის მწარე მოგონებადღა დარჩა მხოლოდ ჩვენი ქურთების ძველი დუხჭირი ცხოვრება, ეროვნული და სოციალური ჩაგვრა; ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ფართო პერსპექტივები შეუქმნა საბჭოური ქურთების ნაციონალური თვითშეგნების განვითარებას და კულტურულ აღორძინებას.

**ხ ე მ შ ი ნ ე ბ ი** ხემშინები ბაშ-ხემშინებად და ხოფე-ხემშინებად განიყოფოდნენ.[1]

პირველნი მდ. ყარადერეს და მდ. ფურტუნას ნაპირებზე ცხოვრობდნენ. მათი მთავარი სოფელი თურქეთის ჭანეთში იყო და დღესაცაა დიდი ხემშინი. ხემშინთა მეორე შტო კი ცხოვრობდა ხოფას ზემოთ, მთებში, და ვრცელდებოდა ჭოროხამდე.

ქრისტიან ხემშინებში მაჰმადიანობა ვრცელდება მე-18 საუკუნის დამდეგიდან.

ზ. ლიოზენის ცნობით ყარადერეს და ხურშუმალს შორის მოსახლე ხემშინები მეოცე საუკუნის დამდეგამდე ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას და ლაპარაკობდნენ სომხურ ენაზე.[2]

ეს ფრიად საინტერესო ფაქტია და უთუოდ მიუთითებს იმ დიდ ბრძოლაზე, რომელსაც ხემშინები ეწეოდნენ მამაპაპური სჯულისა და ენა-ზნეჩვეულებათა შენარჩუნებისათვის.

მცდარია ზ. ლიოზენის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს ხემშინებს არასოდეს უბრძოლიათ ქრისტიანობის შესანარჩუნებლად, ვითომც იმიტომ, რომ ყოველმხრიდან ისლამის მოძალებისაგან შევიწროებული ხემშინები ასეთ ბრძოლას უსარგებლოდ თვლიდნენ, რის გამოც აღარ კარგავდნენ იმ პრივილეგიებს, რომლებიც მუსლიმანებს გააჩნდათ თურქეთში.[3]

ავტორი წინააღმდეგობაში ვარდება. თუ ეს მართლაც ისე იყო, როგორც იგი აცხადებს, მაშინ როგორღა უნდა შევათავსოთ ამასთან, მისი ზემოხსენებული ცნობა მე-20 საუკუნის დამდეგისათვის ხემშინთა ერთი ნაწილის ქრისტიანობის შესახებ. რა თქმა უნდა, ზ. ლიოზენის მტკიცება მცდარია.

ხემშინები მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდნენ. ზ. ლიოზენი ბაშ-ხემშინთა და ხოფე-ხემშინთა ცხოვრებაში გარკვეულ განსხვავებას უჩვენებს. პირველთა შესახებ იგი, მაგალითად, წერდა: „Они снискивают пропитание за пределами своих гор, занимаясь молочной торговлей по побережью, или отправляются во внутреннюю Россию и Батум в качестве хлебопеков; скопив немного денег, они возвращаются в свое отечество".[4]

ბაშ-ხემშინთა ცხოვრებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ჩრდილოელ ხემშინთა ცხოვრება.

ზოგიერთი მკვლევარი სათანადოდ ვერ ითვალისწინებდა ამას და ხემშინთა ამ შტოს შეცდომით თვლიდა ქურთებად.

ზ. ლიოზენის სიტყვით: „Зимою они живут на протяжении всего Понтийского хребта, отдельно друг от друга, в хижинах, не образующих селений в тесном смысле этого слова; каждая зимовка этого племени называется хемшин. В начале лета все, со своими стадами, отправляются к Арсианским горам: образ их жизни таков, как и курдов... в Артвинском округе их считают за курдов и... удивляются тому, что они говорит (по) армянский".[5]

ხემშინთა მეტყველება საინტერესო მასალებს იძლევა სომხური ენის შესასწავლად. მის ლექსიკურ ფონდში თავი შემოინახა მრავალმა ძველსომხურმა სიტყვამ. ეს სიტყვები დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ „გრაბარის" (ძველი სომხური) ფორმებთან.[6]

ხემშინთა მთავარი მოსაქმეობა მესაქონლეობა იყო. ზოგიერთი მაკრიალელი და გონიელი ხემშინი მიწის ნაკვეთსაც ფლობდა.[7] ისინი ქსოვდნენ შალს, ნაგრამ არა გასასყიდად, არამედ შესამოსად.

ცხოვრების სახსრის მოსაპოვებლად ხემშინები ბევრ საშუალებას მიმართავდნენ. ეხმარებოდნენ, მაგალითად, ლაზებს ართვინიდან ტვირთის ზიდვასა და მიწის დამუშავებაში.[8]

ჭანეთში ხემშინთა მოსვლის თარიღი დადგენილი არ არის. გადმოცემის მიხედვით ხემშინთა დამკვიდრება ამ მხარეში მაინც XIX საუკუნის დამდეგიდან უნდა ვივარაუდოთ.[9]

თანამედროვე აჭარის ტერიტორიაზე ხემშინები სარფსა და კვარიათში ცხოვრობდნენ. ზ. ლიოზენის სტატისტიკა კვარიათში ხემშინთა 6 კომლს (18 სული) ასახელებს.[10]

**ჩერქეზები, უბიხები, აფხაზები**

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ახლანდელი აჭარის ტერიტორიაზე მოდიან და სახლდებიან მუჰაჯირი აფხაზები, ჩერქეზები და უბიხები. სუნიტ მთიელთა მუჰაჯირობა იწყება 1858 წლიდან. ეს პროცესი XIX საუკუნის 70-იან წლებამდე გაგრძელდა. ოფიციალური ცნობით მარტო 1858 — 1865 წლებში ოსმალეთში გადასახლდა 493.194 მთიელი.[1]

მუჰაჯირი მთიელები დაასახლეს: სივასის, ერზრუმის, დიარბექირის. ტრაპიზონის და სხვ. ვილაეთებში.[2] ტრაპიზონის ვილაეთში ისინი დასახლდნენ ლაზისტანის სანჯაყში, უმთავრესად ბათუმის, გონიისა და ქობულეთის კაზებში.

აფხაზეთიდან განსაკუთრებით დიდ მუჰაჯირობას ჰქონდა ადგილი 1866 წელს. ამ დროს სოხუმის ოლქიდან ოსმალეთში გადასახლდა დაახლოებით 15 ათასი აფხაზი. ზოგიერთი საზოგადოება თითქმის დაცარიელდა. ასე მაგალითად, თუ 1864 წელს წებელდაში 10.433 მცხოვრები ითვლებოდა, მუჰაჯირობის შემდეგ იქ მხოლოდ 87 კაციღა დარჩენილა.[3]

აფხაზები ლაზისტანის სანჯაყის ბათუმისა და გონიის კაზებში დასახლებულან. უმთავრესად ისინი ბათუმსა და მახლობელ ადგილებში ცხოვრობდნენ. გონიის კაზაში აფხაზური სოფელი იყო ყარაშალვარი. გ. ყაზბეგი ყარაშალვარის აფხაზთა რაოდენობას 20-30 კომლით განსაზღვრავს.[4]

ამ მხარის შემოერთების შემდეგ მუჰაჯირთა უმრავლესობა, მეტ წილად ჩერქეზობა და უბიხობა, კვლავ აიყარა აქედან და ოსმალეთში გადასახლდა.

მუჰაჯირობის შემდეგ ბათუმის ოლქში ათასამდე აფხაზი დარჩა (1886 წლის ცნობა).[5]

1882 წლის აღწერით ბათუმში ცხოვრობდა 377 აფხაზი.[6]

ბათუმში აფხაზები „ნურიე"-ში ცხოვრობდნენ. აქედან ისინი ჯერ „ინჯალო"-ში გადაასახლეს, ხოლო 1885 წელს — სტეფანოვკაში.[7]

XIX საუკუნის მიწურულში სტეფანოვკის აფხაზებზე აჭარიდან მომავალი ი. სახოკია წერდა: „ბათუმამდე ორი კილომეტრი გვიკლია. გზის მარცხნივ ვაკეზე გაშენებულია სოფელი აფხაზებისა, რომელნიც ბათუმის გენერალ-გუბერნატორის კომაროვის დროს გადმოსახლებულან აქ აფხაზეთიდან. სულ სამოცდაათ კომლამდე იქნებიან... სახლები რიგზე აქვთ ჩამწკრივებული, უმეტესობა ფაცხებია, მაგრამ შიგადაშიგ ქვითკირის სახლებსაც შეხვდებით... ეს თავისუფალი ბუნების შვილნი... ნაყოფიერ, მაგრამ ციებიან ადგილზე დაუსახლებიათ. ეს სენი თურმე მუსრს ავლებს აფხაზეთის მთის შვილებს. ციების გარდა მათი მტერი გამხდარა მდ. ჭოროხი. ისე არ ადიდდება ეს მდინარე, რომ გლეხების ჭირნახული არ დააწიოკოს. 1895 წლის წყალდიდობას თითქმის სულ ერთიანად წაულეკია აქაურობა. სწავლა-განათლება მათთვის ჯერ ისევ მიუწვდომელია. ზოგიერთს ქართული ენაც უსწავლია და ბათუმში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სკოლაში შვილებსაც აბარებენ".[8]

ცნობილი მწერალი კარგად ახასიათებს სტეფანოვკის აფხაზთა ცხოვრებას, მაგრამ ცდება, როდესაც იმათ კომაროვის დროს გადმოსახლებულად მიიჩნევს აფხაზეთიდან. სინამდვილეში სტეფანოვკელი აფხაზები ამ დროს გადაასახლეს ბათუმიდან.

თურქთა მფლობელობის პერიოდში აფხაზებსა და სხვა მუჰაჯირებს მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. რუსეთის ხელისუფლებამ გარკვეული ყურადღება მიაქცია მათ მდგომარეობას, გაუჩინა სამუშაო და მისცა აგრეთვე სამშობლოში დაბრუნების ნება.[9] ნაწილი დაბრუნდა, ნაწილი კი დარჩა და დღესაც ცხოვრობს ამ მიდამოებში.

**ბ ე რ ძ ნ ე ბ ი** ზემოხსენებულ ბერძნულ ტოპონიმთა გაჩენა უკავშირდება ანატოლიელ ბერძენთა მოსვლა-დამკვიდრებას ამ მხარეში.

პირველი ჯგუფი ოსმალეთში მოსახლე ბერძნებისა ბათუმის ოლქში მოვიდა 1881 წლის 6 ნოემბერს. ეს ჯგუფი 253 ოჯახისაგან (2. 107 სული) შედგებოდა. ისინი სივასის ვილაეთის ტოკათის სანჯაყის სხვადასხვა სოფლებიდან იყვნენ. სივასელი ბერძნები ყარსის ოლქში დასასახლებლად მოდიოდნენ, მაგრამ თოვლმა ყარსისაკენ მიმავალი გზები ჩაკეტა, რის გამოც იძულებული შეიქნენ შეეცვალათ მიმართულება და ბათუმში მოვიდნენ. გამოზამთრების შემდეგ ისინი

ისევ ყარსში უნდა გადასახლებულიყვნენ. მაგრამ ეს აღარ მოხდა. და ეს იმიტომ, რომ მთავრობა მოერიდა საამისო აუცილებელ ხარჯებს და ისინი ბათუმის ოლქშივე დაასახლა სახაზინო და მუჰაჯირთა მიწებზე.[1]

ამით არ დამთავრებულა ბერძენთა გადმოსახლება. ეს პროცესი შემდეგშიც კარგა ხანს გრძელდებოდა, პირველ მოახალშენეებს თანდათან ემატებოდნენ მათი თანამემამულენი.

ი. ი. კალფოღლუს სტატისტიკით 1907 წლისათვის ბათუმის ოკრუგში ბერძენთა რაოდენობა ასეთ სურათს იძლევა:

| პუნქტის დასახელება | მცხოვრები |
|---|---|
| სარფი და გონია | 33 |
| ბათუმი | 3500 |
| ახალშენი | 582 |
| ყოროლისთავი | 51 |
| აჭყვა | 500 |
| დაგვა | 602 |
| კვირიკე | 4002[2] |

**რუსი კოლონისტები** რუსული კოლონიების მოწყობა საქართველო-კავკასიაში მეფის მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავთაგანს შეადგენდა ამ ქვეყანაში შემოსვლის პირველი დღეებიდანვე. ეს ღონისძიება საჭირო იყო რუსეთის ბატონობის გასამტკიცებლად.[1] მაგრამ ამ საქმეს ბევრი დაბრკოლება ეღობებოდა. წინ: სახაზინო მიწების სიმცირე, ჰავა, რომელსაც ვერ იტანდნენ რუსი მოახალშენენი და სხვ.[2]

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველო—ამიერკავკასიის კოლონიზაცია აქტიურად მიმდინარეობდა, 50-იან წლებში იგი მინელდა და კვლავ განახლდა 80-იანი წლებიდან.

შემოერთების შემდეგ ბათუმის ოლქში თავისუფალი მიწები ბლომად იყო. მუჰაჯირობას ამ საქმეში დიდი როლი მიუძღოდა. ამ მიწებზე მეფის ხელისუფლება რუსული ელემენტის ჩასახლებას ითვალისწინებდა.

მთავრობა დიდის ამბით ეპატიჟებოდა რუსეთის შიდა გუბერნიების გლეხობას კავკასიისაკენ. აღუთქვამდა ბეგარა-ვალდებულებებისაგან განთავისუფლებას, საკარმიდამოს და დახმარებას (ე. წ. „პოსობიები“). ამის შესახებ იწერებოდა რუსულ პრესაში.

1896 წელს გაზეთი „დროება“ ამაზე აღშფოთებით წერდა: „ზოგიერთ რუსულ გაზეთში დაბეჭდილია ცნობა, ვითომც კავკასიის უმაღლეს მთავრობამ შუაგულ რუსეთის გუბერნიებიდან გამოიხმო 11.000 რუსი გლეხის ოჯახი ყარსისა და ბათუმის მაზრების თავისუფალი ადგილების დასასახლებლად, აგრეთვე სოხუმის მაზრაშიც ამბობენ. ამ გადმოსახლებულ ხალხს მთავრობა ერთის წლის ვადით გაანთავისუფლებს ყოველგვარ გადასახადისაგან და, ამას გარდა, ამ თავითვე ცოტაოდენ შემწეობასაც მისცემსო. ძნელი დასაჯერებელია ეს ამბავი...“[3]

საქართველოსა და საერთოდ „განაპირა ქვეყნების“ კოლონიზაციის საქმე განსაკუთრებული სისწრაფით წარიმართა პირველი რევოლუციის ხანიდან. ეს

ლონისძიება მიაჩნდა ცარიზმს ამ მხარეში აგრარული საკითხის გადაჭრის საშუალებად, რასაც თავის მხრივ საფუძველი უნდა გამოეცალა რევოლუციური აზვირთებისათვის სოფლად. კოლონიზაციის სულისჩამდგმელნი დიდის რიხით გაჰკიოდნენ იმ „თავისუფალ მიწებზე", რომელნიც თითქოს საქართველო-ამიერკავკასიაში არსებობდა რუსეთიდან გადასახლებულთა დასამკვიდრებლად.

სინამდვილეში კი აქ, არათუ თავისუფალი მიწები არ იყო, არამედ უმიწობა და მცირემიწიანობა სულს უხუთავდა ათეულ ათასობით აბორიგენს. და თუ ასეთ ვითარებაში ცარიზმი მაინც ახერხებდა ამიერკავკასიაში საკოლონიზაციო მიწების ფონდის შექმნას, ეს, როგორც მიუთითებდა ვ. ი. ლენინი სტატიაში „კოლონიზაციის საკითხი", — ხდებოდა „ადგილობრივ მკვიდრთა საადგილმამულო უფლების აშკარა დარღვევის გზით".[4]

აჭარაში კოლონიზაციის ბურჯებს დიდ გასაქანს აძლევდა მუჰაჯირობა. ცარიზმი და მისი მოხელენი ხელს უწყობდნენ ადგილობრივ მკვიდრთა გადასახლებას ოსმალეთში და მათ ნამოსახლარზე რუს ახალმოსახლეებს ამკვიდრებდნენ. როგორც აჭარაში, ისე მთელ საქართველოში და საერთოდაც „განაპირა ქვეყნებში" ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკა ი. ბ. სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ: მდგომარეობდა იმაში, რათა დაემკვიდრებიათ ამ რაიონებში რაც შეიძლება მეტი კულაკური ელემენტები რუს გლეხთა და კაზაკთაგან და გადაექციათ ეს უკანასკნელნი დიდმპყრობელურ მისწრაფებათა საიმედო დასაყრდენად".[5]

კოლონისტებს განსაკუთრებით იზიდავდა შავი ზღვის სანაპირო. ისინი გატაცებით სახლდებოდნენ აჭარასა და აფხაზეთში. „ის მხარე, რომელიც ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ გაუვალ ტყეს მიჰქონდა, — წერდა თ. სახოკია წერილში „აფხაზეთი" 1903 წელს, — დღეს აგარაკებად არის გადაქცეული, და აქ საკუთრების შეძენის მსურველთა რიცხვი არა თუ კლებულობს, დღითიდღე იზრდება".[6]

აი, ასეთ მოაგარაკეთა და მოახალშენეთა გვარსახელები იყო ის, რომელიც ზემოთ დავასახელეთ.

ამრიგად, თურქთა მფლობელობის პერიოდსა და შემოერთების შემდეგაც აჭარის ტერიტორიაზე ადგილობრივ მკვიდრთა გვერდით ბევრ სხვადასხვა ხალხთა ჯგუფებს მოუხდათ ცხოვრება. ყველა მათ გარკვეული კვალი აღბეჭდეს ტოპონიმიკაში. ამის გამო საჭიროდ ვცანით მოკლედ გვესაუბრა თვითეულ მათგანზე.

# ტოპონიმიკური აღწერილობა

## ქვემო გურია

## ხელვაჩაურის სასოფლო საბჭო

**ერგე**[1]

**გოლქვაძეები**

ბრანჯაჟლი (საძოვარი)
ნასახლევი (ბუჩქნარი)
ფათულაღელე (ღელე)
რუთავი (ღელე)
ყაზამბაღიშვილიყანა (ბუჩქნარი)
ნაპურვალა (სათესი)

**წითლური**[2]

კოპლაჟრი (სათესი)
ნაფაცხევი (სათესი)
ნასელავი (სათესი)
მემედიყანა (სასაფლაო)
ნაფლატა (სათესი)

**პურიეთი**

აჭარელაძეყანა (ჩაის პლანტ.)
ფიქალეთა (ბუჩქნარი)

**ბაშქო**[3]

ქაჩალური (ბუჩქნარი)
საყდარი (ბუჩქნარი)
წიწვები (ტყე)
ტურაფოტორი (ტყე)
ნასელავი (სათესი, ბუჩქნარი)
აბანო (ბუჩქნარი)
სოუქ-სუ[4] (ტყე)
ბარდნალი (ტყე)
სათალი (ტყე)
ვერხვნალი (ტყე)
ბაირაღიანი (ტყე)

**ეკალაჟრი**

ელიაწმინდა (ჩაი)
გუნასახლევი (ს. კუთხე)
ბაბაჟრი (ჩაის პლანტ.)
ჩიდილა (ჩაის პლანტ.)
ხორჩენა[5] (ს. კუთხე)
სასირე (სერი)

**ერგე**

ზედაალო (საძოვარი)
საიხვე (საძოვარი)
მორეხევი (ღელე)
კოლანდარი (სათესი)
ფოშტა (მინდორი)
ქვედაალო (საძოვარი)
ნაფურნევი (სათესი)
ერგიმინდორი (სათესი)

**ნიკიტაჟრი**

ნაციხვარი[6] (ბუჩქნარი)
ქეცუკანი (ბუჩქნარი)
ბინაძირევი (სათესი)
ნადუქნევი (სათესი)
წაბნარა (ბუჩქნარი)
ნასახლევი (სათესი)
თხილნარა (ტყე)
მუსლუდი (წყარო)
ნაციცილევი[7] (სათესი)
ოჯაღობა (ტუნგოს პლანტ.)
გორიღელე (ღელე)
მანდილევი (ბუჩქნარი)
ქვათეთრა (ღელე)

**ჯოჯო**

**ზემო ჯოჯო**

ჯუჯუხეთა[8] (საძოვარი)
ჩიდილა (სათესი)
ჭალა (ქვარნალი ადგილი).
სურნალი (ჩაის პლანტ.)
როხი (სათესი)

ქვაბთა (ქვარნალი ადგილი)
სასკდომი (სათესი)
შავიტყე (ტყე)
ვარკანეთა (ღელე)
ყურიყაფა (ტყე)
სამარჩვია (ბუჩქნარი)
დიდბარდი (ტყე)
ტალახნარა (ბუჩქნარი).
საისრე (ბუჩქნარი)
ჭანიძიტყე (ტყე)
ქუჩუმანისეჷლი (სათესი)
ყუზიხანა (ბაღი)
დავვალი (ტყე)
სეიდიოღლიტყე (ტყე)
ყუზე (ტყე)
ტირალა (ტყე)
ბოსტანა (ტყე)
ხინთიბური (ტყე)
თავჩიჩიანი (ტყე)
სამოლეთა (სათესი)
პაწა ტრედა (ტყე)
დიდი ტრედა (ტყე)
შაჭლიკარტია (სათესი)
ყანაგძელაჸ (სათესი)
იაკობაჷრი (ჩაის პლანტ.)
წყაროთავაჸ (ჩაის პლანტ.)
დიბაჷრი (ჩაის პლანტ.)
სახტარი[9] (ნასაყდრალი)
ქეაკიბია (სათესი)
მეჭელქედი (სერი)

**ქვემო ჯოჭო**

წყალგველა (ღელე)
გომი (სათესი)
ორპოზანაჸ (სათესი)
გვალიყანა (ბაღი)
დაღი (სათესი, ბუჩქნარი)
ჯაფარიძაჸ (სათესი)
კიბურნალი (ბაღი)
ყაილული (სათესი)
ხარიგზა (ბაღი)
ქომურჯები[10] (ტყე)
ჯებირი (ბაღი)
ნადუქნევი (სათესი)
ბიჭაჷრი· (ბაღი)
ღორიყბა (ტყე)
ჩორანაჸ (სათესი)
წიფნარი (ჩაის პლანტ.)
ჭარნალი (სათესი)
მეზელური (სასაფლაო)
ადა (სათესი)

**ხელვაჩაჷრი**

კაპანდიდი[11] (ჩაის პლანტ.)
ფილიფე (სათესი)
კაკლიძირი (სათიბი)
ნაყულევი (ჩაის პლანტ.)
ადა (ჩაის პლანტ.)
არფაზონი (სერი)
ოჯალა (ჩაის პლანტ.)
ნადუქნევი (ტყე)
ხასდერე (ღელე)
წაბნარა (ბაღი)
მერე (საძოვარი)
ტალახნარა (ბაღი)
თხმელიძირი (საძოვარი)
კორდი (საძოვარი)
კოკოტაჸ (გორა)
გაფენილი წყალი (ღელე)

**ზენაქიძეები**

ოსანაჷრი (ჩაის პლანტ.)
ზანდუღყაია (გორა)
ყაიადიბი (გორა)
ნაქილისვარი (ნასაყდრალი)
სატეხია (ბაღი)
გემურაჷლი (ბაღი)
მინდორი (ბაღი)
სასირია (გორა)
ნაქურთვალა (ბაღი)
ჩოგალაჷრი (ბაღი)
ყუზიხანა (ბაღი)

**შარაშიძეები**

საქორია (გორა)
ტალახიპირი (სათიბი, სათესი)
ბათახლუღი (სათესი, სათიბი)

ვაყუფი (ბაღი)
პლაკნარა (ბაღი)
უყვი (სათესი)
ნაფლატი (ბაღი)
კუჭიშნახა (გორა)

**მახვილაური**

ნაქილისვარი (ბაღი)
კვეხელური (სათესი)
ბორჩხალა (ბუჩქნარი)
დიდვანი ქვები (საძოვარი)
შავიტყე (საძოვარი)
კოტოხაძ (ჩაის პლანტ.)
ფილავთეფე (ბაღი)
ყუზიხანა (ბაღი)
ზეკალეთი (ბაღი)
ბაძგრიპირი (ბაღი)

## კახაბრის[1] სასოფლო საბჭო

### მეჯინისწყალი

**თოდოგაური**

წისქვილები (ბაღი)
ბაღი (ბაღი)
წყაროპირი (ს. კუთხე)
ჯიჯალიყანა (ბაღი)
ბაძგიპირი (ს. კუთხე)

**მეჯინისწყალი**

ზემკურდი (მინდორი)
ყუძპირი (ს. კუთხე)
ჭოროხის სანაპირო (ს. კუთხე)
ცენტრი კახაბერი (სასოფლო საბჭოს ცენტრი)
სტეფანოვკა[2] (ს. კუთხე)

**ზედა ადლიე**

ქოროღლი (ციტრ.)
იდრისფენდიყანა (ს. კუთხე)

### ანგისა

**მინდა**

ბასილაძე (სათესი, ტუნგო)
დელიგიტოღლი (სათესი)
თოფალოღლები[3] (ს. კუთხე)

**ქვედა ადლიე**

ადა (სათესი. საძოვარი)
ინჯალო[4] (მინდორი)
ტყლაპი (სათესი)
ბენდი[5] (ღელე)
ყორუღები (სათესი)
ჯამივაყუფი (სათესი)

**ქვედა ანგისა**

ორმანთალა[6] (სათესი)
აარცტი აბაარა[7] (სათესი)
ქილინსკის წყალი (არხი)

**ზედა ანგისა**

ნრცტი აბაარა (მინდორი)
სინექ მეჰელე[8] (ს. კუთხე)

**ბათუმი[1]**

ნურიე[2]
ჭაობა[3]
ბონი[4]
გოროდოკი[5]
ბარცხანა
ბენზე[6]
თამარა[7]

## ურეხის სასოფლო საბჭო

### ურეხი[1]

**ზედა ღელე**

წითელი ვარდი (ჩაის პლანტ.)
თოხათი (სერი)
ტაშხანა (სათესი)
ჩალაღელე (ღელე)
აგარლებიღელე (ღელე)
ინჯალო (ს. კუთხე)
ურეხი (ს. ცენტრი)

#### ნამანდრევი

სათელავი (ბაღი)
წისქვილიგვერდი (ბაღი)
ღადაშვილიბაღი (ბაღი)

### ფ ე რ ი ა

#### ფერია

გიგინეიშვილის ბაღი (ბუჩქნარი)
სოუქ-სუ (სასაფლაო)
ჰალა (მინდორი)
გუციბაღი (ბაღი)
ბაკურიძნების ადგილი (სანერგე)

#### მნათობი[2]

მაჰმუდიეღელე (ღელე)
თხილები (ბაღი)
ალაბიბაღი (ბაღი)

#### ქვედა სამება[3]

მემედბუიუღი[4] (ჩაის პლანტ.)
ბერიძინაკვეთი (ბაღი)
რიბკოვიბაღი (ბაღი)

#### სალიბაური

ნაბრინჯვალი (ჩაის პლანტ.)
ლეჩა (ღელე)

## ახალშენის სასოფლო საბჭო

### განახლება

#### ქვედა განახლება[1]

ყაიადიბის წყალი (ღელე)
ნოხორი (სერი)
ანარია[2] (სერი, ნასოფლარი).

#### ზედა განახლება[3]

ყაიადიბი[4] (გორა)
ნასელავი (ბუჩქნარი)
ქვარნალა (საძოვარი)

#### ხე(ვ)ყრუ

ხეჩუქედი[5] (სერი)
გვარელა (სათესი)
ტაშხანა (ქვიანი ადგილი)
ზანაქიძის გორა (გორა)
ოქროწყალაძ (წყარო)
იერა (გორა)
ჯეენემდერე (ღელე)
ხიდითავი (სათესი)
ორპირი (ფერდობი ადგილი)
სურმენლები (სათესი)
არპაზონი (სერი)
ოსანატრები (სათესი)
ყელი (გადასავალი)
ქემერქოფრი (თაღიანი ხიდი და მისი მიდამოები)
ჯამიკარი (ს. კუთხე)
ტაშლუღი (ს. კუთხე)
ყაიალუღი (სერი)
თავკალო (სერი)
ეწერაძ (სათესი)

### ახალშენი

#### ქვედა ახალშენი

ჯეფხანა[6] (ტბა და მისი მიდამოები)
დეგირმანჯოღლები[7] (ს. კუთხე)
ჯიბინატრები (სათესი)
ბუტკები (ს. ცენტრი)

#### ზედა ახალშენი

სომეხეთა (ს. კუთხე)
ჰანისეტლი (ს. კუთხე)
ლომატრები (სათესი)
პეტრატლები (სათესი)
ნაკავქედი (სერი)
სატურია (ს. კუთხე)
უყვები (სათესი)
გვალყანა (საძოვარი, სათესი)
ხურციატლები (სათესი)
სახარია (საძოვარი, სათესი)
თხინალიქედი (სერი)
ჰინალი (სათესი)
წისქვილღელე (ღელე)
ნაღუმვარი (ს. კუთხე)
ჯამიმეჰელე[8] (ს. კუთხე)
ნაჯიხურევი (სერი)
საკანაფე (ტყე, საძოვარი)

სასვენია (ტყე)
ალიში (მთა)
სარცხალა (მთა)

### შუა ახალშენი[9]

დუზლული (სერი)
ეკლესია[10] (საყდარი და მისი მიდამოები)
ნაჯიხურების ღელე (ღელე)
დურსუნდერე (ღელე)
კომუნდერე (ღელე)
ჩათმადები (ტყე)
სირღანლუღი (ტყე)
ფიქლოცა (ტყე)
საყიშლია (მთა)

### ზედა ხამება

უყვიღელე (ღელე)
ნაპურვალი (ბაღი)
ჩარდოვკა (ჩაის პლანტ.)
თხილები (სათესი)
ნაოჯალვარი (სათესი)
ეკლესია[11] (სამების საყდარი)
ნაბრინჯვალი (სათესი)
იურდი (სათესი)

## ჩაისუბნის[1] სასოფლო საბჭო

### წინსვლა[2]

ჰა (ს. კუთხე)
ხანდრევა (ჩაის პლანტ.)
მუხინძირი (ს. კუთხე)
სკურა (ღელე)
ლაბაიძნები (ს. კუთხე)
ცინცქილაძნები (ს. კუთხე)
16. ქ. ლომთათიძე, აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ, მნათობი, 1956 წ., № 12.

17. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 32, გვ. 27.

18. იქვე.

19. იქვე.

20. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, გვ. 34 — 44.

21. იქვე, გვ. 41.

22. მნათობი, 1957 წ., № 2, გვ. 111 — 114.

23. გ. ახვლედიანი, აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიის ზოგიერთი საკითხისათვის, გვ. 113.

24. იქვე, გვ. 114.

25. ჩვენი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, ტ. I, გვ. 174.

26. ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში, გვ. 626.

27. იქვე.

28. „ვესტნიკ დრევნეი ისტორიი", 1947 წ., გვ. 270.

29. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, გვ. 202.

30. ჩვენი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, ტ. I, გვ. 2.

31. ხ. ს. ბღაჟბა, აფხაზეთის ეთნონიმიკისა და ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხი, დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XVIII, სუხუმი, 1956 წ., გვ. 282, შენიშვნა I.

32. მცდარია ზიგთა სარმატ-იაზიგებთან დაკავშირების აზრი („ვესტნიკ დრევნეი ისტორიი", № 4, 1947 წ., გვ. 209-210).

33. დ. ხახუტაიშვილის აზრით, ბიზერები ზიდრიტთა ერთ-ერთი თემი უნდა იყოს, იხ. მისი, შავი ზღვისპირეთის ქართველური ტომები. ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობების მიხედვით, თბილისი, 1954 წ. (ხელნაწერი), გვ. 57.

34. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, გვ. 110.

## გვიანდელი ხანის ტოპონიმები და მათი შემოქმედნი

### ქურთები

1. თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 216.

2. ციტირებულია ქარამ ამოევის წერილიდან: ქურთი ხალხის ლიტერატურა, მნათობი, 1958 წ., № 8, გვ. 189.

3. კ. ხაჩატუროვი, ქურთები. მათი ხასიათისა და ყოფაცხოვრების თავისებურებანი, სბორნიკ მატერიალოვ დლია ოპისანია მესტნოსტეი ი პლემენ კავკაზა, ნაკვეთი მეოცე, თბილისი, 1894 წ., განყოფილება I, გვ. 64.

4. ქარამ ამოევი, ქურთი ხალხის ლიტერატურა, გვ. 189.

5. დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 24, მეორე გამოც. გვ. 91.
6. იქვე.
7. იქვე.
8. ქარამ ამოევი. ქურთი ხალხის ლიტერატურა, გვ. 190.
9. ზ. ლიოზენი. რუსეთის ლაზისტანის სანაპირო, გვ. 145.
10. თ. სახოკია, მოგზ., გვ. 213.
11. იქვე.
12. ზ. ლიოზენი. რუსეთის ლაზისტანის სანაპირო, გვ. 160.
13. იქვე.

## ხემშინები

1. ზ. ლიოზენი, რუსეთის ლაზისტანის სანაპირო, გვ. 168.
2. იქვე.
3. იქვე, გვ. 170.
4. იქვე. გვ. 168.
5. იქვე. გვ. 168-169.
6. იქვე. გვ. 169.
7. იქვე.
8. იქვე.
9. იქვე. გვ. 169-170.
10. იქვე. გვ. 170.

## ჩერქეზები, უბიხები, აფხაზები

1. მთიელთა გადასახლება კავკასიიდან. „რუსკაია სტარინა", ტ. 33, 1882 წ., გვ. 167.
2. „რუსკაია სტარინა", ტ. 36, 1882 წ., გვ. 29–30.
3. პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX ს.ს., ტ. I, 1949 წ., გვ. 697.
4. გ. ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. გვ. 132.
5. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX ს.ს., ტ. I. გვ. 698.
6. „იზვესტია კავკაზსკოგო ოტდელენია იმპერატორსკოგო რუსკოგო გეოგრაფიჩესკოგო ობშჩესტვა", ტ. VIII, 1884 წ., გვ. 94.
7. აჭარის ასსრ ცენტრარქივი, ფ. 89, ს. 17, ფ. 10.
8. თ. სახოკია, მოგზ., გვ. 249. სტეფანოვკელი აფხაზების დახასიათებისათვის იხ. აგრეთვე ზ. ლიოზენი. რუსეთის ლაზისტანის სანაპირო, გვ. 145.
9. ა. ფრენკელი, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

## ბერძნები

1. გაზეთი „კავკაზ"-ი, № 103, 1882 წ., 20. IV.
2. ი. კალფოღლუ. ბერძნები კავკასიაში, ათენი, 1908 წ., გვ. 11 (ბერძნულ ენაზე).

## რუსი კოლონისტები

1. პ. გუგუშვილი. საქართველო–ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX–XX ს.ს, ტ. I, გვ. 615.
2. იქვე. გვ. 612 და შმდ.
3. დროება, № 100. 1890 წ., გვ. 2.
4. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. XV, გვ. 528.
5. ი. ბ. სტალინი. მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი. 1934 წ., გვ. 97.
6. თ. სახოკია, აფხაზეთი, „ცნობის ფურცელი", 1903 წ., № 2309.

## ტოპონიმიკური აღწერილობა

### ხელვაჩაურის სასოფლო საბჭო

1. „ამას ზეით (იგულ. ბათუმი — ი. ხ.), ჭოროხის ჩრდილოსავე კიდესა ზედა, არს ე რ გ ე“ — ამბობს ვახუშტი (აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 176). იმავე გვერდზე, ცოტა ქვემოთ, როცა სახელოვანი მეცნიერი გურიას ახასიათებს, წერს: „პაეით არს კეთილი და მშვენი... ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი... ფრინველნი მრავალნი, ხილნი მრავალნი, და ბათომს, გონიას და ე რ გ ე ს ნარინჯი, თურინჯი, ლიმო, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი...“

„ერგე“ რგ ხმოვნების ადგილგადანაცვლების გზით მიღებული ტერმინი ჩანს სახელწოდებიდან „ეგრი“.

2. ამ უბანში ნიადაგი წითელი ფერით, ხასიათდება და ხალხსაც ამიტომ უწოდებია მისთვის წითლური.

3. ბაშქო (თურქ.) — სოფლისთავი.

4. სოუქ-სუ (თურქ.) — ცივი წყალი.

5. გადმოცემით, ამ ადგილას ყოფილა ისეთი ტალახი, რომელიც, თითქოს ბღერს არჩენდა და სახელიც ხორჩენაც ამის გამო უწოდეს მას.

6. ჭოროხისა და ჯოჭოს წყლის შესაყარზე აღმართულ მაღალ გორზე მოღწეულია ციხის ნაშთი. გარდა იმისა, რომ იგი ნაციხარია, ხალხში ვერავითარ გადმოცემას ვერ მივაგენით მის შესახებ. ნაშთიც უაღრესად დაზიანებულია. ნაციხარს მეტად სტრატეგიული ადგილი უჭირავს. იგი ერგესთან კეტავდა აჭარისწყლისა და ჭოროხის ხეობებიდან მომავალ გზებს და ერთ დროს, უთუოდ, საყურადღებო ციხე უნდა ყოფილიყო.

7. ნაციცილევი ნა-ევ პრეფიქს-სუფიქსური წარმოების ტოპონიმია სახელისაგან „ციცი-ლი“. წიგნში „ზემო აჭარულის თავისებურებანი“ შ. ნიჟარაძე ასე განმარტავს ამ სიტყვას: „ციციელი (<ცისიერი) მეხი“ (გვ. 160). ავტორი ყურადღებით ეკიდება ტოპონიმიკას. განყოფილებაში „მორფოლოგიური თავისებურებანი“ სპეციალური პარაგრაფი ეთმობა „ტოპონიმიკურ სახელთა წარმოებას“ (გვ. 52 — 55).

8. ჯუჯუხეთას ბნელ ადგილს უწოდებდნენ. ჯოჭოელი ალი ხუსეინის-ძე მიქელაძის (72 წ.) სიტყვით „ჯუჯუხეთა ღამე ადგილი იყო, იქ რომ ზამთრის დროში კაცი გაივლიდა, შეითანი გამოჩნდებოდა, გადაუდგებოდა გზაზე, ზოგ სახშიც მიყვებოდა და გაადევნებდა ძილს. ამფერ დელ კაც ხოჯები ქითაბს უკითხავდენ. ქითაბი რა უზამდა მას. მარა ასე ატყუებდენ ხალხს“.

9. ალ. მიქელაძის თქმით: „ჩემი დიდი ნენეჲ იტყოდა, რომ აქზე ძველად ქილისე — საყდარი იყოო. ხალხი მაშინ სულ ტყეებში ცხოვრობდა და ჩანგს რომ დაარტყმიდენ ტყეებიდან მოუდოდენ მოსახლები“.

10. აქ წინათ მენახშირე ჰანები ცხოვრობდნენ და ამიტომ უწოდებენ ქომურჯებს, რაც მენახშირეს ნიშნავს.

11. კაპანდიდს მეორენაირად კაპანდიბსაც უწოდებენ. ძველი და თავდაპირველი კაპანდიდია. კაპანდიბი კი თურქობის დროს შერქმეული.

საბჭოთა პერიოდშიც კარგა ხანს იწოდებოდა კაპანდიბის სახელით აწინდელი სოფელი ხელვაჩაური. ამ სოფლის ცენტრი რევოლუციამდელ ხანაში რამდენიმე ფიცრული დუქნისაგან შედგებოდა. „მოუახლოვდით სოფ. კაპანდიდსაც, — წერს თ. სახოკია. — სადაც გზის პირას რამდენიმე ბერძნის დუქანია და მათ შორის მეგრელს, გვარად ჰანტურიასაც, გაუბედნია გაეხსნა სამიკიტნო და ბერძნებს შესჯიბრებოდა“ (მოგზაურობანი, გვ. 248).

## კახაბრის სასოფლო საბჭო

1. კახაბერი — ასე ეწოდება ჭოროხის შესართავში მდებარე დაბლობს, ხოლო ხევი, რომელშიც ეს მდინარე მოემართება, მნიშვნელოვნად განიერდება სოფელ ერგესთან და აქედან კახაბრის ხეობის სახელით იწოდება.

„კახაბრის ხეობა. — წერს აკად. ალ. ჯავახიშვილი, — იღება ჭოროხის შესართავისაკენ ზღვის სანაპირო დაბლობის პირზე. ეს დაბლობი... გასდევს ზღვის ნაპირს ბათომის კონცხის და გონიას-ციხის ნანგრევებამდის. დიუნებით მოფენილი დაბლობი კახაბრის ხეობასთან ერთად ჭოროხის დელტას წარმოადგენს... კახაბრის დაბლობი დაფენილია მთლიანად დელტური ხასიათის თიხით და კენჭით. ზედაპირული ნაფენების თიხიანი შედგენილობა, სინოტივის ჭარბობასთან ერთად, ხდება ამ სანაპიროს დაჭაობების მიზეზი" (ალ. ჯავახიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, ტ. I, 1926 წ., გვ. 151).

კახაბრის დაბლობს, როგორც ჩანს, თავდაპირველად ეგრი ერქვა, ხოლო გვიანფეოდალურ ხანაში კახაბერი ეწოდეს. მამია გურიელისა და მისი ბიძის ქაიხოსრო გურიელის-ძის ცნობით ეს „სოფელი" და საბალახე, ზამთრით პირუტყვთ სამყოფი" ადგილი ოდესღაც „წილად ხვედრია" გურიის რომელიღაც მთავრის ერთ-ერთ შვილს სახელით კახაბერს, რომელსაც „თავისი სოფლისათვისაც... სახელი დაუძს კახაბერი" (აქტები, ტ. II, გვ. 539).

სამწუხაროდ, ამის მეტი კახაბრის ვინაობის შესახებ წერილობით წყაროებში არაფერი მოგვეპოვება. ხალხური გადმოცემის მიხედვით კახაბერი დიდად სახელგანთქმული კაცი ყოფილა. მას განსაკუთრებით გამოუჩენია თავი ოსმალო დამპყრობლებთან ბრძოლაში. როდესაც კახაბერის სამფლობელოს თურქები მოსდგომიან, მას მყისვე შემოუკრებია მახლობელ სოფელთა მცხოვრებლები და სასტიკად დაუმარცხებია რიცხობრივად ბევრად ჭარბი მტრის ძალები.

ა. ფრენკელის სიტყვით კახაბერი წინათ გურიელთა საყვარელი ადგილი იყო. მის უღრან ტყეებში ხშირად ნადირობდნენ ისინი. ერთ-ერთი ასეთი ნადირობისას ველურმა ტახმა დაგლიჯა კახაბერ გურიელი. ამის გამო ეწოდა კიდეც ამ ადგილს კახაბერი (იხ. მისი, ნარკვევები ჩურუქსუ-სა და ბათუმისა, გვ. 116). სამხედრო კორესპონდენტი, ეტყობა, ხალხურ გადმოცემას ემყარება.

საბჭოთა პერიოდში დიდი ყურადღება მიექცა კახაბრის ჭაობების დაშრობის საქმეს. ჭაობების ამოშრობამ მოსპო მალარია, რამაც ხელი შეუწყო კახაბერში მოსახლეობის გამრავლებას. აჭარის მთიანი ზონის მოსახლეობამ მოაშურა კახაბრის ბარაქიან ველს. და თუ წინათ ამ ვრცელ მიწა-წყალზე მხოლოდ აქა-იქ ჩანდა მოსახლე, ახლა მარტო კახაბრის სასოფლო საბჭოში 700-ზე მეტი კომლი ცხოვრობს. მათი უმრავლესობა ჩვენს დროში ჩამოსახლებული ქედელები არიან. ქედიდან აქ პირველები ჩამოსახლდნენ ჩავლეიშვილები და ბოლქვაძეები.

2. ეს სოფელი 1885 წელს გაჩნდა. რუსეთის მთავრობამ აქ დაასახლა ბათუმის მუჰაჯირი აფხაზები. სახელწოდება სტეფანოვკა წარმოსდგება ბათუმის ოკრუგის იმდროინდელი უფროსის გვარისაგან — სტეფანოვი (აჭარის ასსრ ცენტრარქივი, ფ. 89, ს. 17. ფ. 10).

3. ასეთი სახელწოდება სოფელმა მიიღო ამ ადგილების ოდინდელი მეპატრონე ჯოჯოელი თოფალოღლისაგან. თოფალოღლები აღნიშნულია აჭარის ასსრ ადმინისტრაციულ რუკაზე (1939). საქართველოს სსრ ადმ. ტერიტ. დაყოფის მიხედვით (1949 წ.) თოფალოღლები კახაბრის სასოფლო საბჭოშია დასახელებული (გვ. 135). ამჟამად ეს სოფელი გაუქმებულია და ადლიის მხოლოდ ერთ კუთხეს შერჩა მისი სახელი.

4. ამ ადგილს უნდა გულისხმობდეს ბათუმის სამხედრო გუბერნატორისადმი გაგზავნილი ბათუმის ოლქის აფხაზი მოსახლეობის თხოვნის (1808 წ.) „ინჯალო". აფხაზები წერენ:

„...Покинув насиженные гнезда и дворовыя вами места, переселились на пахатныя наши участки, где теперь черноморская батарея и дюнет в. м. „Инджало" (აჭარის ასსრ ცენტრარქივი. ფ. 89, ს. 17, ფ. 10).

5. ბენდი პატარა მდინარეა, რომელიც სათავეს იღებს სოფელ მინდაში და ერთვის ზღვას ადლიის სანაპიროზე.

6. ორმანთარლა (თურქ.) — ტყის ყანას ნიშნავს. აფხაზების ჩამოსახლების დროს აქ დიდი

ტყე ყოფილა, რომელიც შემდეგ თანდათან უკაფავთ და შიგ ყანები უთესავთ. აქედან ამ ადგილს ტყისყანის სახელი შემორჩენია.

ანგისაში მოსახლეობენ შემდეგი გვარები: ჩურუქბა, ხიბაია, აცამბა, აგირბა, ციცბა. გვიან ჩამოსახლებული არიან: დიასამიძე, ცინცაძე, ვარშანიძე, დოლიძე, მიქელაძე, წულუკიძე და სხვ.

7. აფხაზური აბაარა ქართულად დამპალ ადგილს ნიშნავს. ამ ადგილს ორად ჰყოფს ყელინსკის არხი. მის სამხრეთით მდებარე ნაწილს აარცტის უწოდებენ, რაც გამოღმას ნიშნავს, ხოლო მის ჩრდილოეთით მდებარეს — ნრცტის, გაღმას.

8. სინექ-მეპელე (თურქ.) — ბუზის უბანი.

## ბათუმი

1. სამეცნიერო ლიტერატურაში ბათუმი უძველესი წარსულის ქალაქად არის მიჩნეული. ისტორიკოსთა უმრავლესობა ბათუმის დაარსებას ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში გულისხმობს, ხოლო ზოგიერთი უფრო შორსაც მიდის და ბათუმს ჩვენს ერამდელი ხანის ქალაქად მიიჩნევს. ასე, მაგ., ჟან მურიეს სიტყვით: „Batoum etait connue 400 ans avant notre are" (J. Mourier. Batoum et le bassin Thorok, Paris, 1-87, p. 19).

ამავე აზრს იზიარებს ნ. მ. დაკიშევიჩი თავის ბროშურაში „ბათუმი", რომელიც 1890 წელს გამოქვეყნდა. „...Батум был известен за 400 л. до Р. Х, что прославившийся греческий колонист, оратор Демостен (живший 450-413 л. до Р. Х.) урожeнец Батума" (გვ. 25). ნ. დაკიშევიჩი დემოსთენეს ბათუმელობის საკითხში ემყარება პ. ხიცუნოვის წერილს „О состоянии некогда бывшего христианства на Кавказе". ეს წერილი დაიბეჭდა 1847 წელს გაზეთ „კავკაზის" კრებულში (რედ. ო. ი. კონსტანტინოვი). ამ კრებულის 848 გვერდზე, სადაც პ. ხიცუნოვი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ბერძნულ კოლონიებს ახასიათებს, სქოლიოში შენიშნავს: „Некоторые из уроженцев здешних прославились в самой Греции, напр. славный оратор Демостен—происходил из Батума".

რას ემყარება ავტორი არ ჩანს. მისი ნარკვევი საერთოდ ცუდ შთაბეჭდილებას არ სტოვებს. ავტორი იცნობს სათანადო ლიტერატურას რუსულსა და უცხოურ ენებზე და საქმეშიც რიგიანად ერკვევა.

ასეთი ცნობა მას, უეჭველია, რომელიღაც მის ხელთ არსებულ წყაროდან უნდა ამოეღო.

დემოსთენეს ბათუმელობის აზრი ევვის ქვეშ პირველად ი. კალფოღლუმ დააყენა წერილში „უძველესი ცნობები ბათუმის შესახებ", რომელიც რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მოამბის XVIII ტომში დაიბეჭდა 1906 წელს. ი. კალფოღლუ წერდა; „Если бабушка Демостена по матери была по происхождению скифянка, на которой афинянин Сусон женился в Понте, это еще, конечно, недостаточно для того, чтобы местом родины оратора считать гор. Батум, который вряд ли существовал в это время" (გვ. 41).

ორატორის ბებიის სკვითურ წარმოშობაზე ემყარება თუ არა დემოსთენეს ბათუმელობის აზრი, ცნობილი არ არის, რადგან პ. ხიცუნოვი ამაზე არაფერს ამბობს, მაგრამ იმაში კი, უთუოდ, მართალია ი. კალფოღლუ, როდესაც V საუკუნეში (ჩვენს ერამდე) ბათუმის არსებობას საეჭვოდ მიიჩნევს. ამ დროს კი არა 6-7 საუკუნით გვიან ხანაშიც ძნელია ბათუმის არსებობაზე რაიმე დაბეჯითებით ითქვას პირდაპირი და სარწმუნო ცნობების უქონლობის გამო. ამ საკითხს ნათელს მოჰფენს არქეოლოგიური გათხრები. ჩვენ არ ვიცით რა მასალებს შეგვძენს ბათუმის არქეოლოგიური შესწავლა ქალაქის უძველესი ისტორიის გასაშუქებლად. ვინ იცის იქნებ ძალიან ძველი ნაშთები გამომზეურდეს, მაგრამ არსებული არა პირდაპირი ცნობების მიხედვით ბათუმის დასახლებულობა მეორე საუკუნის მეორე ნახევარზე უადრეს არ ივარაუდება.

ბათუმის უაღრესი დაძველების აზრს ხელი შეუწყო ბატა-ბათუმის იგივეობის ჰიპოთეზამ, რომელიც პროფ. ა. ხახანაშვილმა წამოაყენა 1890 წელს (ა. ხახანაშვილი, მცირე აზიაში ქართველთა განსახლების ფარგლები, Чтения в императорском обществе истории и древностей Российской при Московском университете, წიგნი, II, მოსკოვი, 1890 წ., გვ. 27, შენიშვნა, 127).

სოფელსა და ნავსადგურ ბატას იხსენიებს სტრაბონი თავის „გეოგრაფია“-ში. „კორკონდამედან აღმოსავლეთისაკენ პირდაპირ მიდის საზღვაო გზა. — ნათქვამია XI წიგნში. — 180 სტადიონზე არის სინდიკე, ნავთსადგური და ქალაქი. ხოლო 400 (სტადიონზე) ეგრეთწოდებული ბატა, სოფელი და ნავთსადგური, რომლის საპირისპიროდ სამხრეთისაკენ ამ ნაპირზე ჩანს. მდებარეობს სინოპე“ (თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. თბ. 1957 წ.. გვ. 120).

კორკონდამე სოფელი იყო კიმერიის ბოსფორთან, რომელიც ტუელის კონცხთან (ტამანის ნახევარკუნძული) ლოკალიზდება. სოფელი და ნავსადგური ბატა კი კორკონდამეს 580 სტადიონით შორავდა. ამ პუნქტს თანამედროვე ნოვოროსიისკის რაიონში დაეძებენ („ვესტნიკ დრევნეი ისტორიი“, 1947 წ., № 4, გვ. 214).

ამრიგად, ბატა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს სოფელი და ნავსადგურია, რომლის პირდაპირაც სამხრეთით სინოპია. ასეთი პუნქტი, რა თქმა უნდა. შეუძლებელია გაიგივებულ იქნას ბათუმთან. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც ასეთი აზრი სამართლიანადაც არის უარყოფილი (ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. X, 1950-1951 წ. წ., გვ. 18).

საისტორიო ლიტერატურაში გაბატონებული აზრის თანახმად ბათუმს უნდა გულსხმობდეს ბერძნულ-რომაული წყაროების ბათჳს || ბათის.

თავდაპირველად ამ სახელით მოიხსენება მდინარე კოლხეთის ტერიტორიაზე. ასე მაგ., რომაელი მწერალი პლინიუს უფროსი (23 — 79 წ.წ.) თავის „ნატურალის ისტორია“-ში (VI. 12) აბსარის (მდ. ჭოროხი) ჩრდილოეთით შემდეგ მდინარეებს ასახელებს: აკამფსეონი. იზისი. მოგროსი, ბათჳს და სხვა (SC. II, 278). ამავე გეოგრაფიულ პუნქტებს ჩამოგვითვლის მეორე ძველი ავტორი არიანე (80 — 160 წწ.) თავის „პერიპლუს“-ში (VII, 5), თუმცა პლინიუსისაგან განსხვავებით იგი სხვა რიგით ასახელებს მათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არიანე მანძილებსაც მიუთითებს ამ მდინარეთა შორის.

„მდ. აფსარიდან, — წერს არიანე, — ჩვენ ღამით გავიარეთ აკამფსისი, რომელიც 15 სტადიონითაა დაშორებული აფსარიდან. ამისაგან 75 სტადიონის მანძილზე არის მდინარე ბ ა თ ჳ ს. აქედან 90 სტადიონის მანძილზე მდებარეობს აკინაზისი, ხოლო აკინაზისიდან 90 სტადიონის მანძილზე იყო იზისი. შემდეგ გავიარეთ მოგროსი. იზისსა და მოგროსს შორის 90 სტადიონია... აქედან ჩვენ გადავედით მდ. ფასისზე, რომელიც მოგროსიდან დაშორებულია 90 სტადიონით“ (SC. I, 219).

ჩვენ არ გამოვუდგებით ყველა ზემოხსენებულ მდინარეთა გაიგივებას ამ მიწა-წყლის თანამედროვე მდინარეებთან. ამჯერად მხოლოდ ბათჳს-ი გვაინტერესებს. არიანე ამ მდინარეს ასახელებს აკამფსისსა (მდ. ჭოროხი) და აკინაზის (მდ. კინტრიში) შუა. პირველიდან 75 სტადიონის დაცილებით. ხოლო უკანასკნელიდან 90 სტადიონის მანძილზე.

ანტიკური სტადიონების შესახებ სხვადასხვა ცნობები გვაქვს. ზოგიერთი მკვლევარი სტადიონში 177.7 მეტრს ანგარიშობს, ზოგი — 180 და ზოგიერთიც — 200 მეტრს. რომელი ამათგანიც არ უნდა ავიღოთ, 75 სტადიონი აკამფსისიდან ჩვენ ყოროლისწყალზე შეგვაჩერებს. მკვლევართა უმრავლესობაც ბათჳ-ს ყოროლისწყალთან აიგივებს. ასეა იდენტიფიცირებული მაგალითად. ეს მდინარე დიუბუა დე მონპერეს მიერ „პერიპლის“ (არიანე — ანონიმი) მიხედვით შედგენილ რუკაზე. ამავე აზრს იზიარებენ პროფ. ს. კაკაბაძე, ლ. ელნიცკი, პროფ. ს. ყაუხჩიშვილი და სხვ. (იხ. ჩვენი. ბათუმის წარსულიდან, რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1956 წ., გვ. 84.

მდ. ბათჳს-ის ყოროლისწყალთან გაიგივება სარწმუნო ჩანს, მაგრამ საკითხი ამით არ მთავრდება. ჩვენ აქ მარტოოდენ ამ მდინარის იდენტიფიკაციით კი არა ვართ დაინტერესებული, არამედ, პირველ ყოვლისა. გვაინტერესებს ამავე სახელის დასახელებული პუნქტის საკითხი. პლინიუსი და არიანე კი ამ მხრით არავითარ ცნობას არ გვაწვდიან.

ი. კალფოღლუს აქედან ასეთი დასკვნა გამოაქვს: **„Следовательно, такого города в их (პლინიუს—არიანეს— ი. ს.) время не существовало или же если он и существовал, то сами они в нем не бывали, а потому о нем ничего и не говорят в своих сочинениях“** (ი. კალფოღლუ, უძველესი ცნობები ბათუმის შესახებ, გვ. 40).

ი. კალფოღლუს პირველი ვარაუდი სინამდვილესთან უფრო ახლოსაა, ვიდრე მეორე. პლი-

ნიუსს, ეტყობა, მართლაც არ უნახავს შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპირო (ამაზე მიუთითებს მისივე თხზულება, რომელშიც კოლხეთის მდინარეთა შორის თანმიმდევრობა ვერ არის დაცული), მაგრამ ამას ვერ ვიტყვით არიანეზე. ამ უკანასკნელმა 134 წელს სპეციალურად იმოგზაურა კოლხეთში და საკუთარი თვალით იხილა ის გეოგრაფიული პუნქტები და მდინარეები, რომელსაც იგი აგვიწერს. მანვე გაიარა მდინარე ბათუმის შესართავში.

უძველეს დროში ბათუმი მდებარეობდა თამარის ციხის მიდამოებში. ამ ადგილს მიიჩნევდა ბათუმის უძველეს ადგილსამყოფელად ისტორიკოსი დ. ბაქრაძე. „ეს ადგილი ახლაც (1873 წ. — ი. ს.) აღინიშნება დიდი კედლისა და ექვსი-შვიდი ეკლესიის ნაშთებით" — წერს სახელოვანი ისტორიკოსი (დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, სპბ, 1878 წ., გვ. 24 (რუს.).

ამავე აზრის იყო ი. კალფოღლუც. „...Праматерь современного Батума,—ამბობდა იგი,— деревня Bathys лежала при устье р. Чулкубы (ჩულკუბა დამახინჯებული ფორმაა სკურკუბასი—ი. ს.)". (ი. კალფოღლუ, დასახ. ნაშრ., გვ. 41).

აკად. თ. უსპენსკის სიტყვითაც: „Что касается реки Вафи у Плиния и Арриана, то нам бы представлялось справедливым видеть здесь долину Βαθύς, т. е. местность и название нынешнего Батума" (Ф. И. Успенский, Старинная крепость на устье Чороха, „Известия Академии Наук", № 2, 1917 г., стр. 161).

ასეთივე შეხედულებისაა პროფ. ს. კაკაბაძეც. „ძველი ბათომი მდებარეობდა აწინდელი ბათომის ჩრდილოეთით მდ. კორონის წყლის (ყოროლისწყლის — ი. ს.) შესართავთან, სადაც ჩვენამდე მოღწეულია ძველი ციხე (ე. წ. „თამარის ციხე")" (ს. კაკაბაძე, ძიებანი ქართველთა 4 — 7 საუკ. ისტორიის შესახებ, „საისტორიო კრებული", წ. II, 1928 წ., გვ. 28, შენიშვნა).

პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა ყურადღება მიაქცია ძველ მსოფლიო რუკა „ტაბულა პევტინგერიანა"-ზე აღნიშნულ „პორტუს ალტუს" (აფსარსა და იზისს შუა), რომლის ადგილსამყოფელადაც პატივცემული მეცნიერი ყოროლისწყლის შესართავს მიიჩნევს. „მდ. „ბათუს", — წერს ს. ყაუხჩიშვილი, — ჭოროხის ჩრდილოეთით არის 12-13 კილომეტრის მანძილზე, და ეს შეიძლება იყოს ყოროლისწყალი, რომელიც ჭოროხის შესართავიდან, მართლაც 12-13 კილომეტრის მანძილზეა. აქვე უნდა ყოფილიყო ქალაქი და ნავსადგური... „Portus altus" (ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 19).

ისტორიკოსი დ. ბაქრაძე „Histoire du Bas-Empires" (XX, 501) დამოწმებით ბათუმზე წერს: „Он (ბათუმი—ი. ს.) служил римлянам военною станцией и во II в. по Р. Х. при императоре Адриане, вмещал в себе римский гарнизон" (Д. Бакрадзе, Арх. путешествие по Гурии и Адчаре, стр. 19).

დ. ბაქრაძეს ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ II საუკუნის ნახევარში ბათუმი უკვე არსებობდა, სადაც ამ დროს რომაელთა გარნიზონი იდგა. ასეთივე აზრია გატარებული ა. ფრენკელის მრავალგზის მოხსენებულ წიგნშიც (გვ. 58).

ჩვენი აზრით, II საუკუნის მეორე ნახევრის უადრეს ბათუმის არსებობაზე ლაპარაკი ყოვლად შეუძლებელია და გამორიცხულია.

ადრიანე კეისრის დროს, ან უწინარეს ხანაში, რომ ეს პუნქტი არსებულიყო და, მით უმეტეს, აქ რომ მაშინ რომაელთა გარნიზონი მდგარიყო, წარმოუდგენელია მისთვის ყურადღება არ მიექცია რომის კეისრის მოხელე არიანეს და საგანგებოდ არ შეეტანა თავის მოხსენებაში, რომელიც მან ადრიანეს წარუდგინა. არიანე ისეთი დაკვირვებული ავტორია, რომ მას არათუ ასეთი, არამედ ბევრად უფრო უმნიშვნელო პუნქტებიც და გეოგრაფიული ადგილებიც კი აქვს აღნუსხულ-გამოკვლეული.

„ტაბულა პევტინგერიანას" ცნობა „პორტუს ალტუს" შესახებ, თუ ეს მართლაც ბათუმს გულისხმობს, ძლიერ საინტერესოა.

ლათინურ „პორტუს" ქართული შესატყვისებია „ნავსადგური", „ქალაქი". პროფ. ს. ყაუხჩიშვილს ის ნავსადგურად გადმოაქვს (იხ. მისი ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, გვ. 22-23), ხოლო დოც. ნ. ლომოურს — ქალაქად (იხ. მისი, ძველი საქართველოს გზების საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. 1, 1958 წ., გვ. 105).

რაც შეეხება სიტყვა „ალტუს"-ს, მისი პირდაპირი მნიშვნელობაა „ღრმა". „სიტყვა-სიტყ-

ვით ეს (პორტუს ალტუს — ი. ს.) ნიშნავს „ღრმა ნავსადგური“. — წერს პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ლათინური სახელწოდება სხვა გზით არის წარმოშობილი: სახელდობრ, რუკის შემდგენელისათვის ცნობილი იყო ამ ნავსადგურის ბერძნული სახელწოდება „ბათვს“, რომელიც წარმოშობით ქართული სიტყვაა (ბათ-ომ-ი), მაგრამ გააზრებულა როგორც ბერძნული βαθύς „ღრმა“, ხოლო... კარტოგრაფმა ეს ბერძნული სიტყვა გადათარგმნა ლათინური ექვივალენტური სიტყვით altus „ღრმა“. ასე რომ Portus altus კი არ უნდა გავიგოთ როგორც „ღრმა ნავსადგური“, არამედ როგორც „ნავსადგური ალტუსი“ (ე. ი. ბათვს-ი) (ს. ყაუხჩიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 22-23. ხაზი ჩვენია — ი. ს.).

„პორტუს ალტუს“ ადგილმდებარეობისა და ამ ცნობის მომდინარეობის საკითხს ეხება დოც. ნ. ლომოური აღნიშნულ ნარკვევში. ავტორი მიუთითებს მილერზე, რომელიც „პორტუს ალტუს“ ადგილსამყოფელად არიანეს მდ. ბათისის შესართავის მიდამოებს ვარაუდობდა, და დასძენს: „თუ ჩვენ კ. მილერის... აზრს გავიზიარებთ, უნდა დავასკვნათ, რომ „პორტუს ალტუს“ თანამედროვე ბათუმის ადგილას ან მის მახლობლად მდებარეობდა. ამასთან, ვფიქრობთ, რომ ეს ცნობა საკმაოდ ძველი წყაროდან მომდინარეობს. ჯერ ერთი, კასტორიუსი მას „ძ ვ ე ლ ქალაქს“ უწოდებს. გარდა ამისა არც ერთ ძველ ავტორს ამ ადგილას ქალაქი ან რაიმე დასახლებული პუნქტი ნახსენები არ აქვს. შეუძლებელია იგი გამორჩენოდა, მაგალითად, არიანეს, რომელიც ასე დაწვრილებით აღწერს ამ ადგილებს“ (გვ. 105). ავტორის აზრით „...არიანეს „ძველი ქალაქი“ ან აქ არ დახვედრია, — იგი უკვე დანგრეული იყო, ან ამ დროისათვის უმნიშვნელო დაბად იყო ქცეული“ (იქვე).

ნ. ლომოური ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ VI საუკუნეში ამ მიდამოებში გამობრწყინდა ციხე-ქალაქი პეტრა. მისი ვარაუდით: „...იუსტინიანემ უდაბურ ადგილას კი არ ააგო ახალი ქალაქი, არამედ გაამაგრა და გაზარდა ამ ადგილას არსებული რაიმე დაბა ან სოფელი. შესაძლოა, აქ სწორედ „ძველი ქალაქის“ მნიშვნელობის აღდგენის ფაქტთან გვქონდეს საქმე“ (იქვე, გვ. 105-106).

იუსტინიანე კეისარს რომ პეტრა უკაცრიელ ადგილას არ აუგია, ეს კარგად დასტურდება პროკოპი კესარიელის ცნობებით, მაგრამ პეტრაში რომ „ძველი ქალაქი“-ბათუმის მნიშვნელობის აღდგენა იგულისხმებოდეს ნაკლებ სარწმუნოა.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა ყურადღება მიაქცია „პასქალური ქრონიკის“ ცნობას იმის შესახებ, რომ ანდრია პირველწოდებული ქადაგებდა „დ ი დ ქ ა ლ ა ქ შ ი ც“, სადაც არის ციხე აფსაროსი და მდ. ფაზისი“ (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, თბ. 1941 წ., გვ. 10, შენიშვნა 2; მისივე, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, გვ. 2). მისი აზრით მდ. ფაზისი ამ შემთხვევაში არის მდ. ჭოროხი, ხოლო „დ ი დ ი ქ ა ლ ა ქ ი“ (მეგალე პოლისი) — ბათუმი (იქვე, გვ. 21).

პასქალური ქრონიკა VII საუკუნის 30-იან წლებშია შედგენილი, მაგრამ აღნიშნული ცნობა ავტორს ძველი წყაროდან მოაქვს. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის სიტყვით „მეგალე პოლისი“ ეს იგივე „ტაბულა პევტინგერიანას“ „პორტუს ალტუსია“. „აქ (სადაც აღნიშნულ რუკაზე ხსენებული პუნქტია ნაჩვენები — ი. ს.) ყოფილა... „დიდი ქალაქი“ (ბათუმი); რომ ეს დიდი, მნიშვნელოვანი ნავსადგური არ ყოფილიყო,—დაასკვნის მკვლევარი,—არც „ტაბულა პევტინგერიანას“ ავტორი შეიტანდა მას საგანგებოდ“ (იქვე, გვ. 23).

„ტაბულა პევტინგერიანას“ „პორტუს ალტუს“ შეიძლება მართლაც თანამედროვე ბათუმის წინაპარი იყოს, მაგრამ ჰიპოთეზა „მეგალე პოლის“ — ბათუმის იგივეობის შესახებ, არ დასტურდება.

„პასქალური ქრონიკის“ ტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, მაშინ უფრო მართებული იქნებოდა „მეგალე პოლის“-ად აფსარუნტი (ჭოროხის შესართავთან) მიგვეჩნია. ამ რაიონში სწორედ ეს იყო „დიდი ქალაქი“.

პროკოპი კესარიელიც ხომ ამბობს: „...ეს ქალაქი (აფსარუნტი — ი. ს.) ძველად მრავალმცხოვრებიანი ყოფილა. მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და ჰიპოდრომით და მას მრავალი სხვა რამეც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქ ა ლ ა ქ ი ს ს ი დ ი დ ი ს მ ო მ ა ს წ ა ვ ე ბ ე ლ ი ა. ამჟამად (VI საუკ. — ი. ს.) აქედან სხვა არაფერია დარჩენილი გარდა ნაშენობათა საძირკვლებისა“ (ს. ყაუხჩიშვილი, პროკოპი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VII, გვ. 146-147, ხაზი ჩვენია — ი. ს.).

მაგრამ, როგორც პ. ინგოროყვამ გამოარკვია, „პასქალური ქრონიკის“ ის ადგილი, სადაც ჩვენთვის საინტერესო ცნობაა დაცული, დაზიანებულია და პირველწყაროებთან (დოროთეოს ტვირელი, ეპიფანე კვიპრელი და სხვ.) შედარება ადასტურებს, რომ იგი ეხება არა აფსარუნტს ან ბათუმს, არამედ სუხუმს, სებასტოპოლს (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954 წ., გვ. 224, შენიშვნა 2, აგრეთვე გვ. 223-224). დასახელებული პუნქტი ბათუმი „ბათუს“-ის ფორმით პირველად XIV საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის მიხეილ პანარეტის „ტრაპეზუნდის ქრონიკა“-ში გვხვდება. ამ ქრონიკის ცნობით, 1373 წელს ბათუმში მოსალაპარაკებლად ერთმანეთს შეხვდნენ ტრაპიზონის კეისარი მანუილ კომნენი და გურიელი. „ავგისტოს ექვს, ამბობს პანარეტი, — ჩვენ ჩავედით ლაზიკაში და თვის ბოლოს, 6381 წელს (1373 წ.) კინახულეთ ბაგრატ მეფე. შემდეგ მივედით ბათუსში და დავბინავდით ს ო ფ ლ ი ს გ ა რ ე თ... აქ შევხვდით და მოლაპარაკებას ვაწარმოებდით გურიელთან“ (მ. პანარეტი, ტრაპეზუნდის ქრონიკა, 1906 წ., გვ. 46).

სოფელი ბათუმი და მისი მიდამოები ამ დროს გურიელის სამფლობელოში შედიოდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ., 1949 წ., გვ. 284).

ცდება ხ. ახვლედიანი, როცა წერს, რომ „1370 წელს ბათის ლიმანი (ე. ი. ბათუმის — ი. ხ.) კვლავ ტრაპიზონის მმართველობაში შედიოდა“ (ხ. ახვლედიანი, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, ბათუმი, 1944 წ., გვ. 166). ბათუმი არასოდეს არ ყოფილა ტრაპიზონის იმპერიის შემადგენლობაში. საქართველოს საზღვრებში ამ დროს არა მარტო ბათუმი, არამედ უფრო სამხრეთით მდებარე ქართული თემები, გონიაცა და მაკრიალიც კი შედიოდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ., 1949 წ., გვ. 283-284).

XIV საუკუნეში ბათუმი, მაშასადამე, ყოფილა სოფელი. ავტორთა უმრავლესობა, რომელიც კი ბათუმს ეხება, უყურადღებოდ სტოვებს ამ ფაქტს და უძველესი დროიდან ქალაქ ბათუმზე მსჯელობს, მაშინ, როდესაც ბათუმის ქალაქად ქცევა გაცილებით გვიანდელი ამბავია.

პლ. იოსელიანს თუ დავუჯერებთ ბათუმის ქალაქად ქცევა ბაგრატ IV (1027 — 1072 წწ.) სახელთან ყოფილა დაკავშირებული. მისი სიტყვით: „Торговыя сношения с греками и Малоазиатскими купцами подали случай царю Баграту IV образовать здесь город в начале XI века“ (Пл. Иоселиани, Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифл. 1850 г., стр. 81—32).

ასეთი მტკიცება სინამდვილეს არ შეეფერება. საამისოდ აუცილებელი არავითარი საბუთი პლ. იოსელიანს არ მოაქვს და არც არსებობს საერთოდ.

ხ. ახვლედიანის სიტყვით პ. იოსელიანი ამ შემთხვევაში ვახუშტის ემყარება. მას მოაქვს ამონაწერი, სადაც ლაპარაკია ბაგრატ IV მიერ ბათუმში ქალაქის აშენებაზე 1031 წელს. ამას წერს ვახუშტი თავის გეოგრაფიაშიო — ამბობს ხ. ახვლედიანი (ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, გვ. 165). მაგრამ მეცნიერი ბატონიშვილის გეოგრაფიის არც ერთ გამოცემაში მსგავსი ადგილი არ იპოვება.

ქალაქ ბათუმის აშენებას ბაგრატ IV დამსახურებად თვლის აგრეთვე პროფ. მ. ჯანაშვილიც (ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის რედაქციით, ტფ. 1901 წ., გვ. 322, შენიშვნა 530).

. რა როლს თამაშობდა ბათუმი ერთიანი ფეოდალური საქართველოს ცხოვრებაში ან რა მნიშვნელობის პუნქტი იყო ის იმ დროს, არაფერი ვიცით, სათანადო ცნობების უქონლობის გამო.

ვლ. სიჭინავას მტკიცებით: „მე-12-13 საუკუნეებში ფეოდალური საქართველოს — წინა აზიის ამ ძლიერი სახელმწიფოს—ცხოვრებაში ბათუმი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, როგორც სავაჭრო ნავსაყუდელი და სატრანზიტო პუნქტი“ (ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958 წ., გვ. 14).

ავტორი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რას ემყარება მისი აზრი. უსაბუთო განცხადებას კი მეცნიერული ღირებულება არა აქვს.

XV საუკუნის 70-იან წლებში ბათუმი მცირე ციხე-ქალაქად იხსენიება. ვენეციის დესპანი ამბროზიო კონტარინის სიტყვით: „29 ივნისს (1474 წ. — ი. ხ.) მივედით ბათომში... ბათომი ციხეა და მცირე ქალაქი სამეგრელოს მთავრისა“ (იტალიელი მოგზაურები საქართველოში, თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი, „მოამბე“, 1894 წ., № 11, გვ. 49).

კონტარინის ცნობით ეს იყო ბედიანი, რომელსაც გორბოლა (Gorhola) რქმევია (იქვე). ბედიანისავე საგამგეოში ასახელებს ბათუმს კონტარინის წინამორბედი იტალიელი იოსიფა ბარბაროც (იქვე. გვ. 45).

ალ. იოსელიანის სიტყვით: „Путешественники грубо ошибаются называя Батум городком Мингрелии а владельца его Горболею. Из истории известно, что в это время Батумом владел Ахалцихский Атабег, именовавшийся Кваркварою (ყუარყუარე). Этот Кварквара есть искаженное итальянцами Горгола и Гергоре. В одном месте сам Контарини Горгору называет государом Халцихана, т. е. Ахалцыха" (ალ. იოსელიანი დასახ. ნაშრ., გვ. 32, შენიშვნა 2). ასეთი მტკიცება სწორი არ არის. წყაროებში არავითარი ისეთი ჩვენება არ შემონახულა. რომელიც ადასტურებდეს ამ დროს ბათუმის არსებობას ათაბაგის მფლობელობაში. ეს გორბოლა, როგორც აკად. ი. ჯავახიშვილი ფიქრობდა, უნდა იყოს შამადავლა ლიპარიტისძე, რომელსაც წყაროები დადიან-გურიელად იხსენიებენ. წოდება დადიან-გურიელისა იმას მოწმობს, რომ იგი სამეგრელოს გარდა გურიის გამგებელიც ყოფილა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წ. IV, თბ., 1948 წ. გვ. 108). ამ მთავრის სახელისუფლოში შედიოდა ბათუმიც.

XVI საუკუნის შუახანებში გურიის სამთავროს ძლიერად შემოუტია ოსმალეთმა. გურიელი ვეღარ უმკლავდება მტერს და კარგავს ჭანეთს. 1547 წელს ოსმალები იპყრობენ გონიის ციხეს და ამავე დროს შემოდიან ბათუმშიც. ვახუშტის მოწმობით „თურქებმა მიუღეს გურიელს (როსტომ პირველს — ი. ს.) ჭანეთი, დაუწყეს შენება (გამაგრება — ი. ს.) ციხესა ბათომს" (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის რედ., ტფ. 1913 წ., გვ. 289). გურიის მთავარმა ძალა მოიკრიბა, მედგრად შეება მტერს და ჭოროხს გაღმა განდევნა. ოსმალები გონიის ციხეში გამაგრდნენ. როსტომ გურიელს ბრძოლის განგრძობა ჰქონდა განზრახული, მაგრამ იმერეთის მეფე ბაგრატის (1510 — 1565 წ.წ.) „ზაკვველობით" დამხმარე ძალები ვეღარ მიუვიდნენ, თავის მხედრობით კი „არა ძალედვა განსვლა გონიას და ბრძოლა ოსმალთა" (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 289).

ეს იყო თურქთა პირველი შემოსვლა ბათუმში. არ არის მართალი შ. მეგრელიძე, როცა ამტკიცებს, თითქოს 1500 წელს ბათუმთან დიდი ბრძოლა მომხდარიყოს თურქების წინააღმდეგ ან კიდევ 1504 წელს კლარჯეთიდან დაძრულ ოსმალთ აეღოთ ბათუმი და აქედან გურია-იმერეთზე ელაშქრათ (შ. მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი, 1956 წ., გვ. 6-7). არც 1519 წელს გამოჩენილან თურქები ბათუმთან, როგორც ამას ავტორი ცოტა ქვემორე აღნიშნავს (გვ. 7). ასეთი ცნობები სანდო წერილობით წყაროებში არ არსებობს; შ. მეგრელიძე, როგორც ჩანს, ზ. ჭიჭინაძეს ემყარება. ზ. ჭიჭინაძის ზეპირსიტყვიერ ცნობებზე დამყარებული მსჯელობა მეტწილად სარწმუნო არ არის.

1547 წლიდან მოკიდებული ოსმალები არა ერთხელ შემოჭრილან გურიასა და აჭარაში, მაგრამ აქ მტკიცედ ფეხის მოკიდება მაინც დიდხანს ვერ შესძლეს.

ბათუმში ოსმალები სტაბილურად მკვიდრდებიან XVIII საუკუნის 20-იან წლებიდან.

ქართველები არასოდეს შერიგებიან ამ აქტს და მუდამ ზრუნავდნენ ბათუმის დაბრუნებისათვის, მაგრამ დაჩიხულ საქართველოს საკუთარი ძალებით ამ ამოცანის განხორციელება არ შეეძლო. აუცილებელი იყო ძლიერი საგარეო მოკავშირის მოშველება. ასეთი ძალა რუსეთი იყო.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთი ძლიერად წამოეჭიდა ოსმალეთს და რამდენჯერმე წამოაჩოქა კიდეც. ქართველები იმედის თვალით შესცქეროდნენ ერთმორწმუნე და ძლიერ ჩრდილოელ მეზობელს. გულწრფელად ახარებდათ მისი ყოველი წარმატება ოსმალეთთან ომებში; რუსეთ-ოსმალეთის ომებში ქართველთა და რუსთა ინტერესები ყოველთვის ემთხვეოდა. და ეს გასაგებიცაა: რუსეთი ქართველთა მოსისხარ მტერს ებრძოდა. ქართველები კარგად გრძნობდნენ, რომ ახლოვდებოდა დღე, როდესაც თავს დააღწევდნენ ოსმალთა გამანადგურებელ რბევა-თარეშს და დაიბრუნებდნენ თურქთაგან მიტაცებულ ქართულ მიწა-წყალს, მათ შორის ბათუმს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში, როგორც ცნობილია, რამდენიმე პოლიტიკური ერთეული არსებობდა, მათ შორის, ყველაზე ძლიერი იმერეთის სამეფო იყო.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში იმერეთში რუსოფილთა საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი წრე არსებობდა. ამ წრის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ: მეფე დავითი, მდივანბეგი დავით ქეინიხიძე, ბესიკი, კათალიკოსი მაქსიმე აბაშიძე და სხვ. ამ წრეს გულწრფელად სწამდა, რომ რუსეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელიც ყველგან „მშვიდობასა და სიწყნარეს“ ამკვიდრებდა. რუსეთის პოლიტიკა ამ პოლიტიკოსთა შეხედულებით „ქებული და შესამატი პოლიტიკა“ იყო (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, ისტორიული დოკუმენტები, გამოსცა შ. ბურჯანაძემ, თბ., 1953 წ., გვ. 5-6, 16).

ეს დასი რუსეთზე დიდ იმედებს ამყარებდა. მათ შორის, რუსთა დახმარებით ფიქრობდა ბათუმიდან და ფოთიდან თურქთა განდევნას.

გრ. პოტიომკინისადმი ბესიკის (იმერეთის დესპანი) მოხსენებით ბარათში, რომელიც 1789 წლის 5 დეკემბრითაა დათარიღებული, ვკითხულობთ: „უგანათლებულესო კნიაზო მოწყალეო ხელმწიფევ!

ახალციხეს დასვათ რუსეთის კონსული, რათა არღარა შეიძლოს ოთამანის კარმან დაფარული მტერობა არცა გარეგანით, არცა შინაგან ქვეყანასა ჩვენსა.

ბათუმს — გური(ა)ს ნავთსაყუდელზედ და ფოთს — ოდიშის ნავთსაყუდელზედ სიტყვა იოქვას. და თუმცა ნებით გაუშვან, უმჯობესია ჩვენთვის, და თუ არა იმ ორს ადგილსაც რუსეთის კონსული დასვათ, რათა და(ა)ყენოთ ჩვენის ქვეყნების ტყვის გაყიდვა იმ ადგილებში და ევრეთვე სავაჭრო რუსეთის (ნავები) მოვიდოდნენ ამ ხსენებულს ნავთსაყუდელზედ“ (იქვე, გვ. 14-15).

იმერეთის სამეფო კარი კარგად ითვალისწინებდა ამ ნავსადგურთა შემოერთების არარეალობას ამ პერიოდში და ამიტომ მოითხოვდა: თუ ეს ვერ მოხერხდა, რუსთა კონსულები მაინც დასვით ბათუმსა და ფოთში, რომ ტყვის სყიდვისაგან დაგვიფარონო.

ბათუმის შემოერთების აუცილებლობის წინაშე დადგა რუსეთი დასავლეთ საქართველოში შემოსვლის პირველივე დღეებიდანვე. ეს საკითხი ჯერ კიდევ 1804 წელს დააყენა მთავარმართებელმა პ. დ. ციციანოვმა (აქტები, ტ. II, გვ. 476). რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ყურად იღო პ. ციციანოვის აზრი და თავის სტამბოლელ ელჩს დაავალა ეწარმოებია მოლაპარაკება ბათუმისა და შავი ზღვის სანაპიროს სხვა ციხე-სიმაგრეთა დათმობის შესახებ, მაგრამ იქედან არაფერი გამოვიდა.

ვერც 1806 — 1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა მოუტანა განთავისუფლება ბათუმს. უშედეგო გამოდგა ამ მხრით რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომიც. ვერც ყირიმის ომშა გადასჭრა ბათუმის საკითხი. ბათუმის შემოერთება მხოლოდ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად გახდა შესაძლებელი. ბერლინის ცნობილი ტრაქტატით ბათუმი ბევრ სხვა მიტაცებულ ქართულ მიწებთან ერთად საქართველოს დაუბრუნდა. ეს დიდი მონაპოვარი იყო. ქართველებმა ზეიმით მართებდათ და კიდევაც შესაფერისად იდღესასწაულეს ეს ფაქტი. ეს ამბები ფართოდაა ცნობილი და ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით (იხ. შ. მეგრელიძე, საქართველო რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის პერიოდში, ბათუმი, 1955 წ. (რუს. ენაზე); მისივე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი, 1956 წ.).

თურქთა მფლობელობის ხანაში ბათუმი უაღრესად დაჩაჩანაკებული იყო. ადრიანე დიუპრეს 1807 წლის ცნობით, ბათუმი უფრო სოფელს წააგავდა, ვიდრე ქალაქს თავისი ორი ათასამდე მცხოვრებით.

იტალიის ბათუმელი კონსული გ. მალმუზი XIX საუკუნის 50-იან წლებში ბათუმს მოიხსენებდა „პატარა სოფლად“, რომელიც მეთევზეთა და კონტრაბანდისტთა თავშესაფარი იყო“.

შემოერთებამდელი ხანის ბათუმს შესანიშნავად გვისურათებს ნ. ნიკოლაძის შემდეგი ცნობა: „ბათუმის ქალაქი ასიოდე უბედურ სახლს და ქოხს ჰქვია, ზოგი მათგანი დაბწნილი და შეტკეჩილი ფაცხაა, ზოგი ფიცრულია, ორიოდე შენობა ქვითკირისაც იქნება“ (ჩვენი, ბათუმის წარსულიდან“, გვ. 90).

ბათუმის მოსახლეობის შესახებ XIX საუკუნის II ნახევრისათვის მრავალი განსხვავებული ცნობა მოგვეპოვება. ჯ. პალგრევის 1868 წლის მონაცემებით, ბათუმის მცხოვრებთა რიცხვი 4.970 სულს უდრიდა (იქვე, გვ. 91).

70-იანი წლების ბოლოსათვის, ომისა და მუჰაჯირობის გამო ბათუმის მოსახლეობის რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა და არ აღემატებოდა სამი ათასს (იქვე).

ბათუმის მოსახლეობამ სწრაფად იმატა შემოერთების შემდეგ. 1886 წლისათვის ბათუმი 14.803 მცხოვრებს ითვლიდა (იქვე, შენიშვნა 2).

ი. ს. მესხის ცნობით თურქთა ბატონობის დროს ბათუმი შემდეგ უბნებად იყოფოდა: „აზიზიე-მეჰელე“ (ავტორი „მეჰელეს“ ყველგან დამახინჯებით უწოდებს „მეხლესე“-ს), „აჰმედ-ფაშა-მეჰელე“, „მუფთიე-მეჰელე“, „ნურიე-მეჰელე“ (ი. მესხი, ნარკვევი ბათუმის საქალაქო მეურნეობის განვითარებისა „ბატუმ ი ეგო ოკრესტნოსტი“, გვ. 463, შენიშვნა).

ხ. ახვლედიანი აზიზიეს და ახმედ ფაშას უბნების გვერდით ასახელებს „აბაზა მეჰელესა“ და „სარისუ მეჰელეს“ (იხ. მისი, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, გვ. 174). აბაზა მეჰელე ეს იგივე ნურიეს უბანია, რომელიც აფხაზებით იყო დასახლებული; რაც შეეხება სარისუს, იგი ოსმალთა დროს ბათუმის „მეჰელე“ არ ყოფილა. სარისუ შემოერთების შემდეგ იქცა ქალაქის უბნად (ს. ანისიმოვი, ბათუმის სანაპირო, „რუსკიე ტროპიკი“, 1911 წ., გვ. 125).

შემოერთებამდე ბათუმს ძალიან მცირე რაოდენობის ქუჩები გააჩნდა. ი. მესხის სიტყვით: „...**Почти все они были замощены очень недурно мелким гравием. За исключением набережной, все улицы для протока дождевых вод имели скаты не по бокам, как это обыкновенно бывает, а посередине**“ (ი. მესხი, დასახ. ნაშრ., გვ. 463).

აი იმ დროინდელი ბათუმის ზოგიერთი ქუჩისა და შესახვევის სახელი: „ალი-კიისი“, „ჯამი-არასი“, „ამამ-სოხახი“, „აზიზიე-სოხახი“, „ბურუნ-ბაში-სოხახი“, „ურუმ-სოხახი“, „ნურიე-სოხახი“ და სხვ. (ი. მესხი, დასახ. ნაშრ., იქვე, შენიშვნა).

ოსმალების დროს ბათუმს მცირე ტერიტორია ეჭირა. დასახლება დღევანდელ ა. პუშკინის ქუჩას არ სცილდებოდა. მთელი იქითა მხარე გაუვალ ჭაობს წაელო. თხელი მოსახლეობა იყო „ნურიე-გელის“ მიდამოებშიც.

შემოერთების შემდეგ სწრაფად იწყო ზრდა ქალაქის ტერიტორიამ. გარკვეული ღონისძიებანი გატარდა ჭაობებთან ბრძოლის ხაზით, მაგრამ ჭაობებმა ბათუმში მაინც ბლომად მოატანეს ჩვენს დრომდე. საბჭოთა პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბათუმის კეთილმოწყობას. ბათუმი დღეს საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია.

დასასრულ, სახელწოდების შესახებ.

ამ სახელწოდების შესახებ მრავალ მკვლევარს გამოუთქვამს შეხედულება. აკად. ნ. მარი ბათუმს ბერძნულ სიტყვად თვლიდა (ბათჲს ბერძნულად ღრმას ნიშნავს).

ასეთი აზრი სინამდვილეს არ შეესაბამება. ბათუმი ადგილობრივი გეოგრაფიული სახელი ჩანს, რომელიც ბერძნებს, სახელთა ერთგვარი დამსგავსების გამო („ბათომი“-„ბათჲ“-ს), „ღრმად“ გაუაზრებიათ. უცხოური სახელების თარგმნა ან თავისებური გააზრება დამახასიათებელი იყო ძველი ბერძნებისათვის.

ერთი ხალხური ეტიმოლოგია ამ ქალაქის სახელს უკავშირებს თურქულ „ბათთუმ“-ს (ხ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 163). ეს სიტყვა „ბათმაქ“ ზმნის პირველი პირია ნამყოში (ძველი ფორმით) და ნიშნავს „ჩავეფალი“. ბათუმის ამგვარ განმარტებას არავითარი მეცნიერული ღირებულება არა აქვს. ჯერ ერთი, გეოგრაფიულ სახელად ზმნა არ გვხვდება, და მეორეც, ეს პუნქტი ამ სახელით გაცილებით ადრე მოიხსენება, ვიდრე მას თურქები დაიპყრობდნენ.

პროფ. მ. ჯანაშვილი ბათომს „ბატი“-საგან (ფრინველი) წარმომდგარ სახელწოდებად მიიჩნევდა. „ბათომს სტრაბონი უწოდებს ბატას, — წერდა იგი, — ...ასევე უწოდებს ამ ქალაქს პტოლომეოსი. როგორც ბატა, ისე ბატამი ნიშნავს ბატიანს (შეად. მეგრ. ცხენამი-ცხენიანი, მეგრ. ძალამი-ძალიანი-ძალუმი; მსგავსადვე: ბატი-ბატა-ბატიანი-ბატამი-ბატუმი-ბათუმი. თ-ტ: ქვიტკირი — ქვითკირი)“. (ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით, ტფ. 1904 წ., გვ. 322, შენიშვნა 530).

ბათუმს არაფერი აქვს საერთო იმ ბატასთან. რომელსაც სტრაბონი იხსენიებს (ამაზე ზემოთ იყო ნათქვამი) და არც ბატისაგან მომდინარეობს მისი სახელწოდება. მ. ჯანაშვილის ენათმეცნიერული არგუმენტები კრიტიკას ვერ უძლებს.

ასევე ითქმის იმ ეტიმოლოგიის შესახებაც, რომელიც „ბათომს“ სიტყვა „ბატონის“ დამახინჯებად თვლის (ხ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 164).

სახელწოდების მართებული ახსნისათვის მისი სწორი დაშლაა საჭირო. ამის გარეშე სასურველი შედეგის მიღება შეუძლებელია. ქალაქის სახელში ბათ-ომ-ი (ასეთია ამ სახელწოდების ძველი ქართული დაწერილობა) ბათუ ან ბათო კი არ გამოიყოფა, როგორც ეს ზოგიერთებს

ჰგონიათ, არამედ „ბათ“ ფუძე და „ომ“ სუფიქსი. ეს სახელწოდება ასე მართებულად პირველად პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა დაშალა.

პროკოპი კესარიელის საქართველოს შესახებ ცნობების ქართული თარგმნის შენიშვნებში, რომელიც 1933 წელს დაიბეჭდა, ს. ყაუხჩიშვილი წერდა: „ბათომი ისეთ ნაწარმოები სახელია, როგორც ბორჯომი, წრომი, თორთომი და სხვ. ე. ი. -ომ-სუფიქსით ნაწარმოები სახელია, ხოლო ძირი ბ ა თ უნდა ენათესავებოდეს სვანურ სიტყვას „ბ ა ჩ“, რომელიც ქვას ნიშნავს“ (საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VII, ტფ. 1933 წ., გვ. 129, შენიშვნა 1).

„ბათ“ ფუძის ქართულ ნიადაგზე ახსნის ეს ცდა საინტერესოა, თუმცა მის „ბაჩ“-თან დაკავშირებას დაბრკოლებას უქმნის სვანურ-ქართული ენების ბგერათა შესატყვისობის კანონზომიერება.

ამგვარი მოსაზრება მაშინ იქნებოდა უპოჰმანო-უცილობელი, რომ „ბაჩ“-ის შესაპირისპირებელ ფუძეში „თ“-ს ნაცვლად „ქ“ გვქონოდა, რომელიც სვანური „ჩ“-ს ქართული შესატყვისია, ანდა „ბათ“-ის ნაცვლად სვანურში რომ „შდ“ კომპლექსი ყოფილიყო (შეადარე თაგვი-შდუგვ, დათვი-დაშდვ და სხვ.).

„ბათუმის“ წარმომავლობის საკითხს პროფ. ს. ყაუხჩიშვილი 1951 წელს დაბეჭდილ წერილშიც („ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის“) შეეხო.

ბერძნულ-რომაულ მწერლობაში დაცული ცნობების შესწავლას სახელმოხვეჭილი მეცნიერი ასეთ დასკვნამდე მიჰყავს: „სახელწოდება „ბ ა თ ე ს“.. წ ა რ მ ო შ ო ბ ი თ ქ ა რ თ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ა ა (ბ ა თ-ო მ-ი), მ ა გ რ ა მ გ ა ა ზ რ ე ბ უ ლ ი ა, რ ო გ ო რ ც ბ ე რ ძ ნ უ ლ ი „ბ ა თ ე ს“, „ღ რ მ ა“ (ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. X, 1950-1951 წ.წ., გვ. 23. ხაზი ჩვენია — ი. ს.).

ეს სწორი შეხედულებაა. ბათომი რომ მართლაც ქართული სახელწოდებაა ამას ადასტურებს სუფიქსი — ომ, რომელიც ამ სახელწოდებაში გამოიყოფა.

ომ ფორმანტის თავდაპირველი ფუნქცია, დოც. ალ. ღლონტის გამოკვლევით, არის აწარმოოს ვნებითი და საშუალო გვარის მიმღეობის ფორმები მა—, სა—, ნა— წინსართებთან ერთად, იგი პასიური ფუძეებიდან აწარმოებს აგრეთვე მასდარ ფორმებსაც. ისტორიულად, როგორც ირკვევა, ეს სუფიქსი სახელთა ფუძის საწარმოებლადაც გამოიყენებოდა. ამას ადასტურებს დღემდე შემონახული არსებითი და გეოგრაფიული სახელები, მაგალითად, ცომ-ი, წრომ-ი და სხვ., რომელთა ფუძეშიც — ომ ელემენტი სუფიქსის სახით არის წარმოდგენილი (ალ. ღლონტი, მოკლე შენიშვნები, ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. II. 1947 წ., გვ. 165).

-ომ სუფიქსი „ო“ და „მ“-ად იშლება. ამათ შორის სპეციფიკურია „მ“, ხოლო „ო“ ბაგისმიერი „მ“-ის წინ ასიმილაციას განიცდის და „უ“-დ იქცევა. ამ გზით შეიცვალა „ბათომი“ „ბათუმ“-ად (შდრ. „ლეჩხომი“-„ლეჩხუმი, „თორთომი-„თორთუმი“). ეს ფორმა (ბათუმი) ჩვენს დროში დაკანონდა კიდეც.

2. ამ სახელით წინათ იწოდებოდა უბანი, ტბა და ბაზარი. დღეს იგი მხოლოდ ტბას შემორჩა.

სახელწოდება ნურიე პირველადია უბნისათვის, ხოლო მეორადი და მირქმეული — ტბისათვის.

ჩვენთვის საინტერესო ტბა რამდენიმე სახელწოდებით მოიხსენება: „ნურიე-გელ“-ი, „ნურიე“, „ბათუმის ტბა“ და სხვ.

ამათგან ძველი და გავრცელებულია „ნურიე-გელ“ და „ნურიე“. ჩვენც ამათზე შევჩერდებით.

რას ნიშნავს „ნურიე-გელ“?

ყველა დაინტერესებული პირი ვინც დღემდე ამ საკითხს შეხებია, ლეგენდას არ გაშორებია. ნაშრომში „აჭარის ასსრ დასავლეთი ნაწილის ლანდშაფტები“, ქ. ალასანია წერს: „ცნობილი ლეგენდის მიხედვით, ბათუმის ტბაში დაიხრჩო ბავშვი ნური. „ნური გელ“ თურქულად ნიშნავს „ნურის ტბა“ (რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ბათუმი, 1958 წ., გვ. 219, შენიშვნა 1).

ლეგენდა მართლაც ნურის დახრჩობაზე მიუთითებს. მაგრამ სახელწოდების განმარტებისას ავტორი ვერ იცავს სიზუსტეს და წერს: „ნური გელ“, „ნურის ტბას“ ნიშნავსო.

ეტყობა, სათანადო ყურადღება ვერ მიუქცევია თურქული სიტყვისათვის „გელ“ და იგი „ტბა“-დ უთარგმნია, მაშინ როდესაც „გელ“ ქართულად ნიშნავს „მოდი“, ხოლო ტბას ეწოდება „გიოლ“. „ნური-გელ“ ლეგენდით ნიშნავს: „ნური მოდი“. ასე იძახდა თითქოს ის უბედური აფხაზი ქალი, რომელსაც ლეგენდის უფრო გავრცელებული ვარიანტის მიხედვით, — შვილი (ნური) დახრჩობია ამ ტბაში.

სახელწოდება „ნურიე-გელ“ იმ ძნელად ასახსნელ ტოპონიმთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც დროთა ვითარებაში დიდი სახეცვლილება გამოუვლიათ და დიდად დაშორებიან თავიანთ პირვანდელ სახეს.

ჯერ ნურიე-გელ“-ის წინამორბედ ფორმაზე ვისაუბროთ:

„ნურიე-გელ“-ი დამახინჯებული ფორმაა „ნურიე-გიოლ“-ისა. სახელწოდება „ნურიე“ არ უნდა იყოს თურქული წარმოშობის სახელი. იგი ადგილობრივი სახელწოდების თურქული გადამახინჯებით უნდა იყოს მიღებული. ეს რომ ასეა, ამას სხვათა შორის ადასტურებს, ტბის სახელის დღემდე შემონახული ფორმა: „ნურიე-გელ“. ასეთი აგებულების ტოპონიმის გაჩენა უაუგებრობაზეა აგებული. და საკითხავია, რამ შვა ასეთი გაუგებრობა? იმან, რომ ტბის ადგილობრივი სახელი გაუგებარი იყო თურქთა ბატონობის ხანაში ბათუმში მოსული არაქართველებისათვის (თურქები, აფხაზები და სხე.). ამ სახელწოდებაში მათ მუსლიმანურ სამყაროში გავრცელებული სახელი „ნური“ ამოიცნეს. ასე მიეედით „ნურის ტბა“-მდე; მაგრამ ეს არ კმაროდა. საჭირო იყო ახსნა: რატომ უნდა წოდებოდა ამ ტბას ნურის სახელი? და კიდეც მოუძებნეს განმარტება: ამ ტბაში თურმე ვიღაც ნური დაიხრჩო და ამიტომ იწოდება ასეო.

დაინტერესებულმა ხალხმა, მაშასადამე, თვითვე გასცა პასუხი, მისთვის საინტერესო კითხვაზე. გასცა პასუხი, რა თქმა უნდა, ზღაპრულად. მაგრამ ხალხურ ეტიმოლოგიას მეტი არც მოეთხოვება.

ახლა სახელწოდება „ნურის“ პირვანდელი ფორმის შესახებ.

ჩვენ ზემოთ რამდენჯერმე ვახსენეთ ნურიე; ადგილობრივი წარმოშობის სახელია-თქო. თურქთა მფლობელობის დამყარების შედეგად ბევრი ადგილობრივი ტოპონიმი შეირყვნა, იცვალა სახე; ამაზე ჯერ კიდევ ნ. მარმა მიუთითა 1919 წელს. (ნ. მარი, წარწერა სარდურ მეორისა, („ზაპისკი კავკაზსკოგო მუზეია“, სერია B. გვ. 5-6).

ქართულ ტოპონიმიკის შერყვნა-გადაგვარებას მიტაცებულ ქართულ მხარეებში განაპირობებდა: ქართველი მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირება (ერთი ნაწილი მტერს შეაკვდა, მეორე გამოიქცა), თურქული ენის გაბატონება და ოსმალეთის მთავრობის გამათურქებელი პოლიტიკა, შემოერთების შემდეგ ოფიციალურ ენად რუსულის შემოღება და სხვ. (ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გვ. 26).

ყოველივე ამის შემდეგ თურქთა ბატონობის ხანაში ბევრი ქართული ტოპონიმი გადაგვარდა. ცნობილია, მაგალითად ქართული ცხუმის ბედი, რომლის გადათურქულებული ფორმაა დღევანდელი სუხუმი. როგორც ვხედავთ, უკანასკნელი პირველისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ასეთივე ბედი ხვდა მაგ., ცხროჭა-საც, რომელიც ს. ჯიქიას გამოკვლევით სიხრუჯ-ად გადამახინჯებულა (ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 115 — 119). ასეთები ბევრი შეგვეძლო დაგვესახელებინა. ამავე რიგის ტოპონიმი ჩანს „ნურიეც“. დარწმუნებული ამაში, ჩვენ დიდხანს ვეძიებდით ამ სახელწოდების ადგილობრივ შესატყვისს. ასეთი ძიების დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო ტოპონიმმა „ნორიო“-მ.

„ნორიო“ საკმაოდ გავრცელებული და ცნობილი ტოპონიმია საქართველოში. ამ სახელით იწოდება სოფლები აბაშისა და თბილისის რაიონებში (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., გვ. 216). ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ ეს სახელწოდება იყოს „ნურიეს“ თავდაპირველი ფორმა. „ნორიო“ და „ნურიე“ ფონეტიკურად არცთუ ისე შორს მდგომი და დიდად განსხვავებული ფორმებია. თანხმოვნები მათ დღესაც ერთნაირი აქვთ. ძირითადი განსხვავებულობა აქ მომდევნო ხმოვნებშია. პირველში „ო“ გვაქვს, მეორეში „უ“. ამ ბაგისმიერ ბგერათა შენაცვლება რაიმე არაჩვეულებრივ ფონეტიკურ სახეცვლილებას არ წარმოადგენს. იგი ძალიან ხშირად გვხვდება. მაგალითები ამის საილუსტრაციოდ ბათუმის ეტიმოლოგიის დროს საკმაოდ იყო მოტანილი და ამიტომ მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

არც ბოლოკიდურ „ო"-სა და „ე"-ს განსხვაევებულობა უშლის ხელს ასეთ გაიგივებას. თეჩქელს ახასიათებს საერთოდ ხმოვანკიდურიან სახელთა „ე"-ზე დაბოლოება. მაგ., გონიე, მეფთიე, აზიზიე და სხვ.

ამ ტბის შესახებ არსებული ლიტერატურის ძიებისას სრულიად მოულოდნელად შევხვდით მ. ბურჭანაძის ნაშრომს „ნორიოს ტბის ბენთოსი" (ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1949 წ., გვ. 1 — 20). სამწუხაროდ, ავტორს ასეთი ცვლილება სახელისა დასაბუთებული არა აქვს. ეტყობა, ეჭვი არ ეპარებოდა მის სისწორეში. მართებულობა ფორმისა ნორია|| ნორიო დაგვიდასტურა აკად. ნ. ბერძენიშვილმაც პირად საუბარში.

დასკვნა: უბნის სახელის მიხედვით აქ მდებარე ტბა იწოდა ნორიოს ტბად; ასევე უწოდებდნენ ბაზარსაც, რომელიც ამავე უბანში იდო ახლანდელი რევოლუციის მუზეუმის ტერიტორიაზე.

ნორიო რელიქტური ტბაა. ი. კ. გოლოლობოვის სიტყვით „Озеро Нурие-гель является образованием новейшего времени, морского происхождения, весьма опреснившийся благодаря наличию громадного материкового стока и фильтрации воды с озера в море" (Я. К. Гололобов, Озеро Нурие—Гель, Батуми, 1939 г., стр. 27 (рукопись)

ტბას ოვალური ფორმა აქვს და გადაჭიმულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მისი ფართობი, ქ. ალასანიას გამოანგარიშებით, 0,6 კმ-ია (ქ. ალასანია. დასახ. ნაშრ., გვ. 219):

ტბის რელიეფი სწორია, საწოლი — ვარცლისებური (მ. ბურჭანაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 1).

ამჟამად ტბის ზედა მცენარეულობა აღარ არის, წინათ კი მისი სანაპიროები ლისა და ჩალაყალამის შამბნარს ჰქონდა წალეკული (იქვე). წყალქვეშა მცენარეულობიდან აქ გვხვდება: Potamogonton sp. (წყლის ვაზი), Chara sp., და სხვ. პირველი ამ ტბის გაბატონებული ფლორაა (იქვე).

ნორიოს ზღვისაგან ჰყოფს ხმელეთის ზოლი, რომლის სიგანე 140 — 150 მეტრს აღწევს. 1941 წლამდე ტბა არხით უკავშირდებოდა ზღვას. შემდეგ ეს არხი ამოივსო, რამაც ზღვისა და ტბის ურთიერთობა უაღრესად შეამცირა. ზღვის წყალი მხოლოდ უმნიშვნელო ოდენობით ეჟონავდა ქალანგარში. 1957 წელს არხი გაიწმინდა და ისევ აღსდგა ძველი კავშირი.

ნორიოსთანა რელიქტები ბევრია შავი ზღვის სანაპიროზე. მათგან უმნიშვნელოვანესია: პალიასტომი, ინკითი, იმნათი, ანიმხწარა, დიდი და პატარა ბებესირი და სხვ. ყველა მათ ახასიათებს საშუალო სიღრმიანობა, არამდგრადი ქიმიური რეჟიმი, ფსკერის ნალექის მნიშვნელოვანი სისქე და წყლის ფლორის დიდი განვითარება. მათ ირგვლივ ადგილები უმეტეს წილად დაჭაობებულია. ამ ტბების საზრდოა ატმოსფერული ნალექები და მიწისქვეშა წყლები, ბევრი მათგანი გამდინარეა (თ. ნუცუბიძე. საქართველოს ტბები, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია, ტ. III, ნაკვ. 2, თბილისი, 1948 წ., გვ. 138).

ერთი პატარა უსახელო რელიქტი ნორიოს მახლობლადაც არის თევზის მეურნეობის საკვლევო-სამეცნიერო სადგურის ეზოში (ტბის სიგრძეა 90 მ., სიგანე — 60 მ., უდიდესი სიღრმე— 5,6 მ.). რამდენიმე ასეთი პატარა რელიქტი ცოტა მოშორებითაც (სამხრეთით) არის, ასეთივე რელიქტია გონიის ტბაც.

3. ასე უწოდებენ ბათუმის ერთ-ერთ უბანს, რომელიც რევოლუციამდელ ხანაში ჭაობს ეჭირა. საბჭოთა პერიოდში დაშრა ბათუმის ჭაობი. ეს უბანი დღეს ქალაქის ერთ-ერთ კეთილმოწყობილ და მჭიდროდ დასახლებულ უბანს წარმოადგენს.

4. ბონ-ი შემოკლებული ფორმაა რუსული სახელწოდების: ბატუმსკოე ოტდელენიე ნეფტესნაბა. ეს ძველი სახელწოდებაა, დღეს ასე უწოდებენ: ბატუმსკოე ტოვარნო-ტრანსპორტნოე უპრავლენიე ნეფტესნაბსბიტა.

5. გოროდოკი რევოლუციამდე „სლობოდა-ხოლოდნაიას" სახელწოდებით იყო ცნობილი.

6. ბნზ რუსული „ბატუმსკი ნეფტეპერერაბატივაიუშჩი ზავოდ"-ის შემოკლებაა. ეს ქარხანა ი. ბ. სტალინის სახელობისაა. მისი მშენებლობა დაიწყო 1927 წლის მაისში და ამუშავდა ორი წლის შემდეგ. ეს დაჭაობებული ადგილი საბჭოთა პერიოდში ბათუმის ერთ-ერთ ულამაზეს და კეთილმოწყობილ უბნად იქცა.

7. მდ. ყოროლისწყლის მარცხენა ნაპირას, რკინიგზის პირას აღმართულ ბორცვზე შემონა-
ხულია ციხე-სიმაგრის ნაშთი. ამ ძეგლს ხალხი თამარის აშენებულად თვლის და მისი სახელით არის ცნობილი. თამარის სახელი ეწოდება აგრეთვე რკინიგზის ბაქანსაც.

გადმოცემით ბორცვი, რომელზედაც ციხის ნაშთია, ქოშნაფხეკელაა. 1948 წელს ჩვენს მიერ ჩაწერილი თქმულების მიხედვით, ეს ბორცვი ტრაპიზონს მიმავალ თამარ მეფის ამალისა და ჯარის ფეხზე მონაფხეკი ტალახია, რომელზეც მაშინვე თამარისავე ბრძანებით ციხე აღუმართავთ (ჩვენი, თამარის ციხე, გაზ. „კოლმეურნის გზა" (ბათუმის რაიონი), № 38, 1956 წ.):

ამავე ლეგენდის მეორე ვარიანტით, რომელიც დ. ბაქრაძეს მოაქვს, ეს ბორცვი ტრაპიზონიდან მომავალ თამარს გაუკეთებია (არქ. მოგზ., გვ. 4). თუ ეს გადმოცემა მართალიაო, შენიშნავს სახელოვანი ისტორიკოსი, მაშინ ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 1204 წელსო (იქვე, შენიშვნა 1).

ს. ახვლედიანის მტკიცებით „ეს ციხე უნდა იყოს აშენებული მე-11 საუკუნეში, როცა ძველი ბათუმის შენება დაუწყიათ... ის მეფე ბაგრატ IV მიერ უნდა იყოს აშენებული 1031 წელს ან მის ახლოს" (ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, გვ. 143).

ჩვენი აზრით, ამ ციხის აშენება გაცილებით ადრეულ ხანაშია საგულისხმებელი. ყოროლისპირა ბორცვზე ციხის აგებას აპირობებდა ჯერ კიდევ მონათმფლობელურ ხანაში ამ მიდამოებში თანამედროვე ბათუმის უძველესი წინაპარ-ნავსადგურის არსებობა.

არქეოლოგი პ. უვაროვა თამარის ციხის ნანგრევებში ორ სხვადასხვა ფენას ხედავდა. მისი მტკიცებით: „Нижняя часть, задняя стена и те остатки стен, которыя лежали завалонными у подошвы утеса, сложены из нешлифованнаго дикаря и с весьма незначительным количеством извести, вероятно, древняго происхождения, хотя по сохранившимся остаткам весьма трудно решить к какому времени принадлежат и чему именно служили. Остальныя стены, бастионы и башни—новейшего происхождения и, вероятно, остаток турецкаго владычества" (Н. С. Уварова, Кавказ. Абхазия, Аджария, Шавшетия, Посховский участок, путевые заметки, ч. II, М., 1891 г., стр. 162).

ეს ციხე უნდა ჰქონოდეს მხედველობაში იტალიელ მოგზაურებს იოსიფა ბარბაროსა და ამბროზიო კონტარინს, როცა ბათუმის ციხეზე მიუთითებენ („იტალიელი მოგზაურები საქართველოში" (თარგმანი იტალიურიდან ალ. ჰყონიასი), მოამბე, 1894 წ., № XI, გვ. 45, 49. ასევე შეიძლება ითქვას ვახუშტის ცნობაზეც (აღწერა..., გვ. 176).

არქეოლოგიური თვალსაზრისით თამარის ბორცვი საინტერესო ჩანს, სასურველია მისი გათხრა-შესწავლა.

## ურეხის სასოფლო საბჭო

1. აჭარის ასსრ ადმინისტრაციულ რუკაზე (1939 წ.) ეს სოფელი დატანილია „ურეყის" ფორმით. ამავე სახით იხსენიება იგი მეტწილ ქართულ საბუთებში (აჭარის ასსრ ცენტრარქივი, ფ. 84, ს. 528, ფ. 291, სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს სტატისტიკური კრებული, 1913 — 1923 წ., ბათუმი, 1924 წ., გვ. 58). ასე გვესმოდა ამ სოფელში. „ურეყი გვიწერია დღიურშიც. (რვეული 2, გვ. 10), რუსულად ეს სახელწოდება ხან „урекн"-ს სახით გადააქვთ (სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს სტატისტიკური კრებული, გვ. 58), ხან, და მეტწილადაც, „урех"-ს სწერენ (აჭარის ასსრ ცენტრარქივი, ფ. 89, ს. 17, ფ. 2). ეს უკანასკნელი დღეს კიდეც არის დაკანონებული (იხ. საქართველოს სსრ ადმ. ტერიტ. დაყოფა, გვ. 136).

2. მნათობის წინამორბედი სახელი ამ სოფლისა იყო მაჰმუდიე.

3. ქვედა სამება ფეიზიეს სახელით იწოდებოდა ამ უკანასკნელ დრომდე (იხ. აჭარის ასსრ ადმინისტრაციული რუკა 1939 წლისა).

4. ბუიული კაცის მეტსახელია. ამ ადგილის მეპატრონე ლაზი ულვაშა ყოფილა და ამიტომ უწოდებენ ასე (დღიური, რვ. 2, გვ. 11).

## ახალშენის სასოფლო საბჭო

1. თურქთა ბატონობის ხანაში ამ სოფელს პიჯადიე შეარქვეს. ასე იწოდებოდა იგი უკანასკნელ დრომდე. აჭარის ასსრ ადმინისტრაციულ რუკაზე, რომელიც 1939 წელსაა დაბეჭდილი, აღნიშნულია „იჯადიე".

2. ანარია, ახალშენი და ზოგიერთი სხვა ჩვენთვის საინტერესო სოფელი იხსენება 1718 წლს სულთან მაჰმუდის მიერ ახმედ და მუსტაფა სანჯაყ-ბეგებისადმი მიცემულ ფირმანში. ეს დოკუმენტი მრავალმხრივ არის საინტერესო. მოგვაქვს აქ. „სანჯაყი და ნაჰიე ბათუმი, ანარია, კასატური, ახალშენი, ყოროლისთავი, ხამება... ლიმანის თევზის სარეწი... ბაჟები... მდ. ჭოროხზე სანჯაყბეგთა საგვარეულო სარჩო იყო. აღნიშნული სოფლებიდან ზოგიერთი დავთარში შეტანილი არ ყოფილა, რადგან მხარეს დაეუფლა მელიქლერი გურიელი, რომელმაც ჩამოართვა თქვენს წინაპრებს ესენი და არ გაძლევდათ ნებას გესარგებლათ მათი შემოსავლით. თქვენის საჩივრის გამო ხალილ-ფაშამ აწარმოვა გამორკვევა და აღმოჩნდა, რომ აღნიშნული სოფლები იმყოფებოდნენ თქვენს... მფლობელობაში და რომ სახელდობრ ძველი და ახალი სიმაგრეები ბათუმი, ჩაქვისთავი, გონია და ხერთვისი შეტანილი არ იყო დავთარში.

ამჟამად ეს სოფლებიც შეერთებულია თქვენს სამფლობელოს. სხვა სოფლებთან, საიდანაც თქვენს სასარგებლოდ აიღებთ 200 ათას აჩას და ხაზინას გადაუხდით 6½ ყურუშს...» (დ. ბაქრაძე, მიწათმფლობელობის თურქული სისტემის ისტორიული ნარკვევი. „პრილოჟენია კ პროტოკოლუ კავკაზსკოგო იურიდიჩესკოგო ობშჩესტვა, 1889 წ., № 9, გვ. 13-14).

3. ზედა განახლებას ამ ბოლო დრომდე „ლელვისარეკი" ერქვა.

4. ყაიდიაბს მეორენაირად ონაგირას უწოდებენ. ეს გორა შორიდან მართლაც უნაგირს მიაგავს.

5. ამბობენ „ხეჩოქედ"-საც (დღიური, 1. IV. 1957 წ.).

6. ამ ადგილას დენთის საწყობი ყოფილა და ამიტომ უწოდებენ ასე. აქ საწყობი ყოფილა მეფის რუსეთის დროიდან. იგი გამოუყენებიათ ინგლისელებს ბათუმის ოლქის ოკუპაციის პერიოდში. ინგლისელთა წასვლის შემდეგ საწყობში დარჩენილი დენთის გამოსატანად შედიოდა თურმე ზოგიერთი ადგილობრივი პირი. ერთ-ერთი ასეთი შესვლის დროს ღამით ჭრაქს გამოუწვევია საწყობის აფეთქება. აფეთქებას საწყობის ადგილას მიწა ღრმად ამოუთხრია, რომელშიც შემდეგ ჩამდგარა წყალი და გაჩენილა ტბა (დღიური, რვ. 2, გვ. 12).

7. საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფაში „დეგირმანჯოღლები" დასახელებულია როგორც ახალშენის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელი (გვ. 135). ამჟამად „დეგირმანჯოღლები" ქვედა ახალშენის ერთ-ერთ კუთხეს ეწოდება.

8. „ჯამი მეჰელე"-დ იწოდებოდა ეს სოფელი თურქთა ბატონობის დროიდან მოყოლებული ამ უკანასკნელ დრომდე (დღიური, რვ. 2, გვ. 3).

9. საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფაში აღნიშნულია სოფელი „ჩილიკიდი" (გვ. 135). ასეთი სახელი სოფლისა ბერძნული გვარსახელისაგან მომდინარეობს. ამ სოფლის ბერძენ მოახალშენეთა შორის უმთავრესია ჩილიკიდი და აქედან მიუღია კიდეც სოფელს სახელი. ამჟამად ამ სოფელს ადგილობრივ იმდენად ჩილიკიდს აღარ უწოდებენ, რამდენადაც შუა ახალშენს ან ახალშენს რადგან ახალშენში განასხვავებენ ზედა და ქვედა ახალშენს, ჩვენ უმჯობესად მივიჩნიეთ ეს სოფელი შუა ახალშენის სახელით შეგვეტანა აღწერილობაში.

10. აქ ბერძენთა ფერისცვალების საყდარია. მისი მშენებლობა დაუწყიათ 1894 წელს და დაუმთავრებიათ 1911 წელს (გ. ა. ქერიდის ცნობა, დღიური, რვ. 2, გვ. 16).

11. სამებაში ყურადღებას იქცევს ეკლესია; დ. ბაქრაძის სიტყვით:

«Церковь имела в длину 5 сажень. Она состояла из северной стены и западнаго фасада с фронтоном: остальныя части ея лежали в руинах, загромождавших всю внутренность. Снаружи... облицована была чистой тески серым порфиром, наполняющим всю гору. На камнях не оказалось никаких орнаментов. Стены внутри имели по три фальшивыя ниши, отделанныя одна от другой слегка выдающимся пилястрами. Не было... следов ни живописи, ни даже штукатурки: надо думать, что они смыты дождем и как заметно церковь сломана давно, ибо из расселин ея стен и кругом вырос крупный и частый лес, мешающий видеть даже вблизи эти развалины. Сколько я ни искал, нигде, однако, никаких могильных камней не отыскал. Кроме того, трудно сказать, имела ли Самеба купол». (Д. Бакрадзе, арх. пут. стр. 25—26).

სამებაში მრავალი წარწერიანი საფლავის ქვა ყოფილა. მაგრამ ეს ქვები წაუღიათ და მშენებლობაზე გამოუყენებიათ. ერთ-ერთ ასეთ ქვაზე ეწერა: ღმერთო აცხოვნე მარიამ (იქვე, გვ. 24). ეს არის და ეს.

სამების ეკლესია საერთო ყოფილა მახინჯაურის, სამების, ყოროლისთავის, ორთაბათუმის (ახლა ჩაისუბანი), ახალშენის და სხვა გარშემო სოფლებისათვის „...როცა ამ ეკლესიის ზარს დარეკავდნენ ხოლმე, მაშინ აქ მთელის ამ სოფლების ხალხი შეგროვდებოდა ხოლმე და ლოცულობდნენ. ამას გარდა აქ გაარჩევდნენ ხსენებულის სოფლების ხალხის საქმეს... აქ ქრისტიანობა ერთობ დიდხანს შეუნახავს ხალხს. ამ რამდენიმე წლის წინათ აქ კაცები იყვნენ, რომელთაც ახსოვდათ ხსენებული სოფლის კაცები, რომლებიც ერთ დროს ქრისტიანებად ყოფილან" (სულეიმან ბეჟანიძის ნაამბობი, ზ. ჭიჭინაძე, ქობულეთის გათათრება, „ივერია", 1895 წ., № 152, გვ. 3).

## ჩაისუბნის სასოფლო საბჭო

1. ჩაისუბანი ორთაბათუმის ახალი სახელწოდებაა. ორთაბათუმი აღნიშნულია 1939 წლის აჭარის ასსრ ადმინისტრაციულ რუკაზე.

ორთაბათუმი ორად, ზედა და ქვედა ორთაბათუმად იყოფოდა. ზედა ორთაბათუმი ამჟამინდელი სოფელი ჩაისუბანია, ხოლო ქვედა ორთაბათუმი სოფელ წინსვლაში შედის.

2. წინსვლა ახალი სახელწოდებაა. ასე იწოდება დღეს სოფლები ჩელტა და ქვედა ორთაბათუმი (დღიური, 30 VI. 1958 წ. სოფ. ჩაისუბანი).

3. ამ ადგილს უნდა გულისხმობდეს პატრონ იესე ცინცაძის მიერ მიქელა ფაყვაძისა და მისი შვილებისადმი მიცემული წყალობის წიგნის „ხვანიაური". საბუთში ვკითხულობთ: „ქ ესე წყალობის წიგნი დაგიწერე... გიბოძე ჩვე(ნ) პატრონმან იესე ცინცაძემან შენ მიქელას ფაყვაძეს, შენსა შვილსა გიორგის (ი)ოვანეს და გაბრიელს. მოგვიცემია ერთი საყანე ხვანიაური გიძღვნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულად სამსახურში. აწ ამისნი მოწამენი არიან: იესე ფირანიშვილი, ბერიძე, ბეჟიტაი ლაშქარაძე და სხვ. ჩვენი კარის მდეგნი უზედაესნი და უქვედაესნი".

ეს საბუთი დაბეჭდა დ. ბაქრაძემ წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში" (გვ. 31). იგი მისთვის გადაუცია მეგზურსა და გამყოლს ხუსეინ აღას. ეს კაცი, როგორც ჩანს, ყოფილა ორთაბათუმელი ხუსეინ აღა ეფენდ-ოღლი ფაყვაძე-ფაღავა (მ. ანუშიძის (71 წლის, სოფ. წინსვლა) ცნობა).

ეს ხუსეინ აღა უთუოდ რაღაც შორეული ნათესავი უნდა ყოფილიყო წყალობის წიგნის მიქელა ფაყვაძის და მისი შვილებისა. ჩანს, ამ გზით უნდა მოხვედრილიყო ეს საბუთი მის ხელში.

დ. ბაქრაძის ცნობით წყალობის წიგნი უქრონიკონოა, ახლავს მხოლოდ ბეჭედი, ჯვარი და აწერია გვარი ცინცაძე (იქვე). მის დათარიღებას სახელოვანი ისტორიკოსი არ მიმართავს. ს. ახვლედიანის აზრით „ეს... წყალობის წიგნი უნდა მიეკუთვნოს იმ პერიოდს, როდესაც ქობულეთი გამუსლიმანებული არ იყო" (იხ. მისი, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, გვ. 162). ეს აშკარაა, საბუთი რომ ოსმალთა ბატონობამდელი ხანისაა, ეს ძნელი გამოსაცნობი არ არის, ამას ადასტურებს თუნდაც წყალობის წიგნის ონომასტიკონი. საქმე მისი უფრო კონკრეტულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევაა, მაგრამ ამისათვის რაიმე ხელშესახები მასალა არ გაგვაჩნია. ასეთ ვითარებაში საბუთი შეიძლებოდა დაახლოებით XV–XVI საუკუნეებში შედგენილად გვევარაუდა მხოლოდ.

ახლა „პატრონ იესე ცინცაძის" შესახებ.

ეს საკითხი დ. ბაქრაძესაც აინტერესებდა. იგი წერდა:

**„В настоящее время... Цинцадзе находятся в Гурии, где считаются „пришельцами с юга"** (იქვე).

ჩვენთვის საინტერესო წყალობის წიგნის „პატრონი იესე ცინცაძე" უდავოდ მაღალი სოციალური ფენის (თავადი ან მსხვილი აზნაური) წარმომადგენელია. ამას ადასტურებს მისი „პატრონად" მოხსენიება და აგრეთვე საბუთის „კარის მდეგნი უზედაესნი და უქვედაესნი". ასეთი წესრიგი ჩვეულებრივ გურიელის კარზე იყო. სამთავრო სახლის გარეგნულ ეტიკეტს ბა-

ძალდნენ და მის ანალოგიურად აწყობდნენ კარს მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლები, ამით რიცხეს უნდა მიეკუთვნოს „პატრონი იესე ცინცაძეც“.

ხსოვნა ცინცაძეთა ოდინდელი „პატრონობისა“ და ძლიერების შესახებ დღემდეა შემონახული ბათუმის მიდამოების ძველ მკვიდრთა შორის.

ხ. ახვლედიანის ცნობით „...სალიბაურს. ჩელტასა და ორთაბათუმს შუა. ერთ ადგილას, ახლანდელი პირველი საბჭოთა მეურნეობის მე-5 უბანში... გზის პირას არის ერთი ძველი საფლავი. რომელიც. ხალხის გადმოცემით. უნდა იყოს ვინმე ცინცაძის. ამ საფლავს ჰქონია მარმარილოს სვეტი. რომელზეც ყოფილა წარწერა. ამჟამად მხოლოდ ამ სვეტის ძირი არის დარჩენილი, დანარჩენი ნაწილები კი წაულიათ“ (ნარკვევი აჭარის ისტორიიდან. გვ. 162). მისი აზრით „შესაძლებელია, ეს საფლავი ეკუთვნოდეს ამ საბუთში მოხსენებულ იესე ცინცაძეს ან მისი გვარის რომელიმე ახლო პირს“ (იქვე).

სოფელ წინსვლის მკვიდრის, 71 წლის მ. მ. ანუშიძის სიტყვით „იმ ძველს საფლავში განისვენებს მემედ-აღა ცინცაძე“ (დღიური, 30. VI. 1957 წ.).

ამავე პირმა ერთი ასეთი გადმოცემა ჩაგვაწერინა: ერთხელ თურმე სტამბოლში რაღაც დიდი ზარალი მოსვლოდათ, თითქოს თაფლით სავსე უზარმაზარი კასრი (თუ კასრები) დასკდომოდათ. ოსმალეთის მთავრობას ზარალის ანაზღაურების მიზნით ხალხისათვის გადასახადი გაეწერა. ეს უკანონობა ვერ მოუთმენია მემედ-აღას და ფადიშაჰთან წასულა. ხონთქარს ჩინებულად მიუღია და ჩასვლის მიზეზი უკითხავს. — იმისათვის ჩამოვედი. რომ თქვენი სასახლის ნაგაზები უნდა დავახოცვინოო. ფადიშახს გაკვირვებია ეს და უკითხავს: რატომ, რა დაგიშავესო!

— ის დამიშავესო — მიუგია ცინცაძეს, — რომ ჩვენ ორთაბათუმელები ტურა-მგლებმა აგვაწიოკა, თუ რაიმე ნახირი ან ფრინველი გაგვაჩნდა სულ მათ შეგვიჭამეს, უძაღლობა გვტანჯავს, ესენი კი ტყუილად გდიან აქო.

— სად ორთაბათუმის ტურა-მგლები და სად ჩემი სასახლის ნაგაზები, რა შუაში არიან ესენიო — უთქვამს ხონთქარს.

თუ ეს ნაგაზები არაფერ შუაში არიან ორთაბათუმელთა ტურა-მგლებისაგან შეწუხების საქმეში, ჩვენ ორთაბათუმლები რა შუაში ვართ. როცა სტამბოლში გამსკდარი თაფლიანი კასრების გამო დაგვესაჯეთ და გადასახადი დაგვაკისრეთ, ისედაც წელში არის ხალხი გაწყვეტილიო.

მემედ-აღას იცნობდა ფადიშაჰი და მეგობრობდა თურმე მას. თორემ ასეთ რამეს ვინ გაუბედავდაო ხონთქარს. მისმა მისვლამ ნაყოფი გამოიღო, ფადიშაჰმა ბრძანება გასცა და ახალი გადასახადი გააუქმესო (დღიური, 30. VI. 1957 წ.).

ეს გადმოცემა უმნიშვნელო ვარიანტული სახესხვაობით სხვებმაც გვიამბეს.

გადმოცემა თავისი შინაარსით მაინცდამაინც დიდი ვერაფერია. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის მაინც ერთგვარ ინტერესს იწვევს, გარკვეულად ეხმაურება ზემოხსენებულ საბუთს და ამიტომაც მოვიტანეთ აქ.

ეტყობა ცინცაძეთა საგვარეულო აქ ოსმალთა ბატონობის ხანაში თანდათან სუსტდება და მათ სამფლობელო სოფლებს და მამულებს სანჯაყ-ბეგები-აბაშიძენი ეუფლებიან. ასე მაგ., სოფელი ყოროლისთავი, სადაც მდებარეობს ხვანიაურ-ხვანიეული. რომელსაც „პატრონი იესე ცინცაძე“ ასხვისებდა მოტანილი საბუთით. XVII–XVIII საუკუნეებში სანჯაყ-ბეგთა სამფლობელოშია (იხ. სულთან მაჰმუდის მიერ 1718 წელს ახმედ და მუსტაფა სანჯაყ-ბეგებისადმი მიცემული ბარათი (ზემოთ, გვ. 91).

დაბოლოს წყალობის წიგნში მოხსენებულ სხვა გვართა შესახებ.

გარდა ცინცაძისა, როგორც დავინახეთ, საბუთში იხსენიება ოთხი სხვა გვარის წარმომადგენელიც: ფაყვაძე, ფირანიშვილი. ბერიძე და ლაშვარაძე. ამათგან ამ მიდამოებში დღემდე ცხოვრობენ ფაყვაძეები, ამჟამად იწოდებიან ფალავებად. ამ გვარის წარმომადგენლები აქ ძირითადად ჩაისუბანში, ყოროლისთავსა და აგარაში არიან. ამ უკანასკნელის ფალავებს ახლაც ფაყვაძეებს ეძახიან (ე. ა. ფალავას ცნობა, დღიური, 30. VI. 1957 წ., სოფ. ყოროლისთავი).

რაც შეეხება დანარჩენებს, მათგან აქ შემონახულია მხოლოდ ფირანიშვილის არსებობის ხსოვნა. ამბობენ: „ძველი მოსახლე ორთაბათუმისა ფირანიშვილი ყოფილაო“ (დღიური, 30. VI. 1957 წ. ს. ჩაისუბანი).

4. ამ მთაზე შემონახულია ციხის ნაშთი, რომელიც იმავე სახელწოდებით არის ცნობილი.

საყორნიას ნაციხვარი მდებარეობს მდ. ყოროლისწყლის მარცხენა მხარეზე, მაღალ მთაზე.

იგი ფრიად დაზიანებული სახითაა მოღწეული და შქერ-ეკლით არის დაფარული. ნანგრევებში ერთი შენობის ნაშთს მივაგენით, რომელიც ნაკოშკარი უნდა იყოს. ამ ნაგებობას სწორკუთხედის ფორმა აქვს: სიგრძე 5 მეტრს უდრის, სიგანე — 3.5 მეტრს, ხოლო კედლების სისქე 0,5 მეტრს აღემატება.

ხალხური გადმოცემით საყორნიას ციხეს სამლოცველოც ჰქონდა, მაგრამ მის ადგილსამყოფელს ვერ მივაკვლიეთ.

სინამდვილეს არ შეეფერება თქმულება, რომლის მიხედვით ამ ციხის საშენი ქვა ყოროლისწყლიდან იყოს ამოზიდული, რადგან იგი კლდეზე მონატეხი ქვით არის ნაგები. არც ამ ციხის ტრადიციული დათარიღებაა სარწმუნო. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ ციხის აშენებასაც თამარ მეფეს მიაწერენ: სახელოვანი დედოფალი მტირალას ბრძანდებოდა საავგარაკოდ და თავისი უშიშროების უზრუნველსაყოფად ამ გზაზე (ყოროლისთავიდან მტირალათი რომ სალორეთში გადადის) საყორნიას ალმართა ციხე, ხოლო გადაღმით — სალორეთშიო.

ციხის ასაკის დადგენა სერიოზულ კვლევა-ძიებას მოითხოვს. ამისათვის აუცილებელია მოღწეული ნაშთის არქიტექტურული და არქეოლოგიური შესწავლა. და ვიდრე ამ დარგების სპეციალისტებს საყორნიას მიდამოებში ფეხი არ დაუდგამთ, მანამ ამ საკითხზე რაიმეს თქმა შეუძლებელია (ჩვენი, საყორნიას ციხე, გაზ. „კოლმეურნის გზა“ (ბათუმის რ-ნი), № 44, 1956 წ.).

5. ამ სახელწოდების ახსნის რამდენიმე ვარიანტი არსებობს: 1. ამ მთაზე ხშირი წვიმა და ნისლია, მუდამ ტირის და ამიტომ ეწოდა ასე. 2. ამ მთაზე თურქთა შემოსევისას ხალხი იხიზნებოდა ახლო-მახლო სოფლებიდან, ისინი აქედან ხედავდნენ, თუ როგორ სწვავდა მტერი მათ კარმიდამოს, ისინი მოსთქვამდნენ და ტიროდნენ თავიანთ უბედურებაზე და სახელიც მთისა მტირალა აქედან წარმოსდგაო. არის კიდევ სხვანაირიც, მაგრამ უმთავრესი ორია.

მეორე ვარიანტი საფუძვლად დაედო პოეტ ფრ. ხალვაშის ბალადას მთა მტირალაზე (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1955, 20 მარტი). იგი საინტერესოა, როგორც სახელწოდება „მტირალა“-ს ხალხური გააზრების მაგალითი. მთის სახელი მტირალა ხალხმა დაუკავშირა იმ გლოვა-ტირილს, რომელსაც თურქთა შემოსევების დროსა და ოსმალთა ბატონობის მთელ სიგრძეზე განიცდიდა ამ კუთხის მოსახლეობა. მაგრამ ამ სახელწოდების ამგვარი ეტიმოლოგია სწორი არ არის. უფრო მართებული ჩანს პირველი ვარიანტი, რომელსაც საფუძვლად უდევს ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორი (ვ. ბორჩხაძე, მთის კურორტ მტირალას ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ბათუმი, 1958 წ., გვ. 244. რუს.).

კურორტი მტირალა ქ. ბათუმს შორავს 22 კმ-ით. ბათუმს მტირალასთან აკავშირებს მშვენიერი გზატკეცილი, რომლის გაყვანა 1951 წელს დაიწყო და 1956 წელს დამთავრდა.

კურორტი დაიგეგმა 1956 წელს და დაიწყო მისი მშენებლობა. სახელმწიფო მშენებლობის გვერდით გაჩაღდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობაც.

1957 წელს მტირალას შეეცვალა სახელი და ეწოდა ცისკარი.

მთა მტირალა-ცისკარი, როგორც საზაფხულო საძოვარი ადგილობრივ მოსახლეობაში ძველი დროიდანვე იყო ცნობილი. მახლობელი სოფლების (ყოროლისთავი, აგარა, ჩაისუბანი და სხვ.) მცხოვრებლებს ჰქონდათ საზაფხულო სადგომები, ამოყავდათ საქონელი და ზაფხულსაც იქ ატარებდნენ.

## მახინჯაურის სადაბო საბჭო

1. რევოლუციამდე განთიადს ერქვა ყარადერე, რაც ქართულად „შავ ხევს“ ნიშნავს. ეტყობა ასე უთარგმნიათ თურქებს აქ ჩამომდინარე „შავი წყალი“ (ერთვის ყოროლისწყალს მარჯვნიდან) ყარადერე აღნიშნულია 1939 წლის აჭარის ადმინისტრაციულ რუკაზე.

2. ხალხური ეტიმოლოგია ამ სახელწოდებაში ორ სიტყვას, — მახინჯსა და გიაურს — გამოყოფს. ოსმალთა ბატონობის დროს მახინჯაურში სჯიდნენ და ამახინჯებდნენ ქრისტიანებს და სახელიც სოფლისა ამ მახინჯგიაურებისაგან წარმოდგა (სერათ ბერიძის ნაამბობი, დღიური,

5. VIII. 1957 წ.. სოფ. მახინჯაური). „მახინჯ გიაურ“-თან ამ სახელწოდებას საერთო არაფერი აქვს და თუ აქ მაინც მოვიხსენეთ ეს გულუბრყვილო ეტიმოლოგიური ვარჯიშის ნიმუში, ეს იმიტომ, რომ იგი ფართოდაა გავრცელებული და ზოგიერთ საკმაოდ განათლებულებსაც არ ეპარება ეჭვი მასში.

მახინჯაური ზანური წარმოშობის ტოპონიმი ჩანს. თუ მას მა-აურ პრეფიქს-სუფიქსური წარმოების სახელად ვიცნობთ, მაშინ ფუძედ დაგვრჩებოდა „ხინჯ“-ი. „ხინჯ“-ი ქართული „ხიდ“-ის სახენაცვალი ფორმაა. ხიდი საერთო კუთვნილების სიტყვაა ქართულსა და ზანურში. ამ უკანასკნელში „ხინჯი“ მივიღეთ: ჯერ ხიდ-ის დ-ს შეენაცვლა ჯ, ხოლო შემდეგ მის წინ ნ ვა- ნვითარდა. მეგრულში ამგვარი ფორმა მხოლოდ ზუგდიდურს დაუცავს, სენაკურში კი ხიდ-ე გვაქვს. ეს გარემოება ქართულის გავლენის შედეგია. ძველად კი სენაკურშიც „ხინჯი“ უნდა ყოფილიყო. (არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ. 1938 წ., გვ. 186).

ხიდი — ხინჯი და ამათგან ნაწარმოები სახელები ხშირია საქართველოს ტოპონიმიკაში (ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი I. გვ. 4). ასეთი სახელები ძველ ნაგზურებზე გვხვდება. მახინჯაურიც ძველად იმ დიდ მნიშვნელობის სახმელეთო გზაზე იდო, რომელიც სამხრეთიდან შემოდიოდა დასავლეთ საქართველოში (იხ. ქვემოთ, „გზები“).

ასეთი „ხინჯ“-ი მახინჯაურში მდინარე საკალმახეზე უნდა ვგულისხმა. საკალმახეზე დღესაც რამდენიმე ხიდია და წინათ თუ უფრო მეტი არა, ერთი ხიდი მაინც უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამ ტოპონიმის ფუძეში „ხინჯ“-ის ამოცნობა თითქოს მაინც სათუოა. შეიძლება უფრო მართებული იყოს ამ სახელწოდების სუფიქსური წარმოების სახელად მიჩნევა და მისი ზანურივე „მახინჯ“-თან დაკავშირება. ზანური „მახინჯ“-ი ქართულად „ქურდს“ ნიშნავს. ქურდისაგან ნაწარმოები სახელები იშვიათად არ გვხვდება ტოპონიმიკაში. ქურდი გამოიყოფა, მაგალითად, სოფლების სახელებში: „ქურდ-ულ-ი“ (ხულოს რ-ნი), „ნაქურდ-ევ-ი“ (ადიგენის რ-ნი) და სხვ.

თურქთა ბატონობის ხანაში მახინჯაური საკმაოდ მოზრდილი სოფელი იყო. რუსული ცნობებით შემოერთების დროს მახინჯაურში 75 კომლი იყო 315 სულით. თურქული სტატისტიკა კი აქ 92 კომლს მიუთითებს 182 მცხოვრებით (ა. ფრენქელი. ნარკვევები ჩურუქ-სუ და ბათუმისა, 1879 წ., გვ. 38).

3. ერთ აქტში, რომელიც სახანძრო დაცვის სამმართველოს მუშაკებს შეუდგენიათ მახინჯაურის დათვალიერების შემდეგ 1930 წლის 24 აგვისტოს, ნათქვამია: „1. შენობებზე მისასვლელი გზები არ არის... 2. ყოფ. პროფინდინის აგარაკზე არის ხის შენობები... 3. ყოფ. ჩერკასოვის აგარაკზე არის ერთი ქვის და მეორე ხის შენობები... 4. ყოფ. იაკობსონის აგარაკში არის ორსართულიანი შერეული ქვის შენობა... კანტორის შენობა არის შერეული ქვის სამსართულიანი... 6. ყოფ. მაკაროვის აგარაკზე არის ხის შენობა... 7. ყოფ. ჯაგინოვის აგარაკზე არის ხის შენობა... 8. ყოფ. მელიკოვის აგარაკზე არის სჩიკატურის შენობა... 9. ყოფ. პოპოვსკის აგარაკში არის ქვის ორსართულიანი შენობა... 10. ყოფ. ვოსკრესენსკის აგარაკზე არის ხის სჩიკატურის ერთსართულიანი შენობა... 11. ყოფ. ბურინსკის აგარაკზე არის ხის შენობა...“ (აჭარის ასსრ ცენტრარქივი, ფ. 126-რ ს. № 134, ფ. 71).

4. ასეთივე აქტი არსებობს მწვანე კონცხის აგარაკების შესახებაც. აი ისიც: „... 1. სადგურთან არის ხის შენობები. 2. ყოფ. ლავროვის აგარაკზე არის შენობა... 3. ყოფილ გლურცევის (ქვემორე სწერია გლურევსკი) აგარაკზე შენობა არის ხის სამი ოთახით. 4. ყოფ. სელიტრენიკოვის აგარაკზე არის შენობა ხის რვა ოთახით... 5. ყოფ. მოსოვის (ქვემორე — მოსესოვი) აგარაკზე არის ხის შენობა სამი ოთახით“ (იქვე, ფ. 70).

5. ამავე ფონდში შემონახული ერთი საბუთის მიხედვით „საბჭოთა მამულმა ჩააბარა აგროტექნიკუმს ორსართულიანი შენობა... მწვანე კონცხზე მილიუტინის აგარაკში“ (ფ. 73).

## ჩაქვის სადაბო საბჭო

1. «В глубокой древности смелый аргонавт Язон похитил из Колхиды золотое руно. С тех пор Колхида обеднела и влачит жалкое существование. Ни греки своими маслинами, ни русские с делающими зиму тополями и акацией, ни грузины с их фруктовыми деревьями не смогли ей вернуть потеряннаго достатка. Позвольте выразить пожелание, чтобы золотое руно вернул колхам Батумский Ботанический сад, став той рощею царя Аэта, в которой по преданию это руно когда-то висело». —ასე დაასრულა თავისი შესავალი სიტყვა ბათუმის ბოტანიკური ბაღის გახსნისას პროფ. კრასნოვმა (პროფ. ა. ნ. კრასნოვი. ბათუმის ბოტანიკური ბაღი და მისი ამოცანები. „რუსკიე სუბტროპიკი“, № 7, 1912 წ., გვ. 346), და ეს სავსებით სწორია. ეს ბაღი მართლაც რომ ძველი კოლხური „ოქროს ვერძის“ სადარია.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელია ცნობილი რუსი მეცნიერი პროფ. ა. ნ. კრასნოვი (1862 — 1914 წ.წ.).

პროფ. ა. ნ. კრასნოვი 20 წლის განმავლობაში ოცნებობდა შავი ზღვის სანაპიროზე ბოტანიკური ბაღის დაარსებაზე.

1912 წელს პროფ. ა. ნ. კრასნოვმა ბათუმის ბოტანიკური ბაღისა და საცდელი სადგურის პროექტი წარუდგინა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების კომისიას, რომელმაც იმავე წლის 15 დეკემბერს იგი მიწათმოქმედების დეპარტამენტის დირექტორს გადაუგზავნა.

პროექტში შესანიშნავად იყო დასაბუთებული ასეთი ბაღის გაშენების აუცილებლობა შავი ზღვის ბათუმის სანაპიროზე.

«В лице Батумского побережья мы имеем, можно сказать, единственный пункт нашего отечества, где является возможность воспитывать растения столь отдаленных и отличных друг от друга и по природе от Европы стран, как Новая Зеландия, Чили, Ю. В. Австралия, Гималаи, Япония и Флорида. То, что... могло до сих пор разводиться... в отапливаемых оранжереях Императорского ботанического сада, здесь может разводиться под открытым небом, на целых десятинах» (Проект Организации Батумского Ботанического сада и опытной станции... «Русские субтропики», № 1, 1913 г., стр. 80).

მეფემ დაამტკიცა ეს პროექტი და „უმაღლესი“ ნებით 1913 წლის 3 ნოემბერს ჩაქვის განუყოფელი მამულიდან გამოჰყო 65 დესეტინა მიწა ბოტანიკური ბაღის გასაშენებლად (იქვე, გვ. 81).

აქედან იწყება ბათუმის ბოტანიკური ბაღის ისტორია. ბაღის პირველი დირექტორი იყო პროფ. ა. ნ. კრასნოვი. პირველი მნიშვნელოვანი ღონისძიებები ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ამ მეცნიერის სახელს უკავშირდება. მას დიდხანს არ დასცლია თავისი საყვარელი საქმისათვის სამსახური. 1914 წლის 19 დეკემბერს იგი 53 წლის ასაკში გარდაიცვალა ქ. თბილისში, საიდანაც მისი ნეშტი გადმოასვენეს და დაკრძალეს ბოტანიკურ ბაღში.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღს განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა საბჭოთა პერიოდში. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1925 წლის 30 ივნისის დადგენილებით ბათუმის ბოტანიკური ბაღი გამოცხადდა შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე სუბტროპიკულ კულტურათა გაშენების მთავარ სამეცნიერო დაწესებულებად. ამიერიდან იწყება მისი სწრაფი განვითარებაც.

2. ეს სახელწოდება თითქოს ქვას უკავშირდება — ჩა-ქვი, მაგრამ თუ ეს ასეა ნამდვილად, მაშინ გასარკვევია „ჩა“-ს რაობა (ქ. ლომთათიძე, აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ. მნათობი, 1956 წ., № 12, გვ. 137).

„თვით მას დიდს მეფეს სოლომონს ვემსახურე საკმაოდ, ჩაქჳს მისის ჯარის ოსმალთაგან დამარცხებაში, ჩემის ცხენით გამოვიყჳანე მეფე სოლომონ, ეს ყოველთა იციან“ (ვახტანგ გურიელის თხოვნიდან იმერეთის მმართველ სიმონოვიჩისადმი, 1811 წ., 2, II, სცსია, ფ. 2, ს. 218, ფ. 22).

ჩაქვის მდებარეობის შესახებ ა. ფრენკელი წერს:

«...Наш путь шел на деревню Чакву. Для того, чтобы добраться до этой деревни, надо было переехать через р. Ачкова, возле впадения ея в Черное море. Мы вступили на ровное место... на берегу моря стоял большой дом Гусейна бека Бежанидзе...

Собственно место, куда мы направлялись, носило название «Базара» дер. Чаквы. Самая же деревня Чаква помещалась гораздо выше, в горах Перанги, близ реки Ачкова. Далее, вдоль той же речки на отроге той же горы (Перанги) помещается сел. Хала» (стр. 35).

როგორც ჩანს ავტორს მხედველობაში აქვს ამჟამინდელი ჩაისუბანი (ძველი დიდი ჯამე), რომელშიც მისვლისათვის ჩრდილოეთიდან მომავალმა მართლაც უნდა გადაიაროს მდინარე, მაგრამ არა აჭვისწყალი, როგორც ის მიუთითებს მას, არამედ ჩაქვისწყალი. ამ სოფლის შემდეგ, ჩაქვისწყალის ხეობაში მართლაც მდებარეობს სოფელი ხალა. მოტანილ ამონაწერში საინტერესოა მხოლოდ ის ცნობა, რომ ამჟამინდელი დაბა ჩაქვის ცენტრი, მაშინ „ბაზარის“ სახელით იწოდებოდა.

## ხალას სასოფლო საბჭო

1. აჭარის ასსრ ადმინისტრაციულ რუკაზე ამჟამინდელი ჩაისუბნის ადგილას აღნიშნულია „დიდი ჯამე“. ასე იწოდებოდა ეს სოფელი თურქთა ბატონობის დროიდან ამ უკანასკნელ ხანამდე.

ერთ-ერთ ხალხურ ლექსში, რომელიც ხუშუტა ევგენიძის „ვაჟკაცობას“ ახასიათებს, ნათქვამია:

ამ ხუშუტა ევგენიძემ
ასახელა მისი ძველი,
დიდჯამეზე კაცლა ქნა და
ბევრს მოსწყვიტა თოფით ხელი.

ჩავიწერეთ ო. ხაბაძისაგან (მთქმელი ხ. ხაბაზი, სოფ. აჭყვისთავი).

2. ჩაქვისთავს ყმა-მამული ჰქონდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერს. გიორგი V გურიელის (1664 — 1684 წ.წ.) წყალობის წიგნით ამ მონასტრის ყოფილა „ჩ ა ქ ვ ი ს თ ა ვ ს ორი მოსახლე“ (საქ. სახ. მუზ., Hd — 10, 275).

ოსმალთა ბატონობის ხანაში ჩაქვისთავს სანჯაყ-ბეგი აბაშიძენი ფლობდნენ (1718 წლის ფირმანი, ზემოთ, გვ. 91).

3. ა. ფრენკელის ცნობით შემოერთების დროს სოფ. ხალაში 92 კომლი იყო 224 მცხოვრებით (იქვე, გვ. 35).

## ციხისძირის სასოფლო საბჭო

1. პეტრა ერთ დროს დიდი მნიშვნელობის ციხე-ქალაქი იყო. ამით აიხსნება ის შეუნელებელი ყურადღება, რომელსაც ამ ციხე-ქალაქისადმი იჩენდნენ მკვლევარები.

### პეტრას ადგილმდებარეობა

ამ საკითხის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა დიდი სხვადასხვაობაა.

პეტრას ადგილსამყოფელის შესახებ პირველად აზრი გამოთქვა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ. დიუბუა პეტრას „უჯენარ“-თან (დამახინჯებული ფორმაა ვაშნარისა) აიგივებდა Voyage autour du Caukase. t, III, p. 86-94).

პეტრას ლოკალიზაცია სცადა მ. ბროსემაც. მისივარაუდით პეტრა ქობულეთის მახლობლადაა საძიებელი (Brosset M. Additions et eclaircissens a l'Histoire de la Georgie, st. Petersbourg, 1851, p. 103).

ამავე საკითხს შეეხო ე. დ. ვეიდენბაუმიც. ე. დ. ვეიდენბაუმია პირველი ავტორი, რომელმაც მართებულად შენიშნა პეტრა — ციხისძირის ციხის იგივეობა (კავკასიური ეტიუდები, 1, ტფილისი, 1901 წ., გვ. 112, რუს ენაზე). თუმცა მას ამ დებულებისათვის სათანადო მეცნიერული დასაბუთება არ მიუცია. ამ ამოცანის შესრულება პირველად ი. კალფოღლუმ სცადა. მართალია,

მისი წერილი „ქალაქი პეტრა — ციხისძირი“, რომელიც რუსულად დაიბეჭდა 1906 წელს, როგორც სწორად შენიშნავს აკად. ს. ჯანაშია, — „დილეტანტის ნაწარმოების შთაბეჭდილებას“ ახდენს (შრომები, ტ. I, თბ., 1949 წ., გვ. 31), მაგრამ საკითხის შემდგომ შესწავლაში მან მაინც გარკვეული წვლილი შეიტანა. ამის უარყოფა უმადურობა იქნებოდა მხოლოდ.

პეტრა —ციხისძირის იგივეობის აზრის ღრმა მეცნიერული დამუშავება ს. ჯანაშიას დამსახურებაა. „პროფ. ს.ჯანაშიას პასუხი ამ საკითხზე, — როგორც მართებულად აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — ყველა აქამდის არსებულთაგან უფრო სრული და დამაჯერებელი ჩანს“ (ნ. ბერძენიშვილი, „ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“ (რეცენზია), მიმომხილველი, ტ. III, თბ., 1953 წ., გვ. 291). ს. ჯანაშიას აზრით ციხისძირის ნანგრევები პეტრას აკროპოლისის ანუ შიდა-ციხის ნაშთია (შრომები, ტ. I, გვ. 42, საქართველოს ისტორია, თბ., 1946 წ., გვ. 114). ეს მართებული შეხედულებაა.

ამრიგად, ქალაქი პეტრას შიდაციხე აშენებული იყო ციხისძირის ჩრდილოეთ ბორცვზე, ნაციხვარის მიდამოებში. ეს აზრი დღეს დავას აღარ იწვევს. საცილობლად რჩება მხოლოდ ქალაქი პეტრას ადგილმდებარეობის საკითხი.

რევოლუციამდელი ისტორიკოსებიდან თითქმის არავის მიუქცევია ყურადღება ქალაქი პეტრასათვის. ე. ვეიდენბაუმიცა და ი. კალფოღლუც მარტოოდენ ციხისძირის ჩრდილოეთი ბორცვით განსაზღვრავდნენ პეტრას ადგილსამყოფელს.

პეტრას ცნებაში ციხე და ქალაქი ერთმანეთისაგან აკად. ს. ჯანაშიამ გამიჯნა. როგორც ჩანს, ქალაქი პეტრას ადგილსამყოფელი განსვენებულ აკადემიკოსს მდ. კინტრიშსა და ციხის ბორცვს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე ეგულებოდა.

ამ მხრით უთუოდ საგულისხმო გარემოებაა საქართველოს კარტოგრაფიული ინსტიტუტის რუკის „პანტურანი“ (მცირე დასახლება მდ. კინტრიშის შესართავთან, სამხრეთით). ამას ყურადღება პირველად აკად. ს. ჯანაშიამ მიაქცია. მისი სიტყვით: „თუ ადგილობრივი შემოწმება გამოარკვევს, რომ აქ არავითარი დამახინჯება არაა, მაშინ ჩვენ შესაძლებლად მივიჩნევთ ამ სახელწოდების — „პეტრა“ ‖ „პანტურანი“ დაკავშირებას“ (შრომები, ტ. 1, გვ. 42).

ამ თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევს „პანტურანის“ სამხრეთით, ბაქან ბობოყვათთან, საბჭოთა მეურნეობის გაშენების დროს გამოჩენილი სიძველეთა ნაშთები.

მეურნეობის ტერიტორიაზე ბევრი საინტერესო ნაშთი გამოუმზეურებიათ, მაგრამ მათს დაცვა-პატრონობაზე მეურნეებს სამწუხაროდ აღარ უზრუნვიათ და ძეგლები გაფანტულ-დაკარგულა.

ამ აღმოჩენათა საფუძველზე ხ. ახვლედიანი ასკვნის: „ციხისძირს წინ (ჩრდილოეთით — ი. ხ.) ჰქონია ქალაქი და ქალაქს ზევიდან ციხე. ნაგებობის სტილი ერთი და იგივეა. ამიტომ არ არის საეჭვო, რომ ციხისძირი და ქალაქი პეტრა ერთი-მეორეს ამაგრებდნენ და იცავდნენ. მაშასადამე პეტრა ქალაქი უნდა იყოს ციხისძირთან — ბობოყვათში, ზღვისპირად“... (იქვე, გვ. 138).

ამავე შეხედულებისაა პროფ. ს. კაკაბაძეც. ამის შესახებ თავისი აზრი ს. კაკაბაძემ გამოთქვა ჩემი მოხსენების — „ქალაქი პეტრას საკითხისათვის“—გარშემო გამართული კამათის დროს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში 1949 წლის 15 მარტს.

პეტრა ბიზანტიის სავაჭრო მონოპოლიის ცენტრი იყო ლაზეთში. ამიტომ მას უთუოდ უნდა ჰქონოდა ნავსადგური.

ამ საკითხს ჯერ კიდევ დიუბუა დე მონპერემ მიაქცია ყურადღება. მისი აზრით პეტრა — უჯენარს (ვაშნარი) ნავსაყუდელად გამოყენებული უნდა ჰქონოდა მდ. ნატანების შესართავი (Voyage, III).

ქ. პეტრასა და მისი ნავსადგურის დიუბუასეული ლოკალიზება მცდარია. წყაროების მიხედვით პეტრა ზღვისპირა ქალაქია ლაზეთში. ამდენად შეუძლებელია მისი ამ ვაშნარ-უჯენართან გაიგივება (ვაშნარი ფრიად შორავს ზღვას), პეტრა-ვაშნარის იგივეობის უარყოფით თავის-

თავად იხსნება საკითხი პეტრას ნავსადგურის შესახებ ნატანების შესართავში. დიუბუას მოსაზრება დამაჯერებლადაა უარყოფილი სამეცნიერო ლიტერატურაში და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ქ. პეტრას ადგილსამყოფელის ძიებისას ნავსადგურის საკითხს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს პროფ. ს. ყაუხჩიშვილი. 1931 წელს პროკოპი კესარიელის ცნობების ქართული თარგმანის კომენტარში ს. ყაუხჩიშვილი ამ საკითხზე წერდა: „...პეტრა ეხლანდელი ბათომის მახლობლად უნდა ვეძებოთ... საბოლოოდ საკითხს გადაწყვეტს ზედმიწევნით არქეოლოგიური ძიება ადგილობრივ“ (საქ. მუზ. მოამბე, ტ. VI, გვ. 363, სქოლიო). პატივცემული მკვლევარი ამასთანავე მიუთითებს შემდეგ გარემოებებზე. 1) ბერძნული სახელწოდება „პეტრა“ უნდა იყოს რომელიღაც ადგილობრივი გეოგრაფიული სახელის თარგმანი და 2) ამ ქალაქის ძიება უნდა დაუკავშირდეს იმ „პეტრას“, რომლეშიც ლაზეთის ერთ-ერთი საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა“ (იქვე. გვ. 363-364, სქოლიო).

ამავე საკითხზე პროფ. ყაუხჩიშვილმა უფრო მკაფიოდ გამოთქვა აზრი 1933 წელს იმავე თარგმანის გაგრძელებაში. ზემოხსენებულ მოსაზრებას აქ ს. ყაუხჩიშვილი დასძენს: „ამასთანავე ეს (პეტრა — ი. ს.) ისეთი პუნქტი უნდა ყოფილიყო, რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ვაჭრობისათვის და სავაჭრო მიმოსვლისათვის და აგრეთვე სამხედრო საქმიანობისათვის, ე. ი. კარგი... ნავსადგურის პირობებს აკმაყოფილებდა“ (საქ. მუზ. მოამბე, ტ. VII, გვ. 129, შენიშვნა 1). ასეთი პუნქტი ამ სანაპიროზე ბათუმია. ასე მივიდა ს. ყაუხჩიშვილი პეტრა-ბათუმის იგივეობამდე. „საკითხის დამატებითმა შესწავლამ, — წერდა ავტორი, — მიგვიყვანა ამ დასკვნამდე, რომ პეტრა ახლანდელი ბათომი უნდა იყოს. ბათომის შემდეგდროინდელი ეკონომიური და სამხედრო მნიშვნელობა გვაფიქრებინებს, რომ მას ანალოგიური მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა წინათაც, როდესაც ბიზანტია ვაჭრობის მონოპოლიის ცენტრს ირჩევდა ლაზიკეში და როდესაც სპარსეთი ზღვაზე გასავალს ეძებდა“ (იქვე, ხაზი ჩვენია — ი. ს.).

თავდაპირველად ს. ყაუხჩიშვილი პეტრას არ ყოფდა ციხედ და ქალაქად. შემდეგ კი გაყო. მისი შეხედულებით, ციხე პეტრა მდებარეობდა ციხისძირში, ხოლო ქალაქი პეტრა, სავაჭრო მონოპოლიის ცენტრი ბათუმშია სავარაუდებელი (ნ. ლომოური, ქალაქი პეტრა და მისი ადგილმდებარეობა, გვ. 34).

ამავე მოსაზრებას ავითარებს ნ. ლომოური. მისი სიტყვით პეტრა — ბათუმის იგივეობის ავტორის „...საბუთები ძალზე დამაჯერებელია. ერთადერთი, რაც საეჭვოდ ხდის ამ დებულებას ეს ჩემის აზრით, არის საკმაოდ დაშორება ციხისძირისა ბათუმიდან... VI საუკუნის სატრანსპორტო საშუალებათა მხედველობაში მიღებით, ცოტა საძნელო საქმედ ჩანს კავშირის დამყარება ბათუმსა და ციხისძირს შორის, თუმცა მხოლოდ ეს უარმყოფელ საბუთად არ გამოდგება, მით უფრო, რომ, — კვლავ ხაზს უუსვამ, — არსად სანაპიროს ამ უბანზე არ არის სანავსადგურო ადგილი, გარდა ბათუმისა“ (ნ. ლომოური, ქალაქი პეტრა და მისი ადგილმდებარეობა, გვ. 34).

ავტორი ცდილობს შეამციროს ციხისძირ-ბათუმის დაშორების მნიშვნელობა პეტრა-ბათუმის დაკავშირებაში, მაგრამ ეს მაინც მეტად მძიმე დაბრკოლებაა. ამას კარგად გრძნობს ნ. ლომოურიც და ამიტომ ცდილობს ნავსადგური როგორმე მიუახლოვოს პეტრა-ციხისძირს. ამ მიზნით მას დაუთვალიერებია ბათუმ-ციხისძირის სანაპირო ხაზი. ავტორის ყურადღება აქ მიუპყრია ჩაქვის დაბლობს, სადაც მისი ვარაუდით VI საუკუნეში უნდა ყოფილიყო ყურე, რომელიც „მშვენიერი ნავსადგური იქნებოდა პეტრა-ციხისძირისათვის, დაცული ზღვის ღელვისა და სამხრეთ-დასავლეთის ქარებისაგან“ (იქვე, გვ. 34-35).

ამდაგვარადვე მქონდა წარმოდგენილი ქალაქ-ნავსადგურ პეტრას ადგილსამყოფელი პირველად მეც ნაშრომში „ქალაქი პეტრას საკითხისათვის“, რომელიც პროფ. ს. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით შევასრულე 1947 — 1948 წლებში.*

ჩაქვისწყლის შესართავში ნავსადგურ პეტრას ლოკალიზების საქმეში სტიმულს მაძლევდა პროფ. ს. კაკაბაძის მოსაზრება უძველეს დროში ბათუმის ჩაქვისწყალზე მდებარეობის შესახებ

---

* 1948 წლის 26 აპრილს ეს ნაშრომი ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში წავიკითხე, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების სტუდენტთა პირველ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციას წარვუდგინე 1949 წლის 15 მარტს ქ. ქუთაისში.

(ს. კაკაბაძე, ძიებანი ქართველთა 4 — 7 საუკ. ისტორიის შესახებ „საისტორიო კრებული", წ. II. თბ., 1928 წ., გვ. 28, სქოლიო). მას შემდეგ კარგა ხანი გაეიდა. ამ საკითხს შემდეგაც გულმოდგინედ ვაკვირდებოდი და ვსწავლობდი; საკითხის ხანგრძლივმა შესწავლამ ასეთ დასკვნამდე მიმიყვანა. ჩაქვისწყლის შესართავში VI საუკუნეში შესაძლოა მართლაც არსებობდა ნავსაყუდელი, რომლის გამოყენება ციხე-ქალაქ პეტრას შეეძლო, მაგრამ ქალაქი პეტრა აქ მაინც არ უნდა ყოფილიყო. ეს ქალაქი ნამდვილად ციხისძირის ჩრდილოეთითაა საძიებელი და არა სამხრეთით. მის ადგილსამყოფელად უნდა მივიჩნიოთ ნაციხვარის ბორცვის მიმდგამი ზღვის სანაპირო ზოლი მდ. კინტრიშამდე. საქართველოს კარტოგრაფიული რუკის მონაცემი კინტრიშის შესართავში დასახლება „პანტურანის" შესახებ და ბაქან ბობოყვათის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები ამ მოსაზრებას საკმაოდ მტკიცე საფუძველს უქმნის.

რაც შეეხება ნავსაყუდელს, ამ მხარეზე ასეთად შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო მდინარეების დაგვისა და კინტრიშის შესართავები. დაგვის შესართავი უკანასკნელ დრომდე იყო გამოყენებული სანდლების საყუდარად. ამას ადასტურებს ტოპონიმიკური სახელწოდება „სკელე" ამ მდინარის შესართავში. გაცილებით უკეთესი იყო ნავსაყუდარად კინტრიშის შესართავი. „კვალად ალამბრისა და აჭყვის სამხრით დის მდინარე ქობულეთისა (კინტრიში — ი. ს.)... ზღვის პირს ამ წყალზედ არს ქობულეთი, მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი" (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1944 წ., 175). (ხაზი ჩვენია — ი. ს.). თუ „ფრიად კეთილი" არა, რიგიანი ნავსაყუდელი მაინც შეიძლება ვიგულისხმოთ კინტრიშთან პეტრას ხანაში.

ამ შუქზე საგულისხმო ჩანს არქეოლოგ ნ. ხოშტარიას მოსაზრება პეტრა-ქობულეთის იგივეობის შესახებ. ნ. ხოშტარიას მტკიცებით „ციხის სახელწოდება პეტრა და პეტრაი... უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი (ლაზური) სახელწოდების „ქობულეთის" თარგმანს" (ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მეოთხე სამეცნიერო სესია (თეზისები) თბ., 1953 წ., გვ. 17).

ამავე ავტორის ვარაუდით ძველად პეტრა-ციხისძირის მიდამოები ცნობილი უნდა ყოფილიყო „იმ რაიონის საერთო სახელით, რომლის სიმაგრე ის იყო — „ქობულეთი", როგორც ახლანდელ დროსაც ქვია მის რაიონს (ქობულეთის რ.)" (იქვე).

ამავე თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა ზემოხსენებული კარტოგრაფიული ინსტიტუტის რუკის „პანტურანი".

აკად. ს. ჯანაშია პეტრა-პანტურანის ურთიერთობაზე წერდა: „...ან პირველი იქნება მეორის გააზრიანება უცხოელთა მიერ, ან უკანასკნელი — ბერძნული ფორმის ადგილობრივი განვითარება" (შრომები, I, თბ., 1949 წ., გვ. 42).

ტოპონიმიკური აღწერილობის მიზნით მოგზაურობის დროს ქობულეთის რაიონში ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებდა „პანტურანის" საკითხი და ადგილზე ბევრს ვეცადეთ გაგვეგო რაიმე მის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ. ამ მიდამოებში ძველი მოსახლეობა არ არის. ახალ ჩამოსახლებულებმა კი არაფერი იციან ამის შესახებ.

ძველ ტოპოგრაფიულ რუკებზე სახელების დამახინჯებით ჩვენება შემთხვევითი არ არის და ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადგილობრივ რუკებს ქართული ენის უცოდინარი პირები ადგენდნენ. მაგრამ ამ შემთხვევაში არ გვგონია აქ რამდენადმე მნიშვნელოვან დამახინჯებასთან გვქონდეს საქმე.

რაც შეეხება „პანტურანის" გენეზისის ს. ჯანაშიასეულ ვარაუდებს, ჩვენი აზრით უფრო სწორი იქნებოდა, თუ ამ სახელწოდებას „პეტრას" ადგილობრივ გაფორმება-განვითარებად მივიჩნევდით.

## პეტრას აშენების შესახებ

აქ ორი საკითხი გამოიყოფა: 1) ვისი აშენებულია პეტრა და 2) როდის აშენდა იგი?

ჯერ პირველის შესახებ.

„ეგრისის სამხრეთ საზღვარზე, სადაც ეგრისის სამხრეთი გზა ვიწრო ზღვისპირა კარებში გადიოდა, იუსტინიანეს ბრძანებით აშენებულ იქნა ახალი ციხე-ქალაქი, სახელად პეტრა — წერდა აკად. ს. ჯანაშია (საქართველოს ისტორია, ნაწილი I, თბ., 1946 წ., გვ. 114). ასეთი აზრია გატარებული საქართველოს ისტორიის ახლახან დაბეჭდილ დამხმარე სახელმძღვანელოშიც (საქართველოს ისტორია, ნაწილი I, თბ., 1958 წ., გვ. 100).

ეს დებულება სწორია, მაგრამ მისი მცდარად გაგების საცდურს მაინც ქმნის. ეს აზრი შეიძლება ისე იქნეს გაგებული, რომ ამ დრომდე პეტრას ადგილას არავითარი პუნქტი არ იყო და რომ თითქოს ბიზანტიელებმა, პირველებმა წამოიწყეს აქ მშენებლობა, მაგრამ ეს ასე არ არის.

აი რას წერს პროკოპი კესარიელი. „პეტრა ზღვისპირა ქალაქია კოლხეთში ევქსინის პონტოსთან; ის უმნიშვნელო იყო წინათ, ხოლო იუსტინიანე მეფემ გარეზღუდისა და სხვა მინაშენების საშუალებით გაამაგრა და ყოველმხრივ გაამშვენიერა კიდეც“ (საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VI, გვ. 358. ხაზი ჩვენია — ი. ხ.).

გამოდის, რომ პეტრა ადგილობრივ მკვიდრთ აუშენებიათ. ბიზანტიელების წვლილი აქ თითქოს მხოლოდ მის გამაგრება-გამშვენიერებაში ყოფილა.

ამასვე ადასტურებს იმავე ავტორის მეორე გამონათქვამიც: „...მხოლოდ ერთი შესავალი აქვს მას (პეტრას — ი. ხ.) დაბლობში. ისიც არც ისე ფართე: ვინაიდან მის ორივე მხარეს არაჩვეულებრივი კლდეებია დაკიდებული. რადგან იმათ, რომელთაც ქალაქი პირველად ააშენეს, წინასწარ განსჭვრიტეს, რომ ზღუდის ეს ნაწილი არ ყოფილიყო ადვილი იერიშებისათვის“ (საქ. მუზ. მოამბე, ტ. VI, გვ. 361. ხაზი ჩვენია — ი. ხ.).

მაგრამ ამას ეწინააღმდეგება იუსტინიანეს 535 წლის ნოველა, რომელშიც იმპერატორი ამბობს: „...მას შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკე. სადაც არის ქ. პეტრა, რომელსაც ჩვენგნით ხვდა წილად ქალაქი გამხდარიყო და დარქმეოდა“ (გეორგიკა, II, გვ. 198).

მოტანილი ცნობების საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ ასეთი დასკვნა: იუსტინიანეს გამეფებამდე პეტრა გარკვეული მნიშვნელობის პუნქტი ყოფილა. მას, როგორც გვამცნობს პროკოპი, ჰქონია ზღუდის კედლები. სავარაუდებელია აგრეთვე შიდა ნაგებობათა არსებობაც. ბიზანტიელებს კი ეს „მანამდე უმნიშვნელო“ პუნქტი შესანიშნავ ციხე-ქალაქად უქცევიათ.

ეხლა მეორე საკითხის შესახებ.

პეტრას დათარიღებაზე გადამწყვეტი სიტყვა არქეოლოგიას ეკუთვნის. პეტრა — ციხისძირში ორჯერ მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიცია. პირველ მათგანს ს. ჯანაშია ხელმძღვანელობდა. ამ ექსპედიციის შედეგებზე ს. ჯანაშიამ მოხსენება გააკეთა თბილისის სახ. უნივერსიტეტის რუსთაველის სახელობის ინსტიტუტში 1934 წლის ოქტომბერში.

მეორე არქეოლოგიური ექსპედიცია მოეწყო 1953 წელს ნ. ხოშტარიას ხელმძღვანელობით. ამ ექსპედიციის მასალები დაედო საფუძვლად ნ. ხოშტარიას ნარკვევს „ციხისძირის ისტორიისათვის არქეოლოგიური მასალების მიხედვით“, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მეოთხე სამეცნიერო სესიას მოხსენდა იმავე წელს.

ჯერჯერობით დაბეჭდილია მხოლოდ მოხსენების თეზისები: მათგან განსაკუთრებით საინტერესოა მე-4 თეზისი, სადაც ნათქვამია:

„...ციხისძირი, და კერძოდ ტერიტორია, სადაც მდებარეობს ციხის ნანგრევები, უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში წარმოადგენდა მნიშვნელოვან ადგილს“ (ხაზი ჩვენია — ი. ხ.). არქეოლოგიური მონაცემები სავსებით ადასტურებს პროკოპი კესარიელის ზემოხსენებულ ცნობას.

დღემდე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა საშუალებას იძლევა პეტრა ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგით დათარიღდეს. ნ. ხოშტარიას აზრით ეს უნდა ყოფილიყო სარეზიდენციო ადგილი იმ წარჩინებულისა, რომლის საფლავის ინვენტარიც (2 ს.) უნდა იყოს ერმიტაჟის ძვირფასი კოლექცია ციხისძირიდან (თეზისები 1, 2).

ამრიგად პეტრას ისტორია გაცილებით უფრო ადრიდან უნდა დავიწყოთ, ვიდრე VI საუ-

კუნეა, როდესაც „ეს მანამდე უმნიშვნელო პუნქტი" (პროკოპი) ბიზანტიელებმა დიდებულ ციხე-ქალაქად აქციეს.

ახლა პეტრას რეკონსტრუქციის შესახებ.

ი. კალფოღლუს სიტყვით პეტრა ბიზანტიელებს 529 წელს დაუარსებიათ (დასახ. ნაშრ., გვ. 198).

თუ ვისი დაარსებულია პეტრა ამაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, ამიტომ ი. კალფოღლუს მცდარ შეხედულებაზე აღარ შევჩერდებით.

ი. კალფოღლუს 529 წელი პეტრას რეკონსტრუქციის თარიღია. არის თუ არა ეს თარიღი სწორი? გადაჭრით პასუხი ამ კითხვაზე ძნელია, რადგან ავტორს მისი დასაბუთებისათვის თავი არ შეუწუხებია. რას ემყარებოდა ი. კალფოღლუ, როცა 529 წელს მიუთითებდა პეტრას „დაარსების" თარიღად, ჩვენთვის უცნობია.

ჩვენი აზრით ეს თარიღი ზუსტი არ უნდა იყოს. ამაში გვარწმუნებს შემდეგი გარემოება.

როგორც პროკოპი გვამცნობს პეტრას ციხე-ქალაქად ქცევის ინიციატივა სტრატეგოს იოანე ციბს უკავშირდება. ამან „დააჯერა" იუსტინიანე (527 — 565 წ.წ.) ლაზეთში პეტრას „აშენების" აუცილებლობაში. ეს იოანე იუსტინიანეს დანიშნული სტრატეგოსია. სტრატეგოსის პოსტზე მან აქ იუსტინეს (518 — 527 წ.წ.) დადგენილი პეტრე შესცვალა.

თუ რომელ წელს მოხდა ეს ფაქტი, მის შესახებ საისტორიო წყაროებს კონკრეტული ცნობა არ შემოუნახავთ და არ ვიცით.

როგორც ჩანს, პეტრე სტრატეგოსის შეცვლა იოანეთი იუსტინიანეს იმპერატორობის პირველსავე წლებში უნდა მომხდარიყო. ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ იოანეს ლაზეთში მოსვლის დროთ VI საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს დავდებთ. მაგრამ მაშინვე უნდა შედგომოდნენ ბიზანტიელები პეტრას რეკონსტრუქციას? ჩვენი აზრით ეს „საუკუნო ზავის" შემდეგ არის სავარაუდებელი, მანამდე ამ საქმისათვის ხელსაყრელი პირობები არ არსებობდა.

საუკუნო ზავი თუმც შეკრეს იუსტინიანემ და ხოსრო ანუშირვანმა 532 წელს, მაგრამ ამ ზავით არც ერთი მხარე იყო კმაყოფილი და არც მეორე. ამჯერად ზავი ორივეს სჭირდებოდა ძალების მოსაკრებად, პოზიციების გასამტკიცებლად. და როდესაც ყველაფერი ეს მოწესრიგდებოდა ზავი დაირღვეოდა. მოსალოდნელი ბრძოლებისათვის ბიზანტიელები გულდაგულ ემზადებოდნენ. დროებით დამყარებული მშვიდობიანობა საშუალებას აძლევდა ბიზანტიელებს გაემაგრებიათ ლაზეთის ციხე-სიმაგრეები და მტკიცედ მოეკიდებინათ ფეხი აქ. ამ დროს გაამაგრეს მათ აქ ბევრი ციხე და მათ შორის პეტრაც. განსაკუთრებით დიდი სამუშაოები ჩატარდა პეტრაში. ამ ღონისძიებათა შედეგად პეტრა ლაზეთის უმთავრეს ციხე-ქალაქად იქცა.

ამ საქმისათვის ერთი წელი კი არა წლები იქნებოდა საჭირო და იგი დაუმთავრებიათ 535 წელს. ამას ადასტურებს იუსტინიანეს ზემოხსენებული ნოველა, რომლის მიხედვით პეტრასათვის სახელიც შეუცვლიათ და ბიზანტიის იმპერატორის სახელი იუსტინიანე უწოდებიათ (გეორგიკა, II, 198).

## პეტრა — ქაჯეთის ციხე

ქაჯეთის სახელით ჩვენში ორი ციხე-ქალაქი იყო ცნობილი. ერთი ამ ქაჯეთთაგანი სამხრეთ საქართველოში მდებარეობდა, ხოლო მეორე ქვემო გურიაში. პირველის შესახებ ლეონტი მროველი წერს: „ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელს მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქვან პური" (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1955 წ., გვ. 10). ამ ციხე-ქალაქს მროველი რამდენჯერმე იხსენიებს.

რაც შეეხება ქვემო გურიის ქაჯეთს, ამაზე ვახუშტი ამბობს: „...ამ წყალზე (ჩაქვისწყალზე მიუთითებს შეცდომით ვახუშტი — ი. ს.), ზღვის კიდეს არს ციხე ქაჯეთისა, მაგარი, მაღალს კლდესა ზედა შენი, აქუს გვირაბი-კლდე, გამოკვეთილი გზად" (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 176).

საისტორიო ლიტერატურაში გურიის ქაჯეთი პეტრასთანაა გაიგივებული. ასე მაგალითად, ე. ვეიდენბაუმი ნაშრომში „ბათუმიდან ართვინამდე" (პირველად დაიბეჭდა 1878 წელს), წერ-

და: „ქაჯეთის ციხის მდებარეობამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ აქ იმყოფებოდა ციხე პეტრა...“ (კავკასიური ეტიუდები, I, ტფილისი, 1901 წ., გვ. 112, რუს. ენაზე).

ამ ციხეს ფეოდალურ ხანაშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

„...მის სათანადო მნიშვნელობას იმდროინდელი თვალსაზრისით — როგორც მართებულად მიუთითებს ს. ჯანაშია, — ნათლად გამოთქვამს ციხის ქართული სახელწოდება ქაჯეთის ციხე“ (შრომები, 1, გვ. 39). ვენეციელი ამბროზიო კონტარინის ცნობით მე-15 საუკუნის 70-იან წლებში ამ ადგილას ყოფილა პატარა ქალაქი, რომელსაც იგი „კალტიხეას“ უწოდებს. აკად. ს. ჯანაშიას აზრით „კალტიხეა“ „ქაჯეთის ციხის“ (თუ ქაჯთა ციხის) დამახინჯებული ფორმაა (იქვე, გვ. 40).

ფეოდალურ საქართველოში ეს ციხე მიაჩნდათ „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯეთის ციხის პროტოტიპად (ს. ჯანაშია, შრომები, ტ. 1, გვ. 39, შენიშვნა 2, ვეფხისტყაოსანი, 1841 წლის გამოც., გვ. 195, დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ., გვ. 18).

ასე გვეხატება ჩვენ ციხე-ქალაქ პეტრა — ქაჯეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი.

2. სტალინის უბანს წინათ ჯიათი ერქვა. ეს სახელწოდება დღესაცაა ცოცხალი. გადმოცემით ბათუმში მოღვაწეობის პერიოდში ამ სოფელში იმალებოდა ი. ბ. სტალინი. იგი აქ ამოჰყავდა როტშილდის ქარხნის დარაჯს ს. ფ. მანელიშვილს.

## ქვირიკეს სახოფლო საბჭო

1. გიორგი გურიელის მიერ ხახუტა ღლონტისადმი მიცემულ წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „...ესე მტკიცე... წყალობის წიგნი დაგიწერე და გიბოძეთ ჩვენ ხელმწიფემან ბატონმან გურიელმან გიორგი და თანამცხოვრებელმან ჩვენმან დედოფალმან მარიამ და ძემან ჩვენმან სვიმონ და ვახტანგ და ქაიხოსრო შენ ღლონტს ხახუტას და შენს შვილს ასე და ამა პირსა ზედა, რომე გიბოძეთ რაც ჩემს ქვეყანას ვაჰარი ჩამოვა ქვირიკის საბაჟოიანათ: ჰეირთზე რუბი მართებს — ის წყალობათ გვიბოძებია, ყოველი კაცის უდევრად გვიბოძებია და გიბედნიეროს ღმერთმა ჩვენს ერთგულობაში“ (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბუთი № 809). საბუთს თარიღი არ უზის. დ. ხახუტაიშვილი მას XVIII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს (იხ. მისი „გურიის სამთავროს საბუთები“, მზადდება დასაბეჭდად. ვისარგებლეთ ხელნაწერით, რისთვისაც შემდგენელს მადლობას მოვახსენებ). ასეთი დათარიღება სწორია, შეიძლება მისი უფრო დაკონკრეტება. გიორგი გურიელი, რომელიც აქ იხსენიება, გიორგი მეხუთეა, რომელიც 1784 — 1788 წლებში მთავრობდა გურიაში. საბუთიც ამ დროს უნდა იყოს შედგენილი.

ქვირიკე იხსენიება ცნობილ ხალხურ ლექსში ალი-ფაშაზე. ამ ლექსის ერთი ვარიანტით:

თათარი და რუსი ჩხუბობს
იგივ არის ორივ ეში
ალი-ფაშამ გვიღალატა
აგვიყვანა ქვირიკეში.

(ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება და ალი-ფაშა თავდგირიძე, თბილისი, 1916 წ., გვ. 21. ზ. ჭიჭინაძეს უწერია „ეშვი“, რაც კორექტურული შეცდომა უნდა იყოს).

2. ინგლისის მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციის პერიოდში აქ ინგლისელთა ჯარი მდგარა და სახელწოდება ნაინკლისევი ანუ ნაინგლისევი აქედან წარმომდგარა.

„სოფ. ნაინგლისევში“ არსებობდა სოციალ-დემოკრატიული წრე, რომელიც ი. ბ. სტალინის მითითებით დაუარსებიათ დ. ვადაჭკორიას, მ. მჟავანაძეს, ი. ხუხუნაიშვილსა და გ. გელაძეს (ა. ცქიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, ბათუმი, 1959 წ., გვ. 78, შენიშვნა 3).

1902 წლის მარტში „ნაინგლისევის ტყეში“ გამართულა გლეხთა არალეგალური კრება, რომელსაც დასწრებია ი. ბ. სტალინი (იქვე, გვ. 78).

## ქობულეთის საქალაქო საბჭო

1. ქობულეთს იხსენიებს მე-17 საუკუნის კათოლიკე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი. „სამეგრელოს აღწერაში", იქ სადაც ლამბერტი ქურდებს ახასიათებს, დასძენს: „...არიან ისეთი ქურდებიც, რომლებიც იპარავენ კაცებს და ყმაწვილებს და ჰყიდიან ჩუმათ თურქეთში. გურიელის სამთავროში, ზღვის პირად, სახელდობრ ქობულეთში, მუდამ ტყვეებით ვაჭრობენ. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ახლო ქალაქებიდან — რიზე, გონია და ტრაპიზონიდან მოდის მრავალი თურქი ვაჭარი" (ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938 -წ., გვ. 71).

ქობულეთი მოხსენიებული აქვს ჟ. შარდენსაც (ჟ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, ტფ., 1935 წ., გვ. 44). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით მე-18 საუკუნეში ქობულეთი ყოფილა „მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი" (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 275).

ქვემო გურიაში ამ სახელწოდებით ორი პუნქტი იყო ცნობილი. გასარჩევად ერთს ქვემო ქობულეთს უწოდებდნენ, ხოლო მეორეს — ზემოს.

ამჟამინდელ ქალაქ ქობულეთს ქვემო ქობულეთს უწოდებდნენ (პ. უმიკაშვილი, ოსმალოს საქართველო, გაზეთი „ივერია", 1877 წ., № 20).

ოსმალთა ბატონობის პერიოდში ქვემო ქობულეთს ჩურუქ-სუს („დამპალი წყალი") ეძახდნენ. ამავე სახელით იყო ცნობილი კაზა, რომლის ცენტრიც ჩურუქ-სუში იყო.

1873 წელს ქობულეთში გაიარა ისტორიკოსმა დიმ. ბაქრაძემ. მისი სიტყვით „ქობულეთი სხვა არაფერია, თუ არა პატარა სავაჭრო ქალაქი, სადაც რეზიდენცია აქვს თურქეთის მუდირს... და დაბანაკებულია ერთი ბატალიონი..." (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ., გვ. 12).

ამავე ჩურუქ-სუ — ქვემო ქობულეთში ჰქონდა ცენტრი კინტრიშის უბანსაც. რევოლუციამდე ქობულეთი მოუწყობელი დაბა იყო. საბჭოთა პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ამ შესანიშნავი ზღვისპირა კურორტის კეთილმოწყობის საქმეს: სწრაფად გაშენდა, გამშვენიერდა და გამოცხადდა ქალაქად. დღეს ქობულეთი საქართველოს ერთ-ერთი ლამაზი ზღვის სანაპირო ქალაქ-კურორტია.

რამდენიმე სიტყვა სახელწოდების შესახებ.

1901 წელს გაზეთ „ივერიაში" (№ 10) დაიბეჭდა ამ სიტყვის განმარტების ცდა. „ქობულეთს" ავტორი უკავშირებს ქობულეთ-ფარეხს. ამავე მოსაზრებას იზიარებს მ. ჯანაშვილიც. იგი წერს: **„Кобули (ქობული) — загон для ягнят, Кобулети место загона для ягнят, место—пещерообразное" (Вахушти, География Грузии,** მ. ჯანაშვილის გამოცემა, ტფ. 1904 წ., გვ. 240, შენიშვნა 534).

ეს ტერმინი ასე იშლება: ქობ-ულ-ეთ-ი. დავიწყოთ ბოლოდან: — ეთ გეოგრაფიულ სახელთა ფართოდ ცნობილი ქართული მაწარმოებელია (ლაზურში (ჭანური) მისი ბადალია — ათ ფორმანტი).

რაც შეეხება -ულ-ს, ისიც ქართველურ ენათა ცნობილი დეტერმინატი სუფიქსია (არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942 წ., გვ. 40 — 46, 57-58 და სხვ.).

დაგვრჩა ძირეული მასალა „ქობ". რა უნდა იყოს „ქობ?" „ქობ" უნდა იყოს „ქვაბის" დამახინჯებული ფორმა. ეს სახეცვლილება ვა კომპლექსის „ო"-დ ქცევის საფუძველზეა მომხდარი (შეადარე „ქვაბლიანი"-„ქობლიანი"; ს. ჯიქია, გურჯისტანის დიდი დავთარი, წიგნი, III, თბ., 1958 წ., გვ. 155).

რა არის „ქვაბი?"

საბა ორბელიანის განმარტებით: „ქვაბი (არის) კლდე გამოკაფული (ესაია 2, 19)" (ქართული ლექსიკონი, გვ. 368).

„ქვაბი" ცალკე ან კომპოზიტში ხშირად გვხვდება ტოპონიმიკაში (იხ. ჩვენი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი I, გვ. 40, 49, 55, 59, 66, 84, 110, 111, 129, 133, 135, 175 და სხვ.).

სად შეიძლებოდა გვეგულისხმა ქობულეთის მიდამოებში ისეთი ქვაბ-გამოკვეთილი კლდე და ქვაბული, რომლის ნიადაგზედაც უნდა აღმოცენებულიყო ქვაბელ-ქვაბულეთ-ქობულეთი? ასეთი რამ ამჟამინდელ ციხისძირის მიდამოებში უნდა ვივარაუდოთ; შავი ზღვის ციხისძირის სანაპირო კლდეებითა და ნაპრალ-ქარაფებით ისე უხვად მიმადლებელი რაიონია, რომ აღნიშნული ვარაუდი უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

ციხისძირის ასეთმა გეოგრაფიულმა თავისებურებამ გაპირობა, რომ მას „პეტრა“ ეწოდა. ისმება კითხვა, შეიძლება იყოს თუ არა ეს „კლდის“ მნიშვნელობის ბერძნული ტერმინი „ქობულეთის“ თარგმანი? ამის ვარაუდი თითქოს შესაძლებელია (ნ. ხოშტარია, ციხისძირის ისტორიისათვის არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თეზისი 5), მაგრამ რაიმე სერიოზული მტკიცებისათვის ცნობები არ გაგვაჩნია. საკითხი ამ მიმართულებით სპეციალურ გაღრმავებულ კვლევას საჭიროებს.

მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია „ქობულეთის“ ვინმე კ. ობოლისეული ეტიმოლოგია: „ეს მხარე წინად სახელგანთქმული, ქებული მხარე იყო და ბოლოს სახელადაც ქებულეთი, შემდეგ ქობულეთი დაარქვეს“ (კ. ობოლი, ქობულეთის მხარე. გაზეთი „კომუნისტი“, 1928 წ., № 10).

ავტორი, როგორც ჩანს, ხალხურ ახსნას გვთავაზობს. ქობულეთში მოგზაურობის დროს ხშირად გვსმენია: „ქობულეთი — ქებულეთია, წინათ აქედან ქებული ვაჟკაცები გამოდიოდნენ და ამიტომ ეწოდა ასეო“ (დლიური, გვ. 5, 7, 13).

ჯ. ამ ადგილას შეერთვის მდ. კინტრიშს მარცხენა შენაკადი კინკიშა და უბანმაც აქედან მიიღო სახელწოდება.

8. კინტრიში ქვემო გურიის უდიდესი მდინარეა. მისი სიგრძე 49 კმ უდრის. კინტრიში გამოედინება ხინოს მთიდან და ერთვის ზღვას ქ. ქობულეთის მახლობლად (სამხრეთით).

ხინოს მთიდან იგი ერთხანს დასავლეთისაკენ მიემართება. შემდეგ იცვლის მიმართულებას და იხრება ჩრდილოეთისაკენ. ასე მიედინება სოფ. ჭახათამდე. აქ კი ისევ დასავლეთისაკენ მიიხრება და გამოდის ქობულეთის დაბლობზე.

კინტრიში მრავალ შენაკადს ღებულობს. მათგან აღსანიშნავია აჭყვა, კინკიშა, ხერკნალი, ყვირალა და სხვ.

კინტრიში მრავალსახელიანი მდინარეა. გარდა კინტრიშისა იგი იწოდება ხინოს წყლის ან ხინოს მდინარის, ქობულეთის მდინარისა და ჩურუქ-სუს სახელწოდებებით. უკანასკნელი თურქულია: ასე უწოდებდნენ თურქები ქვემო ქობულეთს, სადაც ზღვას ერთვის კინტრიში. ქობულეთ-ჩურუქ-სუ-დან მიიღო სახელი მდინარემაც.

რაც შეეხება სახელწოდებას ხინოსწყალი ან ხინოს მდინარე, ასე იწოდება კინტრიში მისი მთა ხინოდან მომდინარეობის გამო.

სახელწოდებებით: ხინოს წყალი, ხინოს მდინარე, ქობულეთის მდინარე, იხსენიება კინტრიში ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში (გვ. 175-176).

ამ მდინარის ყველაზე ძველი სახელი ჩანს კინტრიში, ეს სახელწოდება ზანური (მეგრული ან ჭანური) უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს ფორმანტი იშ. ეს სუფიქსი ფართოდაა გავრცელებული სვანურშიც, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზანურ ელემენტთაგან უნდა გვქონდეს საქმე. მეგრული წარმომავლობის ტოპონიმთა წრეში აქცევდა კინტრიშს აკად. ივ. ჯავახიშვილი (ქართველი ერის ისტორია, წიგნი 1, ტფილისი, 1913 წ., გვ. 56).

ეს მდინარე „კინტიშის“ ფორმითაა მოხსენებული იმერეთის სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის წერილში პ. პოტიომკინისადმი, რომელიც 1784 წლითაა დათარიღებული (ბუტკოვი, მასალები კავკასიის ახალი ისტორიისათვის, II, 139; ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 40). ჩვენი აზრით კინტიში დამახინჯება უნდა იყოს კინტრიშისა.

თუ კინტრიში ძველი და ზანური სახელწოდებაა, მაშინ იგი, ბერძნულ-რომაულ წყაროებში უთუოდ უნდა მოხვედრილიყო. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ის ზოლი, სადაც კინტრიში ჩამომდინარეობს, განსაკუთრებით კარგად აქვს აღწერილი არიანეს. ჭოროხსა და რიონს შორის არიანე ასახელებს ოთხ მდინარეს. ესენია: ბათისი, აკინაზისი, იზისი და მოგროსი. ბერძენი მწერალი მიუთითებს მანძილებს, რომლითაც ეს მდინარეები შორავენ ერთმანეთს. ბათუსი, არიანეს ცნობით, აკამფსისს (ჭოროხის ჩრდილო ტოტი) შორავს 75 სტადიონით, აქედან 90 სტადიონის შემდეგ აკინაზისია, რომელსაც ამდენივე მანძილით შორავს იზისი, ამას მოსდევს მო-

გრისი (აქ უკვე მანძილი აღარაა მითითებული), ხოლო მოგრისიდან 90 სტადიონზე უკვე ფაზისია (SC, 1, 219).

ფაზის-რიონისა და აკამფსის-ჭოროხის იგივეობა დღეს უკვე დავას აღარ იწვევს. ჭოროხსა და რიონს შორის არსებულ ტერიტორიაზე დასახელებულ მდინარეთა შორის ერთ-ერთი უსათუოდ უნდა იყოს ჩვენთვის საინტერესო მდინარე. ისმება კითხვა, რომელი მათგანი შეიძლება გულისხმობდეს კინტრიშს?

დავიწყოთ პირველით. ბათუსისა და მოგრისის საკითხი მოხსნილია. პირველი უთუოდ ყოროლისწყალს გულისხმობს. ბათუს-ყოროლისწყალის იგივეობის საკითხი დღეს უკვე აღიარებულადაც შეიძლება ჩაითვალოს (ამაზე ზემოთ უკვე იყო საუბარი). რაც შეეხება უკანასკნელს, მას ჩვეულებრივ სუფსასთან აიგივებენ. ეს გაიგივებაც უსაფუძვლო არ ჩანს. დაგვრჩა ორი — აკინაზისი და იზისი. ამათი გაიგივება ცოტა არ იყოს ძნელდება. და ეს იმიტომ, რომ ამათთან იგივეობის პრეტენზიით აქ ოთხი მდინარე გამოდის. ესენია: ჩაქვისწყალი, კინტრიში, ჩოლოქი და ნატანები. ამათგან სიდიდით და მნიშვნელობით გამოირჩევა ორი — კინტრიში და ნატანები. ამიტომ უფრო მართებული იქნებოდა თუ ქვემო გურიის აღნიშნულ მდინარეებს არიანეს აკინაზისსა და იზისთან გავაიგივებდით. ასე იქცევა კიდეც მკვლევართა უმრავლესობა. კინტრიშთან აიგივებს აკინაზისს, მაგალითად, დიუბუა დე მონპერე, კ. მიულერი, ტომაშეკი, ლ. ელნიცკი და სხვ.

მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ არიანეს აკინაზისის გაიგივება კინტრიშთან საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. სამწუხაროდ, ეს სახელწოდება არიანემდე არ გვხვდება, შემდეგ კი „კინასის“ ფორმით იხსენიებს მას ანონიმი რედაქტორი და თავდება კიდეც საქმე.

4. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ფიჭვნარის მიდამოები ხალხმა გაუვალ ტყესა და ჭაობებს გამოსტაცა და მისი დამუშავება იწყო. ხვნა-თესვისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დროს მცხოვრებლები აქ აწყდებოდნენ სხვადასხვა არქეოლოგიურ ნივთებს, განსაკუთრებით ხშირი იყო ნუმიზმატიკური აღმოჩენები. 40-იან წლებში აქ აღმოჩნდა ანტიკური მონეტების დიდი განძი. განძის ერთი ნაწილი დაიკარგა, ხოლო გადარჩენილი ნაწილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. იგი უმთავრესად სინოპურ დრაქმებს შეიცავს. მათგან 127 დრაქმა ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნით თარიღდება.

დიდი ნუმიზმატიკური შემთხვევითი აღმოჩენა ფიჭვნარში კვლავ განმეორდა 1952 წელს.

ასეთ აღმოჩენებს არ შეიძლებოდა არქეოლოგთა ყურადღება არ მიეპყრო და აი 1953 წლის ზაფხულს ფიჭვნარს ეწვია არქეოლოგიური ექსპედიცია ნ. ხოშტარიას ხელმძღვანელობით. ექსპედიციამ სერიოზული დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა და საფუძველი მოუმზადა გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრის დაწყებას. 1956 წელს ექსპედიცია ენერგიულად თხრიდა და სწავლობდა ფიჭვნარ-ჩოლოქის მიდამოებს და ფრიად საყურადღებო მასალებიც მოიპოვა. ჯერჯერობით გამოქვეყნდა მხოლოდ ექსპედიციის ხელმძღვანელის ნ. ხოშტარიას და მისი მოადგილის დ. ხახუტაიშვილის წერილები, რომლებიც წინასწარული ანგარიშის ხასიათისაა. ამ წერილების მიხედვით ფიჭვნარ-ჩოლოქის უძველესი წარსული ასე გვეხატება: ნაქალაქევში სამი ფენა გამოიყოფა. მათგან უძველესი ენეოლითს განეკუთვნება.

მოპოვებული მასალები საფუძველს აძლევს არქეოლოგს აღნიშნოს შემდეგი: 1. ფიჭვნარ-ჩოლოქის მოსახლეობა ანტიკური ხანის დამდეგს ასულა სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისეთ საფეხურზე, როდესაც შექმნილა პირობები საქალაქო ცხოვრების წარმოშობისათვის; 2. ამ ქალაქს ფართო ეკონომიური ურთიერთობა ჰქონია, როგორც კოლხეთის რაიონებთან, ისე სამხრეთ შავი ზღვისპირეთისა და ეგეოსის სამყაროს ქალაქებთან; 3. გაცვლა-გამოცვლა სწარმოებდა როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი მონეტებით (კოლხური თეთრი). წამყვანი როლი ამ უკანასკნელს სჭერია; 4. ქალაქის მოსახლეობის ძირითად სამეურნეო საქმიანობას შეადგენდა ხელოსნობა, მეთევზეობა და სოფლის მეურნეობა; 5. არქეოლოგიურ ნაშთებში შეინიშნება ქალაქის მოსახლეობის ქონებრივი და სოციალური დანაწილება; 6. ქალაქი ბერძნებით და ქართველებით იყო დასახლებული (დ. ხახუტაიშვილი, საინტერესო არქეოლოგიური გათხრები, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, № 34, 1957 წ.).

ასეთი ქალაქი უთუოდ უნდა მოხვედრილიყო ანტიკურ წყაროებში. ამ მხრით ყურადღებას იქცევს პითია, რომელსაც რომაელი მწერალი ამიანე მარცელინე ფასიდსა და ტრაპი-

ზონს შუა ასახელებს. ამ ქალაქის ადგილსამყოფელი სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული არ არის. არქეოლოგ ანდრია აფაქიძის აზრით ეს პუნქტი შეიძლება იყოს ფიჰენარის ნაქალაქევი. ამავე მოსაზრებას იზიარებს დ. ხახუტაიშვილიც (იქვე). ფიჰენარ-პითიას იგივეობის საბოლოო დადგენას ჯერ კიდევ სერიოზული კვლევა-ძიება ესაჭიროება, მაგრამ ის ფაქტი, რომ ორივე მათგანი არის ფიჰენარისაგან ნაწარმოები („პითუს" — ფიჭვი) ამ მოსაზრებას საკმაოდ ამაგრებს. ადგილობრივ სახელწოდებებს ბერძნები ძალიან ხშირად თარგმნიდნენ თავიანთ ენაზე. ასე მოხვდა ანტიკურ წყაროებში ჩვენი ქვეყნის არაერთი ძველი გეოგრაფიული სახელი. ამ მხრით პითია რაიმე განსაკუთრებული გამონაკლისი არ უნდა იყოს.

5. ტოგონი ხშირად იხსენიება აქტებში (აჭარის ასსრ ცენტრარქივი, ფ. 84, საქმე 259, ფ. 9).

6. «Северная половина этой равнины (ქობულეთისა — თ. ს.) наполнена сплошными дремучими лесами: Осндальским, Берсснальским, Богильским и другими, которыя к югу постепенно обращаются в кустарник. После перерыва болотом Испани, леса вновь начинаются». (Колобакин. Русско-турецкая война 1877—1879 гг. ч. 1, 1906 г., стр. 37).

## ხუცუბნის სასოფლო საბჭო

1. საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფაში გელაურა (ფორმით: გელაური) შეტანილია ქალაქ ქობულეთის შემადგენლობაში (გვ. 139). ეს მართალია, გელაურა ქ. ქობულეთის ერთ-ერთი გარეუბანია. ეს გარეუბანი არის სოფელ გელაურას ნაწილი, უფრო სწორად მისი ქვემო მხარე. ამ სოფლის ზემო ნაწილი კი შედის ხუცუბნის სასოფლო საბჭოში, თუმცა ზემოხსენებულ წიგნში სოფელი გელაურა არ იხსენიება, იგი შეცვლილია სახელით „ნაკაიძეები" (იქვე). ამ სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას ნაკაიძეები შეადგენენ. ამ ნიშნის მიხედვით მართლაც შეიძლებოდა მისთვის ასეთი სახელი გვეწოდებინა და კიდევაც უწოდებიათ, ადგილობრივი მოსახლეობა კი ამ სოფელს მაინც გელაურას უწოდებს.

2. ხუცუბნის გელაურას ტერიტორიაზე, კინტრიშის მარჯვენა ნაპირზე, მოღწეულია ძველი ნაგებობის მცირე ნაშთი. ეს ნაშთი იმდენად მცირე და უმნიშვნელოა, რომ მასზე დაყრდნობით შეუძლებელია გარკვევა იმისა, თუ რა დანიშნულების ნაშენობისა უნდა იყოს იგი. მაგრამ ტოპონიმი „ნაციხვარა" ადასტურებს, რომ ეს ნაშთი ციხისა არის. ამის სასარგებლოდ მიუთითებს ადგილმდებარეობაც. ნაშთის ადგილას პატარა ბორცვი ყოფილა, რომელიც გზის გაყვანის დროს გაუჭრიათ, მისი ერთი ნაწილი (ჩრდილოეთით) დარჩენილია, მეორე ნაწილზე კი გზა გადის.

3. ამბობენ „ტილაძს ოჯალ"-საც.

4. გადმოცემით ამ სოფელში წინათ ცხოვრობდა თურმე ერთი ხუცესი, რომელსაც სამი ვაჟი ყავდა. ხუცესი და მისი შვილები შესანიშნავი მომღერალ-მგალობლები იყვნენ. იმათ გარეშე სოფელში არც ქორწილი იქნებოდა და არც გლოვა. საქორწინო სიმღერები ჩინებულად იცოდნენ და ზარიც. განსაკუთრებით კარგად ასრულებდნენ თურმე ხასანბეგურას.

ასე მიუწვევიათ ისინი ერთ-ერთი ლხინის დროს. მაგრამ ხუცესი, რომელიც თავისი ბანით იყო განთქმული, შეუძლოთ ყოფილა და ველარ წასულა და შვილები გაუგზავნია. მათ იქ ბევრი სიმღერა შეუსრულებიათ და, ბოლოს, საზოგადოების თხოვნით, ხასანბეგურაც. მაგრამ უხუცობა თურმე დიდად დატყობია სიმღერას, განსაკუთრებით უფერულად მოსჩვენებიათ ბანი. სიმღერის დამთავრების შემდეგ ვიღაცას გულისტკივილით უთქვამს: „ჰაი გიდი ხუცის ბანიო".

და აქედან წარმოსდგა თითქოს ხუცუბანი, ე. ი. ხუცის ბანი.

ამ გადმოცემას ხუცუბნის ეტიმოლოგიისათვის არავითარი ღირებულება არა აქვს, რადგან ხუცის ბანს არავითარი კავშირი არა აქვს ამ ტოპონიმთან. ბანი კი არ გამოიყოფა ამ კომპოზიტში, როგორც ამაზე ხალხური ეტიმოლოგია მიუთითებს, არამედ უბანი. მაშასადამე, ხუცისუბანი და არა ხუცისბანი.

მიუხედავად ამისა, თუ მაინც მოვიტანეთ აქ ეს ხალხური გადმოცემა, ეს უმთავრესად იმი-

ტომ, რომ მასში რამდენადმე საინტერესო მითითებაა მოცემული მუსიკალური ფოლკლორის თვალსაზრისით. ქობულეთი ძველად ქართული ხალხური მუსიკის გურული შტოს სიმღერების ერთ-ერთი განთქმული კერა იყო. ქობულეთშია შექმნილი აღნიშნული შტოს საუკეთესო სიმღერების უმთავრესი ნაწილი, მათ შორის ხასანბეგურაც. აქვე იყვნენ და არიან დღეს შესანიშნავი მომღერლები.

აქვე რამდენიმე სიტყვა ხუცუბანში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთების შესახებ.

1944 წელს ხუცუბანში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრა (ექსპედიციის ხელმძღვანელი ა. იოსელიანი). აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის საყურადღებო ნაშთები:

ბრინჯაოს ნივთები:

1. დიდი ზომისა და სხვადასხვა კონსტრუქციის ცულები.
2. სამი ე. წ. „წყვილ-ცული“.
3. ერთი ბრინჯაოს შუბი.

რკინის საგნები:

1. ოთხი რკინის ზოდი.
2. სამი სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის ხმალი.
3. ორი შუბი.
4. ფიბულების, საომარი დანებისა და სხვა ნივთების ფრაგმენტები.

ხუცუბნის არქეოლოგიური კომპლექსის შესწავლას ა. იოსელიანი ასეთ დასკვნამდე მიჰყავს: „...კინტრიშის ხეობის, კერძოდ, სოფ. ხუცუბნის უძველესი მკვიდრნი იმ დროს ბრინჯაოდან რკინის წარმოებაზე გარდამავალ პერიოდში იმყოფებოდნენ, რომ რკინა თანდათანობით ცვლიდა ბრინჯაოს იარაღებს“ (ა. იოსელიანი, არქეოლოგიური გათხრები სოფელ ხუცუბანში, გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 1945 წ., № 197, გვ. 2).

ხუცუბნის ძეგლებს ავტორი მიაკუთვნებს მე-7-5 საუკუნეებს, ჩვენს ერამდე (იქვე).

ამ ნივთებზე დაკვირვების შედეგად ავთ. იოსელიანი წერს: „...აქაური მოსახლეობა უძველეს დროიდანვე დაწინაურებული ყოფილა მეტალურგიული წარმოების რთულ დარგებში (განსაკუთრებით ბრინჯაოს იარაღების წარმოებაში), რაშიც, გარდა აქ მოხსენებულ ბრინჯაოს და რკინის იარაღ-ზოდებისა, გვარწმუნებს ხუცუბანში დაცული გეოგრაფიული სახელი „ნამჭედლევი“.... მჭედლობასთან ერთად დიდი ადგილი უნდა სჭეროდა მიწათმოქმედებას... მესაქონლეობას და მონადირეობას დამხმარე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა“ (იქვე).

კითხვაზე, თუ საზოგადოებრივი განვითარების რა საფეხურზე უნდა მდგარიყვნენ ამ კომპლექსის შემოქმედნი, ავტორი პასუხობს: „საფიქრებელია, რომ ისინი იმყოფებოდნენ გვაროვნულ-ტომურ უკლასო სოციალური ურთიერთობიდან კლასობრივ მონათმფლობელურ ურთიერთობაზე გარდამავალ პერიოდში“ (იქვე). ამას აფიქრებინებს ავტორს „...სამარხთა შედარებითი შესწავლა, საიდანაც აშკარად ირკვევა ქონებრივი უთანასწორობის ელემენტები“ (იქვე).

ეს ძეგლები გარკვეულ მონაცემებს იძლევიან ხუცუბნის უძველეს მკვიდრთა მსოფლმხედველობის გასათვალისწინებლადაც. „ჩვენს არქეოლოგიურ ძეგლზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, — ამბობს ავთ. იოსელიანი, — რომ მათი მსოფლმხედველობა კოსმიურია. მათ ალბად გაჩნდათ რამდენადმე ჩამოყალიბებული რელიგიური სისტემა, — თაყვანს სცემდნენ ციურ მნათობებს, უმთავრესად მთვარეს. მოსახლეობიდან თანდათანობით ცალკე კასტად გამოყოფის პროცესშია მნათობთა კულტის გავლენიანი მსახურები“ (იქვე). ამაში არწმუნებს მას ბრინჯაოს ნახევარსფეროზე მოცემული ცის თაღისა და მნათობთა (მთვარე, ვარსკვლავები) გამოსახულება. რომელიც მისი აზრით, მთვარის კულტის მსახურთათვის უნდა ჩაეტანებინათ სამარხში (იქვე).

ხუცუბნის არქეოლოგიური ნაშთები დაცულია აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმში.

ნ. ასე იწოდებოდა ხუცუბნის ეკლესია, ერთ დროს მთელს ქობულეთში განთქმული. ვანისქედის ჟამგულანის მინაწერის მიხედვით თეთროსანი ხალილ-ფაშას შემოსევის დროს მოუტაცნიათ აფხაზებს. „თეთროსანი აფხაზმა მაშინ აგვართვაო“, ამბობს მიმწერი (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ., გვ. 209).

თეთროსანიდან წამოღებული ღვთისმშობლის ხატი დ. ბაქრაძეს უნახავს აკეთის მაცხოვრის ეკლესიაში. გადმოცემით, იგი აქ მოუტანია ერთ-ერთ ქობულეთელ „თავდირიძეს“ (გვიანდელი „თავდგირიძე“), რომელიც ქობულეთში თურქთა გაბატონების შემდეგ ვერ შერიგებია ახალ სარწმუნოებას და აკეთში გადმოსახლებულა (იქვე, გვ. 245).

ჩანს, თეთროსნის ღვთისმშობელი XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა თავდგირიძეებსა და ქობულეთის ბევრ სხვა მაჰმადიანთა შორის. ამიტომ იყო, რომ ისინი ხშირად დადიოდნენ სალოცავად აკეთში და ამ ხატისათვის მიჰქონდათ შესაწირავები (იქვე. გვ. 16, 245).

თეთროსანი ჩვენამდე ძალიან დაზიანებულადაა მოღწეული. შემონახულია მხოლოდ ორი კედლის ნაშთი, უფრო სრულადაა მოღწეული ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელი (სიგრძე 6.80 მ, სიმაღლე — 6,5 მეტრამდე) მოღწეულია აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთის კედლის ნაშთი (სიმაღლით 4 მეტრამდე, სიგანე ქვემოთ 1 მეტრამდე, ზემოთ 2 მეტრი). კედელზე შემოძარცულია თლილი ქვები. ნაეკლესიარი ეკალ-ბარდებშია ვახვეული.

6. ხუსეინ ხაბაზის „დაკარგული ბაჩას“ ერთ ვარიანტში, რომელიც მ. თავდუმაძეს ჩაუწერია, იხსენიება ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი.

ხაქათმიაში გავედი
თავზე დამეცა ზარია;
ოხრად ეყარა ტალახში
ძუა-ფაფარი-ნალია.

(ქ. მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, არქივი № 6, საქმე 215). ამ ლექსის მეორე ვარიანტი „დაკარგული ცხენი“ გამოქვეყნებული აქვს ზ. ჭიჭინაძეს (იხ. მისი, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება, ტფილისი, 1916 წ., გვ. 30).

7. კონდიდის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო რკონდიდი (რკო-მუხა).

კონდიდი იხსენიება ქრისტიანობაზე დაბრუნებული ქობულეთელი ქალის სეფერდალი მოწყობილის დაკითხვის აქმის დედანში (შედგენილია 28. X. 1847 წ.) (საქ. სახ. მუზ. sd — 2389).

ეს სოფელი დღეს სამ ნაწილადაა გაყოფილი, ერთი ნაწილი, კერძოდ, ქვემო მხარე, სოფ. გვარაში შედის, მეორე — სოფ. ალამბარში, ხოლო მესამე — სოფ. ქობულეთში. ჩვენ იგი მთლიანად შევიტანეთ იქ, სადაც პირველად შეგვხვდა. საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფაში სოფელი კონდიდი დასახელებულია ქობულეთის სასოფლო საბჭოში (გვ. 139). როგორც ჩანს, მისი დანაწილება უკანასკნელი ხნის ამბავია.

ადგილობრივ ხალხურ მეტყველებაში ეს ტოპონიმი „კონდითის“ ფორმით იხმარება. ერთ ხალხურ ლექსში, რომელშიც ამ სოფლისა და სხვა მახლობელი სოფლების მცხოვრებლებია გალექსილი, ნათქვამია:

ალამბრელები გამოდიან თავის ლამაზებიანა
უკან კონდითლები მოსდევს თავის ყუმარჯებიანა.

(ჩავიწერეთ მ. გიორგაძისაგან სოფ. ალამბარში).

## ქობულეთის სასოფლო საბჭო

1. სოფელი ქობულეთი წინათ ზემო ქობულეთის სახელით იწოდებოდა. „Из селений наиболее замечательный Легва, Верхн. Гвара,... Худ-убани, Верхн. Кобулеты...“ (Русско-Турецкая война 1877-1879 гг., ч. I, 1906 г. сост. проф. Колюбакин, стр. 89, იხ. აგრეთვე, გაზეთი „ივერია“, 1877 წ., № 20).

2. მეორე სახელია — ონძოღელე. პირველი (ონძოღირა) დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს ონძოღელისა.

3. 1958 წლის გაზაფხულზე სასოფლო გზაზე მუშაობის დროს ნაჯიხურალზე აღმოჩნდა შემდეგი არქეოლოგიური ნაშთები: ქვევრის ფორმის თიხის ორხელიანი ჭურჭელი, ბრინჯაოს მუზარადი, რკინის ხმალი და დიდი რაოდენობით კერამიკის ფრაგმენტები.

ნივთები მიწაში ელაგა 1,5 მეტრის სიღრმეზე. ასეთი თანმიმდევრობით: ჯერ თიხის ჭურ-

ჰელი, შემდეგ ხმალი და ბოლოს მუზარადი. ეს ნაშთები საფლავის ინვენტარადაა მიჩნეული (ალ. ქათამაძე, ძვირფასი არქეოლოგიური ნივთები სოფელ კოხში. გაზ. „საბჭოთა აჭარა", № 137, 1958 წ., გვ. 4).

იქვე მახლობლად, აღმოჩენის ადგილიდან „...2 მეტრის დაშორებით მრავლად აღმოჩნდა აგრეთვე კერამიკის ფრაგმენტები (თიხის ჭურჭლის, კეცების, აგურებისა და სხვათა ნამტვრევები). ამავე მხარეზე ჩამოჭრილი მიწის კედელში ნათლად მოჩანს დაახლოებით 2 სანტიმეტრ სისქეზე და 5-6 მეტრის სიგრძეზე ირიბულად გავლებული ნამწვავის (ნახშირიანი) ზოლი, რომელიც ზედაპირიდან 1,5-2 მეტრამდე სიღრმეზეა. ხოლო ნახევარი მეტრით უფრო ქვემოთ მას პარალელურად მიჰყვება ასეთივე ნამწვავის მეორე ზოლიც. მიწას აშკარად ეტყობა, რომ შემდგომ დანაყარია... ეტყობა ფერდობი გადმონათხარია და იქ საცხოვრებელი სახლი თუ რაღაც საწარმო ყოფილა" (იქვე). ალ. ქათამაძის ვარაუდით იგი კერამიკის საწარმო ან სამჭედლო უნდა ყოფილიყო (იქვე).

ეს მოსაზრება უსაფუძვლო არ ჩანს. მას ადასტურებს რამდენიმე ხნის წინათ აქვე ახლოს აღმოჩენილი კერამიკის გამოსაწვავი ძველი ქურა. კოხის კერამიკაში ავტორი გამოყოფს კოკისა და დერგის ორ ფრაგმენტს, რომლებიც მოშავო ფერისაა. მისი აზრით, ეს შავლაქიანი კერამიკაა და „...იმას ადასტურებს, რომ შავლაქიანი ჭურჭელი არამარტო შემოჰქონდათ, არამედ მათ ძველ კოლხეთშიც მასიურად ამზადებდნენ" (იქვე).

კოხის ძეგლებში ყურადღებას იპყრობს ქვევრის ფორმის ორხელიანი ჭურჭელი. ამ ჭურჭელს ალ. ქათამაძე კოლხურ ამფორად თვლის, მისი განზომილებით „კოხის ამფორის სიმაღლე 68 — 70 სანტიმეტრია, მხრების (მუცლის) დიამეტრი — 32 სანტიმეტრი, ძირის სიმაღლე 6 სანტიმეტრი. სამწუხაროდ, ამფორა დაზიანებულია, მას აკლია ყელი და ხელები" (იქვე).

საინტერესო ძეგლია მუზარადიც. იგი მაღალი ოსტატობითაა გაკეთებული.

კოხის შემთხვევითი აღმოჩენაც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ქობულეთის ნიადაგი მდიდარია სიძველის ძვირფასი ნაშთებით. ჩვენი სახელოვანი არქეოლოგები ერთ დროს, ალბათ, მოიცლიან ამისათვის.

## ჭახათის სასოფლო საბჭო

1. ხასან ბეგ თავდგირიძის წერილში გურიის მაზრის უფროსისადმი (13. X. 1847 წ.) ნათქვამია: „...რომელ ჩვენის მხარის ალა(მ)ბარს და ზენითს მცხოვრებნი ყმანი... სახელდებ ორნი ძმანი ცეცხლაძენი და ორნი ძმანი გოგიტიძნები სოფელსა ზენითს მცხოვრებნი ვსცანით, რომ დაგიჭირვინებიათ..." (საქ. სახ. მუზ., sd. 2376).

ამ სოფელში, სახელდობრ მ. ბაუჟაძის სამოსახლოს მახლობლად, შემონახულია ქვის მონოლითური საწნახელი. ხ. ახვლედიანის მიხედვით ეს არის „მამუკა თავდგირიძის საწნახელი" (ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, გვ. 148). შესაძლოა ამ საწნახელს ერთ დროს მართლაც მ. თავდგირიძე ფლობდა, როგორც ამაზე ხალხური გადმოცემა მიუთითებს, მაგრამ თუ ავტორი მას მ. თავდგირიძის დროის საწნახელად თვლის, ცდება, რადგან იგი ფრიად ძველი ხანის ძეგლი ჩანს (დ. ხახუტაიშვილი, შავი ზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობების მიხედვით (ხელნაბეჭდი), თბილისი, 1954 წ., გვ. 96).

2. ელიას ციხე საყურადღებო ძეგლია. იგი აგებულია მაღალ მთაზე. ამ ციხისადმი ინტერესი აჭარა-გურიაში საერთოდ დიდია, ხშირადაც ეწყობა ექსკურსიები, მაგრამ სპეციალისტთაგან დღემდე არავის მოუხილავს და შეუსწავლია იგი.

ამ ციხეს გარკვეულ ადგილს უთმობს ხ. ახვლედიანი წიგნში „ნარკვევი აჭარის ისტორიიდან" (ბათუმი, 1944 წ., გვ. 147-148). ავტორი მიუთითებს მეგზურ დურსუნ ცეცხლაძის გადმოცემაზე, რომლის მიხედვით „ელიას ციხე აუშენებია ვინმე ალი ცეცხლაძეს, რომლის საქმიანობას შეადგენდა ტყვეებით (გოგო-ბიჭებით) ვაჭრობა" და დასძენს: ეს გადმოცემა „სინამდვილეს არ შეეფერება"-ო (გვ. 147). მართლაც ელიას ციხის ამშენებლად ვიღაც ავაზაკის მიჩნევა შეუძლებელია, მაგრამ ამ გადმოცემაში სინამდვილის ნაწილაკი უეჭველად არის. აღნიშნულ ცეცხ-

ლაძეს უსათუოდ უნდა ჰქონდეს რაღაც კავშირი იმ სახლის აშენებასთან, რომელიც თურქთა ბატონობის ხანაში ციხეში ყოფილა;

ხ. ახვლედიანის აზრით „ელიას ციხე უნდა იყოს აგებული უფრო ადრე, ვიდრე თურქები დაიპყრობდნენ აჭარას" (იქვე). ესეც უდავო და უეჭველია, მაგრამ არ კმარა. საჭიროა უფრო კონკრეტული მითითება აგების თარიღისა. ამ მხრით ქრთველი ნაბიჯის გადადგმა სცადა აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ალ. ქათამაძემ. მისი ვარაუდით „ციხე აშენებულია დაახლოებით მე-13-14 საუკუნეებში" (ალ. ქათამაძე. ელიას ციხე-სიმაგრე. გაზეთი „საბჭოთა აჭარა", № 67, 1959 წ., გვ. 3). ავტორს, როგორც ჩანს, ამას აფიქრებინებს შემდეგი გარემოება: „ციხე აშენებულია მთის მწვერვალზე და ისიც ქვითკირით. ამის განხორციელება შეეძლო მხოლოდ ძლიერ ფეოდალურ საქართველოს" (იქვე).

საბუთი სუსტია. ამაზე დამყარებული დათარიღება სარწმუნო არ არის. ასევე ითქმის ქ. მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკის მ. თავდუმაძის ვარაუდზეც, რომლის მიხედვითაც ეს ციხე თითქოს „აშენებული უნდა იყოს თამარის დროს" (ქ. მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, არქივი № 8, საქმე 215, ფურც. 4).

მართალია, ხალხი ელიას ციხის ამშენებლად თამარს ასახელებს, მაგრამ ეს კარგად ცნობილი საერთო ტენდენციის ნაყოფია და მას ამ კონკრეტულ შემთხვევაში ღირებულება არა აქვს.

ელიას ციხის მეცნიერული დათარიღებისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა ციხის არქიტექტურული და არქეოლოგიური შესწავლა. ჯერჯერობით ასეთი სამუშაოები არავის უწარმოებია. ამიტომ ამ ციხის ასაკზე ძნელია რაიმე ითქვას დაბეჯითებით.

ამჟამად ჩვენში უდიდესი ყურადღება ექცევა მატერიალური კულტურის ძეგლების მოვლა-დაცვისა და შესწავლის საქმეს. გარკვეული მიღწევებია ფეოდალური ციხის კვლევის საქმეშიც. იმედია, უახლოეს მომავალში ელიას ციხე და სხვა მრავალი ძველი ქართული მატერიალური კულტურის დიდებული ძეგლი თავის მკვლევარს იპოვის და ფარდა აეხდება ხავსისა და ნარ-ეკლის საბურველის ქვეშ მოქცეულ საიდუმლოებას.

ელიას მთა, როგორც წმინდა ადგილი, გურია-ქობულეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მასზე მრავალი თქმულება და ლექსია შემონახული.

აი ნაწყვეტი ერთი მათგანიდან:

„ელიას მთაო მაღალო, წმინდა ელიას სახლკარო.
რას იბურები ღრუბლებში, მაშინებ, „ვერ გადახვალო"
ჩაჩუტად სიო მოგზავნე, ყურში ჩამძახის „ტყვე ხარო".
წმიდა გიორგი მწყალობს და გული მიჩივა ჩახვალო.

რისთვის ირჯები, რას მერჩი, „ფეხშებორკილი მყავხარო"
ერთი ყელამდე ამიშვი, ქვემოთკენ თავი დავხარო,
ვეღარ დამიჭერ თუ გინდა თავს რისხვა გადამაყარო
ელჭექით — ჭექა-ქუხილით, რომ შეძრა მთელი სამყარო.

თოვლში ბუჩქები ჩახერგო, თავს სეტყვა გადამაყარო
ხოშკაკლით, თოვლის ზვავებით, სავალი გზები დაფარო.
ყელამდე თოვლში ჩაფლული, გეგონოს „ვერ წამიხვალო".
მოგიკვდე თვარ გათქმევინო, ვაჟკაცი დევსა გავხარო".

(ქ. მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, არქივი № 8, საქმე 215, ლექსი ჩაუწერია მ. თავდუმაძეს სოფ. ქაქუთში 1956 წლის 20 ოქტომბერს (მთქმელი შ. ოქროპირიძე) ვიცავთ ჩამწერის სტილს).

3. «В деревне Содомури... в день нашего проезда... происходили похороны известного во всем Чурук-су Мемед-аги Тамаз-оглы...». (Д. Бакрадзе. Арх. пут., стр. 94).

სოდომური პატარა სოფელია, რომელიც ჰახაოში შედის.

4. ეს ტოპონიმი „ტყემაკარის" ფორმით იხსენიება სიმონ გურიელის მიერ აჭის ეკლესიისადმი მიცემულ შეწირულობის წიგნში (ს. კაკაბაძე, მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ მე-17 საუკუნეში, „საისტორიო მოამბე", ტ. I, ტფილისი, 1925 წ., გვ.

184). ასეთივე სახითაა მოცემული ეს სახელწოდება დ. ბაქრაძის წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ (გვ. 94).

„ტყემაკარავის“ ფორმით ეს სოფელი გვხვდება ზ. ჭიჭინაძის მიერ მუჰაჯირად წასული ქობულეთის სოფლების სიაში (ზ. ჭიჭინაძე, მაჰმადიანთ გადასახლება ოსმალეთში, თფილისი, 1912 წ., გვ. 123).

ამავე ფორმითაა მოცემული იგი საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფაში (გვ. 140).

ეს სოფელი მდებარეობს იმ გზაზე, რომელიც კინტრიშის ხეობიდან აჭარისწყლის ხეობაში მიდიოდა (ტალახას გადასავალით). ეს გზა გაიარა 1873 წელს დ. ბაქრაძემ გურია-აჭარაში მისი ცნობილი მოგზაურობის დროს. დ. ბაქრაძე წერს: „მეოთხე დღეს, დილით.. დავტოვეთ კობალაური და საკმაოდ მაღალი თხემით გავემართეთ სოფელ ტ ყ ე მ ა კ ა რ ი ს ა კ ე ნ“ (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ., გვ. 94). ამ სოფლის ამგვარი (გზებზე) მდებარეობა თითქოს იმაზე მიგვითითებს, რომ ამ კომპოზიტის მეორე ნაწილში უფრო „კარ“-თან უნდა გვქონდეს საქმე, ვიდრე „კარავ“-თან.

ივ. ჯავახიშვილის სიტყვით: „ქვეყანაში შემომყვანელს უმთავრესს გზას ან სიმაგრეს, რომლის ხელში ჩაგდებაც მტომარს მთელის სანახების, ზოგჯერ მთელი ქვეყნის, დაპყრობასაც კი უადვილებდა, „კარი“ ერქვა“ (ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბილისი, 1948 წ., გვ. 11).

აქ რომ მართლაც „კარი“ უნდა იყოს და არა „კარავი“ ამის სასარგებლოდ მეტყველებს აქვე მახლობლად მდებარე „ელიას ციხე“, რომელიც ამ გზას ჰკეტავდა. ეს გზა წინათ, ეტყობა, მნიშვნელოვანი ყოფილა და მასზე ცხოველი მიმოსვლა სწარმოებდა. მართალია იგი საკმაოდ ძნელადსავალიც იყო, მაგრამ მოკლე და მოხერხებულიც აჭისწყლის ხეობაში მიმავალისათვის.

5. «Дорога наша пошла вверх по течению небольшой речки Квилара (ყვილარა) (Д. Бакрадзе, Арх. пут. стр. 94). ყვილარა დამახინჯებული ფორმაა „ყვირალა“-სი და დამახინჯებულია რ-ისა და ლ-ის ადგილშენაცვლებით.

6. «Дороги от нашей границы... исключая береговой и выючных троп на перевал Талаха, сходятся у Муха-эстатских холмов» (Русско-турецкая война в 1877—1879 гг., ч. 1., сост. проф. Колюбакин, 1906 г., стр. 37).

7. აჭარის ასსრ ადმინისტრაციულ რუკაზე (გამოც. 1939 წ.) აღნიშნულია „კეჩიეთი“, რაც კეჭიეთის დამახინჯებული ფორმაა. ეს შეცდომა, როგორც ჩანს, რუსული წყაროებიდან მოდის. საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფაში მოცემულია „კეჭიათი“ (გვ. 140). არც ეს არის ზუსტი. უნდა იყოს კეჭიეთი.

8. მეორენაირად ჩამურის ღელე.

9. ამბობენ ბასრიმელესაც.

ბასრიმე(ჰე)ლეში კინტრიშზე შემონახულია ქვის კამარიანი ხიდი, რომლის აგებასაც სოლომურელ თამაზაშვილს მიაწერენ. ეტყობა ეს ბასრიმე(ჰე)ლე აქვს მხედველობაში ხ. ახვლედიანს, როდესაც „ბასილეთის“ ხეობაზე მსჯელობს. მისი სიტყვით: „ბასილეთისა და ცხემვანის ხეობები ცნობილ ფეოდალ ისმაილ აღა თამაზოღლის აუგია.., აღნიშნულ სოფლებში თაღიანი ხიდები, სადაც გამვლელ-გამომვლელს ის ახდევინებდა ფულს... ხსენებული ხიდების აგება ეკუთვნის მე-18 საუკუნის მეორე ნახევარს“ (ხ. ახვლედიანი, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, გვ. 148).

ხ. ახვლედიანი ხალხურ გადმოცემას ემყარება. ასეთი გადმოცემა ჩვენც ჩაგვიწერია კინტრიშის ხეობაში მოგზაურობის დროს (დღიური, რვ. 2, გვ. 4).

10. ამ სოფლის სახელი დ. ბაქრაძესთან „ცხემლოვანის“ ფორმითაა მოცემული. ხინოდან მომავალი სახელოვანი ისტორიკოსი, როცა გზას აგვიწერს, ამბობს:

«...Я нашел несколько мостов... Из них меня особенно поразили два — Хино и Цхемловани. Они показались мне красивее адчарских. Цхемлованский мост имел в длину 35, а в ширину 5 шагов» (Арх. пут., стр. 93).

ზ. ჭიჭინაძის სოფელთა სიაში მოხსენებულია „ცხემეანი“ (ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, გვ. 123). საქართველოს ისტორიულ რუკასა და აჭარის ასსრ ადმინისტრაციულ რუკაზე ეს სოფელი აღნიშნული არ არის.

საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფაში „ცხემვანი“ ზერაბოსლის სასოფლო საბჭოშია დასახელებული (გვ. 139). ამჟამად იგი ზერაბოსლის სასოფლო საბჭოში შემავალ სხვა სოფლებთან ერთად ჭახათის სასოფლო საბჭოში ერთიანდება.

11. აჭარის ასსრ ადმინისტრაციულ რუკაზე ეს სოფელი აღნიშნულია „ხეკნარა“-ს ფორმით. ჩვენ „ხეკნალა“ ჩავეიწერია (დღიური, რვ. 2, ფ. 11).

12. მუჰაჯირად წასულ სოფელთა სიაში ეს სოფელი „ზარა ბოსელის“ ფორმითაა მოცემული (ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთ გადასახლება ოსმალეთში, გვ. 123). ეტყობა ამ კომპოზიტის პირველ სიტყვაში კორექტურული შეცდომაა, თორემ რა საფუძველი უნდა ჰქონოდა ავტორს „ზერა“-ს ზართან დაკავშირების შესახებ?

აჭარის ადმინისტრაციულ რუკაზე ეს სოფელი არაა დატანილი. საქართველოს ადმ.-ტერიტ. დაყოფაში იგი ზერაბოსელ-ად იწოდება (გვ. 139).

ამ სახელწოდების პირველი ნაწილი „ზენა“-ს სახეცვლილებით უნდა იყოს მიღებული. ზენა იგივე ზედაა. გურია-აჭარაში „ზენა“ „ზედას“ ვარიანტად ხშირად გვხვდება. რაღა შორს წავიდეთ ამავე სოფელში არსებობს ადგილის სახელწოდება „ზენაკარავი“ (ასე იწოდება ტყე). „ზენაკარავი“ აქ იმასვე ნიშნავს, რასაც „ზედაკარავი“.

13. ეკლიგვერდი შემოკლებული ეკლესიის გვერდია. ეს ადგილი ნაეკლესიარის გვერდით მდებარეობს და ამიტომ უწოდებენ ასე.

14. ამ სოფლის სახელწოდება გვარსახელ მესხიძეს უკავშირდება. მესხიქედიდან წამოსულად ითვლებიან აწ ეს ქობულეთის სოფლებში გაბნეული მესხიძე და ათაბაძე, ანუ ძველი ათაბაგი.

15. ამ ღელეზე მოღწეულია ქვის კამარიანი ხიდი.

16. მეორე სახელით — ნოღაისოული, ანუ ნოღაიდელისოული.

17. ალ. ქათამაძის აზრით გოგოური ნაწარმოები უნდა იყოს სახელისაგან გიორგი (ასეთი სახელი იხსენიება თქმულებაში წერაკვეთის შესახებ). გოგოური უნდა იყოს: გიორგი გორი ან გიორგოული ან გიორგისეული. უფრო სწორი იქნება, — დასძენს იგი, — გოგოურის წარმოშობა გიორგის გორი-დან (აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფ. № 19. გვ. 17).

18. ხინო ძველად, როგორც ჩანს, უფრო ვრცელ მიწა-წყალს. კერძოდ კინტრიშის ხეობის ზემო წელს აღნიშნავდა. ამჟამად მხოლოდ ერთი სოფელი იწოდება ამ სახელით.

ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში ეს სახელწოდება 4-ჯერ არის მოხსენებული და ყოველთვის „ხინო“-დ (გვ. 175). გურიის სამთავროს საბუთებში უფრო ხშირად ხინოწმიდაა დასახელებული (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ.. გვ. 237 და სხვ.).

როგორც ჩანს, ხინო ორ ნაწილად — ზემო ხინოდ და ხინოდ (ქვემო) განიყოფოდა. „Переночевав в Земо-Хино, мы на следующее утро пустились далее“ (Д. Бакрадзе, Арх. пут. стр., 93). ზემო ხინო ეწოდებოდა და ადგილობრივ დღესაც ეწოდება იმ სოფელს. სადაც შემონახულია საეპისკოპოსო საყდრის ნაშთი. საქართველოს ისტორიულ რუკასა და აჭარის ადმინისტრაციულ რუკაზე აღნიშნულია ხინო, ზემო ხინო აღნიშნულ რუკებზე დატანილი არ არის. აჭარის ადმ. რუკის ხინო ზემო ხინოა, რადგან მასზე აღნიშნულია აგრეთვე სოფ. დიდვაკე, რომელიც იგივე ხინო. ანუ ქვემო ხინოა. იგივე სოფლები, ზემო ხინო და დიდვაკე გვხვდება მუჰაჯირად წასულ სოფელთა სიაში (ზ. ჭიჭინაძე. ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება. გვ. 123).

გადმოცემით თითქოს ამ სოფლის სახელწოდების თავდაპირველი ფორმა ყოფილა სალხინო. თითქოსდა ერთ დროს იქ მოულხენია თამარ მეფეს და სახელიც სოფლისა სალხინო აქედან მომდინარეობს. შემდეგში ჯერ „ლხინო“-დ შეცვლილა. ბოლოს კი „ხინო“-დ (აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ს. 19, გვ. 2). სალხინოს ხინოდ შეცვლის ხალხური ვერსია, ეტყობა, იმდენადაა სარწმუნო, რამდენადაც თამარის ყოფნა-მოლხენის ამბავი ხინოში.

თურქთა ბატონობის ხანაში ხინოში 300 კომლი ყოფილა (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ., გვ. 91). რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომისა და მუჰაჯირობის შემდეგ ეს რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირებულა. ზ. ჭიჭინაძის ცნობით მარტო ზემო ხინოდან მუჰაჯირად წასულა 40 კომლი (ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება, გვ. 123). რევოლუციამდე ხინო სასოფლო საზოგადოების ცენტრი იყო და კინტრიშის უბანში ერთიანდებოდა.

ხინოში ყურადღებას იპყრობს საეპისკოპოსო საყდრის ნანგრევები. იგი მდებარეობს სოფლის თავში, მდ. კინტრიშის მარჯვენა ნაპირას, შესანიშნავ ადგილას.

ხინოს ეკლესიას პირველი დაზიანება მიტაცების პირველსავე დღეებში განუცდია. გადმოცემით მტერი ხინოში ჰვანიდან (პერანგათი) ჩამოსულა. შემოსვლისთანავე თურქებს საეპისკოპოსო ტაძარი ცეცხლისათვის მიუციათ. ამ დროს თუ რამ ხის ჰქონდა მას ყველაფერი ჩაფერფლილა, ქვის ნაგებობა კი ასე გატრუსული კარგახანს მდგარა (დღიური, 3. IX. 1957 წ. ს. ხინო).

1873 წელს დ. ბაქრაძეს ეს ეკლესია ძალიან დაზიანებული დახვედრია. ადგილობრივ მოპოვებული ცნობით საყდარი განზრახ დაუნგრევიათ 7–8 წლის წინათ (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ., გვ. 91).

დ. ბაქრაძის აღწერილობით: «В ней держится лишь алтарная часть с ризницею и приделом... Штукатурка с живописью на стенах совершенно сбита Объем церкви не велик: 22 шага в длину и 12 в ширину. Ни в ограде, ни вне ея уже нет следов колокольни и здании для церковно-служителей: нет сомнения, они были возведены из дерева». (91).

ხინოს საყდრის შემდგომ დაზიანებაში წვლილი შეუტანია მიწისძვრასაც. ხ. რ. ქათამაძის გადმოცემით: „1877–78 წ.წ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ხინოს ეკლესია ნაწილობრივ დანგრეული ყოფილა, განსაკუთრებით მისი დასავლეთი მხარე. ხოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ მძლავრი მიწისძვრა მომხდარა, რასაც ეკლესიის ყველა კედლები დაუზიანებია“ (ჩასწერა ალ. ქათამაძემ, აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწ. ფონდი, საქმე № 19, გვ. 7).

ასე მოუღწევია ამ საყდარს 1919 წლამდე. ამ დროს კი, ა. ფ. მიქელაძის (დაბ. 1892 წ. ს. ხინო) ცნობით იგი საბოლოოდ დაუნგრევიათ. ეს ასე მომხდარა: საყდართან ცხოვრობდა სოფ. ბარათაულიდან (შუახევის რაიონი) ჩამოსახლებული ემინ მემედის-ძე ტარიელაძე, რომელსაც პატარა ფიცრული სახლი ედგა. მან გადაწყვიტა დაენგრია საყდარი და მისი ქვებით სახლი გაეკეთებინა. მაშინ ხინოში მუშაობდნენ ქვის მოხელე ლაზები. თავისი განზრახვა ემინმა გაანდო ლაზებს და სახლის აშენებაზე მოურიგდა. ლაზებმა რამდენიმე დღე იმუშავეს საყდარზე. იგი ძალიან ძნელი დასანგრევი გამოდგა. ბოლოს დინამიტიც იხმარეს და ისე დაანგრიეს მისი კედლები. იმ ღამეს ლაზებმა მასპინძელს თხოვეს რამდენიმე დღით ბარში ჩავირბენთ, ცოლშვილს ენახავთ და მალე ამოვალთო. თურმე მიიპარებოდნენ. ტარიელაძე ამას რას იფიქრებდა; ხელსაწყო იარაღები მასპინძლისას დასტოვეს. ემინმა მეზობლებს დაგვიძახა, მომეხმარეთ, ქვები გადმომაყრევინეთ, ოსტატები რომ ამოვა პირდაპირ საქმეს შეეუდგებითო. რამდენიმე კაცი ვეხმარებოდით. როცა ქვებს ვყრიდით გატეხილი ქოთანი ვნახეთ. ეტყობოდა, რომ მასში რაღაც განძი უნდა ყოფილიყო. დღეები დღეებს მიჰყვა, კვირეები კვირეებს, მაგრამ ლაზები არ ჩანდა. აშკარა იყო, რომ აქ იპოვეს ისეთი რამ, ალბათ ოქრო, რომ ტარიელაძის 300 ლირა (ამ თანხაზე მოურიგდნენ ლაზებს სახლის აშენებას) არაფრად ჩანდა მასთან და სულაც გადაიკარგნენ. შემდეგ ტარიელაძემაც მიანება თავი ქვის სახლის აშენებას. დიდხანს აღარ უცოცხლია მას შემდეგ. კინტრიშში დაიხრჩო 1922 წელს. ხალხი ამბობდა: საყდრის ნგრევამ უყოო (დღიური, 3. IX. 1957 წ. ს. ხინო).

ხ. ქათამაძის თქმითაც: „ეკლესიის (ხინოს ეკლესია — ი. ს.) ნახევრად დანგრეული კედლები ამ ოცი წლის წინათ (გადმოცემა ჩაწერილია 1940 წელს — ი. ს.) დაანგრია ერთმა ჩემმა მეზობელმა და უნდოდა ბოსელი აეგო, მაგრამ აღარ დასცალდა, შემთხვევით წყალში დაიხრჩო. მაშინ ხალხმა სთქვა, რომ ის მეზობელი ეკლესიის ცოდვამ დაახრჩოო“ (აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ს. 19, გვ. 9).

ეკლესიას შემოვლებული ჰქონია გალავანი. როგორც გალავანი, ისე თვით საყდარი ძირითადად კლდის ქვით არის ნაშენი, აქა-იქ ურევია რიყის ქვაც. კინტრიშიდან ამოტანილი ქვას საყდრის მახლობლად, საკირის ღელეში ტეხდნენ. იქვეა კირის საბადოც. იქ დამწვარი კირითაა აშენებული ეს ეკლესია.

ვახუშტის სიტყვით ხინოს ეკლესია გუმბათიანი იყო (აღწერა, გვ. 175). დ. ბაქრაძე დაინტერესებული იყო ამის დადგენით. მისი გამოკვლევით, ვახუშტი ცდება, ამ ეკლესიას გუმბათი არ ჰქონია. იგი აჭის ეკლესიის მსგავსი ნაგებობა ყოფილა (არქ. მოგზ., გვ. 91).

ხინოს საყდარი ოსმალთა გაბატონების შემდეგ ერთბაშად როდი მიუტოვებია ხალხს. მიტაცებული მხარის გამუსულმანებულ ქართველთა უმრავლესობა კვლავ მამაპაპურად დადიოდა

ამ საყდარში. ლოცულობდა. ანთებდა სანთელს. მოქონდა შესაწირავი და სხვ. და ამას 1873 წელსაც კი აკეთებდნენ. ამის აშკარა მოწმობაა ის ახალი სანთლები, რომლებიც დ. ბაქრაძემ ნახა იოვანე ნათლისმცემლის საყდრის საკურთხეველში (არქ. მოგზ., გვ. 91).

ხ. ხ. ქათამაძის გადმოცემით „ეკლესიას და მის მიდამოს უვლიდა ერთი მოხუცი, გვარად ცეცხლაძე (ის 80 წლის გარდაიცვალა 25 წლის წინათ). ეკლესიაზე, როგორც ჩვენი სოფლის, ისე ქობულეთის სხვა სოფლებისა და გურიის მცხოვრებნიც მოდიოდნენ. მოქონდათ ე. წ. ნაბრალევი ანუ თაეზე შემონარევი...“ (ჩასწერა ალ. ქათამაძემ 1940 წელს, აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ს. 19, გვ. 8).

10. ლეგენდის მიხედვით ამ სოფლის სახელი თითქოს წარმოსდგება მისი ერთ-ერთი ოდინდელი მკვიდრის ომონიმური სახელისაგან. თქმულება ჩასწერა ალ. ქათამაძემ 1940 წ. მისი სიტყვით: „...წერაქვეთას ნასახლებზე დღეს ქათამაძეები ცხოვრობენ, ხოლო სოფელს „წერაქვეთას სახელი — წერაქვეთი ქვია“. (აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 19, გვ. 17).

ჩვენი აზრით, ეს სახელწოდება „წერაქვი“-საგან უნდა იყოს წარმომდგარი (შეად. სოფ. „წერაქვი“ მარნეულის რაიონში, ადმ.-ტერიტ. დაყოფა. გვ. 255).

## მთები, ხაზაფხული საძოვრები

1. „ზღვის მონაწყვეტს“ უწოდებენ ტბას, რომელიც ტბისყელის სახელით ცნობილ მთაზე მდებარეობს. ამ ტბის შესახებ ასეთი ლეგენდა არსებობს: ტბაში ოდესღაც ბუდობდა ერთი რაღაც ცხოველი, რომელიც იქედან ამოდიოდა და მინდორზე ხარს ეჭიდებოდა. ორთაბრძოლა საღამომდე გრძელდებოდა. ბინდი აშორებდა ერთმანეთს მებრძოლთ. მშიერი და დაქანცული ხარი საღამოს ძლივს მილასლასებდა შინისაკენ. ეს გარემოება შეუნიშნავი არ დარჩენია მის პატრონს — ხინოელ გოლა დედე მახარაძეს, გაიგო სოფელმაც. დაინტერესებული ხალხი უკან გაყვა საძოვარზე გაშვებულ ხარს. ხარი მივიდა თუ არა ტბის მინდორზე, ტბიდან ამოვიდა რაღაც შავი ცხოველი და მისკენ გაექანა. ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა. როცა საღამოს ხარი დაბრუნდა პატრონმა, რომელიც ხელობით მჭედელი ყოფილა, მას რქებზე მახვილი გაუკეთა და მეორე დღეს ასე გაუშვა საბალახოდ. რქებმოჭედილ ხარს გაუგმირავს ტბის ცხოველი და შინაც მაძღარი დაბრუნებულა.

ხალხს განუზრახავს დაეშრო ტბა და ენახა, თუ რა ცხოველი იყო მასში. აუღიათ იარაღები და წასულან სამუშაოდ. მაგრამ პეპა-ქუხილი ამტყდარა. წამოსულა კოკისპირული წვიმა და უშედეგოდ მობრუნებულან. შემდეგ კვლავ წასულან. მაგრამ ისევ ძველებურად განმეორებულა. ხალხი შეშინებულა, ეს ღვთის წყრომად მიუჩნევია და საბოლოოდ აუღია ხელი ტბის დაშრობაზე.

ეს ლეგენდა საყოველთაოდ ცნობილია ხინოში. იგი გვიამბო ა. მიქელაძემ (დღიური, გვ. 6). იგივე თქმულება ჩაუწერია ალ. ქათამაძესაც 1940 წელს (აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. საქმე № 19, გვ. 18-19).

ასეთი თქმულება მარტო ტბისყელის ტბაზე როდი არსებობს. ეს მოარული და საერთოდ გავრცელებული ლეგენდა ჩანს ტბებზე, ასე მაგ., ანალოგიური ლეგენდა ჩაუწერია თ. სახოკიას „ბულ-გიოლის“ ტბაზე (მოგზ., გვ. 212).

2. ქვაკაცებს აქ უწოდებენ კლდეზე აყუდებულ კაცის მსგავსს ლოდებს. ასეთი ლოდ-ქვაკაცები თ. სახოკიასაც უნახავს მარითის ხეობაში, მაწყვალთის იალაღებზე (თ. სახოკია. მოგზ., გვ. 211).

3. სიძე-რძლის სახელით იწოდებოდა სარმიყელის მთაზე არსებული ქვაკაცები. იქ ადამიანის მსგავსი რამდენიმე ქვაა, მათგან ორი უფრო მაღალია და ხალხი სიძე-რძალს უწოდებს. გადმოცემით, თითქოს ესენი გაქვავებული მეჯვარწინენი არიან.

საქმე შემდეგში ყოფილა: თითქოს მთა გვანცას თავისი ასული, რომელიც თითქოს დაწინდული ყოფილა მთა კარჩხალის ვაჟზე, ხინოსათვის მიუთხოვებია. ქალი მიჰყავდათ გურიაში. განაწყენებულმა და შეურაცხყოფილმა კარჩხალამ ღმერთს სთხოვა სიძე-რძლისა და მაყრიონის გაქვავება. ღმერთსაც თითქოს შეუსმენია თხოვნა და გზაზე, ირმიყელში გაუქვავებია ისინი.

ლეგენდა სიძე-რძალზე სხვა ვარიანტით ჩაწერა ალ. ქათამაძემ 1940 წელს. (აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე № 19, გვ. 13-14).

## ოჩხამურის სადაბო საბჭო

1. მეორე სახელით — საღარიბო.

2. ერთ-ერთი ხალხური ლექსი ამბობს:

როკნალზე წამოგვეწიენ
შეგვექმნა თოფის ტკაცია,
დაღალული ჩამოგვყარეს
იქ ოჩხამურის წყალშია;

(ქობულეთური ლექსი ოლქობაზე. თქმული ჰუსეინ მჟავანაძისაგან. ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება. ტფილისი, 1916 წ., გვ. 21).

3. იმავე ლექსიდან:

გოთაულები შეიყარა
ქობულეთელი და დაგვია,
ხუცუბნელი, ჩახათელი,
რომ ესთქვათ ერთიც არ აკლია,
ჯორის კვალზე რომ გავედით
ყველამ ჩაედექით გზაშია,
საკაციაზედ გავედით
წინა გავგზავნეთ ბარგია. (იქვე).

4. „...მემიშ ნოღაიდელმა ერთი დღის საგზალი წაიღო თურმე ყანაში, რომელიც ფართხნალში მდებარეობდა“ (ჯ. ნოღაიდელი, აჭარის ხალხური ზეპირსიტყვიერება, ნაწილი პირველი, ბათომი, 1936 წ., გვ. 101-102).

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქობულეთის საადგილმამულო აქტებში გვხვდება ტოპონიმი „პარტგამე“ ან „პარტგამ“ (საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 231, საქმე 323. ფურც. 5, 6). ა. ბ. ავალიანის ვარაუდით ეს სახელწოდება ფართხნალს უნდა გულისხმობდეს (აზრი გამოთქმული იყო პირად საუბარში). ეს მოსაზრება ჩართებული ჩანს. ჯერ ერთი, „პარტგამე“, საბუთების მიხედვით, სწორედ ფართხნალის მიდამოებშია საძიებელი და მეორეც, ეს სახელწოდებანი ფონეტიკური შედგენილობითაც უახლოვდებიან ერთმანეთს.

## მუხაესტატეს სასოფლო საბჭო

1. ხალხი ამ სახელწოდებას ვინმე ესტატეს სახელს უკავშირებს. ერთნი ამბობენ: ის ესტატე მღვდელი იყო, იმ მუხაზე გააკრეს და აწამეს თურქებმა და ამიტომ ეწოდება ასეთი სახელიო (გვიამბო იუსუფ ქათამაძემ, 5. XI. 1958 წ.. სოფ. ცხრაფონა).

სხვების გადმოცემით: ახლანდელი მუხაესტატეს სკოლის ეზოში ძველად იდგა დიდი მუხა. იმ მუხასთან ცხოვრობდა ერთადერთი კაცი ვინმე ესტატე. მისი ეზო ირგვლივ ტყით იყო შემოფარგლული. ამ ტყეში ათასნაირი ნადირი ბუდობდა, მათ შორის მგლებიც. ერთხელ თურმე ესტატე გვიან დაბრუნდა ჯორით. ჭიშკართან რომ მივიდა, დაიწყო ძახილი: გამიღეთო. ერთხანს ილადა, იფიქრა, გამიღებენო, მაგრამ აღარავინ გამოჩნდა. ესტატე ჩამოხტა ჯორიდან და ის იყო ჭიშკარს მოჰკიდა ხელი, როცა მოვარდა მგლის ხროვა და ჯორიანად შესჭამა. ამის გამო უწოდეს თურმე მუხაესტატე (მ. კობალაძის ნაამბობი, 4. XI. 1958 წ., სოფ. ცხრაფონა).

უფრო გავრცელებულია და ლიტერატურაშიც არის შესული ამ გადმოცემის მესამე ვარიანტი, რომლის მიხედვით ეს ვინმე ესტატე ყოფილა ტყვის მტაცებელი გლეხი. გვარად გრიგოლია. გურიაში მოპარული ბავშვები მას თურმე მიჰყავდა ზემოხსენებულ მუხასთან. იქ მოდიოდა მისი შეპირებული თურქი, ესტატეს ფულს ჩაუთვლიდა და წაიყვანდა ტყვეს. ერთხელ ესტატეს ერთი თავისი მეზობლის ბიჭუნა გაუტაცია, გადაუყვანია საზღვარზე და პირობისამებრ ხსენებულ მუხასთან გაჩენილა. აქ კარგა ხანს უცდია თათრისათვის, მაგრამ მუშტარს დაუგვიანებია, ესტატეს კი მეტის დაცდა აღარ შეეძლო, რადგან მეზობლებს ეჭვი ჰქონდათ მასზე და გამომძლავნდებოდა. ამიტომ ბავშვი მიუკრავს მუხის ტოტზე და მუხაზე ხანჯლით ამოუკვეთია თავისი სახელი „ესტატე“. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბავშვი მისი

მოყვანილი იყო. ესტატე მობრუნებულა შინ. მაგრამ ეზოდან სამ დღეს ველარ მოახერხა გაუმისელა, რადგან მეზობლები თვალყურს ადევნებდნენ. მესამე დღეს როგორც იყო მოეხერხებია გაპარვა, მისულა მუხასთან და უნახავს: ბავშვი ისევ ისეა დაკრული ტოტზე, როგორც დატოვა. თათარი აღარ მოსულიყო. ბავშვმა თურმე ერთი ამღვრეული თვალით შემოხედა თავის ჯალათს და სული განუტევა. ამ ბავშვის გატაცების საქმე დიდხანს რჩებოდა გაუხსნელი. ბოლოს იგი ზიარების დროს თვით ესტატემ აღიარა.

ეს ეპიზოდი მხატვრულად დაამუშავა ცნობილმა ქართველმა მწერალმა ქალმა ნინო ნაკაშიძემ (იხ. ნ. ნაკაშიძე, მუხაესტატე, „მოსწავლის დღიურები", 1954 წ., გვ. 115 — 123). ამ ამბავს მხატვრის ფუნჯიც შეეხო (სურათი გამოფენილია მახარაძის მუზეუმში).

ამავე ეპიზოდს უნდა გულისხმობდეს ჰანიეთელი შევარდენ ლომჯარიას (გარდ. 1932 წ.) გადმოცემა, რომელიც აკად. გ. ხაჭაპურიძემ ჩასწერა: დაახლოებით 1858 წელს, ს. ჰანიეთში დღისით დაკარგულა ერთი გლეხის 12 წლის ბიჭი. სოფელს ბევრი უძებნია იგი, მაგრამ მისი კვალისათვის ვერ მიუგნია. ბიჭის თავგადასავალი გაუგიათ 40 წლის შემდეგ, როდესაც ქაქუთელ გლეხს გრიგოლიას (შევარდენი სახელს არ ასახელებს) სიკვდილის წინ ცოდვები მოუნანიებია საჯაროდ და გამოტეხილა ტყვის გატაცება-სყიდვაში. ჰანიეთელი ბიჭიც მე მოვიტაცეო — უთქვამს გრიგოლიას. შემეშინდა მდევრების, ბავშვს პირში ბურთი ჩავჩარე და ხუზე მივაპით (შევარდენი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რომელ ტყეში დასტოვა ბავშვი). მხოლოდ მე-12 დღეს მოუხერხებია გრიგოლიას თავისი ტყვის ნახვა. ბავშვი ცოცხალი დახვედროდა, მაგრამ თურმე ადამიანს აღარ ჰგავდა. მომტაცებლის დანახვაზე ბავშვს ცრემლი წასკდომია და თავი მორჩილად დაუხრია ძირს. ამას მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია გრიგოლიაზე. საშინელი სურათის ცქერისათვის ვერ გაუძლია და უკან გამოქცეულა (გ. ხაჭაპურიძე, გურიის აჯანყება, 1931 წ., გვ. 24).

მუხაესტატე იხსენიება გენერალ-მაიორ ანრეპის მოხსენებით ბარათში, რომელიც შავი ზღვის მეორხე სანაპირო ხაზის შედგენას ეხება და დათარიღებულია 1842 წლის 22 აპრილით (ლენინგრადის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 1268, საქმე 308, ფურც. 3). ბარათის ასლში რომლითაც ჩვენ ვისარგებლეთ, ეს ტოპონიმი „მუხაზსტატის" ფორმითაა მოცემული. (ასლი დაცულია აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქივში).

ამავე ბარათის ასლი თავის დროზე ხელთ ჰქონდა და ქართულად თარგმნა აკად. გ. ხაჭაპურიძემ. აღნიშნულ თარგმანში, რომელიც ავტორისავე „გურიის აჯანყებას" ერთვის, ანრეპისეული მოხსენებითი ბარათის „მეხაზსტატი" „მეხაზეთაითი" არის შეცვლილი. „ქობულეთიდან გურიაში ორი მთავარი გზა მიდის: ბათომიდან კინტრიშით და მ უ ხ ა ზ ე თ ა თ ი თ და წმ. ნიკოლოზის ციხისაკენ და მ უ ხ ა ზ ე თ ა თ ი თ ოზურგეთისაკენ (გ. ხაჭაპურიძე, დასახ. ნაშრ., დოკუმენტები, გვ. 76). ეტყობა, გან!!ვენებულ მეცნიერს „მუხაზსტატის" მართებულ ფორმად „მეხაზეთათი" მიაჩნდა. ამ გარემოებამ ძალიან დაგვაინტერესა ჯერ კიდევ „გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყებაზე" მუშაობის დროს (1950-1951 წ.წ.). მაგრამ ამის დამადასტურებელ რაიმე ცნობას ვერ მივაკვლიეთ. გურიის სამთავროს საბუთებში ეს ტოპონიმი არ შეგვხვედრია, ხოლო XIX საუკუნის დოკუმენტებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში იგი ყველგან „მუხაესტატე"-დ იხსენიება. ამიტომ ნაკლებ სარწმუნოა, რომ „მუხაესტატე" სახენაცვალი ფორმა იყოს „მუხაზეთათისა".

თურქთა მფლობელობის პერიოდში მუხაესტატეს მიდამოები უკაცური იყო. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს იქ რუსთა ჯარი იდგა. ა. ფრენკელის 1878 წლის ცნობით: „მუხა-ესტატე სხვა არაფერია, თუ არა მაღალი ბორცვების ჯაჭვი. და მხოლოდ რუსთა ჯარების ბანაკის საფუძველზე გაჩნდა აქ ვაჭარ-მარკიტანტთა მთელი დასახლება, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გავლისას, ჩვენი ჯარების მთელ მასას უკვე ვადაენაცვლა ქვეყნის სიღრმეში, მუხაესტატეში ჯერ კიდევ ბევრი სავაჭრო-დუქანი იყო" (ა. ფრენკელი, დასახ. ნაშრ., გვ. 8).

რევოლუციამდე მუხაესტატე თხლად იყო დასახლებული. ამ სოფლის კომლთა რაოდენობა იმ დროს 20 — 25 არ აღემატებოდა. ამჟამად ამ სოფელში 180 კომლია. მუხაესტატეში ცხოვრობენ შემდეგი გვარები: გირკელიძე, გოგიტიძე, გოლიაძე, გოხიძე, მენაღარიშვილი, მჟავანაძე, ტაკიძე, ქათამაძე, ცეცხლაძე, ძიძიგური (დღიური, 20. X. 1958 წ., სოფ. მუხაესტატე).

ეს წიგნი ჩაშვებული იყო წარმოებაში, როდესაც ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარა"-ში (1959 წ., № 3, გვ. 86-87) გამოქვეყნდა დ. ცინცაძისა და შ. ხანთაძის წერილი „მუხაესტატეზე არსებული ხალხური გადმოცემის შესახებ".

ირკვევა, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციას გურია-აჭარაში მუშაობის დროს ქ. ა. ნიჟარაძისაგან (სოფ. მუხაესტატეს მცხოვრები) ჩაუწერია მუხაესტატეზე არსებული გადმოცემის ერთი ახალი ვარიანტი, რომლის მიხედვით ესტატე ყოფილა სახელი არა ტყის მტაცებელი კაცისა, არამედ იმ ბავშვისა, რომელიც მოიტაცეს. ავტორები ფიქრობენ, რომ „უფრო სწორი უნდა იყოს თქმულების ეს ვარიანტი... უფრო მისაღებია ის აზრი, რომ ხალხმა ადგილსა და სოფელს იმ უკულმართი დროის ერთ-ერთი მსხვერპლის—გლეხის ბიჭის — ესტატეს სახელი შეარქვა" (გვ. 87).

ჩვენის აზრით თქმულების ეს ახალი ვარიანტი ვერაფრით ჯობნის იმას, რომელიც ადრე იყო ცნობილი და რომელსაც უპირისპირებენ მას. მართალია პირველში შეინიშნება რიგი შეუსაბამობანი, მაგრამ მსგავსი რამ საერთოდაა დამახასიათებელი თქმულება-გადმოცემებისათვის და მისგან თავისუფალი არც „ახალი ვარიანტი" არის.

ავტორების სიტყვით, მაგალითად, „ძნელი წარმოსადგენია, რომ სოფლისათვის ხალხს შეერქმია ადამიანებით მოვაჭრე, აბრაგი გლეხის სახელი. ასეთი პირების სახელს ხალხი წყევლა-კრულვით და ზიზღით იხსენიებს" (გვ. 87).

ეს არგუმენტი კრიტიკას ვერ უძლებს. განა ცოტა აბრაგისა და გარეწარის სახელი შემორჩენია ტოპონიმიკას, და თუ გნებავთ რომელიმე სხვას. ვითომ ალი-ფაშა და დადიანოღლი ესტატე გრიგოლიაზე ნაკლები აბრაგ-გარეწარნი იყვნენ, რომ მათი სახელები შემორჩა ტოპონიმიკას? (შდგ. „ალი-ფაშის საციეი", „დადიან-ოღლის ნაკლავი" და სხვ.). მეტიც: ალი-ფაშა ხალხურ მუსიკაშიც შევიდა. სიმღერა „ალი-ფაშა" ქართული ხალხური მუსიკის გურული შტოს ერთ-ერთი საუკეთესო სიმღერაა და გურია-აჭარაში ყველა მომღერალს პირზე აკერია. თუ ისეა საქმე, როგორც ზემოხსენებული ავტორები მიუთითებენ, მაშინ როგორ მოხდა ეს? არა, ასეთი ადამიანების სახელიც შეიძლება დამკვიდრდეს ტოპონიმიკაში.

„ახალ ვარიანტში" სხვა შეუსაბამობანიც შეინიშნება, მაგრამ იმათზე აღარ გავაგრძელებ სიტყვას.

2. „სოფ. ალამბრიდან დაკმაყოფილდა სამაგიერო მიწების მიცემით (ჩამოთვლილი პირები) თითო ჰექტარი მიწით ადგილობრივ „რუშავში" (აჭარის ასს ცენტრარქივი, ფ. 84. საქმე 529, ფ. 7).

3. არქივისეულ მასალებში ეს ტოპონიმი „ბეშკინ სარეკის" ან „ბეშკინის სარეკის" ფორმით იხსენიება.

„არსებული მეურნეობის გაფართოება შესაძლებელია სამი მიმართულებით: სოფ. ალამბრის მიწებიდგან ადგილობრივ „ბეშკინ სარეკი" და „აჭყვანკალა". 67 გა. სოფ. წყავროკის მიწებიდან 1,5 ადგილობრივ ბოგის ღელე (აჭარის ასსრ ცენტრარქივი, ფ. 84, საქმე 531, ფ. 9). ქვემორე დასახელებულია „ბეშკინის სარეკი" (ფ. 14). ეს ფორმა სწორი უნდა იყოს, შეადარე „ღელვის სარეკი" (სოფლის ყოფილი სახელწოდება ახალშენის „სასოფლო საბჭოში, ახლა ზედა განახლება).

4. არქივისეულ მასალებში იხსენიება „ცენაური" (აჭარის ასსრ ცენტრარქივი, ფ. 84, ს. 529, ფ. 9, 10). აქვე დასახელებულია „კონცხა" (ფ. 8), „კაკუჩა" (ფ. 19).

ნ. საბუთებში ეს ტოპონიმი რამდენიმე განსხვავებული ფორმით იხსენიება. ასე მაგ., ქობულეთელი სეფერდალი მოწყობილის დაკითხვის ოქმის რუსულ თარგმანში (შედგენილია 1847 წლის 28 მაისს) ამ სოფლის სახელწოდება „აელამბარი"-ის სახით არის მოხსენებული (საქ. სახ. მუზეუმი, sd — 2389). ასეთივე ფორმით იხსენიება იგი გურიის კორდონზე დაკარგული ოთხი ქობულეთელის დაკითხვის ოქმშიც (საქ. სახ. მუზ., sd — 2392), ხასან ბეგ თავდგირიძის წერილში (3. X. 1847 წ.) გურიის მაზრის უფროსისადმი სწერია „ალაპარი" (საქ. სახ. მუზ., sd — 2376).

ვახუშტი ბაგრატიონს ის „ალაშბრი"-ის სახით მოაქვს (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 175). მართებულიც ეს უკანასკნელი ჩანს და ასეცაა დამკვიდრებული.

ვახუშტის ცნობით ალამბარი გურიელთა ერთ-ერთი სარეზიდენციო ადგილი იყო. აქ იყო „სასახლე შენი. გურიელთა. ფრიად შვენიერს ადგილს" (იქვე).

ალამბარში რამდენიმე ნაშთი შეინიშნება, მაგრამ რომელი მათგანი უნდა ყოფილიყო გურიელის ძნელი სათქმელია. „...ალამბარში არის გურიელის ციხე-სიმაგრეები და ნასახლარები" — წერს ხ. ახვლედიანი (ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, გვ. 148), მაგრამ არ მიუთითებს, რომელ ნაშთებს სთვლის ის „გურიელის ციხე-სიმაგრეებად" ან სასახლის ნაშთებად.

ალამბრის სიძველეებიდან ყურადღებას იპყრობს ციხის ნაშთი, რომელიც მდებარეობს ციხიყელად წოდებულ ადგილას. ეს მაღალი და შესანიშნავი ადგილია. აქედან ხელისგულივით მოჩანს საკმაოდ ერცელი მიწა-წყალი ქობულეთისა. ციხე დიდი დაზიანებითაა მოღწეული. შემონახულია მხოლოდ ერთი კედელი და მეორე კედლის ნაწილი ორ მეტრამდე სიმაღლისაა შიგნიდან, დანარჩენი კედლები თითქმის მიწამდეა გასწორებული.

ხ. ახვლედიანის სიტყვით ეს ნაშთი არის „...ცნობილი ქობულეთელი თავდგირიძეების წინაპრის ბეგ მამუკა თავდგირიძის კოშკი-ციხე. როდესაც ის გამოქცეულა გურიელიდან, მას ახალციხის ფაშის დახმარებით ალამბარში აუშენებია ეს ციხე-კოშკი" (ხ. ახვლედიანი, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, ბათუმი, 1944 წ., გვ. 148).

არავითარ საამისოდ აუცილებელ საბუთს ავტორი არ მიუთითებს, ეტყობა, იგი გადმოცემას ემყარება. ამ ციხის შესახებ ხალხში არსებული თქმულების ერთ-ერთი უფრო გავრცელებული ვარიანტი ასეთია: როდესაც ქობულეთი ოსმალებმა დაიპყრეს, ქვეყანაში აღარავინ დარჩა ისეთი კაცი, რომელიც გაუძღვებოდა საქმეს. ამიტომ ხალხი შეიკრიბა და დაადგინეს: გავუგზავნოთო გურიელს კაცი, რათა მან მოგვხედოს და მოგვივლინოს გამგებლად ვინმე ღირსეულიო. გურიელმა დააკმაყოფილა მათი თხოვნა და გამოგზავნა ქობულეთში თავადი მამუკა თავდგირიძე. მამუკა ალამბარს მოვიდა და ციხიყელზე ისურვა თავისი სადგომი ციხის აგება. ხალხი მაშინვე დატრიალდა და 24 საათის განმავლობაში აამენა იქ ციხე აჭყვიდან ამოზიდული ქვებით. გამწკრივებული იყვნენ მდინარიდან ციხიყელამდე და ხელიდან ხელში აწვდიდნენ თერმე საშენ ქვას. ამ ციხეში ცხოვრობდა მამუკა თავისი ცოლ-შვილით. მას ერთი ვაჟი ჰყავდა სახელად ხასანი. მამუკას სიკვდილის შემდეგ ეს გახდა ქობულეთის გამგებელი. ქობულეთლებმა გადაწყვიტეს მისთვის შეერთოთ გურიელის ასული. ეს საქმე მოაგვარა სეიდ აღა გუგუნავამ. ცოლის შერთვის შემდეგ მამუკას შვილი ერთხანს ისევ ამ ციხეში ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ დასტოვა ალამბარი და სოფ. ქობულეთში გადასახლდა (გვიამბო სკ. ცეცხლაძემ. ღლიერი. 5. 12. 1958 წ.).

სხვანაირად, და უფრო სწორადაც, აგვიწერს მამუკა თავდგირიძის თავგადასავალს მწერალი თედო სახოკია.

ქობულეთში გაბატონებულმა ოსმალთა „...ურდომ აღმართა ხმალი და დაუწყო პრძოლა ქრისტეს სჯულის აღმსარებელთა...." (თ. სახოკია, მოგზ., გვ. 71).

მამუკა თავდგირიძე „ჯერ გამაგრდა, ეგონა, დროებითია ეს აწიოკებაო, იქნება, გრიგალმა გადაიაროს და ისევ მოსვენებული ცხოვრება გვეღირსოს.., მაგრამ მტარვალი არ სცხრებოდა" (იქვე).

პატრიოტი და გულმხურვალე ქრისტიანი კი მამაპაპურ სარწმუნოებაზე ხელის აღებას არ ფიქრობდა, ამიტომ იძულებული იყო თავის სამკვიდრებელს გასცლოდა და საქრისტიანო გურიაში გადასახლებულიყო.

ოსმალთა შეუმჩნევლად მამუკამ ეს ვეღარ მოახერხა, რადგან მტერი თვალყურს ადევნებდა. მაშინ მამუკამ ხერხს მიმართა და ოსმალთა ხელისუფლებას გურიაში ცოლ-შვილით დროებით

გაშეება სთხოვა. თაედგირიძე ამას ასე ასაბუთებდა: „თქვენი აქ შემოსვლის შემდეგ მანდეთკენ ყმები გამექცნენ და მინდა დავიბრუნოვო“ (იქვე, გვ. 72).

ფაშამ თავდაპირველად უარი უთხრა, შემდეგ კი — მხოლოდ მამუკას დართო ნება წასვლისა, ცოლ-შვილი კი მძევლად დაიტოვა. უპირდა მამუკას მარტოდ წასვლა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. „დაუტოვა მძევლად თავისი მეუღლე და შვილი მაქსიმე, თვითონ კი გურიაში გადმოვიდა. ორივე დედა-შვილი, მამუკას წასვლის შემდეგ ოსმალებმა გაამაჰმადიანეს. ამ მაქსიმე თაედგირიძისაგან მომდინარეობენ ქობულეთის აწინდელი ბეგები — თაედგირიძენი“ (იქვე).

გურიაში მამუკას შემოუკრებია ძალები და თითქოს უცდია ქობულეთის განთავისუფლება, მაგრამ ოსმალები ვერ უძლევია და დამარცხებული ისევ უკან გაბრუნებულა.

გურიელმა მამუკა თაედგირიძეს „დიდძალი მამული და ყმები უბოძა და სოფ. აკეთში დაასახლა. აქ მამუკამ მეორე ცოლად შეირთო თავად მაქსიმეიშვილის ასული, რომლისაგანაც ესვა ხუთი ვაჟი: გიორგი, მირზაბეგ, სოლომონ, ალექსანდრე და ფრიდონ“ (იქვე).

თ. სახოკია გურიაში მამუკა თაედგირიძის მოსვლის თარიღად 1658 წელს ასახელებს (იქვე). ეს ამბავი ასე ძველი არ ჩანს. ქობულეთი ოსმალებმა დაიპყრეს მე-18 საუკუნის 60-იან წლებში. მამუკა თაედგირიძის გადასვლა ცენტრალურ გურიაში ამის შემდეგ მოხდარი ფაქტია. სხვაც რომ არ იყოს, ამის სასარგებლოდ მეტყველებს ერთი ეპიზოდი, რომელიც მწერალსვე მოაქვს. ესაა აბდულა ხიმშიაშვილისა და მამუკა თაედგირიძის შეტაკება. პირველი მე-18 საუკუნის ისტორიული პირია. როგორც სხვა ადგილას მიუთითებს თ. სახოკია, იგი 1782 წელს დაღუპულა მამუკა თაედგირიძესთან ბრძოლაში (იქვე, გვ. 141).

როდის უნდა დანგრეულიყო ციხე? კალმოცემით, ციხე დანგრეულა ოსმალებთან ბრძოლის დროს. მტერი შემორტყმია თაედგირიძეს. იგი ერთხანს მედგრად ებრძოდა მომხედურთ, მაგრამ სადაც იყო დამარცხდებოდა. ამიტომ ამჯობინა გაპარვა. წასვლის წინ ანთებული სანთელი ჩასდო თოფის წამლით სავსე სკივრში. ის იყო სადარაჯოს (ადგილია ალამბარში) მიაღწია და შეზანზარდა ყველაფერი. ციხე აფეთქდა, მისი კედლები ცაში აიტანა და ირგვლივ შემოკრული მტერი სრულად ამოხოცა.

რევოლუციამდე მისი დაშლა განეზრახავთ ყემბერ და არიფ გოგიტიძეებს. მაგრამ როცა მისულა და დაუწყიათ მუშაობა, რაღაცას საშინელი წრიპინი აუტეხია. მნგრეველები შეშინებულან და სახლში გამოქცეულან. შემდეგ მისთვის ხელი აღარავის უხლიათ. (გვიამბო ქამილ გოგიტიძემ, დღიური, 4. 12. 1958 წ.).

6. „ციხისფერდი“ გვხვდება არქივისეულ საბუთებში (ფ. 84, ს. 529. ფ. 13). ალამბრის ტოპონიმებიდან აქვე იხსენიება: „გალისგული“ („От последнего места граница установлена по дороге до р. Галисгули, იქვე გვ. 2) „ოხახი“ („От этого места вниз по речке Охахи“ (იქვე) „მაცაცხური“ (ფ. 10), „ონჯიკეთი“ (ფ. 12).

7. არქივისეულ საბუთებში წყავროკის ადგილებიდან დასახელებულია „წითელ წაყრილი“ (აჭარის ასსრ ცენტრარქივი, ფ. 84. ს. 529, ფ. 19), „მეხის ხიდი“ (იქვე), „თეკერი“ (ფ. 12, 18), „კოხნარა“ (ფ. 9), „ბუკნარი“ (ფ. 20), „ხოჩიჩა“ (ფ.9), „ხოხოჩითავი“ (ფ. 20), „საბერკაცო“ (ფ. 10), „დაფანტული“ (ფ. 9, 19), „ნაირსლები“ (ფ. 18), „ნადინები“ (იქვე), „ავდარა“ (ფ. 19).

8. „სადილი რომ წეელე, ნადირის მეშინოდა და გზადაგზა ვმღეროდი. ხატეხიეს ტყეში რომ შევედი, გზის პირზე ორი კაცი დევნახე. იედენ“ (ჯ. ნოღაიდელი, აჭარის ხალხური სიტყვიერება, წიგნი პირველი, გვ. 102).

## აჭყვისთავის სასოფლო საბჭო

1. აჭყვისთავი საკმაოდ ხშირად იხსენიება გასული საუკუნის საბუთებში (იხ. საქ. სახ მუზ., sd — 2372, 2374 და სხვ).

ერთ-ერთი ხალხური ლექსის ნაწყვეტში, რომელიც მუჰაჯირობას ეხება, ნათქვამია:

ხინო მუჰაჯირად წევდა
ქახათლებს სტკივა მუცელი,
აჭყვისთავი მაშვინ წევა
წყავს რომ გასცივა ფურცელი.

(ჩავიწერეთ ო. ხაბაძისაგან, თქმული ხუსეინ ხაბაზისა, სოფ. აჭყვისთავი).

2. ტოპონიმი კონცხა იხსენიება „დათვის ლექსში“, რომელიც სოფ. აჭყვისთავში ჩავიწერეთ.

ბასო მე კი შემეცოდევ
გამახსენდები ლოცვაში,
პედელოდლი რომ დაფსე
რას ეთრეოდი კონცხაში.

(თქმული ხუსეინ ხაბაზისა, ჩაგვაწერინა სულეიმან ჯინჭარაძემ).

## ლეღვას სასოფლო საბჭო

1. პ(ირველა)დ უმდაბლესად თავს დაგიკრავდ. გარდა ამისა გასულს რიცხვსა მარტისა, რომელიცა ჩვენის სირონისაგან ლეღვაის საყანიებისაგან სამი ცხენები გამოსულა... არის მნახველი მრავალნი... და ახლა უარი როგორ იქნების...“ ნათქვამია სულეიმან ბეგ თავდგირიძის წერილში გურიის მაზრის უფროს ვაჩნაძისა და მამუკა გუგუნავასადმი (1840 წ. 13. VI) (საქ. სახ. მუზ., Sd — 2373. იხ. აგრეთვე, ამავე ფონდის საბუთი 2374).

„ადგილი ლეღვა“ ძალიან ხშირად იხსენიება XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქობულეთის სადგილმამულო აქტებში (იხ. საქ. ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 231. საქმე 323. ფურც. 5, 150 და სხვ.).

2. აქ შემონახულია საყდარი (4.72 მX5.82 მ). კედლები ზოგან სრულადაა მოღწეული, ზოგანაც ჩაქცეულ-გამონგრეულია. საყდარს შესავალი ჰქონია სამხრეთიდან, აქედანვე აკრავს ეზო. მ. კობალაძის ცნობით დახურული ყოფილა ქვით. შესასვლელთან გდია ორი ქვის სვეტი ლამაზი ორნამენტით აქვეა ჯვრიანი ქვა (1.11 მ X 33 სმ). ამაზე უფრო დიდი ჯვრიანივე ქვა (1,59X79 სმ) დევს ცოტა მოშორებით ეზოში. ამ რამდენიმე ხნის წინათ ისიც შესასვლელთან გდებულა. იმ ადგილას მისი გატანა ცხრაფონელი რამიზ ნემსაძის საქმეა. როგორც მანვე გადმომცა, ეს ქვა მას ძალიან მოსწონებია და განუზრახავს წაეღო სახლში, ეზოში მაგიდის გასაკეთებლად. მაგრამ ძალიან მძიმე გამომდგარა და თავი მიუნებებია (დღიური, 4. XI. 1958 წ., სოფ. ცხრაფონა).

ცხრაფონას ეკლესია წმიდა გიორგის სახელზე ყოფილა აგებული. გურიის სამთავროს ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „...ჩეხერდნა სოფელ ცხრაფონას მარჯვენით მხარეს მდებარეობს, რომელშიაც ორმოცნი კომლი აზნაურნი და ყმანი ცხოვრობდნენ. ამ სოფლებში არის ორი ეკლესია, ერთი წმინდა გიორგისა ამაღლებისა და მეორე სახელსა ზედა წმინდის სამებისა, სადაც დამარხულია მთავრის მამია გურიელის-ძე მანუჩარ გურიელი და მცირე წლოვანი კნეინა გურიელის ელისაბედის ასული“ (ციტირებულია ხ. ახვლედიანის წიგნიდან „ნარკვევი აჭარის ისტორიიდან“, გვ. 153).

აქ მოხსენებული ეკლესიებიდან ცხრაფონისა არის „წმიდა გიორგის ამაღლებისა“. ამას ადასტურებს: 1. ტოპონიმი „ამაღლება“, ასე იწოდება საყდრის მიდამოები (დღიური, 5. XI. 1958 წ., ს. ცხრაფონა). 2. საყდრის ეზოში ნაპოვნია ქვა წმიდა გიორგის გამოსახულებით (ხ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., იქვე).

3. სკურა, როგორც ჩანს, წინათ ჩაისედენას სახელით იწოდებოდა. ჩაისედენას ადგილსამყოფელზე ქვემორე იქნება მსჯელობა. უწინარეს გურიის სამთავროს საბუთებში ჩავიხედოთ. ამ საბუთებში ეს სახელწოდება იხსენიება რამდენიმე ვარიანტული ფორმით: ჩაისედნა, ჩაისედენა, ჩაისერდნა, ჩესედანა. ამათგან უფრო გავრცელებულია ჩაისედნა. ჩაისედენა, ხოლო ორი უკანასკნელი იშვიათად გვხვდება.

ეს ტოპონიმი ჩვენამდე მოღწეულ გურიის საბუთებში პირველად მამია II გურიელის მიერ იერუსალიმის საპატრიარქო საყდრისადმი ბოძებულ შეწირულების წიგნში იხსენიება. ამ სიგელში ეს სახელწოდება 7-ჯერ არის მოხსენებული. აქედან 4-ჯერ „ჩაისედნას“-ს, ხოლო 3-ჯერ კი „ჩაისედენა“-ს ფორმით (საქ. სახ. მუზ. დედანი Ad — 1913. პირი Hd — 10.138). „ჩაისედენა“-ს ფორმითვე იხსენიება იგი გურიელ ქაიხოსრო პირველის მიერ ჯვარის მამა ნიკიფორესადმი მიცემულ შეწირულობის განახლების წიგნში (საქ. სახ. მუზ. Hd — 10.274). ეტყობა უფრო სწორიც „ჩაისედენა“ უნდა იყოს. ეს ტოპონიმი ასევეა მოხსენებული გიორგი მესამე ქაიხოსროს-ძე გურიელის მიერ იერუსალიმის ჯვრის მამა იოსებისადმი ბოძებულ შეწირულობის განახლების წიგნში (საქ. სახ. მუზ., Hd—10.275). 1617 წელს გიორგი მეოთხე გურიელის მიერ

იერუსალიმის ჯვრის მამა ზაბილონისადმი მიცემულ საფიცრის წიგნში (Hd — 11.270), მამია მეოთხე გურიელის მიერ 1739 წელს იერუსალიმის ჯვარის მამა გერასიმესადმი მიცემულ შეწირულობის განახლების წიგნში (Hd — 10.274) და სხვ.

ამავე მამია გურიელის მიერ 1761 წელს საჯვარისმამო ყმა გლეხებისადმი სალიანის ამოკვეთაზე მიცემულ წყალობის წიგნში ნათქვამია: „ქ. ნებითა ღმთისათა ეს წყალობის წიგნი დაგიწერე და გიბოძე ჩვენ ხელმწიფემან ბატონმა გურიელმა მამია თქვენ ქრისტეს საფლავის ყმანებს საჯვარისმამო კაცებს ჩეხედნელებს: ხომერიკებს და ბოლქვაძეებს და ჯაშებს" Hd — 11.269).

გურიის სამთავროს ერთ-ერთ საბუთში, რომელიც ხ. ახვლედიანს მოაქვს წიგნში „ნარკვევები აჭარის ისტორიიდან" ეს სახელწოდება „ჩეხერდნა"-ს ფორმით იხსენიება (გვ. 153).

სამწუხაროდ, ხ. ახვლედიანი ამ საბუთის არც თარიღს მიუთითებს და არც შემდგენელის ვინაობას. ეტყობა, იგი ქობულეთის მიტაცების შემდეგი დროისა უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს საბუთის ცნობა: „ამ ეკლესიის (იგულისხმება ჩაიხედენას ეკლესია — ი. ხ.) ხატები და სხვა ნივთები ინახვების გურიამთის სოფელსა შინა" (იქვე).

ჩაიხედნა ძველად გურიაში და მის გარეთაც საკმაოდ ცნობილი სოფელი იყო. ერთ დროს აქ სასახლეც ჰქონდა გურიის მთავარს.

მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში იერუსალიმის პატრიარქ თეოფანეს „ბრძანებით" ჩაიხედნას საყდარი აუშენებიათ, რომელიც პატრიარქს იერუსალიმის მეტოქედ გამოუცხადებია.

მამია II გურიელის (1600-1625 წ.წ.) მიერ იერუსალიმის საპატრიარქო საყდრისადმი მიცემულ შეწირულობის წიგნში ვკითხულობთ:

„ქ... შემოგწირეთ ჩუენ გურიელმან პატრონმან მამია ჩუვენისა ცოდვათა შენდობისათვის დღესა მას განკითხვისასა, სახსრად სულისა ჩუენისა ძეთა ჩუენთა გაზრდისათვის და მიცვალებულისა დედოფლისა ათაბაგის ქალისა ბატონისა თინათინისა და ახლად მიცვალებულისა პირმშოსა ძისა ჩუვენისა... პატონის მანუჩარის სულისა წიაღთა შინა აბრამისათა დამკვიდრებისათვის, რათა ჩუვენ ყოველნი ერთბაშად ღირს ვიქმნეთ სასუფეველსა ცათასა, წყალობითა ღ(უ)თისათა თეოფანე პატრიარქი წმიდისა ქალაქის იერუსალემისა და ყოვლისა პალესტინისა და ყოვლისა ქრისტიანისა და ცოდვილთა მეოხი მობრძანდა, მას ჟამსა, ოდეს ჩემი სასურველი და საყვარელი... პირმშო ძე ჩემი ბატონი მანუჩარ მიიცვალა ჩ ა ი ხ ე დ ნ ა ს და იმ ადგილზე პატრიარქი მობრძანდა და ჯვარი დასწერა, აკურთხა და მისისა ბრძანებითა საფუძველი გავაკეთეთ და საყდარი ავაშენეთ და მადამდის აქ ბრძანდებოდა და რა საყდარი გათავდა, მობრძანდა პატრიარქი და აკურთხა და იელუსარემის მეტოქად ქმნა და შევსწირეთ ხატი და ჯვარი, და წიგნები, და ოქროს ომფორი მურასა, პატიოსანი ბისონი და ერთი ხელი იარაღი და სხვა სიწმინდის, სამსხურითა და საცეცხურითა, და თუ ან მე მოვინდომო და გამოვსწირო ან სხვამან მებატონემან მოინდომოს და გამოსწიროს, იმ იმფორისა და ბისონისა მაგიერი იერუსალემსა გაუგზავნონ არამ-და ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი ს ა მ ე ტ ო ქ ე ა რ ი ს ჩ ა ი ხ ე დ ნ ი ს ა ს ა ყ დ ა რ ი და იქ იდვას, და ვინცა პატრიარქი საქართველოზე მოვიდეს ჩაიცვამდეს და ჟამსა სწირავდეს და მოიხსენებდეს: გურიელსა მამიას ცოდვანი მისნი შეუნდონ ღ(მერთ)მან, ამინ..." (საქ. სახ. მუზ. Hd—1913).

თეოფანე პატრიარქს ჩაიხედენას საყდარზე დაუდგენია ალანიის მიტროპოლიტი გაბრიელი. „... ვისაცა ქრისტიანსა ან იელუსარემისა და ან პატრიაქისა შიში ქონდეს, — ნათქვამია წყალობის წიგნში, — ამასაცა შეპოებდით ან საიელუსარემო, ან სასულიერო, ან ამა მამულისა ბეგარა სწერია მოუკრებდეს და ნუ დააკლებს, და რომელიცა პატრიარქთ იერუსალემს იჯდეს ხორციელისა შაბათსა და სულთასა ჟამსა სწირევდეს ამა მამულისა გულისათვის, გურიელისა მამიასა ცოდვათა შენდობისათვის, მისისა მეუღლისა მიცვალებულისა დედოფლისა თინათინისათვის, ძისა მისისა მანუჩარისათვის..." (Hd — 1913).

შემდეგ დასახელებულია საპატრიარქო ტაძრისადმი შეწირული ყმები და მათი ბეგარავალდებულებანი. მამია გურიელს შეუწირავს: „ჩაიხედნისა სასახლე ათისა კვამლითა კაცითა, ბაილეთს მოჭიური სასახლე ოცისა კვამლითა კაცითა" (იქვე).

ქვემოთ ჩამოთვლილია თვითეული გლეხი თავისი ბეგარით, მაგრამ დასახელებულია ცხრა. ესენი არიან: კაკაიშვილი ბოლქვაძე, გიორგი, ლომკაცა და ღოღონა ბოლქვაძეები, იოანე ხომერიკი, გიგინა ჯაში, პეპუა ბოლქვაძე, მიქელა და ლალა ხომერიკები. აქ გამორჩენილი მეათე ჩაიხედნელი ყმა უნდა იყოს მამია ვიაზერაისშვილი, რომელიც სიგელის მინაწერში იხსენიება.

პირველ ექვსს ერთნაირი ბეგარა ედოთ. ეს იყო: ორი საკლავი, ორი ქათამი, სამი გვერდი

ღომი, სამი საწყავი ღვინო, საყველიერო, სამეჯინიბო და სამარხო ძღვენი (იქვე). უფრო მეიმედ იყო დაბეგრილი პეპეა ბოლქვაძე, რომელსაც ყველა ზემოხსენებულ გადასახადთა გარდა უნდა გამოეღო „საძმაო წელიწადში ან ერთი ზროხა“ (იქვე). ყველაზე ნაკლები გადასახადი ეკისრათ მიქელა და ლალა ხომერიკებს. ამათ თითეულს უნდა გამოეღო: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი სამადგანი ღომი და ერთი საწყავი ღვინო (იქვე). მამია ვიაზერაისშვილს კი მართებდა: ორი საკლავი, ორი ქათამი, სამი მკერდი ღომი, სამი საწყავი ღვინო, სმეჩინობად, საბაზიარო და საყველიერო ძღვენი (მინაწერი იმავე ხანისაა).

ჯუმალი ჩაიხედნისა იყო: ერთი ზროხა, თექვსმეტი საკლავი, თექვსმეტი ქათამი, ოცი გვერდი ღომი, ოცდაექვსი საწყავი ღვინო, საყველიეროსა, სამეჯინიბოსა და სამარხო ძღვენს გარეთ“ (იქვე).

ჩანს, ზემოხსენებულ ჩაიხედნელ გიორგი ბოლქვაძის პარტახს გულისხმობს სიგელის გვიანდელი მინაწერი:

„ქ. მიგვეიცემია ასანასათვის გიორგი ბოლქვაძისეული პარტახი მამული, საყანე, საყდრის კარი, ტყე, წყალი სრულიად, რაც იმას ქონდა. რაც იმ ალაგს ბეგარა მართებდეს იმას ქრისტეს საფლავს მისცემდეს“ (იქვე).

სად მდებარეობდა სოფელი ჩაიხედენა?

აჭარის ასსრ ადმინისტრაციულ რუკაზე (1939 წ.) სოფელი „ჩეხედანა“ აღნიშნულია მდ. ცხრაფონაზე, სოფელ ცხრაფონას აღმოსავლეთით. საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფაში ჩეხედანა არ არის შეტანილი, იქ ნახსენებია ცხრაფონა. ადგილზე ცხრაფონასა და ჩეხედანას ზევრი ვერ არჩევს. როცა ვიკითხე, რომელია ცხრაფონა და რომელი ჩეხედანა-მეთქი, ზოგმა მიპასუხა ესენი ორივე ერთი სოფლის სახელიაო, ხოლო ზოგიერთებმა განმიმარტეს, რომ მდინარე ცხრაფონას ზემო ნაწილს ჩეხედანა ეწოდება, ხოლო ქვემოს — ცხრაფონაო. მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, არც ერთი და არც მეორე სწორი არ არის. ეს სოფელი ცხრაფონაა და არა ჩეხედანა. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს აქ წმინდა გიორგის ამაღლების ტაძრის არსებობა (ამაზე ლაპარაკი იყო ზემოთ).

ჩეხედანას ადგილმდებარეობის გასარკვევად საყურადღებოა ზემოთ მოტანილი ერთი საბუთის ცნობა: „...ჩეხერდნა სოფელ ცხრაფონას მარჯვნით მდებარეობს“ (ვე.). სოფელი ცხრაფონა ამავე სახელის მდინარეზე ძევს, მისი მარჯვენა მხარე, მდინარის მარჯვენა მხარეა. ამ მხრით ცხრაფონას ამჟამად კი ეკვრის სოფ. სკურა. სკურა შედარებით ახალი სოფელია. გვიანი სამთავროს საბუთებში იგი არ გვხვდება. როგორც ჩანს, სწორედ ეს არის ჩაიხედენა. ამას ადასტურებს: 1. ტოპონიმი „ხომერიკისოული“ და 2. ძველი საყდრის ნაშთი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩაიხედანაში მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში ოთხი გვარის მოსახლეობა იყო. მათ შორის იყვნენ ხომერიკებიც. ერთ-ერთ ამათგანს გულისხმობს, უთუოდ, ადგილის სახელი „ხომერიკისოული“ (დღეს ამ სოფელში ასეთი გვარი აღარ არის).

სკურის საყდარზე პირველად მურად კობალაძემ (80 წ.) მიგვითითა. „სკურაში ახმედ სტამბოლიშვილის ეზოში მე მინახავს ლამაზი საყდარი. იგი დაანგრია ახმედმა. როდის და რისთვის არაფერი ვიცი“ (დღიური. 4. XI. 1958 წ.).

ცხრაფონიდან პირდაპირ სკურასაკენ გავეშურე. დავათვალიერე ნასაყდრალი და ვინახულე თვით სტამბოლიშვილიც. მისი სიტყვით „1933 წლამდე საყდარს არაფერი აკლდა, გარდა თლილი ქვის სახურავისა, რომელიც შიგნით იყო ჩაქცეული. აღნიშნულ წელს კი იგი მე დავანგრიე. დიდი ჯაფა და წვალება გადამხდა მის დანგრევაზე, ძალიან მტკიცე ნაშენი იყო. მეზობლები მეუბნებოდნენ: ნუ იზამ მაგას, თავი დაანებე ეკლესიას, თორემ მაგი კარგს არ დაგმართებსო. მაგრამ არ შევუშინდი ცრურწმენას და მიწამდე გავასწორე იგი. საპირკვლების ამოყრაც მინდოდა, მაგრამ ძალიან ძნელი დასანგრევი გამოდგა და თავი მივანებე“.

ძალიან დამაინტერესა იმან, თუ რამ აიძულა ეს კაცი ამოღენა ჯაფა გაეწია და ვკითხე დანგრევის მიზეზი. „საყდარსა და მის მიდამოებში ქვეწარმავალნი ბუდობდნენ. საშველს არ მაძლევდნენ. სახლშიც კი მოხოხავდნენ და ამის გამო გადავწყვიტე მისი დანგრევაო“ — მიპასუხა მან (სოფ. სკურა, 5. XI. 1958 წ.).

სამწუხარო და სავალალოა, რომ ასე უმოწყალოდ განადგურდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის „მეტოქი“ ჩაიხედენას ტაძარი, ქართული მატერიალური კულტურის, უთუოდ, ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლი.

## ქაქუთის სასოფლო საბჭო

1. კარახტინი დამახინჯებული ფორმაა კარანტინისა. ლელევადან ოზურგეთისაკენ მიმავალ გზაზე. მდ. ჩოლოქთან ოსმალთა ბატონობის პერიოდში საკარანტინო პუნქტი იყო და ამიტომ უწოდებენ ასე. „კარახტინი" ძალიან ხშირად იხსენიება საბუთებში. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც სეფერდალი მოწყობილის დაკითხვის ოქმს წარმოადგენს და დაწერილია 1847 წლის 28 ოქტომბერს, ეს ტერმინი ოთხჯერ იხსენიება. მოვიტან ამ საბუთს.

„...შობიდგან ვიქნები იე წლისა, სარწმუნოების ეარ მაჰმადიანისა, ოსმალთა ქვეშევრდომი, კეთილი ნებითა ჩემითა მოვისურვე ქრისტიანობის სარწმუნოების მიღება და ამა ჰაზრით სახლიდამ ჩემის სამშობლოისა წამოველი ოზურგეთის კ ა რ ა ხ ტ ი ნ ს ა შინა საიდუმლოდ. არავის გურულთაგანს მცხოვრებთ რჯულის მიღების და რუსეთის ქვეშევრდომად ყოფნისა არცა უსწავლებივარ და არაც არავის სხვა პირსა არ გამოვუყვანივარს, სადაცა შევასრულე დადგენილი ვადა. თუმცა მოვიდნენ ჰირისუფალხი ჩემნი კ ა რ ა ხ ტ ი ნ ს ა შინა წასაყვანათ ჩემისა, გარნა რომელთაც განუცხადე მე პირისპირ, რომელ დაბრუნება უკვე ჩემი ქობულეთს არა მსურს და არცა დავბრუნდები თანახმად ესე მოსვლისამებრ ჩემისა კ ა რ ა ხ ტ ი ნ ს ა შინა თავდაპირველ და უკანასკნელ გამოსვლის დროსაცა გამოვუცხადე იმა კ ა რ ა ხ ტ ი ნ ი ს ა კომისარსა, რათამცა მე არ მსურს დაბრუნება ქობულეთს, სადაც იმყოფებოდნენ მაყურადათ მშობელნიც ჩემნიც და ვსთხოვე კომისარსა წარდგენა ჩემი ადგილობრივს ნაჩალნიკთა და აღმორჩევა ნავთსაყუდი ჩემი სამყოფად სახლსა შინა ერისთვის ასულ ნინო ნაკაშიძისას, რომლის სახელზედ კიდევაც განმიცხადებია მისვლისამებრ კ ა რ ა ხ ტ ი ნ ს ა და საზღვარზე. რომელ მასთან მსურს მისვლა და მიღებათ ქრისტიანობის სარწმუნოების, რასაცა ვაჩვენებ მას შინა ხელს ვაწერ სეფერდალი... მოწყობილის ასული და უცოდინარობის ჩემის წიგნის წერითა ჩვენითა ნეკს ვსვამ..." (საქ. სახ. მუზ., Sd — 2389):

ასეთივე ფორმით იხსენიება ეს პუნქტი ხასანბეგ თავდგირიძის წერილშიც გურიის მაზრის უფროსისადმი (საქ. სახ. მუზ. — 2376).

2. აქ იდგა ქაქუთის ეკლესია. 1873 წ. იგი უნახავს დ. ბაქრაძეს. ეკლესია ხისა ყოფილა. სახელოვან ისტორიკოსს აქ უპოვნია შემდეგი წარწერები: 1) ქ—ე შ—ე თავდგირიძე, გი—გი 2) ესე ფეშხუმი დიდებულ თავარანგელოზისა... ჩვენ მოსამან მისმან: გვექდნ: ჩვენ ბატონმან გურიელმა სვიმონ: გმიჰედია მე პატასა ბოლქვაძეს მიქელი და გიორგის ხელობიდან (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ., გვ. 102).

წარწერები უქრონიკონოა, რის გამოც მათი დათარიღება სჭირს.

დ. ბაქრაძე პირველ წარწერაში მოხსენებულ გ. თავდგირიძეს მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწედ თვლიდა. ეს მოსაზრება უმართებულო არ უნდა იყოს. გ. თავდგირიძე თვალსაჩინო როლს ასრულებდა გურიაში გიორგი III გურიელის (1664-1684 წ.წ.) დროს. იგი დასაფლავებული ყოფილა მაცხოვრის ეკლესიაში. დ. ბაქრაძეს უნახავს გ. თავდგრიიძის ეპიტაფიაც, რომელიც, მისი ცნობით, საყურადღებო ცნობებს შეიცავდა ამ პიროვნების შესახებ.

რაც შეეხება მეორე წარწერის სვიმონ გურიელს, იგი, ამავე ისტორიკოსის აზრით, არის გიორგი IV გურიელის შვილი და მამია V-ის მამა (იქვე). იგულისხმება. მაშასადამე, სვიმონ III გურიელი, რომელიც 1789-1792 წლებში მთავრობდა გურიაში.

ეს სვიმონი გიორგი IV-ის შვილი კი არ ყოფილა, როგორც ამაზე დ. ბაქრაძე მიუთითებს, არამედ ძე იყო გიორგი V გურიელისა (ო. სოსელია, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954 წ., გვ. 140).

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, არის თუ არა ნამდვილად ჩვენი წარწერის სვიმონ გურიელი სვიმონ მესამე, ეს მოსაზრება უსაფუძვლო არ ჩანს.

სვიმონის სახელით გურიის მთავართა გენიალოგიაში სამი გურიელია ცნობილი. პირველი მათგანი აქ შეუძლებელია ვიგულისხმოთ, რადგან ის XIV საუკუნეში მოღვაწეობდა, ქაქუთის ეკლესია იმ დროს არც არსებობდა. არც სვიმონ მეორე შეიძლება ჩაითვალოს ამ პიროვნებად (სვიმონ II მხოლოდ 1625 წელს იყო გურიის მთავრად). დაგვრჩა სვიმონ მესამე, რომელიც უნდა იყოს ხსენებული წარწერის სვიმონ გურიელი.

წარწერის სხვა პირთა ვინაობის დადგენა არ ხერხდება. ხატი მოუჭედავს პაატა ბოლქვაძეს. ბოლქვაძეები გურიაში ბევრ სოფელში ცხოვრობდნენ. ასე მაგ., ჩაისუბანში, ლეხოურში, გურიანთაში, მიქელგაბრიელში და სხვ. სოციალური მდგომარეობით ისინი ერთ რომელიმე წოდებას არ ეკუთვნოდნენ, ზოგი მათგანი გლეხი იყო, ხოლო ზოგიერთიც აზნაური. დ. ბაქრაძის ცნობით ლეხოურელი ბოლქვაძეები გლეხები იყვნენ, ხოლო გურიანთელები — აზნაურები (იქვე). ასეთივენი ჩანან მიქელგაბრიელელი ბოლქვაძეებიც (იხ. ჩვენი გლეხთა აჯანყება გურიაში, ბათუმი, 1955 წ., გვ. 56, შენიშვნა 3).

თურქული სტატისტიკით ოსმალთა ბატონობის პერიოდში ქაქუთში 177 სული მცხოვრები იყო (ა. ფრენკელი, დასახ. ნაშრ., გვ. 34). რამდენადმე მოგვიანო რუსული ცნობით ქაქუთში 41 კომლია 184 სული მცხოვრებით (იქვე).

3. გოგმაჩაური წარმოსდგება გვარსახელისაგან „გოგმაჩაძე". გოგმაჩაძე ხშირად გვხვდება გურიის საბუთებში. იგი დღესაც არის შემონახული.

4. ნაცხავატეეი გურიის საბუთებში პირველად იხსენიება სიმონ II გურიელის მიერ აჭის ეკლესიისადმი ბოძებულ წიგნში (სცსია, ფ. 1448, ს. 534). ნაცხავატევს იხსენიებს აგრეთვე გიორგი III გურიელის (1664 — 1684 წ.წ.), მიერ ჯვარის მამა იოსებისადმი მიცემული შეწირულობათა განახლების წიგნი (საქ. სახ. მუზეუმი, Hd — 10.275). ამ წიგნის მიხედვით ნაცხავატევში ჯვარის მამების მებეგრე ერთი მოსახლე ყოფილა (იქვე). მამია გურიელის მიერ საჯვარისმამო ყმა-გლეხებისადმი სალიანის ამოკვეთის თაობაზე მიცემულ წყალობის წიგნში ნაცხავატევში დასახლებულია იესე ქარციეაძე (საქ. სახ. მუზ. Hd — 11.269).

5. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფის წიგნში აჭის სახელით ორი სოფელია მოხსენებული. ერთი მათგანი ქობულეთის რაიონშია, ხოლო მეორე მახარაძისაში (დასახ. წიგნი, თბ., 1949 წ., გვ. 163). სინამდვილეში აჭი ორი სხვადასხვა სოფელი კი არ არის, არამედ ერთი, ისტორიულად კარგად ცნობილი სოფლის ორი ნაწილია. ქობულეთის აჭი ზემოა, ხოლო მახარაძისა — ქვემო აჭი.

ასე იწოდებოდა ეს სოფლები ძველად და იწოდება ახლაც მოსახლეობაში. აჭის ზემო და ქვემო ნაწილები ძველად ერთიანი იყო. ეს ერთიანობა დაირღვა XVIII საუკუნეში, როცა ოსმალეთმა გურიას მთელი მისი ქვემო ნაწილი ჩამოგლიჯა. ამავე დროს დაიხელთა მტერმა ზემო აჭი. აჭის ზემო მხარე ოსმალეთისაგან მიტაცებულ სხვა სოფლებთან და ოლქებთან ერთად ბერლინის ცნობილი ტრაქტატით დაგვიბრუნდა.

ამიერიდან ზემო აჭი კვლავ გაერთიანდა ქვემოსთან და შევიდა ოზურგეთის მაზრის ლეხოურის საზოგადოებაში. ასე დარჩა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ახალი დარაიონების დროს მხედველობაში მიიღეს ისტორიული მომენტი (თურქთა ბატონობა) და ამავე ბედის განმცდელ ქობულეთის რაიონს შეუერთეს.

ამ სოფლის სახელწოდებას ვახუშტი ბაგრატიონი „აჭვ"-ის ფორმით იხსენიებს. „...ამ ხინოს მდინარის სამხრეთ. მთის ძირს, არს აჭვას... ციხე კარგი".—წერს ვახუშტი (აღწერა... გვ. 175. დაყოფა ჩვენია — ი. ს.).

ვახუშტისეული ხინოს მდინარე ეს კინტრიშია. ცდება მეცნიერი ბატონიშვილი, როცა „აჭვ"-ს ხინოსწყალ-კინტრიშის სამხრეთით ასახელებს. სინამდვილეში აჭი ამ მდინარის ჩრდილოეთით მდებარეობს და ისეთი მანძილითაც შორავს, რომ ხინოსწყალ-კინტრიშით არც მიიგნება იგი. სოფელი აჭი ამავე სახელისავე მდინარეზე მდებარეობს.

საინტერესოა ვახუშტის ცნობა აჭვ-ის ციხეზე. დ. ბაქრაძე ამას შეცდომად უთვლის სახელოვან მეცნიერს და ამბობს: აჭში ციხე არ ყოფილა, ასეთი მხოლოდ ლეხოურშიაო (არქ. მოგზ., გვ. 17). ლეხოურს ციხის არსებობა ვახუშტიმაც იცის და მოხსენებულიც აქვს იგი (აღწერა, გვ. 175).

ვახუშტი აჭის ციხეს, როგორც ითქვა, „კარგ ციხეს"-ს უწოდებს. აჭი გზაზე იდო და თუ მთლად „კარგი" ე. ი. დიდი მნიშვნელოვანი ციხე არა, პატარა სიმაგრე მაინც არის სავარაუდებელი. დოც. ი. მეგრელიძის აჭში „ნაურალის" სახელით ცნობილ ადგილას შემონახულია უძველესი ნაგებობის ნაშთი: „И теперь заметно что оно было окружено крепостью"— დასძენს ავტორი. (ლაზური და მეგრული ფენა გურულში, გვ. 47).

აქვე რამდენიმე სიტყვა აჭის ეკლესიაზეც არ შეიძლება არ ითქვას,

აჟის ეკლესია გურიის ერთ-ერთი უძველესი და შესანიშნავი მატერიალური კულტურის ძეგლია. იგი წმიდა გიორგის სახელობაზე იყო აგებული.

როდის არის აშენებული ეს ეკლესია?

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს აჟის ეკლესიის ერთი ხუთსტრიქონიანი წარწერა, რომელსაც პროფ. ექვთ. თაყაიშვილი ასე კითხულობდა: „წმიდაო გიორგი, მეოხ ექმენ პატრონთ: სალირს რატს და უშანიანს (?) და მეოხ ექმენ ნიკოლოზ აჟიელსა და გალატოზთა მიქელს და მაეციძესა (?)“ (ექვთ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი 1, ტფილისი, 1907 წ., გვ. 24).

ამ უკანასკნელ დროს ეს წარწერა რამდენადმე განსხვავებულად წაიკითხა პროფ. თ. ყაუხჩიშვილმა. აი ისიც: წმიდაო გიორგი, მეოხ ექმენ პატრონთ: სალირს, რატს და ბნიან(ს — ?) და მეოხ ექმენ ნიკოლოზ აჟელსა და გალატოზთა: მიქაოს და მხეცსა“ (თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, 1951 წ., გვ. 107, შენ. 1).

თ. ყაუხჩიშვილის კორექტივები უსაფუძვლო არ ჩანს.

როდინდელია წარწერა? ამ საკითხის გარკვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წარწერაში მოხსენებულ პირებს. გურიის საბუთებში მხოლოდ ერთი, ნიკოლოზ აჟელია ცნობილი (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ., გვ. 106-107, ექვ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, გვ. 25). იგი XVII-XVIII საუკუნეების საეკლესიო მოღვაწე ჩანს. შეიძლება კი ამ პიროვნების გაიგივება წარწერის ნიკოლოზ აჟელთან?

ექვ. თაყაიშვილის აზრით ასეთი გაიგივების წინააღმდეგ მიუთითებს წარწერის პალეოგრაფიული თავისებურება და მასში მოხსენებულ პირთა სახელები, სალირი, რატი, ერთიცა და მეორეც იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ წარწერა გაცილებით ძველია, ვიდრე XVII-XVIII საუკუნეები, როდესაც ზემოხსენებული აჟის ეკლესიის წინამძღვარი მოღვაწეობდა.

ამ წარწერის კონკრეტული დათარიღება სცადა თ. ყაუხჩიშვილმა. მისი ვარაუდით „...წარწერა მისი პალეოგრაფიული ნიშნებით XIII-XIV ს.ს.-ისა უნდა იყოს“ (ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 108, სქოლიო).

თუ ამ დათარიღებას გავიზიარებთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ აჟი პირველად XIII-XIV საუკუნეებში მოიხსენება.

—

გურიის საბუთებში იგი პირველად იხსენიება სიმონ II გურიელის მიერ აჟის ეკლესიისადმი ბოძებულ სიგელში (სცსია, ფ. 1448, ს. 534).

აჟის წმიდა გიორგისათვის სამი კომლი გლეხი შეუწირავს და ძველი შეწირულება დაუმტკიცებია გურიელ ქაიხოსრო პირველს ვამეყ დადიანზე გამარჯვებასთან დაკავშირებით. ამ წყალობის წიგნის პირი დიმიტრი ბაქრაძეს უნახავს თ-დ გრიგოლ გურიელის ოჯახში (არქ. მოგზ., გვ. 106).

6. ტაკისოული შემოკლებული ფორმაა ტაკიძისოულისა. ტაკიძე იხსენიება სიმონ მეორე გურიელის ზემოხსენებულ წყალობის წიგნში (სცსია, ფ. 1448, ს. 534).

7. ნაბადა იხსენიება სიმონ II გურიელის მიერ აჟის ეკლესიისათვის მიცემულ წყალობის წიგნში (იქვე).

8. სანისლობოს უნდა გულისხმობდეს ხსენებული წყალობის წიგნის „სანისლო“ (იქვე). სანისლობო იხსენიება მამია გურიელის მიერ იესე და გიორგი მაჭუტაძეებისადმი მიცემულ წყალობის წიგნში, რომელიც შედგენილია 1790 წლის 21 დეკემბერს. საბუთში ვკითხულობთ. „ქ. ნებითა ღმთისათა ესე უტყუარი წიგნი დავიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ ბატონმან და ხელმწიფემან გურიელმან მამიამ და შენ აზნაურს ესეს და შენს ძმისშვილს გიორგის ივანეს-ძე მჭედლიძე(ე)ბს მასზ(ედ)ა რ(ომე)ლ ქრთამიც გულის საჯერისი მომართვით და გიბოძეთ ადგილი ტყე სახელდობრ სამტრედე — აღმოსავლეთით ძველი სამტრედი(ი)ს სასირე და დასავლეთით შახავის წყალი. სამხრეთით სერნიის გორი და მხჩარული, ჩრდილოეთით ხანისლობოს გორი და ოჩხამურის წყალი. (გ)ქონდეს და მოგახმაროს ღმერთმან“ (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბუთი № 1294).

9. ეს ტერმინი „პყიმარტი“-ს ფორმით მოხსენებულია სვიმონ II გურიელის მიერ აჟის საყდრისადმი შეწირულობის წიგნში (17 ს. 1 ნახევარი). აქვე ბევრი სხვა ტოპონიმიც იხსენიება. ასეთია მაგალითად, „უნაგირა“, „ნადირაული“, „მღევის კარი“ და სხვ.

# დ ა მ ა ტ ე ბ ა

## სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გზები

გზები ისტორიული გეოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ამ საკითხს დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ ისტორიულ გეოგრაფიით დაინტერესებული ქართველი მეცნიერები. ღრმად ჰქონდა შეცნობილი გზების ადგილი ისტორიულ გეოგრაფიაში სახელოვან ვახუშტი ბაგრატიონს. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა"-ში ჩვენი ქვეყნის გზებს დიდი ადგილი ეთმობა. თითქმის ყოველი თემის აღწერილობაში მიუთითებს ავტორი თუ სად და რომელი მიმართულებით გადიოდა გზა ან გზები.

შავშეთის აღწერაში ვახუშტი, მაგალითად, ამბობს: „ამ ხევიდან (ლაპარაკია პილოვნის ხევზე — ი. ს.) გარდავალს გზა ზარზმას და ყუელს" ( ვახუშტი, აღწერა, გვ. 135). და შემდეგ: „და მზღვრის შავშეთს: აღმოსავლით მთა არსიანი, და გარდავალენან მას ზედა გზანი ერუშეთს, ფოცხვის-ხეობას და ზარზმა-ყუელს; სამხრით მზღვრის კლდე, არტანუჯსა და შავშეთს შორისი... და გავლის მას კლდესა შინა გზა, ვითარცა კარი, და თვნიერ მისსა არა არს გზა" (იქვე, 136).

ბასიანის აღწერაში ნათქვამია: „ამ ასანყალას (ვახუშტით ძველი ქალაქი ბასიანი — ი. ს.) ქვეით არს ხიდი რახსსა (არაქსი — ი. ს.) ზედა, და ვლენან ქარავანნი, თვნიერ მისა ვერ განვალს არაზს" (იქვე, 139).

ვახუშტის ერთი წუთითაც არ ავიწყდება გზები და ყველგან, სადაც საამისო ცნობა კი გააჩნია, აგვიწერს მათ.

ვახუშტის შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში გზებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აკად. ივ. ჯავახიშვილმა. გარკვეული ადგილი ეთმობა გზებს სახელოვანი მეცნიერის შრომაში „საქართველოს საისტორიო გეოგრაფია VII — XII ს. ქ. შ."

„...მიმოსვლისა და აღებმიცემობის გზები იყო... ის თვალსაჩინო ძალა, რომელიც ერთის მხრივ საქართველოს მრავალს კუთხეს ერთიერთმანეთს უახლოვებდა და აერთიანებდა, მეორე მხრივ უცხოეთის გავლენა.. შემოჰქონდა, რომლითაც სამაგიეროდ საქართველოს გავლენაც ვრცელდებოდა მეზობელს და შორეულს ერებსა და სამეფოებზე. ამიტომ ამ გზების მიმართულებისა და მდებარეობის ცოდნაა საჭირო. თუმცა ეს ადამიანს ეუცხოვება, მაგრამ უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ ძველად საქართველოში უფრო მეტი და მრავალმხრივი გზები ყოფილა, ვიდრე ამ უკანასკნელ დრომდე იყო და მოიპოვება" (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1948 წ., გვ. 64-65).

სპეციალურად იკვლევდა ძველი საქართველოს გზებს აკად. ს. ჯანაშია. ამ კვლევის შედეგია მისი „ძველი საქართველოს სავაჭრო გზები და ქალაქები": მაგრამ სამწუხაროდ ეს შრომა დღემდე გამოუქვეყნებელია. ასევე ითქმის აკად. ნ. ბერძენიშვილის ნარკვევებზე „გზები ძველ საქართველოში".

ამ უკანასკნელ დროს ზედიზედ გამოქვეყნდა რამდენიმე საყურადღებო წერილი საქართველოს გზებზე. ერთი მათგანი სათაურით „О древнем торговом пути в Закавказье", პროფ. გ. გოზალიშვილისაა და დაბეჭდილია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომების მეორე ტომში (თბ., 1955 წ., გვ. 153 — 160). აქვეა მოთავსებული ზ. იამპოლსკის „К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию к Черному морю" (გვ. 161 — 180). საინტერესოა აგრეთვე დოც. ნ. ლომოურის ნარკვევი „ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის", რომელიც 1958 წელს გამოქვეყნდა ამავე ინსტიტუტის შრომების მეოთხე ტომის პირველ ნაკვეთში (გვ. 99 — 118).

გაკვრით ძველი საქართველოს გზებს ეხება კ. მილერი შრომაში Jtineraria Romana, Römische Reiswege an der Hand der Tabula Peutingeriana, (შტუტგარდტი, 1916 წ.) და ი. მარკვარტი—Skizzen zur historishen Topographie und Geschichte von Kaukasien, ვენა, 1928).

საქართველოს სავაჭრო გზებს გარკვეული ადგილი ეთმობა აგრეთვე აკად. ი. ა. მანანდიანის ნაშრომებში: „О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен" და „სომხეთის მთავარი გზები „ტაბულა პევტინგერიანას" მიხედვით". აქვე უნდა დავასახელოთ აგრეთვე პროფ. ს. ერემიანის ნაშრომიც „Торговые пути Армении в эпоху Сасанидов", რომელშიც საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი რამდენიმე სავაჭრო გზაა განხილული (Вестник древней истории, № 1. 1939 г.)

ქ. რუსთავთან დაკავშირებულ სავაჭრო გზებს იხილავს ლ. ჭილაშვილი საყურადღებო წიგნში „ქალაქი რუსთავი", რომელიც 1958 წელს გამოსცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ (რედ. აკად. ნ. ბერძენიშვილი).

აი ის ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, რომლის დასახელებაც შეიძლებოდა საქართველოს გზებისათვის. და ყველაფერი ეს საერთოდ, მთელი საქართველოს გზების შესახებ. რაც შეეხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გზებს, ეს საკითხი დღემდე სპეციალურად არავის უკვლევია. გაკვრითაც მხოლოდ ზოგიერთი ზემოხსენებული მკვლევარი შეხებია.

ძველი საქართველოს გზების შესახებ საგულისხმო ცნობებია დაცული ანტიკურ წყაროებში. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან: ქსენოფონტე, აპ. როდოსელი, სტრაბონი, არიანე, კლავდი პტოლომე. მეტად ძვირფას ჩვენებებს იძლევა ამ მხრით ძველი რომაული რუკა „ტაბულა პევტინგერიანა".

კ. მილერის გამოკვლევით ეს რუკა შედგენილია IV საუკუნის მეორე ნახევარში. მისი ავტორია რომაელი გეოგრაფი კასტორიუსი (K. Miller, Die Weltkarte des Castorius, genant die Peutingerische karte, Rawensburg, 1888, 50).

რუკა აღმოაჩინა იეზუიტმა კ. კელტემ 1501 წელს და გადასცა მკვლევარ კ. პევტინგერს. ამ მეცნიერის გვარის მიხედვით შემდეგ იგი რატომღაც იწოდა „პევტინგერის ტაბულის" სახელით. ასეა ცნობილი კასტორიუსის რუკა სამეცნიერო ლიტერატურაში.

კასტორიუსის წყაროების საკითხი ჯერჯერობით მთლად კარგად არ არის

გამორკვეული; მკვლევართა აზრით რუკის შემდგენელს ხელთ უნდა ჰქონოდა: ე. წ. აგრიპას რუკა, კლ. პტოლომეს „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ და ზოგი სხვა რამ.

რუკის ყველა ადგილი ნათელი და ზუსტი თუმცა ვერ არის, ერთმანეთშია არეული სხვადასხვა ხანის მონაცემები. მაგრამ კასტორიუსის რუკის მეცნიერულ ღირებულებას ეს გარემოება ჩრდილს ვერ აყენებს. იგი მეტად საგულისხმო ცნობებს შეიცავს ძველი მსოფლიოს (ესპანეთიდან ინდოეთამდე) სავაჭრო გზების, ქალაქებისა და სხვათა შესახებ. მასზე აღნიშნულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი დიდი სავაჭრო გზაც.

ფეოდალურ საქართველოს გზებზე საინტერესო მასალებს შეიცავს ქართული წყაროები. ესენია: „მატიანე ქართლისა“, „ცხოვრება და უწყება ბაგრატოვანთა“, „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასალისა“, „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა“, და სხვ. განსაკუთრებით უხვი ცნობებია მოცემული უკანასკნელში, რომელიც XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის კალამს ეკუთვნის.

ფეოდალური საქართველოს გზებზე საყურადღებო ცნობებს შეიცავენ უცხოელ (აზიელ თუ ევროპელ) მწიგნობართა და მოგზაურთა შრომები. მათგან აღსანიშნავია ისტარხის (X ს.) „წიგნი სახელმწიფოთა გზების შესახებ“, იბნ ალფაკიჰის (X ს.) „წიგნი ქვეყანათა შესახებ“, მუკადდასის (X ს.) „საუკეთესო დაყოფა კლიმატთა შესწავლისათვის“ და სხვ.

საინტერესოა აგრეთვე XVII საუკუნის თურქი მოგზაურის ევლია ჩელების, ფრანგი მისიონერის ჟან შარდენისა და ზოგი სხვა გვიანდელი უცხოელი ავტორის მონაცემები.

აქ ჩვენ რომელიმე ეპოქით კი არ ვიფარგლებით, არამედ გვსურს ზოგადად შიმოვიხილოთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გზები უძველესი დროიდან XIX საუკუნის მიწურულამდე. ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე XIX საუკუნის რუსი მოგზაურების თუ სამხედრო მოღვაწეთა ცნობებს. ასეთი მასალებიც, შეიძლება ითქვას, საკმაოდაა მომარჯვებული ნაშრომში. და არა მარტო დიდი გზები იყო ჩვენი ინტერესის საგანი, ჩვენ აგრეთვე დიდის გულისყურით ვეძიებდით პატარა გზებსაც, ე.წ. „გზაბაწრებს“, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ოლქებსა, თუ ერთი და იმავე ოლქის სხვადასხვა ხევებს ერთმანეთთან აკავშირებდა (უღელტეხილებით, ხევებით). აჭარაში მოგზაურობის დროს ადგილებზე ბევრი მასალა შევკრიბეთ. ეს პატარა გზები ნაშრომში ძირითადად ჩემი მასალებითაა მოცემული. მრავალ ასეთ „გზაბაწარზე“ პირადად მივლია.

**ხახმაღათოლ გზები** მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს გზები ამჟამად ჩვენს მიზანს სცილდება. ჩვენ აქ ძირითადად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილის გზებით ვიფარგლებით, რომლებიც დღეს აჭარის ასსრ-ში ერთიანდებიან.

უძველესი დროიდან ციხისძირზე გადიოდა დასავლეთ საქართველოს სამხრეთთან დამაკავშირებელი მთავარი გზა. ეს გზა მერმინდელი ქვემო გურიის ფარგლებში დაახლოებით ისევე მიდიოდა, როგორც ახლანდელი გზატკეცილი. მდ.

ჭოროხთან კი იგი ორად იყოფოდა: ერთი შტო ჭოროხის ხეობით თეოდოსიოპოლისაკენ (აწინდელი არზრუმი) მიემართებოდა. ხოლო მეორე — ზღვისპირით ტრაპიზუნტისაკენ (ს. ჯანაშია. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. შრომები, I, გვ. 37). ეს დიდი მნიშვნელობის მაგისტრალი იყო. იგი „ტაბულა პევტინგერიანა"-ზეა დატანილი (იქვე, გვ. 38).

ამ გზაზე ლაპარაკობს ჯუანშერი დასავლეთ საქართველოში მურვან ყრუს ლაშქრობის აღწერისას. ანაკოფიიდან მობრუნებული ყრუ ცხუმ-კლისურ-ნოქალაქევით მოემართება. აბაშა-ცხენისწყალთან ბანაკდება. შემდეგ კი „შემოვლო გზა გურიისა. და განვლეს სპერისა" (ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, 1955 წ., გვ. 238).

თითქმის ამავე გურიის გზას მიჰყვებოდა და ციხისძირთან გაივლიდა ბათუმ-ქობულეთის მთავარი გზა თურქთა ბატონობის ხანაში, ხოლო მოგვიანებით რუსული გზატკეცილი. ასევე მიემართება თანამედროვე საავტომობილო გზაც.

ამ გზის იმ შტოს კი, რომელიც ჭოროხის ხეობით თეოდოსიოპოლისაკენ მიდიოდა საშუალო საუკუნეებში „გზა კლარჯეთისა" ერქვა. ეს იმიტომ, რომ მისი უმთავრესი ნაწილი ამ ქართულ პროვინციაზე იდო.

ბერძენ-ქართველთა ბრძოლების აღწერაში (V საუკ. მეორე ნახევარი) ლ. მროველი ამბობს: „და წარმოვიდა ვახტანგ გზასა კლარჯეთისასა"-ო (იქვე, გვ. 177). ამ გზით მომავალმა ქართლის მეფემ „მოიწია თუხარისად" (იქვე). ეს უკანასკნელი შავშეთში „ტბეთის პირისპირ, ჩრდილოთ კერძ" იდო (ვახუშტი, აღწერა, გვ. 136).

აჭარის უმთავრესი გზა უძველესი დროიდან აჭარისწყალს მიჰყვებოდა. ხან მარცხენა ნაპირით, ხან — მარჯვენათი. ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად საშუალო საუკუნეებში აქ შესანიშნავი თაღიანი ხიდები იყო, რომელთაგან დანდალო დღესაც სრულად არის შემონახული.

1672 წლის შემოდგომაზე ეს გზა გაიარა გონიიდან ახალციხეში მიმავალმა ჟან შარდენმა. შარდენს საინტერესო ცნობები აქვს ამ გზის შესახებ; მოგვიტანთ ზოგ მათგანს: „3-ს (იგულისხმება 3 დეკემბერი — ი. ს.) ხუთი ეჯი[1] გავიარეთ ფეხით... სულ ასე აღმართ-დაღმართით მივდიოდით: ამ ხუთ ეჯში ორიც არ გამორეულა სწორი გზა" (ჟ. შარდენი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 50).

4 დეკემბერს ერთ სოფელში დარჩა ფრანგი მოგზაური (სამწუხაროდ, ამ სოფლის სახელს არ ასახელებს).

ხუთსა და ექვსში თერთმეტი ეჯი გაუვლია. „თუმცა ცხენები მყავდა, — ამბობს შარდენი, — მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ სამი ეჯი არ გამივლია ცხენით: ყოველ წამს უნდა ჩამოვმხტარიყავ, რადგან ვიწრო და ძნელი სავალი გზები იყო. ცხენი ძლივს იკიდებდა ფეხსა" (იქვე). 7 დეკემბერს მოგზაური უკვე არსიანის მთაზე იყო. ამ მთას იგი შეცდომით კავკასიონს უწოდებს. აქ უკვე იმ დროს საკმაოდ მაღალი თოვლი იდო. „კავკასიონი (არსიანი — ი. ს.), — წერს შარდენი, — ყველაზე დიდი და ძნელი გასასვლელი მთა არის ყველა იმ

---

1 ერთი ეჯი სამ მილს, სამი ათას ნაბიჯს უდრის (ს. ორბელიანი, ლექსიკონი, 1928 წ., გვ. 114).

ძთეზში, რომელიც მე მინახავს: ეს იქიდანაც ჩანს, რაც აქამდე ესთქვი: ციცაბოებით და სახარელი ფრიალოებით არის ეს მთა სავსე.

ბევრი შრომა დასჭირვებია აქ ზოგიერთ ალაგას ბილიკების გაყვანასა და გამოკვეთას... კავკასიონის სიმაღლეებზე მუდამ თოვლი ძევს და გადასავალი გზა... ძალიან უდაბურია. 7-ს დამე თოვლში გავატარე" (იქვე).

ეს გზა ყახლის ითით გადადიოდა სამცხეში. 9 დეკემბერს საღამოზედ შარდენმა, როგორც იყო, ახალციხეს მიაღწია (იქვე, გვ. 55).

აჭარის ეს მთავარი გზა ოსმალთა ბატონობის პერიოდში ძალიან უხეირო და მოუვლელი იყო.

ამ გარემოებამ დააინტერესა დ. ბაქრაძე აჭარაში მოგზაურობის დროს და იკითხა მიზეზი. განზრახ არ ვაკეთებთო — იყო პასუხი. აჭარელი ქართველები უგზოობითაც ცდილობდნენ დაეცვათ თავისი კუთხე თურქთა მძლავრობისაგან (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ., გვ. 42).

თურქეთის მთავრობა მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობის გზებს აქცევდა ყურადღებას. XIX საუკუნეში მათ გაიყვანეს ბათუმ-ციხისძირის გზატკეცილი. ამ გზის შესახებ ა. ფრეჲკელი წერს: „Благо везде было шоссе. Но местами дорога была настолько крута, что казалось вот-вот лошадь со мною полетит назад". (Очерки Чурук-су и Батума, გვ. 31).

გარდა ამისა დაპროექტებული იყო ბათუმ-ყარსის (ართვინით) გზის მშენებლობა, გარკვეული სამუშაოებიც ხატარდა ამ მიმართულებით, მაგრამ თურქებმა მისი დამთავრება ვერ მოასწრეს (იქვე, გვ. 100).

შემოერთების პირველსავე დღეებში რუსეთის მთავრობამ დაიწყო ზრუნვა გზებზე. გზები უნდა გაეყვანათ სამი მიმართულებით: 1) ბათუმ-არდაგახ-ართახუჯი, 2) ბათუმი-ახალციხე და 3) ბათუმი-ოზურგეთი. თავდაპირველად მუშაობა დაიწყო პირველ-მეორე მაგისტრალზე (იქვე, გვ. 124).

ამ ძირითად გზას აჭარის ხევები თავიანთი გზებით და ბილიკებით უკავშირდებოდა. ხევთა გზები მთავარ გზაზე აოათუ უკეთესი, ბევრად უფრო უარესი იყო. მათგან გამონაკლისი იყო ხიოდან სხალთისაკენ მიმავალი გზა, რომელიც შემოერთების წინ შერიფ ხიმშიაშვილმა გაიყვანა (გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, გვ. 13).

შ. ხიმშიაშვილს, როგორც ჩანს, ამ მხრით ფართო გეგმები ჰქონია, მაგრამ თურქეთის მთავრობას არ მიუცია ამის ნება.

სოფელ სხალთიდან ეს გზა ამავე სახელის მდინარეს მარჯვენა ნაპირს მისდევდა ხიხაძირამდე (იქვე, გვ. 19). აქ იგი რამდენიმე შტოდ იყოფოდა. ერთი მიდიოდა ბაკოსაკენ, მეორე — კალოთისაკენ.

გ. ყაზბეგის სიტყვით: „Через дер. Бако пролегает большая караванная дорога из Ахалциха и Ардагана в Батум. Обе эти дороги обходят гору Хирхат одна с севера, а другая с юга" (იქვე, გვ. 23).

ზემო აჭარიდან შავშეთში ორი გზა მიდიოდა. ერთი ბაკო-კალოთიდან ჩირუხით მდ. ყვირილას ხეობაში, ხოლო მეორე მარითის ხეობიდან. ამათგან უკეთესი იყო პირველი (იქვე, გვ. 44).

ქვემო აჭარიდან შავშეთში გადაისვლებოდა აკავრეთას ხეობიდან. ამ გზით უფრო ამ ხეობის მცხოვრებლები სარგებლობდნენ.

შავშეთი ზღვისპირეთს მაჭახლის ხეობით უკავშირდებოდა.

აჭარა-გურიის ურთიერთობა უმთავრესად საურმე-ტეხილო გზებით წარმოებდა. გარდა აჭარის მთავარი გზისა, რომელიც სოფ. ერგესთან შემოდიოდა გურიაში, ყველა დანარჩენი გურია-აჭარის ქედზე გადმოდიოდა. აი ზოგი მათგანი:

ე. დიასამიძის ცნობით: „სოფ. მახუნცეთიდან (ქედის რაიონი) ყოროლისწყლის ხეობაში მომავალი გზა სოფ. ზუნდაგასა და მთა მტირალაზე გადიოდა. ასეთივე გზა მიდიოდა საღორეთიდან ჩაქვისთავში. აქიდან ჩაქვისწყლის ხეობით ჩადიოდა ჩაქვში“ (დღიური, 14. VIII. 1953 წ., სოფ. მახუნცეთი).

საურმე-ტეხილო გზები აკავშირებდა კინტრიშის ხეობას აჭარასთან. ა. ფ. მიქელაძის სიტყვით: „გურია-აჭარის ქედზე ბევრი გზაბაწარია. ჩემს ჯეელობაში ბევრჯერ მივლია ამ გზაბაწრებით. აი მაგალითად, კინტრიშის ხეობიდან თუ წონიარისში გინდა გადახვიდე, ყველაზე უფრო მოხერხებულია ზერაბოსლიდან კურვაზე (მთაა) გადამავალი გზა. დიდვაკიდან თუ ახოში გინდა ჩახვიდე. გზა გადის გორასა (სოფელია) და კალვაზე (მთაა). ზემო ხინოდან გზა მიდის ცხემლისში, ხინოდან ჯერ ნაქურთვალას გაივლი, მერე სალოცავის ქედს, აქედან მოსალთხევს, სასადილოს, ონაგირას, პერანგას და ჩახვალ ცხემლისში. ზემოხინოდან გზა მიდის წყლისაყარშიც. ეს გზა ასე მიდის: ზემოხინო-ქეაკვერცხაწყარვა-დიდველა-სარბიელა-სარმიყელი-ცხემნის ჲეილა,-ჯვარის მინდორი, ამის შემდეგ უკვე წყლისაყარია“ (დღიური, 3. X. 1957 წ., სოფ. დიდვაკე).

ჭვანის ხეობა სამთო გზით ბახვის წყლის ხეობასაც უკავშირდება. ეს გზა ასკანის ციხეს გაუვლიდა ჩრდილოეთით, აქედან ბახვისწყლის ხეობით სომლიის მთაზე ადიოდა, ხოლო სომლიიდან თაექვე ეშვებოდა და სოფ. ნაღვარევში (შუახევის რ-ნი) ჩადიოდა .(დ. მეგრელიძე, ასკანის ციხე, თსუ ასპირანტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი 1, თბილისი, 1950 წ., გვ. 96-97).

დ. ბაქრაძე ამ გზას გურიიდან ზემო აჭარაში მიმავალ გზებს შორის ყველაზე უფრო მოხერხებულად თვლიდა (არქ. მოგზ., გვ. 208-209).

შემოდგომის მიწურულიდან, როცა აჭარა-გურიის ქედი თოვლის სქელ საბანში გაეხვეოდა, საურმე-ტეხილო გზები იკეტებოდა. ასე გრძელდებოდა, ვიდრე თოვლი დნობას დაიწყებდა. მ. მამალაძის თქმით: „ჩეთნიკ-მტაცებლებისაგან მოსვენებული ვიყავით მხოლოდ ზამთარში, როცა ბახმაროს მთებს დაყანთრავდა. ამიერიდან მთის გზები იკეტებოდა, ჩეთებიც თოვლის აღნობამდე იძულებული იყვენ უსაქმოდ მჯდარიყვნენ თავიანთ სახლებში“ (დღიური 12. IX. 1951 წ., სოფ. ხევი).

გურიას აჭარასთან ბევრი სხვა საურმე-ტეხილო გზაც აკავშირებდა. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ზოტიყელით მიმავალი გზა. პირველი იაილა, რომელიც ბახმაროდან გასულ მგზავრს ხვდება ამ გზაზე, ეს ზოტიყელია. ბახმაროდან ზოტიყელში ორი გზა მიდის: „ერთი საცხენოა და შორს (7-8 კილომეტრის მანძილზე) უხვევს, მეორე თვით ბახვის-წყალს აჰყვება, ხევხევ, და ერთიორად მოსჭრის გზასა, თან, უფრო ლამაზიცაა“ (თ. სახოკია, მოგზ., გვ. 111). ზოტიყელიდან გზა ჩრდილაზე მიდის. „ნახევარი საათის სიარულის შემდეგ ერთ ტრიალ მინდორზე გავედით. სახელად „ჩრდილა“ ჰქვიან ამ ვაკეს“ (თ. სახოკია, იქვე, გვ. 128). ჩრდილას შემდეგ ბადიშია. „ბადიშიდან“ მოყოლე-

ბული საცალფეხო გზა ქანდება... იკლიბაკლოდ მიდის. ცხენს წინა ფეხები წაშვერილი აქვს, უკანა კი თითქმის დაწყობილი აქვს ძირს, თითქო ზისო, და ისე მისცურავს... აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ჩრდილას" გზა ერთ საუკეთესო გზად ითვლება აჭარაში. ამ გზით ზაფხულში შეუწყვეტელი ძისვლა-მოსვლა აქვთ აჭარლებს გურიაში. აქედან, განსაკუთრებით, სიმინდის სასყიდლად გადადიან..." (იქვე, გვ. 128-129).

ბადიშის შემდეგ ეს გზა „სისხლის ხევზე" გაივლის. „საათის ათზე მივატანეთ „სისხლის ღელესთან", რომელსაც თურქულ სახელსაც ეძახიან ამავე მნიშვნელობისას („ყანლი-დერე"). ხევი ამ ადგილას საშინლად ვიწროვდება, თითქმის იკვრის... რამდენიმე ხანს გზა... ხევ-ხევ მიდის" (გვ. 130-131).

„სისხლის ხევის" შემდეგ საქულაფერდია. „საქულაფერდის მთიდან ნაძვის ტყე იწყება ღორჯომლებისა... სადაც ტყე თავდება, იწყება ყიშლაღები ანუ საშემოდგომო ბინები... აქედანვე გზა, შედარებით, უკეთესი ხდება. შორს გამოჩნდა პირველი სოფელი ზედა-აჭარისა ღორჯომი... სოფლამდე ორი საათის გზა კიდევ დაგვრჩა" (იქვე. გვ. 131-132).

ახლა გურიის მხარეს დავუბრუნდეთ:

ზოტიყელის გზა ბახმაროში მრავალმხრივ ტოტდებოდა. „თუ მგზავრს სოფელ ვაკიჯვარში (მახარაძის რ-ნი) უნდოდა ჩასვლა, ბაისურა-სომლიაზე წავიდოდა, ხოლო თუ გუბაზეულის ხეობაში — მაშინ ან თელვან-„თათრის შარით" წამოვიდოდა, ანდა — ძეგვილეთი. სოფელ ხევში ჩეთები უფრო „თათრის შარით" მოდიოდნენ და იტაცებდნენ ბავშვებს. გზასაც ამიტომ ეწოდა „თათრის შარა" (მიხეილ მამალაძის (75 წ.) გადმოცემა, დღიური, 13. I. 1949 წ. ს. ხევი).

ბათუმ-ოზურგეთის გზა მუხაესტატეზე იდო. მუხაესტატედან გზა მიდიოდა აგრეთვე შეკვეთილისაკენ (ლენინგრადის ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 1268, აღწ. 1, 1842 წ., საქმე 358, ფ. 3).

ხინო-ქობულეთის მთავარი გზა კინტრიშის ხეობაში გადიოდა. ეს გზა ხან მდინარის მარჯვენა ნაპირს მიჰყვებოდა, ხან კიდევ მარცხენას. სოფელ დიდვაკიდან მოკიდებული ცხემვანამდე გზა მდინარის მარჯვენა ნაპირზე იყო და ასეა დღესაც. სოფ. ცხემვანში იგი უკვე მარცხენა სანაპიროზე გადმოდიოდა (აქ კინტრიშზე შემონახულია ქვის კამარიანი ხიდი). ასე მოდიოდა ბასრიმე(ე)ლემდე. ბასრიმე(ე)ლეს ხიდით (ესეც კამარიანია) გზა ისევ კინტრიშის მარჯვენა სანაპიროზე გადავიდოდა და ჭახათით მიემართებოდა ქობულეთისაკენ (დღიური, 4. V. 1958 წ.).

კინტრიშის ხეობა და აჭარისწყლის ხეობა — ოზურგეთის დამაკავშირებელი გზა, როგორც ითქვა, ზემოთ (გვ. 129), ტყემაკარავ-ტალახაზე გადიოდა. „ჭახათიდან მომავალი მგზავრი სოდომურზე გავლით მოხვდებოდა ტყემაკარავში, კეჭიეთ-ვარჯანაულ-კობალაურით მომავალი ბასრიმე(ე)ლეს ხიდით, ხოლო ხინოდან მომავალი სალოცავის ხესთან გადაივლიდა კინტრიშს, სადაც ხის ხიდი იყო..." (ო. ოთიაშვილის ცნობა, დღიური, 9. II. 1958 წ.).

ზემო ხინოდან ოზურგეთისაკენ სხვა გზაც იყო. ა. ფ. მიქელაძის გადმოცემით: „ზემო ხინო-ოზურგეთის გზა მიდიოდა ქვაკვერცხაზე, აქედან გაივლიდა წყარევას, დიდველას, სარბიელას, ნასორალს და აჭის წყლის ხეობით ოზურგეთში ჩადიოდა" (დღიური, 3. X. 1957 წ.).

ბათუმი ჭანეთს (ხმელეთით) უკავშირდებოდა ბეღლევანის უღელტეხილით (ზ. ლიოზენი, რუსეთის ლაზისტანის სანაპირო, გვ. 142).

მრავალი საუღელტეხილო გზები აკავშირებდა ჭანეთსა და ნიგალისხევს, ამ უკანასკნელსა და ისპირს და სხვ.

„მზღვრის ფორჩხისხეობას: „...სამხრით მთა ისპირისა, სადაცა გადავლენან გზა ისპირის ხეობას შინა... ჩრდილოთ მთა ჭანეთისა, და მას ზედა გადავლენან გზანი ჭანეთს“ — ამბობს ვახუშტი (აღწერა, გვ. 134).

ართვინისაკენ მიმავალი სახმელეთო გზა ჭოროხის მარჯვენა ნაპირს მიჰყვებოდა. XIX ს. 70-იან წლებში ეს გზა ასეთ მდგომარეობაში იყო: მირვეთის პირდაპირ, ჭოროხის მარჯვენა მხარეზე იწყებოდა ე. წ. თურქული გზატკეცილი, რომელიც მარადიდამდე მიდიოდა. აქედან მას ცვლიდა ბილიკი, რომელიც ძნელად სავალი იყო. ასე გრძელდებოდა დიდ მანძილზე, მხოლოდ სოფელ სინგოთის შემდეგ იყო გზატკეცილი. ე. დ. ვეიდენბაუმის სიტყვით: „В 12½ час. поднялись наконец к небольшому селению Сингот... В 1 ч. пополудни... продолжали путь. Очень крутая тропа вела нас всё вверх, и вскоре мы заметили на высоте турецкое шоссе, на которое и выехали через несколько минут. Шоссе это не окончено, но самые важные работы уже исполнены„. (Е. Д. Вейденбаум, От Батума до Артвина, Кавказские этюды, I, Тифл., 1901 г. стр. 130)

გზა არსებობდა ჭოროხის მარცხენა მხარეზე, მაგრამ იგი, ე. ვეიდენბაუმის ცნობით, ვერაფრით სჯობდა პირველს (გვ. 114).

**საზღვაო და სამდინარო გზები**

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროსთან შესანიშნავი საზღვაო გზა გადიოდა. ეს გზა გაცილებით უფრო მოხერხებული იყო, ვიდრე სახმელეთო და ამიტომ იყო, რომ აქ ზღვით მოძრაობას უფრო ამჯობინებდნენ (ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 37).

ეს გზა აღწერილი აქვს ფლ. არიანეს თავის „პერიპლუს“-ში. იგივე გზა იხსენიება შვიდი „ძმის“ (ორენტიოს, ეროტიოს, ფარნაკიოს, ფირმოს, ფირმინოს, კვირიაკოს, ლონგინოს) წამებაში (ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 104).

კასტორის რუკაზე ჩვენთვის საინტერესო მხარეში ერთი გზაა აღნიშნული და ისიც ხმელეთზე. ნ. ლომოურის ვარაუდით აქ საზღვაო გზა უნდა იგულისხმებოდეს (იქვე). ეს მოსაზრება მართებული ჩანს. „ტაბულა პევტინგერიანა“-ზე არც ერთი გზა ზღვაზე არ არის აღნიშნული. ყველა ასეთი ზღვის სანაპიროს გასდევს.

იმ დროს კაბოტაჟური ნაოსნობა იყო, ხომალდები ნაპირის სიახლოვეს მიცურავდნენ. ამის გამო ასეთი რამ (საზღვაო გზის ხმელეთზე აღნიშვნა) ადვილად გასაგები გარემოება იყო.

ამ გზას, ეტყობა, ძველად დიდი სავაჭრო-ეკონომიური (და სამხედრო) მნიშვნელობაც ჰქონდა. ამ გზით გაჰქონდათ რომაელებს ლაზიკიდან ნედლეული, ამავე გზით ღებულობდნენ ისინი ფასიდო-კასპიის სატრანზიტო გზით ინდოეთიდან გამოტანილ საქონელს, იმათაც ამ გზითვე შემოჰქონდათ თავიანთი ნაწარმი ლაზეთსა და მთელს საქართველო-კავკასიაში.

ამ გზას იცავდნენ სანაპირო ქალაქ-ნავსადგურებში ჩამდგარი რომაული გარნიზონები (იქვე).

რაც შეეხება სამდინარო გზებს, ამ მხრით მხოლოდ ჭოროხი იყო გამოსადეგი. ჭოროხზე ნაოსნობას დიდი ტრადიცია აქვს.

ჯერ კიდევ არიანესთან იხსენიება აკამფსისი (ჭოროხი) სანაოსნო მდინარედ (sc, I, 219).

ჭოროხზე ნაოსნობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან XIX საუკუნის ავტორები. ნაოსნობა ჭოროხზე ძირითადად ართვინიდან შესართავამდე სწარმოებდა, მხოლოდ წყალდიდობის დროს დაცურავდნენ იმერხევის ხიდამდე. იმერხევის ხიდს ზევით კი ნაოსნობა არ წარმოებდა (ე. ვეიდენბაუმი, დასახ. ნაშრ. გვ. 140).

ართვინიდან ბათუმისაკენ მომავალი ნავები ზღვამდე იშვიათად ჩადიოდნენ, ისინი ჩვეულებრივ კაპანდიდთან ჩერდებოდნენ. აქედან ბათუმამდე დიდი მანძილი აღარ იყო (სულ 10 კილომეტრი). ამ გზას ართვინიდან მომავალი ნავები მცირე წყლიანობის დროს 6-7 საათში ფარავდა, ხოლო აპრილსა და მაისში, როცა ჭოროხი ადიდდებოდა, ზოგიერთი გამობრძმედილი მენავე ერთნახევარ საათში გადიოდა (იქვე).

ძალიან მძიმე იყო დინების საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა. იგი წყლის სიდიდისა და ტვირთის ოდენობის მიხედვით 4-5 დღეს გრძელდებოდა, ხოლო წყალდიდობის დროს წყდებოდა სულ, რადგანაც ადამიანის ძალას არ ძალუძდა გამკლავებოდა დინებას. ე. დ. ვეიდენბაუმის სიტყვით: „Труд каючников, при плавании вверх, поистине каторжный труд: двое-трое людей, босиком, по колено в воде, тянут каюк лямкою, другие двое или один упирают в каюк длинные шесты, чтобы не дать ему возможности выскочить на берег. Мы встретили много таких обратных каюков, и люди живо напоминали на бурлаков, недоставало только унылой бурлацкой песни". (იქვე, 141).

ჭოროხზე სამი სახის ნაოსნობა სწარმოებდა: სატვირთო, სამგზავრო და შინასამეურნეო (თ. ჩიქოვანი, ქ. ნიკოლაიშვილი, ნაოსნობა ჭოროხზე. „საბჭოთა აჭარა", № 8, 1958 წ.).

ჭოროხზე ბრტყელძირიანი ნავები იყო გამოყენებული. ამ ნავების შესახებ გ. ყაზბეგი წერდა: „Эти суда похожи на венецианские гондолы и делаются из каштановаго дерева; они плоскодонны и при длине до 25 шагов, имеют ширину менее 3-х. Эта форма судна выработана в старой Колхиде (Г. Казбек, Три месяца в турецкой Грузии, стр. 90).

ასეთ ნავებს ბევრ ადგილას აკეთებდნენ. მათგან განსაკუთრებით ალსანიშნავია ბორჩხა, ზედა და ქვედა მარადიდი. ა. ფრენკელის ცნობით ნავებს აკეთებდნენ აგრეთვე „სამ აულში, რომლებიც იწოდებიან საერთო სახელით ირია, 30 კილომეტრის ზემოთ ართვინიდან (ა. ფრენკელი, დასახ. ნაშრ., გვ. 102).

დ. ბაქრაძის ცნობით ნავებს აკეთებდნენ ნაძვისა და ფიჭვისაგან (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ., გვ. 34).

წყალდიდობის დროს თითოეულ მათგანს შეეძლო წაეღო 300 ფუთამდე ტვირთი, წყალმცირობისას კი არა უმეტეს ასი ფუთისა (ა. ფრენკელი, დასახ. ნაშრ., გვ. 102).

ასე გვესახება ეს საკითხი.

## პირველი წიგნისათვის

ჩვენი „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკის“ პირველ წიგნში წარმოდგენილია ათი ათასამდე ტოპონიმი. ჩვენ იმთავითვე კარგად ვიცოდით, რომ ამით არ ამოიწურებოდა აღწერილი მხარის ადგილთა სახელები და რომ აღუნუსხველიც ბევრი დაგვრჩებოდა (ამის შესახებ კიდეც განვაცხადეთ შესავალში, გვ. 42) და ეს სავსებით გასაგებია. ვინც კი რამდენადმე მაინც არის ასეთი მუშაობის საქმის კურსში, მას არც გაუკვირდება ეს. ყოვლად შეუძლებელია ვინმე (სულერთია ეს ცალკეული პიროვნება იქნება თუ კოლექტივი) არსებულ ტოპონიმთა უკლებლივ შეკრება-აღნუსხვის პრეტენზიით გამოვიდეს. ყოველ პატარა ადგილს თავისი სახელწოდება აქვს; ისეთი შემთხვევებიც არ არის იშვიათი, რომ ერთი ტოპონიმის ფარგალში კიდევ რამდენიმე ტოპონიმი ჩნდება. პირველი, შედარებით ვრცელი ტერიტორიის სახელი რომ არ გამორჩეს აღმწერელს, იმ წვრილ-წვრილი სახელებიდან, რომელიც ადგილის შიგნით გვხვდება, თუ ყველა არა, ზოგიერთი უთუოდ, გამორჩება.

ტოპონიმიკის პირველმა წიგნმა გარკვეული გამოხმაურება ჰპოვა, რამდენიმე რეცენზიაც დაიბეჭდა და მკითხველთაგანაც მრავალი პირადი წერილიც შევიღეთ. რეცენზიებზე აღარ შევჩერდები, თითოეული მათგანი წიგნს დადებით შეფასებას აძლევს. მითითებულ შენიშვნათა უმრავლესობაც სწორი და სამართლიანია. ზოგიერთის შესახებ ავტორი თუმცა სხვა აზრისაა, მაგრამ ამაზე მსჯელობისათვის აქ ადგილი არ არის, მაშიზე თვით რეცენზირებულ წიგნშია პასუხი.

რაც შეეხება პირად წერილებს, ბევრი მათგანი ფრიად საგულისხმო ცნობა-მითითებებს შეიცავს და ამიტომ უნდა შევეხოთ მათ. მიღებული წერილები თავისი შინაარსის მიხედვით სამ ნაწილად შეიძლება გაიყოს: პირველ რიგს ვაკუთვნებთ იმათ, რომლებშიც მხოლოდ მკითხველის შთაბეჭდილებაა გადმოცემული. ასეთ წერილებზე სიტყვას არ გავაგრძელებ.

უფრო საინტერესოა მეორე რიგის წერილები, რომლებშიც მიღებულ დადებითი შთაბეჭდილებათა გვერდით, მითითებულია ამა თუ იმ სოფელში გამორჩენილი ტოპონიმი ან ჩაწერილთა სიზუსტე-უზუსტობა, ზოგიერთ ტოპონიმთა ვარიანტული ფორმები და სხვ.

მესამე რიგს მიეკუთვნებიან ის პიროვნებები, რომლებმაც ყოველგვარი შთაბეჭდილების აღნიშვნის გარეშე, გამომიგზავნეს ან გადმომცეს გამოტოვებული ტოპონიმები ან ვარიანტული ფორმები.

დავიწყოთ მეორე რიგის წერილებით. პირველი ასეთი წერილი ეკუთვნის ქედის რაიონული გაზეთის („კოლმეურნის ხმა") რედაქციის თანამშრომელს ნ. გათენაძეს. წერილში, რომელიც შეიცავს თაბახის 4 გვერდს და დათარიღებულია 1959 წლის 19 იანვრით, ნ. გათენაძე წერს: „დიდის მოუთმენლობით შევიძინე და ჯერ სასწრაფოდ, შემდეგ კი დაკვირვებით წავიკითხე თქვენი ნაშრომი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკის შესახებ. საქმე იმაშია, რომ ჩვენ ყველას, ბუნებრივია, ძლიერ გვაინტერესებს მშობლიური მხარის ისტორიული წარსული, საამისო ლიტერატურა კი ძალიან ცოტაა. ნაწილობრივ, ალბათ, ამითაც აიხსნება ის ინტერესი, რაც თქვენმა წიგნმა გამოიწვია ჩემში და სხვებში, მე, სწორი გითხრათ, უფრო დამაინტერესა შენიშვნებმა და ეს მიმაჩნია წიგნის ერთ-ერთ ღირსებად.

თქვენ საკმაოდ დაწვრილებით აგიწერიათ ადგილთა სახელები, მაგრამ არის კიდევ ზოგიერთი პატარა ადგილი, მაგალითად, სოფელ ქედაში, სადაც მე ვცხოვრობ, რომელიც არ შესულა თქვენს ზემოთ დასახელებულ ნაშრომში. ესენია:

ახო — ბუჩქნარი, კორდი, ტყე (ახოს ჩვენთან უწოდებენ ადგილს, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინათ ყანას (სიმინდის) წარმოადგენდა, შემდეგ კი ნიადაგის გამოფიტვის გამო თავი მიანებეს მას (1 ჰექტარი).

ნაბელლავეა — ვენახი (0,5 ჰა.).

ბადრიაული — ვენახი (1 ჰექტარზე მეტი).

იბაძიყანა — საძოვარი (1,5 ჰა. იბაძე ვინ იყო არ ვიცი. ადგილი არის ფერდობი).

ქაშანი — ტყე (წაბლის). ჩემის აზრით ქაშანს ეძახიან ულრან ტყეში მიმავალ გზას, ჩაღრმავებულს, რომლითაც ხეებს ათრევენ (დაღმართი) 1,5 ჰა.

საინი — საინი ეწოდება მჟავე წყალს სოფ. ქედაში. მის ირგვლივ მდებარე ადგილსაც საინი დაერქვა. მდებარეობს რაიონული ცენტრის გვერდით, სამხრეთით (0,5 ჰა.). ამჟამად საცხოვრებელი სახლები შენდება. წინათ ქერს და სიმინდს თესავდნენ (გადმოცემით).

ნაშრომში ჩამოთვლილ სახელთაგან, რომლებიც, კერძოდ, სოფელ ქედას შეეხება (გვ. 57) უმრავლესობას შენარჩუნებული აქვს ხალხური გამოთქმის იერი. ზოგიერთი მათგანი კი სხვანაირადაა ჩაწერილი. მაგალითად, „მოსარულა". აქ მას „მოსაულას" ეძახიან. გარდა ამისა ქვაბნაძირები წარმოადგენენ ერთიან კაკლის ხეების ტყეს. ამიტომ, თუ სხვადასხვა მოსაზრებანი არ არსებობდა ამ საკითხზე, მისთვის ნიგვზის ან კაკლის ბაღი მიგვეწერა.

ზემოთ დასახელებულს გარდა, არის ადგილები, მაგალითად, ჰაჯიეფენდიყანა (აბანოპირში შედის) და ფურუნჯის ყანა. ესენი ნაშთია თურქთა ბატონობისა ჩვენს მიწაზე. მაგრამ ფრიად უმნიშვნელო. ოსმალთა მფლობელობას ტოპონიმიკაში რაიმე არსებითი კვალი არ დაუტოვებია.

დასასრულ, კიდევ ერთის შესახებ: ჩვენ რაიონულ გაზეთში ვწერთ და მგონი ყველგან იწერება სოფლის სახელი „მეძიბნა“. არ ვიცი, რით აიხსნება აქის შეცვლა „მეძიძნით“ თქვენს მიერ (გვ. 60) იქვე, ქვემოთ (64 გვ) გვხვდება „ნამუხასტრევი“, ხოლო 40-ე გვერდზე სწერია „ხამოხასტრევი“. ჩემი აზრით ეს უკანასკნელი უნდა იყოს სწორი.

37 გვერდზე სწერია „კუპაულა“. „კუპაულა“ თუ „კუპულა“?

„დარე“ გზაა (გვ. 38, შენიშვნა). მე თურქული ენა არ ვიცი, მაგრამ დარეს ამ ენის ყოველი მცოდნე ჩვენთან გზას კი არ უწოდებს, არამედ ჩამოჭრილ ნიწას, 60-90-გრადუსიან ფერდობს (ქობულეთში მას კოდმეს ეძახიან)“ (ავტორისეული სტილი აქ და ქვემოთაც დაცულია).

ზემოთ დასახელებული ტოპონიმები სოფელ ქედის აღწერილობაში მართლაც გამორჩენილია. ამ წერილით ამ სოფლის ტოპონიმიკა სრულყოფილი ხდება.

ნ. გათენაძე ყურადღებას აქცევს იმასაც, სწორადაა თუ არა ჩაწერილი ტოპონიმები. იგი მიუთითებს, მაგალითად, ტოპონიმ „მოსარულა“-ზე და გვატყობინებს, რომ აქ მას „მოსაულას“ ეძახიანო. ეს მართალია. ამავე ფორმითაა ფიქსირებული ეს ტოპონიმი ჩვენს „დღიურშიც“ (რვეული № 4, გვ. 6). წიგნის „მოსარულა“ კორექტურული შეცდომაა. ასეთი შეცდომები ბევრი გავასწორეთ, მაგრამ ნაწილი კვლავ შეუმჩნეველი დაგვრჩა. „მოსა(რ)ულა“-ს გარდა ამავე რიგისაა „მეძიმნა“ (უნდა იყოს „მეძიბნა“), „კუპაულა“ ( უნდა იყოს „კუპულა“), „ნამონასტრევი“ (უნდა იყოს „ხამუნასტრევი“) და სხვ.

წერილის ავტორის აზრით სწორია „ნამონასტრევი“. ლიტერატურული ქართულით ეს მართლაც ასეა. აჭარაში კი „ნამუნასტრევი“ გვესმოდა ყველგან და ასეც ჩავწერეთ.

კორექტურული ხასიათის შეცდომები წიგნში ბევრი სხვაც შეინიშნება. რადგან სიტყვამ მოიტანა, აქვე შეიძლება მიუთითოთ მათზეც. ასე მაგ., დაბეჭდილია „ალია“ (გვ. 35, სტრ. 22, ზევიდან) უნდა იყოს: „ულია“. სწერია „გამანათლევი“ (გვ. 92, სვ. 1, სტრ. 8, ქვემოდან), უნდა იყოს „გამონათლევი“. „მეჩხერეთი“ (გვ. 118, სვ. 1. სტრ. 10, ქვემოდან), უნდა იყოს „მერჩხეთი“. დაბეჭდილია „ხუწყარუნა“ (გვ. 119, სვ. 11, სტრ. 16, ქვემოდან) უნდა იყოს „ხეწყარუნა“. სწერია „ჩოტეხილ“-ი (გვ. 182, სტრ. 6, ქვემოდან) უნდა იყოს „ჩოტოხილ“-ი და სხვ.

ტოპონიმ „ქვაბნაძირებ“-ის შესახებ. ეს სახელწოდება წიგნში „ქვაბნაძირი“-ის ფორმითაა მოცემული და უწერია „ტყე“. ნ. გათენაძის სიტყვით ეს არის კაკლის ბაღი. უკეთესი იყო, რა თქმა უნდა, მითითებული ყოფილიყო ასე.

რაც შეეხება დარეს, აჭარაში ეს სახელწოდება ხშირად მხვდებოდა და თითქოს გზას უკავშირდებოდა. რამდენჯერმე ვიკითხე და განმიმარტეს გზად. ნ. გათენაძის ცნობა, დარე — კოდმეს იგივეობის შესახებ, საინტერესოა.

სოფ. ოლადაურის (შუახევის რაიონი) მკვიდრი ა. მაკარაძე მწერს: „... მეც ძალიან მაინტერესებს ტოპონიმიკა. 1958 წელს სპეციალურად ვაგროვებდი მარითის ხეობის ტოპონიმიკურ და ფოლკლორულ მასალებს. ამიტომ თქვენმა

წიგნმა ძალიან დამაინტერესა. ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ კუთხის ტოპონიმიკა, რომელსაც მე უფრო ვიცნობ, როგორც ადგილობრივი მცხოვრები და ამ საქმით დაინტერესებული პირი, თქვენ დაწვრილებით აგიწერიათ. როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა აქვს ტოპონიმთა მართებულ ჩაწერას. ამ მხრივ თქვენი მასალა მოწონებას იმსახურებს. ადგილთა სახელები აღწერილია ადგილობრივი კილოს თავისებურებათა გათვალისწინებით. ცნობილია აგრეთვე, რომ ამა თუ იმ ტოპონიმს რამდენიმე ვარიანტული ფორმით წარმოსთქვამენ. თქვენ რიგ შემთხვევებში მითითებული გაქვთ ამგვარი ვარიანტები. მაგრამ ზოგჯერ ერთი ვარიანტით დაკმაყოფილებულხართ. ასე მაგალითად: ჩემს სოფელში (ოლადაური) თქვენ ჩაწერილი გაქვთ ტოპონიმები „კოპრიზული" (გვ. 91). ამბობენ „კოპრიძულს"-აც. „ბზიკარჭალა"-ს ნაცვლად უნდა იყოს „ზიკარჭალა". იქვე სწერია „ალიქოშვილები". უფრო გავრცელებულია ამის ვარიანტული „ალიკოშვილები". „ზედუბნის" აღწერის დროს გამოგრჩენიათ ზოგიერთი ტოპონიმი. მაგ., „ვაშლიძირი" (სათესი), „ბეგინაჩეხი" (სათიბი, ბუჩქნარი), „ნახიზნარი" (მდელო, ტყე), „ზედავაკე" (ტყე), „დაქანებული" (ტყე), „სათრითავი" (ამაღლებული ადგილი)".

მითითებული ვარიანტული ფორმების საწინააღმდეგოდ არაფერი ითქმის. მხოლოდ ერთი, „ზიკარჭალა" იწვევს ეჭვს. შესაძლებელია ეს ფორმა დღეს მართლაც იყოს გავრცელებული, მაგრამ ჩვენ „ბზიკარჭალა" გავიგონეთ და ასე ჩავწერეთ ეს ტოპონიმი. ჩვენი აზრით ამ სახელწოდების სწორი და თავდაპირველი ფორმაც ეს („ბზიკარჭალა") უნდა იყოს.

ი. მ. ქათამაძე სოფ. ბარათაულიდან (შუახევის რაიონი) გვატყობინებს: „თქვენს წიგნში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა" (წიგნი 1, 1958 წ.) ჩამოთვლილია ჩემი მშობლიური სოფლის, კერძოდ ბარათაულის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე შემავალი ადგილების სახელწოდებები. ეს სახელები, ისეთივე ფორმითაა მოცემული აღნიშნულ წიგნში, როგორც ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი გამოთქვამს მას, გამონაკლისია მხოლოდ ერთი, სათესი „დაინწრაული" (გვ. 7), უნდა იყოს „დანიწრაული". გარდა ამისა გამორჩენილია კიდევ რამდენიმე ადგილის სახელწოდება. ასეთია მაგალითად: სათესები: „კოხი", „კობალაური", „წანწახი". სათიბი: „მერია". ეს საკმაოდ მოზრდილი ფართობია. ძველად იგი ბევრი სხვადასხვა ოჯახის საკუთრება იყო. თვითეულ ასეთ ნაკვეთს ახლა ძველი მეპატრონის სახელი ქვია. ასე მაგ., „დედაბეროღლების მერია", „გოლოღლების მერია". „ხინველოღლების მერია". არსებობს უბანი, რომელიც „ყადიოღლების" სახელით იწოდება. შემდეგ: სოფ. ბარათაულის მდინარეზე არსებობდა პატარა ტბა, სადაც ბანაობდა ხალხი. ეს ტბა დღეს მდინარემ ამოავსო, მაგრამ სახელი „ანგესა" მაინც შემორჩა და ასე იწოდება ნატბური ადგილი დღესაც.

გარდა ამისა თქვენს წიგნში აღნიშნულია სათიბი და ტყე „ბოგილი" (იქვე). ბოგილი არსებობს ორი. ერთი მათგანი მდებარეობს ბარათაულის აღმოსავლეთით და იწოდება „საჯკე ბოგილ"-ად, ხოლო მეორე — მარტივად „ბოგილი" (მდებარეობს ბარათაულის ჩრდილოეთით). ასევე ორია „ახო"-ც.

რამდენიმე ტოპონიმი შეიძლება დაემატოს სოფ. ვანსაც. ასეთებია: „ბაბა-

ნური" (ტყე), „ყორნალი წყარო" (სათიბი. ტყე), „თოფის სასროლი" (სათიბი, ტყე). „ზაქარაქეთი" (სათიბი)".

შ. აბულაძე სოფ. ვაშლოვანიდან (ოქტომბრის სასოფლო საბჭო, ხულოს რაიონი) მწერს: „წავიკითხე ახლახან გამოსული თქვენი წიგნი. რომელმაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. განსაკუთრებით დამაინტერესა ჩემი რაიონისა (ხულო) და სასოფლო საბჭოს (ოქტომბრის) აღწერილობამ. ადგილობრივი სახელწოდებანი ზუსტადაა ჩაწერილი. მხოლოდ ერთი ტოპონიმის შესახებ გვინდა შევნიშნოთ. ესაა „შურმული" (გვ. 108). ამბობენ ასეც, მაგრამ უფრო მიღებულია „შუმრული".

სოფ. ვაშლოვანში გამორჩენილია აგრეთვე ზოგიერთი ადგილის სახელი. აი ესენიც: ტყეები: კვატელური, ნამწავი, ბელტივრი, ნაკალუები, სათესები: კიჟინვარი, ნაქალაქარი, ჯინჯიხავრი. სათიბები: ხარბაღელე, საჰინკია, ნაქერალი, ლეკნარი. მთა: კარათი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ"

პოეტ ფრ. ხალვაშის ცნობით სოფ. გეგელიძეებში (ქედის რაიონი) გამორჩენილია შემდეგი ტოპონიმები: სათესები: მახაური, სათიხარაძ, გორადუბე, საცურაული, მარანთი, სუგაური, კოთელიაძ, ბერთვენახი, ჰურული, ბასილური, გვერგვეთაძ, ვაყოფი, გეგელური, ვაკია, დოკლათა, ტყეები: შარაქვეშა, საწილიასერი, კვახიეთი, ნაოყვარი, ნაფეტვარი. სხვა ადგილები: წყაროთვალი (ხევი), გობაძ (ამობოგილი ადგილი), ჯორისახოხავი (კლდე).

ცნობები მოგვაწოდა აგრეთვე ბათუმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა ვ. მგელაძემ. იგი დაინტერესებულია ტოპონიმიკით და ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიციაში მონაწილეობის დროს (1958 წლის ზაფხული) სადაც კი მოუხდა ყოფნა, ყველგან შეუგროვებია ადგილთა სახელები.

დავიწყოთ ქედის რაიონით.

**მერისის სასოფლო საბჭო**

**ნამუნასტრევი.** აქ გამორჩენილია „ჩარჩი ბაზარი" (ტყე).

**მერისი.** სათესები. სატალახე, ხვაწიკალა, ნაკანაფვარი, ნატბევი. ტყეები: კორნალი, შვიდვაკე, ყვირილაძ, სათიბი: ნაბოსტნავი, ბუჩქნარი: ციხიყელი.

### შუახევის რაიონი

#### ჰვანის სასოფლო საბჭო

**ვარჯანაული**

სათეს-სათიბები: სერობა. ახოჰალა, განაყუფური, კუნჰულაძ, ტყე: საძაღლია.

#### ბარათაულის სასოფლო საბჭო

**გომარდული**

ღორექეთი (სათესი)

**ვანი**

გორგილაქედი (ს. უბანი)

**ოლადაურის სასოფლო საბჭო**

**ოლადაური**

სათიბეთი (სათესი), ფეთეგლული (სათიბი).

**შუბნის სასოფლო საბჭო**

**იაკობაური**

ღელე-სათესები: ნახშირიღელე, დიდავაზნიღელე.

**ვაკე**

სათიბები: სამზიარი, ჩარხიღელე, ეწნარი, კილდიქეაბი.

**შუბანი**

სათესები: აჭლაკუნტაძ, ლომადგომი. ცხვირა.
სათიბი: ძველდავთაბაგა, ტყე: ჭკნავიანი.

**დარჩიძეები**

კოდიწყალი (სათესი).

**ხულოს რაიონი**

**ხიხაძირის სასოფლო საბჭო**

**ვერნები**

ზორტიხევი (სათესი)

**დიდაჭარის სასოფლო საბჭო**

**დიდაჭარა**

ველათის ბელტი (სათიბი)

**ირემაძეები**

ნაკობოხვარი (საძოვარი)

**ღორჯომის სასოფლო საბჭო**

**მინთაძეები**

სათესები. ხოკანაქედი, ქველავრები, საძოვარი: გვერდები.

**ტუნაძეები**

სათიბები: დანტრეელი, ნიკოზალა. ტყე: ცხავასერი, ღელე: ბუჯარეთის ღელე.

**ადაძეები**

ნაორდვალი (საძოვარი), საყარიღელე (ღელე).
სათიბები: სანხლიაძ, ნაომრიყელი.

**მერჩხეთი**

სათიბები: გვირგვინასერი, სახბოვრია.

**სტეფანაშვილები:**

დამპალწყარო (სათიბი).

**წინკალაშვილები:**

სათესები: ქვეშაგზა, ბალვანათი, ნაასლევი, სპილენძაძ, ფაშისეველა, მელაურები. სოფ. კუთხე: ჭახაძიკარი.

**მეკეიძეები**

სათიბები: საყავრია, წოწოლაკაპანი. ტყე: სალომიაყელი.

**დავლაძეები**

ყრუღელე (სათიბი). კისაური (სათესი), გამოკარული (საძოვარი).

**ლორჯომის მთები და საძოვრები**

ჯვარიხუტოსერი, დიდვაკე, საშვალე, ყრუღელე, სამოთხიყელი, გაჰრილი, კარჩხალიკალო, ტბისერი, საუგია, ზვინა.

**აგარის სასოფლო საბჭო**

**შავაძეები**

სათეს-სათიბები: ჰერულა, ახოსერი, რობაღელე.

**მგელაძეები**

სათესები: სასელაძირი, წენგვაძ, კაჰალა, შუაძყანები, ბაიდრისევლა, ჭოპიასევლაძ, ვარდიელი, შოლტაძ, გზისაყარი: საგობრითავი.

**საციხური**

სათიბები: სანახშირე, ნანწვი, ზორტნალაძ, ტყეები: წვერსუკანი, სამზიარი.

**ნამუნასტრევი**

ტყეები: ჰურა, საყინულია.

**აგარის მთები და ტყეები**

გამოკაფული, მოსავლეთი, სამარილე, შუაგზისთავი, საბუზარაძ, სალოცავი, თარუები, წითელტბა, სასოკვისერი, სახბოვრიაძ, კატრები, სანგლიასერი, ჭარისერი, დიდუბე, უღელტეხილი, ონაგირაძ, ავაზანა, გახვრეტილიქვა, გრძელჰალა, წითელი, დედაბრიანი, ნაკაფი, ყიშლიბოკლები, საკირე, კორდიბოლო, ბოკელაძ, ნაიევლიევი.

**დიოკნისის სასოფლო საბჭო**

**პაქსაძეები**

სათესები: მოსური, გვერდვაკე, ბალაური, ნასაცხოვრები, გოგინაური, წადოლვარი, ნაღლეზები, ქეციქეთაძ, საბალავრო, ლემსავრაძ, ოჩია.

**კორტოხი**

დოკილდე (ქვიანი ადგილი), სათიბები: საქონდრია, სალანქრია.

**ბეღლეთი**

სათიბები: კიბიათი, ხებერძუკები, ყურიანაძ, საძოერები: კიტასაკლავი, საყურბნია, გომასერი, სათიხარაძ.

**ტაბახმელა**

გასავალი (სათესი).

**მანიაკეთი**

სათესები: მაღელი, ჯემალეველი, წალკოტი, სათიბები: გელავრაძ, წალკოტი, ტინტე.

**რიყეთის სასოფლო საბჭო**

**რიყეთი**

სათესები: ყორნალაძ, ახალჭალა, ზორტნალია, ქვაკიბია.

**დანისპარაული**

სათესები: დიდჭალა, დუბძები, შორალი, ყელი.

ასეთია ის დამატება-შენიშვნანი, რომელიც ჯერჯერობით მივიღეთ. ყველა იმ პირს, რომელმაც პირველი წიგნის შესახებ თავისი შთაბეჭდილება გაგვიზიარა და დამატებითი მასალა მოგვაწოდა, მადლობას მოვახსენებთ.

ამ ცნობების მიღების შემდეგ ჩვენც ფრიად დავინტერესდით გამორჩენილ ტოპონიმთა შეგროვებით და ერთხელ კიდევ შემოვიარეთ (1959 წლის ივნის-ივლისში) აღწერილი მხარის რიგი სოფლებისა, მეტწილად ისეთები, საიდანაც დამატებითი მასალა არ მოუწოდებიათ. სოფელთა ერთ ნაწილში აღუწერელი რაიმე მნიშვნელოვანი ვერაფერი ვიპოვეთ, ხოლო მეორე ნაწილში მეტნაკლები რაოდენობით აღმოჩნდა გამორჩენილი ტოპონიმები ან ჩვენს მიერ აღნუსხულთა ვარიანტული ფორმები. აი ეს მასალაც:

ჯერ გამორჩენილი ტოპონიმები.

**ქვემო აჭარა**

**აჭარისწყლის სასოფლო საბჭო**

**კიბე**

ქვავა (ტყე), ცამეტა (ტყე), მოლაბეგა (ტყე), მაღალიკარი (ბუჩქნარი), გვანდიშმერაძ (ბუჩქნარი), ნაიფხლევი (სათესი).

**მახუნცეთის სასოფლო საბჭო**

**ქოსოფელი**

ტაბვეთაძ (ტყე), ლელნარაძ (სათესი), ყოლიანი (სათესი),

**ფჩხითი**

შუაქედი (ს. უბანი), თხმენნარა (ტყე).

**მილისი**

დოლივი (მინდორი).

**ქვედა ბზუბზუ**

კაპანი (სათესი), კოპიწყალი (წყარო), მერჯანაბახჩა (სათესი), ადა (სათესი).

**ქვედა მახუნცეთი**

სატურე (სათესი).

**ზედა მახუნცეთი**

ჭარნალა (სათესი), სამზიარი (სათესი), გამოხეთქილა (სათესი).

**პირველი მაისის სასოფლო საბჭო**

**ხალორეთი**

პერკუმი (ს. უბანი), ნასაყდრევი (სათესი), ონაგირა (სათესი), ბუჭია (სათესი), ეწერი (ბუჩქნარი), ნაფლატი (ბუჩქნარი), ნაყამვარი (ტყე), კორნალი (ტყე);

ღლათხევიღელე (ღელე), სოფლისწყარო (წყარო), ჯამიკარი (ს. ცენტრი), თხირნალიწყარო (წყარო), ნამხლევიწყარო (წყარო), ყავღები (სათესი), ობური (სათესი).

## ქვედა აჭარა

ხახულია (სათესი), ეწერლუღი (სათესი), თორგინაჭლი (ს. უბანი), ბერიტყე (ტყე), აღიმინდორი (საძოვარი).

### ქედის სასოფლო საბჭო

#### ზენდიდი

წისქვილიღელე (ღელე), ნაფაცხვარი (სათესი).

### მერისის სასოფლო საბჭო

#### სილიბაური

ჩხერითავი (ბუჩქნარი), ნაფლატი (საძოვარი).

### ზვარეს სასოფლო საბჭო

#### ვაიო

მაჭარულა (ტყე), გრძელყანა (სათესი), გონთი (სათესი), კვერნისაწყობი (ტყე), ნაომარი (სათესი), შოლტი (სათესი), თავმოდული (სათესი), ბლესინა (ბუჩქნარი), ნანალევი (ბუჩქნარი), ნარვალი (ბუჩქნარი), ნასახლევი (სათესი), საკეცე (თიხნარი ადგილი), ბოსტანათი (სათიბი), ყევრისღელე (ღელე), გოგორახიდასღელე (ღელე).

#### წონიარისი

გელაჭრი (ს. უბანი), სვანიგაღმა (სათესი).

### ცხმორისის სასოფლო საბჭო

#### კოკოტაური

სამზიარი (სათესი), ორმოსავალაძ (სათესი).

## ზემო აჭარა

### ჭვანის სასოფლო საბჭო

#### ვარჯანაული

საწუმპი (საძოვარი), პემინოღლიკალო (საძოვარი).

### წყლისაყრის სასოფლო საბჭო

#### ნაღვარევი

წითლიყანა (საძოვარი), კაპანი (სათესი), დიდქვა (სათიბი), ტაბისერი (სერი), ჩახრახები (ბუჩქნარი), ნაორდვალი (მთა), ჩიდილაძ (მთა), საგველია (სათესი), სადათვიაძ (სათესი), ბერსნალი (საძოვარი).

### შუახევის სასოფლო საბჭო

#### ოქროპილაური

მინდორისერი (სათესი, ტყე).

### უჩამბის სასოფლო საბჭო

#### მოფრინეთი

საქორიტყე (საძოვარი), ახოთავი (საძოვარი), ბირგევრაძ (სათესი).

### დღვანის სასოფლო საბჭო

#### ჯაბნიძეები

კარჩხალი (სათესი), ნასახლევი (სათიბი)

### ოლადაურის სასოფლო საბჭო

#### მახალაკიძეები

თელნარი (სათიბი), სასელაძირი (სათესი), დათვიფელო (სათიბი).

### სხალთის სასოფლო საბჭო

#### ნენია

ნაფეტვარი (სათესი), ხევღელივაკე (სათესი), ნაახვევი (საძოვარი), თავარანგელო (ტყე), ძასაღები (საძოვარი, ტყე), თელამარჯული (სათესი), ჰაჯიბარაქები (სათესი), საწუმპარა (სათესი), ობოღლიყანა (სათესი).

### ყინჩაურის სასოფლო საბჭო

#### ყინჩაური

ნახიზნარი (ს. უბანი).

### ხიხაძირის სასოფლო საბჭო

#### ვერნები

არჩიხანისერი (ტყე, სათიბი), ლარები (სათესი), ლეკები (სათესი), ახუები (სათესი), ქვედაძჭალა (სათესი, სათიბი), ჭანჭახი (სათესი), ღალიოთხევი (სათესი), ნასერვალიღელე (ღელე, სათიბი), მუხიხიდი (სათიბი), სანტალიოსერი (ს. უბანი).

#### ხიხაძირი

საირმია (საძოვარი, ტყე). ნაკალუები (სათესი), ლემსავრა (სათესი). ჭიკარტანაღელე (ღელე, საძოვარი), ხრამითავი (საძოვარი), საქორია (სათესი), გუდაძიახო (სათესი), მაღალნაპირი (საძოვარი).

#### მთის უბანი

ჭალიყანა (სათესი), ქელამულაძ (ტყე), ჭოლოთავი (სათიბი), ნასახლევი (საძოვარი), ბახჩალუღი (სათესი), სამყურა (სათესი).

#### ბაკო

ნაჩარხევი (ტყე), სამოციაǁსამოცვია (მინდორი), საციქოǁსაციგო (ტყე), თხილნარი (სათიბი), პანტნარი (სათიბი), ახოთავი (სათესი), სამელიე (სათესი), ნაქოხვარი (სათიბი), ტყიპირი (სათიბი), ნაღვარევი (ღელე), ნალობიევი (სათესი), ლარი (სათიბი), ტბა (სათესი), ბოგილისერი (სათესი), შერბეთა (სათესი), ნაქერალი (სათესი), ჯარუკაწყარო (წყარო).

#### სკვანა

ჭიკოყორული (მინდორი, საძოვარი), სუონუსტი (სათიბი), ეწერლული (სათიბი), თელალუღი (სათიბი).

### ოქტომბრის სასოფლო საბჭო

#### ოქტომბერი

ცხ(რ)აწყარო (სათიბი), მერიქედი (სათესი).

### ხულოს სასოფლო საბჭო

#### ქედლები

ოკოსაეელი (სათიბი), ათანასური (სათიბი), ყორნალა (სათიბი), წყაროთავი (სათიბი), ჩამოსაყარი (საძოვარი), ახო (სათიბი), რუთავი (სათიბი), კუნჭული (სათიბი), ჩაკიდულა (სათიბი), დათვიძირი (სათიბი), თხმელები (საძოვარი).

#### განახლება

შანთაძეები (ს. უბანი), შირინოღლები (ს. უბანი), მუხნარი (ტყე), ბიჩინატრი (ტყე).

#### ელელიძეები

ხოზანი (სათესი), ჭოდნარი (სათესი), პაწაჭალა (სათესი), გუმრალი (სათესი), ზედაძბოსტანი (სათესი), საკანაფე (სათესი), ნაფუზარი (სათესი).

#### უჩხო

ხიდითავი (სათესი, ტყე), ძველი ჭალა (სათიბი, სათესი, ტყე), დიდნაძვიძირი (სათიბი, ტყე).

#### კურცხლები

დამპალწყარო (სათიბი).

### დიდაჭარის სასოფლო საბჭო

#### შავაძეები

ხმალატრი (სათესი), ნამასკვლეევი (სათესი), შოლტი (სათესი), ახოფერდი (ტყე), ნაქერალი (ტყე), პოტიკაღელე (ღელე).

### ღორჯომის სასოფლო საბჭო

#### ვანაძეები

ზედაქედა (სათესი), ორანდული (სათიბი), ყიშლები (საძოვარი).

#### ვაშაყმაძეები

ჭერულა (სათიბი), ნაღვარევი (სათიბი), თხმენნარი (სათიბი), მაჩაქი (სათიბი), ლექნარი (სათიბი), კორტოხაძ (სათესი), ტაბი (სათიბი), ხაზრამული (სათესი), ნაკაფი (სათიბი), იშიღასეველაძ (სათიბი).

#### ბეშუმი და მისი მიდამოები[1]

ხარიათაღი[2] (აგარაკის ტერიტორია), შავისერი (სერი). შავიღელე (ღელე).

---

1 ბეშუმი და მისი მიდამოები ისტორიულად სამცხის ტერიტორიაა. აჭარა აღმოსავლეთით ძველად გოდერძის უღელტეხილს არ სცილდებოდა.

2 გადმოცემის მიხედვით (ჩავიწერეთ ბეშუმში 1959 წლის ივლისში) „აგარაკი ბეშუმი წინათ დიდი ანუ ხულის ძაძლის ხარიათაღი იყო. აქ იდგა პატარა ქოხი დიდი ძეძლის ხარის მენახირეებისა, დღისით ხარი ეერხვნალის ღელის გაღმა, ბეშუმს იბალახებდა, საღამოს — კი აქ წვებოდა" (ალ. ჩოგაძისა და ნ. მეხეშიძის ცნობა).

**მაჭახელი**

**აჭარისაღმართის სასოფლო საბჭო**

**ქოქოლეთი**

საყანოქედი (ს. კუთხე).

**გონია**

**თხილნარის სასოფლო საბჭო**

**ჭარნალი**

შავი ღარდო (ღელე), ალიაღიდუზი (საძოვარი). ცაცხეიძირი (საძოვარი).

**ვარიანტული ფორმები**

**ქვემო აჭარა**

**ვაიო**

| დაშეპდილია: | 1959 წლის მოგზაურობის დღიურიდან: |
|---|---|
| წყავრათი | წყავრათაჲ |
| ჰიკოდსოული | წიკოუსოული |
| ნატბეჟრა | ნატბეჟრაჲ |
| ნაგომვა | ნაგომვაჲ |

**ზემო აჭარა**

**ინწკირვეთი**

| | |
|---|---|
| ჩანჩხითავი | ჩანჩქრითავი |

**ჯაბნიძეები**

| | |
|---|---|
| ნაქუხვარები | ნაქოხვარები |
| ნაშხამარა | ნაშხამტარა. |

ახლა იმ ტოპონიმთა შესახებ, რომლებიც დასახელებულია ლიტერატურაში, მაგრამ ჩვენს აღწერილობაში არ შესულა. ამგვარ გეოგრაფიულ სახელთა უმრავლესობა სოფელთა გარეთ, უმთავრესად მთებსა და იალაღებში მდებარეობს. აჭარის მთები და იალაღები ჩვენ თუმცა არ გამოგვეიტოვებია შემოუვლელი, მაგრამ ყოველ კუნჭულს ხომ ვერ ნახავს კაცი, ამასთანავე ყოველთვის ასეთ შორეულ გზებზე გამყოლიც არ გვყოლია. რის გამოც. ეტყობა, ბევრი საინტერესო ტოპონიმი ჩვენთვის მიუგნები დარჩა.

აი ზოგი იმათგანიც:

„ბუღ-გიოლი“ — (ტბა არსიანის ქედზე).

„გამოჩნდა არსიანის მთაცა, რომელიც შესანიშნავია თავისი ტბით... ტბა მრგვალია, ასე ნახევარი კილომეტრი ექნება გარშემო. მკვიდრნი სახელად „ბუღ-გიოლს“ (ბუღა-ბუღა და გიოლ-ტბა) ეძახიან“ (თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 212).

„ყარა-გიოლ“ — ტბა არსიანის ქედზე.

„სანამ სარიჩაირში ჩავიდოდით, შემთხვევა მოგვეცა ყარა-გიოლის ძილებთან ერთი საუცხოვო ტბა დაგვეთვალიერებინა... ეს (ტბა) ერთი ქცევა ადგილის ტოლია.

ამ ტბას ორი სახელი ჰქვიან: ქართულად შავი ტბა, ხოლო ოსმალურად — ყარა-გიოლ (ყარა — შავი და გიოლ — ტბა)“ (იქვე).

„სერიყანა“ — ადგილი სოფ. ბაკოს (ხულოს რაიონი) ზემოთ.

„სელიმი (ხიმშიაშვილი) — ი. ს.) ციხიდან გამოიყვანეს და სანამ თავს მოჰკვეთდნენ, სამი დღე-ღამე არ აძინეს... აჰა. მისი დასჯის დღეც დადგა, მაგრამ ჯალათობა არავინ იკისრა. ბოლოს, ერთი არტანუჯელი სომეხი გამოჩნდა, მისცეს ერთი ოქრო და იმანაც მოჰკვეთა თავი სელიმს სოფ. ბაკოს ზემოთ, სწორედ იმ ადგილას, რომელსაც „სერი ყანა" ჰქვიან და სადაც გლეხნი დღესაც პურსა სთესენ" (იქვე, გვ. 222).

„ვარცხლა", „ღორთა-ვაკე" (ადგილები სოფ. ფურტიოში, ხულოს რაიონი).

„სანამ გზატკეცილიდან გადაუხვევდით, მარჯვნივ ერთი სერი მაჩვენა იუნუსამ. აი, ბატონო, იმ სერს რომ ხედავთ, „ვარცხლა" ჰქვიან... იმის მახლობლად „ღორთა-ვაკეა" (იქვე. გვ. 199).

„შეიდი (წმინდანის) საფლავი" (ადგილი ხულოდან ფურტიოში მიმავალ გზაზე).

„მესამე კილომეტრზე გზატკეცილი უნდა დატოვოთ და ვიწრო ბილიკით თითქმის ცურვით თავქვე უნდა დაეშვათ აჭარისწყალზე გადებული ქვითკირის ხიდისაკენ. გზატკეცილის შორიახლო მგზავრის ყურადღებას იქცევს ქვის ყორე, რომლის ქვეშაც ასაფლავია ვინმე მაჰმედ-ალა და მის საფლავსაც „შეიდის (წმინდანის) საფლავი" ჰქვიან, რადგან ეს, მაჰმედ-ალა თურქების მიერ წმინდანებშია ჩარიცხული. ამ ადგილს „წმინდანსაც" უძახიან" (იქვე).

„შეიდის წყალი" (წყარო იქვე).

„გამაჰმადიანებულ ქართველებს გურჯებთან ბრძოლა ჰქონიათ სარწმუნოების გამო. მაჰმედ-ალა შავშეთელი ყოფილა, სოფ. მოქთიდან. მისი ბაირაღთარობით აჭარის-წყალს გამოღმა გამაჰმადიანებულ ქართველთა ჯარი მდგარა, ხოლო გაღმა — მის მოწინააღმდეგეთა. გახურებული ბრძოლის დროს მაჰმედ-ალას ტყვია მოხვედრია და სასიკვდილოდ დაუჭრია. დაკოდილ ბაირაღთარს გაღმა გასვლა მოუნდომებია, — ბარემ თავი შევაკლა მტერსაო, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი გადაუდგამს თუ არა, იქვე ჩაკეცილა, წყალი მოსწყურებია და ღვთისათვის შეუთხოვნია, შენს მადლსა წყალი გააჩინეო. ერთბაშად წყაროს ამოუხეთქნია, მომაკვდავს წყურვილი მოუკლავს და გარდაცვლილა კიდეც. ამ წყაროს „შეიდის წყალი" დარქმევია" (იქვე).

„ზურალი" (ადგილი იქვე).

„წყალ-გაღმა, სადაც მაჰმედას მკვლელი ქრისტიანი ზურაბა მდგარა, ამის სახსოვრად „ზურალი" დარქმევია" (იქვე).

„დედოფლის ხიდი" (ქვის კამარიანი ხიდი აჭარისწყალზე სოფ. ფურტიოში).

„თამარ მეფე... ხშირად დადიოდა სხალთის ტაძარში სალოცავად. აქაურ მთა-გორიან ბილიკებზე საველელად სულ მუდამ ჯორი ჰყავდა, ამ ჯორით სწორედ ამ ფურტიოს ანუ „დედოფლის ხიდზე" გამოდიოდა თურმე, ხიდს რომ მოადგებოდა, „ძირს ჩამობრძანდებოდა და ფეხით გაბრძანდებოდა მეორე ნაპირასო" (იქვე, გვ. 201).

„დედოფლის ქვა" (ლოდი იქვე მახლობლად).

„ხიდის (ფურტიოს ხიდი — ი. ს.) მარცხნით ნაპირზე ახლაცაა განკერძოებულად მიწაში ღრმად ჩამჯდარი ლოდი ერთ ოთხკუთხის ადლის სიფართისა, თითქმის ერთ ადლზე ამოწეული ნიადაგიდან. ამას „დედოფლის ქვას" ეძახიან" (იქვე).

„დედოფლის გზა" (სხალთაში მიმავალი გზა)..

„ამ ხიდიდან (ფურტიოს ხიდი — ი. ს.) ერთი გზა აჰყვება აღმართს, ნახევარ საათის სიარულის შემდეგ გზა ორ ტოტად იყოფა: ტოტი... ფურტიოში მიდის, ხოლო მეორეს სოფ. სხალთაში მიჰყავს მგზავრი. იმ გზას, რომლითაც თამარი დაბრძანდებოდა სალოცავად, დღესაც ამ ქალი მოგზაურის სახელი შერჩენია, — „დედოფლის გზა" (იქვე).

„დედოფლის წყარო" (წყარო სოფ. ფურტიოში).

„ეს, ბატონო, „დედოფლის წყაროა", — მითხრა იუნუსამ და თან მოაყოლა ამ ისტორიული წყაროს ბიოგრაფია" (იქვე, გვ. 203).

„სიმონაური" (ადგილი სოფ. ფურტიოში).

„სხალთაში" მიმავალი მეფე... ფურტიოში..., ერთხელ ერთ შეძლებულ გლეხს — ვინმე სიმონას სწვევია... ამ გლეხის ნამოსახლარს... დღესაც „სიმონაური" ქვიან" (იქვე, გვ. 203–204).

„დოლიაური“ (ადგილი სოფ. ფურტიოში).

„მეორეჯერაც სწვევია თამარ მეფე სიმონას. მის შვილებს ძვირფასი სტუმრისათვის „დოლია“ (ურქო ძროხა) დაუკლავთ.., ამ ადგილსაც დაუვიწყარი მეფის სტუმრად წვევის მოსაგონებლად „დოლიაური“ დარქმევია და სახელი დღესაც არ შეცვლილა“ (იქვე, 204).

„საბრუნავას სერი“ (ადგილი სოფ. ფურტიოში).

„სამხრეთით ფურტიოს ერთი გახრიოკებული კალთა ეგრეთწოდებული „საბრუნავას სერი“ აკრავს..“ (იქვე, გვ. 206).

„როკო“ (ნამოსახლარი სოფ. ფურტიოში).

„სხალთაში.., მთავრად იჯდა ვინმე გორგაძე. ფურტიოში მცხოვრებ ფარნას შვილი პინკაძე... გაურჩებია მთავარს.., გორგაძემ რაკი ვერა მოუხერხა რა.., პინკაძეს, გამოაცხადა, ვინც მოკლავს წყალობით ავავსებო. გამოსულა ვინმე „როკო“ (იმისი ნასახლარ ადგილს ახლაც „როკოს“ ეძახიან) ბერიძის შვილი აბაზა და მოუხსენებია მთავრისათვის: ჩემს კისერზე იყოს იმისი დაჭერაო!“ (იქვე).

„ტბანები“ (ადგილი საბრუნავას სერზე).

„აბაზა ბერიძეს შეუყრია ჯარი... ფურტიოში მოუმწყვდევია „საბრუნავას სერთან“... გამართულა ბრძოლა და მთელი ტბები დამდგარა სისხლისა (აქედან წარმომდგარა სახელი ამ სერის ერთი კუთხისა — „ტბანები“ (იქვე).

„სხალიანი“ (ადგილი იქვე).

„ომი რომ გადაუხდია აბაზასა, მის დამშეულ მეომრებს სოფლისათვის საჭმელი უთხოვნიათ. სოფლელთ უპასუხნიათ: სანამ დაგიმზადებდეთ, ემანდ მსხალია მწიფე და ის მიირთვითო. ისინიც მივიდნენ და მწიფე მსხალს შეექცნენ. იმ ისტორიულ ადგილსაც „სხალიანი“ შერჩა სახელად. საბრუნავა, ტბანები და სხალიანა სულ ერთადა ძევს“. (იქვე, გვ. 206–207).

„აბაზაური“, „ფარნიაშვილები“ (უბნები ფურტიოში).

„ფურტიოს ორ უბანსაც თავ-თავისი სახელი დაერქვა ამ დროის მთავარ გმირთა მოსაგონებლად: ერთს — „აბაზაური“, ხოლო მეორეს — „ფარნიაშვილები“ (იქვე. გვ. 207).

„თეთრობი“ (მთა).

„მთავარს გაეხარდა სიმარჯვე აბაზასი და თავის შრომის ფასად აჩუქა თეთრობის მთაზე საძოვარი და მაწყევლთის მთის ბაღი, მისცა: დოლოგანი (ფარნას სოფელი) ყმათ, ათას კოკიანი ქვევრი და სოფ. ფურტიოს ღვინის მოსავალი“ (იქვე).

„ჯორის სახოხავი“, „ჯოჯოხეთის კლდე“.

„გახარებულმა აბაზამ ქვევრი სხალთიდან წამოიღო, მაგრამ ფურტიოში მოსვლამდე გზაში შემოაღამდა. ვახშმის მოსატანად სოფელში ბიჭი გაგზავნა. დაბრუნებულზე ბიჭს ჯორი კლდეზე „დაუხოხდა“ (გადაუვარდა). იმ ადგილას დღეს „ჯორის სახოხავი“ ჰქვიან, ხოლო საშიშ კლდეს — „ჯოჯოხეთის კლდე“ (იქვე).

„საყორნია“, „ჭვარი-ულვთო“ (მთები აჭარა-გურიის ქედზე).

„მარჯვნივ აყუდებულია ქედები: „საყორნია„. ჭვარი-ულვთო“ (იქვე, გვ. 126).

„ჩრდილა“

„ნახევარ საათის შემდეგ... ერთ ტრიალ მინდორზე გავედით, სახელად „ჩრდილა“ ჰქვიან ამ ვაკეს, ალბათ იმიტომ. რომ იქეთ-აქეთ მთის სერები აკრავს და უმეტეს ხანს დაჩრდილულია“ (იქვე. გვ.128).

„საქუდაფერდი-საქულაფერდი-საყველაფერდი-საყულაფერდი“ (მთა)

„ჯერ გამოჩნდა ქედები: „ბადიში“. „გორა“, „საქულაფერდი“ (იქვე).

22 მარიამობის თვის საღამოზე რუსის ჯარი საქულაფერდის ქედს მოექცა“ (იქვე, გვ. 146). **Деревня Горжоми расположена на площадке, вдавшейся в виде котловины между отрогами гребней С а к в е л а п е р д и и Ргвалимвидори“** (სამი თვე თურქეთის საქართველოში, გვ. 6).

საყულაფერდი (აჭარის ასსრ ადმ. რუკა 1939 წლისა);

„ხისხლის ღელე“ — „ყანლი-დერე“ (ხევი გურიიდან აჭარაში ზოტიყელით მიმავალ გზაზე).

„საათის ათზე მივატანეთ „სისხლის ღელესთან“, რომელსაც თურქულ სახელსაც ეძახიან ამავე მნიშვნელობისას („ყანლი-დერე“) (იქვე, გვ. 130).

„ყაყანა“ (ტბა)

„... ბოძაურთან (სოფელია რიყეთის სასოფლო საბჭოში, ხულოს რაიონში — ი. ს.) ახლოს ტბა „ყაყანა“ არის.

შიან არიან: წყლი ძაღლი, დიდვანი გველები ქიებიანი, ბაყაყები, კუმიო არ შეჩსელება. შიან ტეხნიკებმა შეედენ ნავით და გველებმა წილამ დაჭამეს, ისე შააცეოდენ, დარაღები ჰქოდენ და ძლივ მოიცილევს, შიან ბითეეი სურიელი არი“ (ჯ. ნოღაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათომი, 1936 წ., გვ. 25).

პირველ წიგნში მოცემულ გეოგრაფიულ სახელთა ერთი ნაწილი სამეცნიერო ლიტერატურასა, ისტორიულ დოკუმენტებსა და რუკებზე სხვადასხვა ფორმებით გვხვდება. ეს სახესხვაობანი ტოპონომოსისათვის ფრიად საინტერესოა. „შენიშვნებში“ ასეთი მასალები საკმაოდაა გამოყენებული, მაგრამ წიგნის გამოსვლის შემდეგაც გარკვეული მასალა მოვიპოვეთ ამ მიმართულებით.

ზოგჯერ ესა თუ ის ტოპონიმი, ნაბეჭდი ლიტერატურიდან თუ საარქივო მასალიდან, მხოლოდ ვარიანტული ფორმაა პირველი წიგნის ამა თუ იმ ტოპონიმისა, ხან კიდევ დამახინჯება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში — სწორი, პირვანდელი და მართებული ფორმა.

დავიწყოთ ვარიანტული ფორმებით.

**ქვემო აჭარა**

| | |
|---|---|
| შევაბური | შავაბური (თ. სახოკია, მოგზ., გვ. 162). შავაბურა (ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთ გადასახლება ოსმალეთში, თფ., 1912 წ., 126). |
| ტიბეთა | ტბეთა (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 125). |
| ბელტული | ბელტური (იქვე, გვ. 127). |

**ზემო აჭარა**

| | |
|---|---|
| ზედაყანა | ზემო ყანა (აჭარის ასსრ ადმინისტრ. რუკა 1939 წ.). |
| ტბეთი | ტბეთა (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 131). |
| უჩამბა | უჩამპა (აჭარისტანის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიში, 1921-1924 წ., ბათუმი 1925 წ., გვ. 47), უჩამფა (ჯ. ნოღაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათომი, 1936 წ., გვ. 26). |

**მაჭახელი**

| | |
|---|---|
| კეჟერეთა | კეჟერეთი (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 138). |
| ცხემლარი (ცხემლალა) | ცხემლანა (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 137., თ. სახოკია, გვ. 163; აჭარის ასსრ ადმინისტრ. რუკა). |

**გონია**

| | |
|---|---|
| თხილნარი | თხირნალი (ზ. ლიოზენი, რუსეთის ლაზისტანის სანაპირო, გვ. 160). |

| | |
|---|---|
| მურვანეთი | მურმანეთი (აჭარის ასსრ ადმინისტრ. რუკა). |

დამახინჯებული ფორმები

ქვემო აჭარა

| | |
|---|---|
| კაპნისთავი | ყაფნისთავი (აჭარის ასსრ ადმინისტრ. რუკა). |
| ძენწმანი | ძენიამანი (თ. სახოკია, მოგზ., გვ. 162). |
| აქუცა | ავუწა (იქვე). |
| ვარჯანისი | გარდამანისი (იქვე). |
| ზუნდაგა | ზუნდალა (იქვე). |
| გეგელიძეები | გოგელიძე (იქვე) |
| ნამილისევი | ნამლისი (იქვე, გვ. 163). |
| კეხივრი | კენივრი (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 126). |
| წონიარისი | წონივრი (იქვე). |
| ვაიო | ფაიო (იქვე). |
| კუპულა | კუპური (იქვე). |
| სიხალიძეები | სიხლაძე (იქვე) |
| სილიბაური | სილაბაური (იქვე). |
| კორომხეთი | კარამხეთი (იქვე). |
| გობრონეთი | გობრუნეთი (იქვე). |
| ქინძაკარავი | ქინძაკარა (იქვე). |
| ბზუბზუ | ბზუბზო (იქვე, გვ. 127). ბზუბზუო (საქართველოს საისტორიო რუკა, ივ. ჯავახიშვილის რედ., ტფ., 1923 წ.), ზურუ (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ., გვ. 42). |
| საფარიძეები | საფარა (ზ. ჭიჭინაძე. გვ. 127). |
| კოკოტაური | კოკიტაური (იქვე, გვ. 125). |
| ველაშვილები | ველიაშვილები (იქვე). |
| აბუქეთა | აბუკეთი (იქვე). |
| კვაშტა | ქვაშტა (იქვე). |

ზემო აჭარა

| | |
|---|---|
| ალმე | ალმათე (თ. სახოკია, გვ. 164). |
| დღვანი | დოვანი (იქვე), დღვანა (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 131). |
| კარაპეტი | კარაპეტა (თ. სახოკია, გვ. 164), კარპეტი (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 131). |
| ლომანაური | ლამანაური (თ. სახოკია, გვ. 164). |
| მოფრინეთი | მოპინეთი (იქვე). |
| კვიახიძეები | კვახიძე (იქვე). |
| ქიძინიძეები | კვიწინაძე (იქვე). |
| პაქსაძეები | პაქსიძე (იქვე). |
| ოქროპილაური | ოქროპილარი (იქვე). ოქროპარულა (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 129). |
| ოშანახევი | ოთანახევი (თ. სახოკია, გვ. 164). ორთა ხევი (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 130). |
| დაბაძველი | ტაბაძველი (იქვე). |
| ჩაო | ჩავო (იქვე, გვ. 237). |

| | |
|---|---|
| უჩხო | ურხო (იქვე, გვ. 200). |
| კოლოშინარი | კოლონჩნარი (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 129). |
| ბახმარო | ბაემარო (იქვე, გვ, 130). |
| ჭედლური | მჭედრული (იქვე). |
| გუნდაური | გუნდარა (იქვე). |
| ფორჩხითი | ფორჩხა (იქვე) |
| მახალაკური | მალლაკური (იქვე). |
| მიმლი(მ)თა | მიმითა (იქვე). |
| წინწკალაშვილები | წინწკარა (იქვე; გვ. 131). |

### ზემო აჭარა

| | |
|---|---|
| ძირკვაძეები | ძირკვა (იქვე). |
| ჯაბნიძეები | ჯაბანიძე (იქვე). |
| დიოკნისი | დიოგნისი (იქვე, გვ. 132). |
| ელელიძეები | ელელეიძე (იქვე). |
| კორტოხი | კორტოხა (იქვე). |
| დანისპარაული | დანისპარულა (იქვე). |
| წყლისაყარი | წინსაყარი (იქვე). |
| გომარდული | გომართელი (იქვე). |
| ნაგომარი | ნამაგარე (აჭარის ასსრ ადმინისტრ. რუკა). |
| ხიხაძირი | **Хиходзири** (გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, გვ. 22). ხეხაძირი (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 130). |
| ს̆კვანა | **Сукуана** (გ. ყაზბეგი, გვ. 22). |
| ყინჩაური | **Кенчаури** (იქვე, გვ. 26). |
| დარჩიძეები | **Дачидзееби** (იქვე, გვ. 19, შენიშვნა 8). |
| ჯუმუშაური | **Джимишаури** (იქვე). |
| წიახი | **Циахе** (იქვე). |
| ფურტიო | **Пуртио** (იქვე, გვ. 15). |
| ხაბელაშვილები | **Хобела-швилеби** (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ., გვ. 89). |
| ოლადაური | ალადაური (აჭარისტანის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიში, 1921-1924 წ. წ., ბათუმი 1925 წ., გვ. 47). |
| ხიჭაური | ხიჩაური (იქვე, გვ. 167). |
| მარითისხევი | მირეთის-ხევი (გ. ყაზბეგი, გვ. 19. ალ. ჯავახიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, ტ. 1, ტფ. 1926 წ., გვ. 145), მარატის ხეობა (თ. სახოკია, გვ. 208). |
| გუდასახო | გადასახვევი (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 131). დამახინჯებაა „გუდასხევისა". ამ ფორმითაა მოცემული ეს სახელწოდება ლიტერატურასა და საბუთებში (თ. სახოკია, გვ. 164, საქართველოს საისტორიო რუკა, აჭარის საბუთები (ჩვენი კოლექცია). |

| | |
|---|---|
| ნიგაზეული | ნიგოზეული (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ., გვ. 88). |
| | ნიგოზაული (თ. სახოკია, გვ. 164). |

მაჭახელი

| | |
|---|---|
| ჭანივრი | ჭანიერი (თ. სახოკია, გვ. 163). |
| გორგაძეთი | გორგარეთი (იქვე).. |
| ჩიქუნეთი | ჩუკუნეთი (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 132). |
| | ჩიკუნეთი (აჭარისტანის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიში, 1921-1924 წ. წ., გვ. 148). |
| ბაზიარეთი | ბაზარეთი (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 138). |
| ოჯაბურა | ოჯიბაური (იქვე). |

ნიგალი

| | |
|---|---|
| გვარა* | ღვარა (თ. სახოკია, გვ. 163). |
| კობალეთი | ქობალეთი (იქვე). |
| ოღლაური | ოგლაური (აჭარის ასსრ ადმინისტრ. რუკა). |
| კირნათი | კირნაითი (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 127). |
| მირვეთი | მირვანი (ხუთვერსტიანი რუკა). |

გონია

| | |
|---|---|
| ომბოლო | ომბოლე (ზ. ლიოზენი, რუსეთის ლაზისტანის სანაპირო, გვ. 160). |
| კვარიათი | ხვარიათი (იქვე). |

თურქთა ბატონობის პერიოდში აჭარის სოფელთა ერთ ნაწილს შეუცვალეს ქართული სახელწოდება და თურქული სახელი შეარქვეს. პირველ წიგნზე მუშაობის დროს ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ასეთი სახელწოდებანი საკმაოდაა მითითებული შენიშვნებში. ზოგიერთი მასალა წიგნის გამოქვეყნების შემდეგაც მოვიპოვეთ. მოგვაქვს აქვე.

ქვემო აჭარა

| | |
|---|---|
| კაკაბაძეები | კაკა-ოღლი (თ. სახოკია; გვ. 162). |
| ალიქოშვილები | ალი-ოღლი (იქვე), ალიქ-ოღლი (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 126). |
| გუნდაური | ბარამ-ოღლები (აჭარის ასსრ ადმინისტრ. რუკა 1939 წ.). |
| მახუნცეთი | ბაბუჩ-ოღლები (დ. ბაქრაძე, არქ. მოგზ., გვ. 42, თ. სახოკია, გვ. 162). |
| | ბაბუჩაშვილები (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 127). |
| მერისი | ქეშიშ-ოღლები (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 125). |
| | ქეშიოღლები (აჭარის ასსრ ადმინისტრ. რუკა). |

* ეს სოფელი ამჟამად კირნათის სასოფლო საბჭოში შედის და ნიგალის აღწერილობაში გვაქვს შეტანილი, გეოგრაფიულად იგი მაჭახლისაა.

| | |
|---|---|
| განახლება | ყადიოღლები (აჭარის საბუთები (ჩვენი კოლექცია), ყადი-ოღლი (თ. სახოკია, გვ. 164, 194 და სხვ.). |
| შუახოფელი | ნანუზოღლები (ბათუმის ოლქის საადგილმამულო კომისიის აქტები; ჯ. ნოღაიდელი, აჭარადიალექტოლოგიურად, ბათომი, 1936 წ., გვ. 26), ნანოშვილები (თ. სახოკია, გვ. 164). |
| მთის უბანი | მანსუი (გ. ყაზბეგი, გვ. 22). ჩვენ ჩაგვიწერია „მუმსუი" (ბაკო. 19. VI. 1959 წ.). |

დასასრულ იმ ხარვეზ-ნაკლოვანებათა შესახებ, რომელიც ჩვენვე შევნიშნეთ გამოცემის შემდეგ.

35-ე გვერდზე ნა-ავ პრეფიქს-სუფიქსური წარმოების ტოპონიმი „ნა-ქერ-ავ-ი", გვხვდება. როგორც ამგვარი წარმოების სახელებში, ისე ავ სუფიქსიან სახელთა ჯგუფში.

ნა-ავ წარმოებისაა აგრეთვე „ნა-ხელ-ავ-ი", რომელიც იმავე (ავ) სუფიქსიან სახელთა შორისაა დასახელებული (იქვე).

ამის აცდენა ძნელი არ იყო. მაგრამ სათანადოდ ვეღარ მივადევნე თვალი და აღმოჩნდი უსიამოვნო ხარვეზის წინაშე.

ასევე ითქმის რუსულ ტოპონიმთა რიგში „კარლიკაიას" დასახელებაზე (გვ. 38). ეს სახელწოდება თურქულია და ნიშნავს „თოვლის კლდეს".

შემდეგ: იმავე გვერდზე „ყულე" განმარტებულია „სახლა"-დ (შენიშვნა 1), უნდა იყოს „კოშკი". (თურქულ-რუსული ლექსიკონი, შეადგინა დ. ა. მაგაზნიკმა. მოსკოვი, 1945 წ., გვ. 367).

გოდერძის უღელტეხილის მიდამოების აღწერაში ორჯერაა დასახელებული „აბანოყელი" (გ. 127). აბანოყელის სახელით აქ მხოლოდ ერთი ადგილი იწოდება ბეშუმის მახლობლად.

## ТОПОНИМИКА ЮГО-ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

### (Аджарская АССР)

### Книга II

В данной книге изложена топонимика одного из уголков юго-западной Грузии — Нижней Гурии. Она охватывала территорию, расположенную между реками Чорохи и Чолоки.

В древности Нижняя Гурия входила в царство Колхиды, а впоследствии — в Лазику (Эгриси). После распада царства Лазики Нижняя Гурия об'единилась в т. н. «Абхазское царство».

В период об'единенной феодальной монархии Грузии Нижняя Гурия вместе со всей Гурией сначала подчинялась Одишскому правителю (эриставт-эристави), а с 30-х гг. XIII в. — Гурийскому.

Во II половине XV в. феодальная Грузия политически распалась. Гурия формируется в самостоятельное княжество.

Гурийское княжество охватывало обширную территорию, включая в свою политическую орбиту Аджарию и Чанетию (до горы «Ркинис пало» — «железный кол»).

В середине XVI в. гурийское княжество испытывает агрессию со стороны османской империи. Сперва турки захватили Чанети (в 40-ых годах XVI в.), потом Аджарию (в конце XVI в.), а затем и Нижнюю Гурию, которая оставалась в турецком владычестве до 1878 г. Ныне она входит в Аджарскую АССР.

В предлагаемой книге дается опыт освещения вопросов истории и исторической географии Нижней Гурии. Должное место уделено вопросам топонимики и этнонимики, изучены почти все племена (Гениохи, Колхи, Макроны, Лазы, Саны, Манралы, Керкеты, Зидриты, Бизеры и т. д.), которые когда-либо жили на территории Нижней Гурии и по всей нынешней юго-западной Грузии.

В работе соответствующее место занимает исследование о древних путях сообщения.

Топонимический материал снабжен подробными примечаниями.

---

## DIE TOPONIMIK DES SÜDWESTLICHEN GEORGIENS

### (Adsharische ASSR)

### Zweites Buch

In diesem Buch ist die Toponimik eines der Gebiete des Südwestlichen Georgiens Niedergurien gefaßt. Es umfaßte das Territorium, das zwischen den Flüssen Tschorochi und Tscholoki lag.

In früheren Zeiten gehörte Gurien der Herrschaft von Kolchis und später der von Lasika (Egrissi).

Nach dem Zerfall der Herrschaft Lasikas schloß sich Gurien der sogenannten „Abchasischen Herrschaft" an Jm Zeitabschnitt der vereinigten feudalen Monarchie in Georgien wurde Niedergurien anfangs vom Regenten (Eristawt-Eristawi) von Odischi, und seit den dreißiger Jahren des 13. Jahrhunderts — von dem guriischen Regenten untergeordnet.

In der zweiten Hälfte des 15. Jahrhunderts zerfiel das feudale Georgien politisch. Gurien wird zum selbstständigen Fürstentum formiert. Das Fürstentum von Gurien umfaßte das weite Territorium, einschlißend Adsharien und Tschanetien (bis zum Berge „Rkinis Palo"—„Der Eiserne Pfahl")

In der Mitte des 16. Jahrhunderts wurde das Fürstentum Guriens von dem Ottomanischen Kaiserreich überfallen. Die Türken eroberten zuerst Tshanetien (in vierger Jahren des 16. Jahrhunderts), dann eroberten sie Adsharien (Ende des 16. Jahrhunderts), und schlißlich auch Niedergurien, das unter der Türkischen Obergewalt bis 1878 blieb. Jetzt gehört es der Adscharishen ASSR.

Das angebotene Buch ist ein Versuch der Beleuchtung von den Fragen der Geschichte und historischen Geographie Niedergurìens. Große Aufmerksamkeit wird den Fragen der Toponimik und Ethnonimik geschenkt. In diesem Buch sind fast alle Stämme (die Heniocher, Kolcher, Makroner, Laser, Saner, Manraler, Kerketer, Sidriter u. a. erlernt, die je auf dem Territorium Niedergurìens und in dem ganzen jetzigen südwestlichen Georgien gelebt hatten.

In diesem Werk ist auch die Forschung über die uralten Wege des Verkehrs gegeben.

Das toponimische Material ist mit ausführlichen erläuternden Bemerkungen versorgt.

# ავტორისაგან

ისტორიული გეოგრაფიის საფუძვლიან ცოდნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყოველი ქვეყნის წარსულის მეცნიერული შესწავლისათვის. ამიტომაა, რომ, მას შემდეგ, რაც საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევა დაიწყო, ისტორიული გეოგრაფია მუდამ დიდი ყურადღებით სარგებლობდა. განსაკუთრებით დიდია ინტერესი ამ დარგისადმი ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში 1957 წლიდან არსებობს და ნაყოფიერ კვლევა-ძიებასაც ეწევა ისტორიული გეოგრაფიის განყოფილება. ამის ნათელი დემონსტრაციაა იყო ამ განყოფილების სამეცნიერო სესია, რომელიც ამას წინათ გაიმართა. ეს თავის მხრივ ადასტურებს იმას, რომ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა მტკიცე საფუძველზე შედგა და სულ მოკლე ხანში ჯეროვნად დაწინაურდება.

ისტორიული გეოგრაფიის სწრაფი განვითარების ინტერესები დღის წესრიგში აყენებს ჩვენი ქვეყნის ტოპონიმიკის დაწვრილებითი აღწერისა და შესწავლის აუცილებლობას, რადგან „ტ ო პ ო ნ ი მ ი კ უ რ ი  მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი  ი ს ტ ო რ ი ი ს ა თ ვ ი ს  (ი ს ტ ო რ ი უ ლ ი  გ ე ო გ რ ა ფ ი ი ს ა თ ვ ი ს), ყ ო ვ ლ ა დ  ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი  პ ი რ ვ ე ლ ხ ა რ ი ს ხ ო ვ ა ნ ი  წ ყ ა რ ო ა“ (აკად. ნ. ბერძენიშვილი). ეს საქმე ამ უკანასკნელ ხანს დაიწყო და იმედია თანდათან გაფართოვდება.

ტოპონიმიკისადმი ინტერესი ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში აღმეძრა, მაგრამ სისტემატურ მუშაობას ამ დარგში შევუდექი რამდენადმე მოგვიანებით, 1953 წელს. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. და, აი ეს არის, გამოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკის მეორე წიგნიც (თითქმის მზადაა და გამოქვეყნებას ელის „სამცხის ტოპონიმიკა“).

მუშაობის პირველი დღეებიდანვე ტოპონიმიკური აღწერილობის პარალელურად განსაკუთრებული გულისყურით ვეკიდებოდით ისტორიულ გეოგრაფიას. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც ამჟამად აჭარის ასსრ-ში შედის, ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო მხარეა. გარდა იმ მოკლე და ზოგადი მითითებებისა, რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის, სხვა რამ მნიშვნელოვანი და ხელშესახები ამ საკითხზე არ მოგვეპოვებოდა. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკის“ ორივე წიგნი ამ ხარვეზის შევსების პირველი ცდაა. ეს ფრიად რთული და მძიმე საქმე იყო. ამიტომ ჩვენი ნაშრომი არ შეიძლება დაზღვეული იყოს ხარვეზებისაგან. ყოველ საქმიან შენიშვნას მადლობის გრძნობით მივიღებთ.

